ავტორის სტილი დაცულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დიმიტრი ჩუბინიძე

ქართული ანდაზები და ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები

დისერტაცია ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლალი სურმანიძე, პროფესორი
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ვახტანგ ნადარეიშვილი, ასოცირებული პროფესორი
ფსიქოლოგიის დოქტორი

სამეცნიერო კონსულტანტი:

ბრედ შორი, პროფესორი
ანთროპოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ემორის უნივერსიტეტი

თბილისი
2018

ყველა უფლება დაცულია

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების ფარგლებში:

2014 – 2015 წწ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, YS/8/2-152/14, სელფი (self) კულტურის კონტექსტში: მოტივაცია, ემოცია, კოგნიცია - პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი;

2013–2014 წწ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, DO/61/2-152/13, კულტურა, განწყობა და ადაპტური ქცევითი სტრატეგიები: ფსიქოანთროპოლოგიური პერსპექტივა (ქართული ფოლკლორის ქეისი) - პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი.

სარჩევი

სარჩევი 3
აბსტრაქტი 5
შესავალი 6
თავი I. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია 16
1.1. ფსიქოლოგია ანთროპოლოგიაში 19
1.2. ანთროპოლოგია ფსიქოლოგიაში 23
1.3. მეცნიერული ცოდნის სინთეზთან დაკავშირებით 26
1.4. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია დღეს 31
თავი II. კულტურული კოგნიცია 36
2. 1. კულტურა და ქცევა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კონტექსტში 37
კულტურა. 37
ადამიანის ქცევა. 38
დეტერმინაციის საკითხი. 40
2.2. კულტურა კოგნიტივისტურ პერსპექტივაში: სქემა და მოდელი 41
2.3. კულტურული მოდელების სკოლა 43
2.4. ბრედ შორის გონების კოგნიტურ-ეთნოგრაფიული თეორია 47
გონების კოგნიტურ–ეთნოგრაფიულ თეორიის კონცეპტუალური დაშვებები 49
2.5. კულტურული მოდელების სკოლა და განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლა 70
თავი III. - ფოლკლორი და ადაპტაციური ქცევა 83
3.1. ენობრივი კულტურული მოდელები და ქცევა 84
3.2. ვერბალური ფორმულები, როგორც კულტურული მოდელები: ანდაზები 85
3.3. ადაპტაციური ქცევა: დეფინიცია, ამხსნელი მოდელები, კლასიფიკაცია 93
თავი IV. ემპირიული კვლევა 102
4.1. ფოლკლორი, ლინგვისტური მოდელები და ადაპაციური ქცევა 103
ჯეფრი ვაიტი: ანდაზები და კულტურული მოდელები 103
ნატალია მელნიკოვა: ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიები 109
4.2. კვლევის მიზანი და ამოცანები 112
კვლევის მეთოდოლოგია 116
კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო და დაშვება 116
კვლევაში გამოყენებული მეთოდები 117
4.5. მონაცემების აღწერა და ანალიზი 123
კლასტერი N1. დინების მიყოლა – ცვლილების პასიური მოლოდინი 123
კლასტერი N2. წყალში ჩახედვა 125
კლასტერი N3. გულში სიმღერა და ორი კურდღლის მადევარი 127
კლასტერი N4. მიდგომ–მოდგომა – ახალი გარემოს ძიება. 132
კლასტერი N5. შორი გზის მოვლა 134
კლასტერი N6. თავი მოიმოახლეო 136
კლასტერი N7. კარგი მოთამაშე 137
კლასტერი N8. ხან ისე და ხან ასე 140
კლასტერი N9. არ უშლის ხმალსა სიმოკლე 147
კლასტერი N10. კაცი უნდა ხერხი იყოს 149

კლასტერი N11. შეცდომებზე სწავლა 152
კლასტერი N12. ძიება 153
კლასტერი N13. შეემატოს მღვიძარესო 154
ანდაზური იმპლიკაციების შესახებ 158
4.6. შეჯამება 161
დასკვნები 170
ბიბლიოგრაფია 171
დანართი 178

აბსტრაქტი

დისერტაციის მთავარი თემაა ადაპტაციური ქცევის რეგულაციაში კულტურული კოგნიციის მნიშვნელობის შესწავლა, კერძოდ, ადაპტაციური ქცევის ქართული კულტურული მოდელების აღმოჩენა. კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო ეყრდნობა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კულტურული მოდელების სკოლას (ბ. შორის გონების კოგნიტურ–ეთნოგრაფიულ თეორიას), ხოლო კვლევის მეთოდოლოგია – ექსპერიმენტული და თვისებრივი ტექნიკების სინთეზს.

კვლევა იზიარებს დაშვებას, რომ კულტურული ინფორმაცია სხვადასხვა დონეზე (სოციალურზე, ფსიქიკურზე) ორგანიზებულია მოდელების/სქემების სახით, ხოლო კულტურულ კოგნიციაში მნიშვნელობის შექმნა განსხვავებულ დონეებზე არსებულ მოდელთა შორის კავშირის მეშვეობით ხორციელდება.

საკვლევი კონტექსტი წარმოდგენილია ქართული კულტურის სახით, ხოლო საკვლევი არეალს თანამედროვე საქართველო წარმოადგენს. კვლევის ობიექტია ადაპტაციური ქცევის სტრატეგიები. კულტურა-დონის ელემენტად შერჩეულია პრობლემური სიტუაციის გადაჭრასთან დაკავშირებული ქართული ანდაზები. მათი მენტალური რეპრეზენტაცია ასახულია ცნობიერების კატეგორიალურ სტრუქტურებში, რომელიც გამოვავლინეთ სემანტიკური სივრცეების სახით. ამგვარად, წარმოდგენილ იქნა კვლევაში გამოყენებული ანდაზების სუბიექტურ მნიშვნელობათა სივრცული მოდელი. ადაპტაციის კულტურული მოდელების აღწერა/ანალიზი, ასევე, ეყრდნობოდა კულტურის წევრთა დისკურსებში ასახულ მნიშვნელობებს.

კვლევის შედეგად გამოვლენილი და აღწერილია ადაპტაციის ქართული კულტურული მოდელები. დისერტაცია ადაპტაციური ქცევის ქართული კულტურული მოდელების ემპირიული კვლევის პირველი მცდელობაა.

საკვანძო სიტყვები: კულტურული კოგნიცია; კულტურული მოდელი; ადაპტაციური ქცევა, ფსიქოსემანტიკა, ქართული ანდაზები.

„კულტურულად გაორკესტრებული გარემო ფსიქიკის ერთ–ერთი განზომილებაა“

ბრედ შორი

შესავალი

XXI საუკუნეში ადამიანისა და ადამიანურ ფენომენთა მეცნიერული შემეცნებისთვის აქტუალურ პრობლემას სინთეზური, ჰოლისტური და ტრანსდისციპლინური კვლევა წარმოადგენს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია საკვლევი ობიექტის სხვადასხვა დონეზე შესწავლა და შემეცნების განსხვავებულ დონეებზე მიღებული მონაცემთა შერწყმა. დასახული მიზანი თეორიულ-მეთოდოლოგიური ტრიანგულაციითა და მეთოდთა „ბრიკოლაჟით“ ხორციელდება. ამგვარი კვლევით მიღებული შედეგი ემერჯენტულ მთლიანობას წარმოადგენს, რომლის ქცევა გარკვეული წესრიგით ხასიათდება, თუმცა არ დაიყვანება ცოდნის ცალკეული დონის წესრიგზე. ამ კონტექსტში იმ სამეცნიერო სფეროებისთვის, რომელთა ფოკუსიც „ადამიანი - კულტურის“ შესწავლაა, ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სუბიექტურ (მენტალურ) და ობიექტურ (სოციო-კულტურულ), სხვაგვარად, ობიექტივირებულ ფსიქიკურ და სუბიექტივირებულ კულტურულ მნიშვნელობებს შორის კავშირ-ურთიერთობათა კვლევა. ამ კავშირის მოხელთების საუკეთესო საშუალებად ინდივიდუალური გამოცდილების სივრცე მიიჩნევა. და ეს ნიშანდობლივიცაა, რამდენადაც სწორედ ეს სივრცე წარმოადგენს ობიექტურ კულტურულ მნიშვნელობათა არსებობის პირობას.

სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მიდგომათა უმეტესობა ეფუძნება ანთროპოცენტრიზმის იდეას, რომლის მიხედვითაც ადამიანთან დაკავშირებული საკვლევი ფენომენები, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ თავად ადამიანთან, კულტურასთან, ისტორიასა და აზროვნებასთან ურთიერთკავშირში. ვინაიდან, „სანამ სიღრმისეულად არ გვეცოდინება პიროვნების მიზნების, სურვილების, რწმენების,

ეთიკისა და კულტურული მნიშვნელობების შესახებ, მანამ ჩვენს ყოველგვარ „უნივერსალურ“ გენერალიზაციას ძალიან ცოტა პრედიქტორული ძალა ექნება“ (Shweder,1991: 270).

„ადამიანი - კულტურის“ შემსწავლელი მეცნიერები კარტეზიანული დიქოტომიის - გონება//სხეული - უსაფუძვლობის საილუსტრაციოდ ხშირად მიმართავენ კულტურულ ველში ადამიანის აქტივობის სპეციფიკას. ამგვარი აქტივობის შესწავლის ერთ–ერთი აპრობირებული საშუალებაა ენობრივი კულტურული მონაცემების კვლევა, რომლის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს კოგნიტური ორიენტაციის მეცნიერებები. მათ შორის გამოირჩევა კოგნიტური ფსიქოანთროპოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია და კოგნიტური ლინგვისტიკა.

ჩამოთვლილ სფეროთა მკვლევრებისათვის ენა მეტწილად განიხილება კოგნიტურ სტრუქტურად, რომლის მეშვეობითაც ადამიანები სამყაროს შეიმეცნებენ. ამიტომაც, თანამედროვე კვლევებში დომინირებს კულტურული ინფორმაციის გადაცემასთან, ცოდნის ორგანიზაციის დინამიკურ სტრუქტურასთან, მენტალურ რეპრეზენტაციებსა და კოგნიტურ მოდელებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა აღსაწერადაც გამოიყენება ისეთი (ხშირად სინონიმური) სამეცნიერო ტერმინები, როგორიცაა კულტურული მოდელები, ფოლკლორული მოდელები, კოგნიტური სქემები, სცენარები, ფრეიმები, გეშტალტები, სემანტიკური ბადეები, სკრიპტები, კონცეპტები, სამყაროს სურათი, ფიქსირებული განწყობები და სხვ. აღნიშნულ შეხედულებებს არსებითად აერთიანებთ ენისა და კულტურის ფილოსოფიის კონცეპტუალური დებულებები აზროვნების, ცნობიერების, ენისა და კულტურის უწყვეტ დიალექტიკურ ერთიანობაზე. წინამდებარე კვლევაც იზიარებს და ეყრდნობა მოხმობილ დაშვებას.

ადამიანს აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობა წვდეს აკუმულირებულ ცოდნას ისე, რომ არ დახარჯოს ამაში მნიშვნელოვანი დრო და ენერგია. ის ყოველ ჯერზე მეტაფორულად ხელახლა აღმოაჩენს ბორბალს. თანამედროვე ევოლუციური ანთროპოლოგები კულტურული ინფორმაციის გადაცემისა და მიღებას უნარს

ადასტურებენ, როგორც ადამიანის სახეობისათვის სპეციფიკურს და ამ შესაძლებლობას ერთ-ერთ უმთავრეს ადაპტაციურ თვისებად მიიჩნევენ (Alvard, 2003). ამგვარად, კულტურა მნიშვნელოვან ადაპტაციურ ფუნქციას ასრულებს. იგი წარმოადგენს ადამიანის, როგორც ფსიქობიოლოგიური ორგანიზმის თავისებურებებსა და მისი სოციალური და ფიზიკური გარემოცვის თავისებურებებს შორის ურთიერთქმედების გამაშუალებელს (Spiro, 1987).

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისათვის კულტურა და ადამიანის ქცევა არ განიხილება ერთმანეთისგან გათიშულ აბსტრაქტულ მოცემულობებად, ვინაიდან მიიჩნევა, რომ კულტურა ადამიანთა განმეორებადი ქცევების შედეგად ფორმირებული, გაზიარებული ცხოვრებისეული გამოცდილების ერთიანობას წარმოადგენს (Bock, 1999).

კულტურაზე ზედაპირული დაკვირვებაც კი აჩვენებს, რომ სიტუაციებში ადამიანის ქცევის ხასიათი დამოკიდებულია ყოველდღიური ურთიერთობების პროცესში ჩამოყალიბებულ ფსიქიკის მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებებზე (Bruner, 1996). სოციალიზაციის პროცესში შეთვისებული ინფორმაცია კულტურულად განსაზღვრულია. თანამედროვე კოგნიტურ მეცნიერებაში ინფორმაციის შეთვისების საფუძვლად გონების არსებითი ფუნქცია – ანალოგიისებრი კავშირების დამყარება მოიაზრება (Rumelhart, 1990). ამგვარად, ადამიანის გარემოსთან ინტერაქციის პროცესში მიღებული გამოცდილება ფიქსირებული წარმონაქმნის, ორგანიზებული ცოდნის სახეს იღებს. ამგვარი ფიქსირებული სტრუქტურა, რომელსაც ყველაზე ხშირად სქემებისა თუ მოდელების სახით მოიხსენიებენ, მოწესრიგებულად ლაგდება როგორც გარემოში (სოციო-კულტურული სივრცე), ისე სუბიექტში (ინდივიდუალური სივრცე). ამ ორ განსხვავებულ დონეზე ორგანიზებული გამოცდილება იზიარებს მსგავსებებს აბსტრაქციის სხვადასხვა ხარისხით, ვინაიდან, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ისინი დიალექტიკური ურთიერთქმედების შედეგად, ანალოგიისებრი პრინციპით ფორმირდებიან.

მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, სწორედ ტვინის უნარი, უზრუნველყოს ანალოგიისებრი კავშირების დამყარება, საფუძვლად ედება მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესს. ორ განსხვავებულ დონეს (მენტალურსა და კულტურულ) შორის კავშირის დამყარების პროცესშიც მნიშვნელობები ყოველ ჯერზე კონსტრუირდება და რეკონსტრუირდება (Shore, 1998). სქემები/კოგნიტური მოდელები ადამიანის ყოველგვარი გამოცდილების ამსახველია და მათ არსებობის ორი ფორმა მოეპოვება: 1. საზოგადოებრივ/კოლექტიურ დონეზე, როგორც ობიექტური, „გარეთ“ არსებული წარმონაქმნები ინსტიტუციური კულტურული მოდელების სახით და 2) ინდივიდუალურ დონეზე, როგორც ინსტიტუციური მოდელების მენტალური რეპრეზენტაციები, ინდივიდუალური კოგნიტური სტრუქტურები. კულტურის წარმოდგენა ცოდნის სისტემად საფუძველს ქმნის კულტურის არსებობის ორ ფორმას შორის კავშირის დასამყარებლად: საზოგადოებრივი ინსტიტუტების სახით მის სოციალურ არსებობასა და გონების კომპონენტის სახით მის კოგნიტურ არსებობას შორის (Shore, 1996).

ამგვარად, წინამდებარე კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ კულტურული ინფორმაცია სხვადასხვა დონეზე ორგანიზებულია მოდელების/სქემების მეშვეობით, ხოლო კულტურული კოგნიცია სხვადასხვა დონეზე ორგანიზებულ კულტურულ მოდელებს/სქემებს შორის კავშირის მეშვეობით ხორციელდება. კულტურული მოდელები/სქემები სხვადასხვა ხარისხით გაზიარებულია კულტურის წევრთა მიერ, რაც მნიშვნელობის შექმნისა და შედეგად ურთიერთგაგების საფუძველია. ეს გულისხმობს იმას, რომ ყოველი კონკრეტული კულტურული ჯგუფის წარმომადგენელი, მეტი ან ნაკლები ხარისხით, იზიარებს შეხედულებებს, რომლის დასწავლა და ინტერნალიზება მოხდა მათი გამოცდილების გაზიარების პროცესში. შედეგად, ადამიანები საკუთარი გამოცდილების აღქმისა და ორგანიზებისთვის (მათ შორის: აზრების, გძნობების, მოტივაციების, საკუთარი და სხვების ქცევების) ითვალისწინებენ და მიჰყვებიან გაზიარებულ შეხედულებებს.

მოცემულ კვლევაში საკვლევი კონტექსტი წარმოდგენილია ქართული კულტურის სახით, ხოლო საკვლევი არეალს თანამედროვე საქართველო წარმოადგენს. კვლევის ობიექტია ადაპტაციური ქცევის სტრატეგიები. კულტურა-დონის ელემენტად შერჩეულია პრობლემური სიტუაციის გადაჭრასთან დაკავშირებული ქართული ანდაზები. მათი მენტალური რეპრეზენტაცია ასახულია ცნობიერების კატეგორიალურ სტრუქტურებში, რომელიც გამოვავლინეთ სემანტიკური სივრცეების სახით. ამგვარად, წარმოდგენილ იქნა კვლევაში გამოყენებული ანდაზების სუბიექტურ მნიშვნელობათა სივრცული მოდელი. ადაპტაციის კულტურული მოდელების აღწერა/ანალიზი ასევე ეყრდნობოდა კულტურის წევრთა დისკურსებში ასახულ მნიშვნელობებს.

კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო ეფუძნება ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიით, კოგნიტური ანთროპოლოგიითა და კოგნიტური ფსიქოლოგიით ნასაზრდოებ კულტურული მოდელების სკოლას, ხოლო მეთოდი - ექსპერიმენტული და თვისებრივი ტექნიკების სინთეზს. კულტურულ და მენტალურ მოდელებს შორის კავშირის ინტერპრეტაციისათვის ვეყრდნობით ბ. შორის გონების ეთნოგრაფიულ თეორიას (Shore, 1996).

ფსიქოკულტურული ასპექტებით ქცევის შემსწავლელ მეცნიერებათა ისტორია ცხადყოფს, რომ ადამიანის ადაპტაცია ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელიც არ კარგავს აქტუალურობას, პირიქით - გლობალური გამოწვევების ფონზე ძირითად საკვლევ პრობლემად გვევლინება. მიუხედავად კვლევის ხანგრძლივი ისტორიისა, ვერ ხერხდება ადაპტაციის ამხსნელი იმგვარი მექანიზმის დახასიათება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადაპტაციური ქცევის მთელი დინამიკა.

ქცევის ანალიზის თანამედროვე მდგომარეობა, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, აჩვენებს ინტერდისციპლინური მიდგომის საფუძველზე შექმნილი კონცეფციების სიმრავლეს. დღეს, კულტურათა გლობალური ტრანსფორმაციის ეპოქაში, როცა გამწვავებულია დეზადაპტაციის პრობლემები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით დაგროვილი

ცოდნის რეფლექსირება, მათი სინთეზურად განხილვა და ახალი თეორიული მიდგომების შემოთავაზება.

ადამიანის ქცევები (ძალიან ხშირად) მრავალმნიშვნელოვანი და მიზანმიმართულია (და მიზნების მაწარმოებელია) - შედეგად, ორიენტირებულია მომავალზე და ნაკლებად წარმოადგენს „რეაქციებს“ წარსულზე (Valsiner, 2009). ამ კონტექსტში, დროულად მიგვაჩნია ძალისხმევა გადაიხედოს დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობა, რამდენადაც მის მიერ დამუშავებული ქცევის მექანიზმს – განწყობას, წარმაოდგენს რა მიზანშეწონილი ქცევის საფუძველს და ინტეგრირებულ ფსიქიკურ მოცემულობას, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქცევის ფსიქოანთროპოლოგიური მექანიზმის ახსნა-დახასიათებაში. განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის თანამედროვე კონცეფციებში აქცენტი კეთდება ცვალებად პირობებში ქცევის რეგულაციაზე ისე, რომ გათვალისწინებულია როგორც წარსულის, ისე აწმყოსა და მომავლის მონაცემები. ადაპტაციის ძირითად ინსტრუმენტად ნორმატიული სისტემების მიჩნევა და მათი სუბიექტური არსებობის მენტალურ ეკვივალენტებად ფიქსირებული განწყობების დასაბუთება (ნადარეიშვილი, 2013) ქცევის მექანიზმში კულტურული ღირებულებებისა და აქტივობის სტანდარტთა ჩართვისა და მათი ნატიფი აღწერის შესაძლებლობას აჩენს. კულტურისა და ადამიანის ქცევის კოგნიტივისტური კონცეფციებისათვის დამახასიათებელი რეტროსპექტული ორიენტაციისა და მექანიციზმის დაძლევისათვის, გადავწყვიტეთ მოგვესინჯა დ. უზნაძის განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შესაძლებლობები.

ამრიგად, წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ადაპტაციური ქცევის გაზიარებული კულტურული მოდელების აღმოჩენასა და აღწერას. კვლევის შედეგად იდენტიფიცირდება ის გზები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები კონკრეტული კულტურული მოდელის თარგზე გადაჭრიან ინდივიდუალურ ფსიქიკურ კონფლიქტებს.

ძირითადი საკვლევი კითხვებია: როგორია ადაპტაციის ქართული კულტურული მოდელები? რა კულტურული მნიშვნელობები აწარმოებს ადაპტაციური ქცევის მენტალურ მდგენელებს? რა და რა სახის ფსიქოლოგიური იმპლიკაციების მატარებელია ქართული ანდაზები?

კვლევის შედეგად გამოვლენილი და დახასიათებულია ადაპტაციური ქცევის ქართული კულტურული მოდელები და აღწერილია ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების კულტურულ-სპეციფიკური მნიშვნელობები.

სადისერტაციო კვლევის თემატიკის შესაბამისად განვსაზღვრეთ ნაშრომის სტრუქტურა.

თავი I. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია. ეს თავი განსაზღვრავს სადისერტაციო კვლევის ზოგად სამეცნიერო ველს. მასში განხილულია ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის ურთიერთობის საკითხები ისტორიულ და მეთოდოლოგიურ კონტექსტში. ცალ–ცალკეა დახასიათებული თითოეულ დისციპლინაში ურთიერთდაინტერესების მოტივები და ტენდენციები. მონიშნული და გაანალიზებულია ორ განსხვავებულ სფეროში მოპოვებული მეცნიერული ცოდნის სინთეზთან დაკავშირებული პრობლემები. თავის ბოლოს მიმოხილულია თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის წამყვანი სამეცნიერო პრობლემატიკა. აქცენტი დასმულია იმგვარი სამეცნიერო კონცეფციების განვითარების საჭიროებაზე, რომლებიც ადამიანის, როგორც სხეულებრივისა და მნიშვნელობის მაკონსტრუირებელი აგენტის მთლიანობის რეპრეზენტირებისა და ახსნის შესაძლებლობას ქმნის.

თავი II. კულტურული კოგნიცია. ეს თავი სადისერტაციო კვლევის კონცეპტუალურ საფუძველს ქმნის. მასში გაანალიზებულია ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და კოგნიტური მეცნიერებების გადაკვეთაზე კულტურის კოგნიტური რეკონცეპტუალიზაციის მცდელობები და შედეგად ფორმირებული თეორიული კონცეფციები.

პირველ ქვეთავში - ***კულტურა და ქცევა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კონტექსტში*** - ანალიზის ფოკუსშია კულტურასა და ქცევას შორის არსებული კავშირის შესახებ შეხედულებები.

მეორე ქვეთავში - ***კულტურა კოგნიტივისტურ პერსპექტივაში: სქემა და მოდელი*** - განხილულია კოგნიტური ანთროპოლოგიის, კოგნიტური მეცნიერებისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ნაყოფიერი ურთიერთობის შედეგად ფორმირებულ კოგნიტური მიმართულება ფსიქოანთროპოლოგიაში. გაანალიზებულია კულტურის კოგნიტური რეკონცეპტუალიზების ვარიანტები.

ცალკე მესამე ქვეთავი ეთმობა ***კულტურული მოდელების სკოლას.*** განხილულია ამ სკოლის განვთარების ეტაპები და ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებები.

მეოთხე ქვეთავში - ***ბ. შორის გონების კოგნიტურ-ეთნოგრაფიული თეორია: კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო*** - განხილულია კულტურული მოდელების სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელიც სადისერტაციო კვლევის არსებით თეორიულ საფუძველს წარმოადგენს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კულტურული ინფორმაციის სამ განსხვავებულ დონეზე (ბიოლოგიური, ფსიქიკური, სოციოკულტურული) ორგანიზაციის საკითხზე და კოგნიტური ანთროპოლოგიის ფუნდამენტური ტრიადის - კულტურის, მნიშვნელობისა და ანალოგიის ურთიერთმიმართების თავისებურებებზე. ხაზგასმულია ანალოგიის ფორმირების, როგორც მნიშვნელობის კონსტრუირების ფსიქოლოგიური პროცესები და ამ პროცესთა კავშირი მეტაფორის შესახებ არსებულ ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ შეხედულებებთან. მოცემულია გონების კოგნიტურ-ეთნოგრაფიული თეორიის ძირითადი დაშვებები და კონცეპტუალური ცნებითი აპარატის ანალიზი.

მეხუთე ქვეთავში - ***კულტურული მოდელების სკოლა და განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლა*** - მოცემულია დ. უზნაძის განწყობის თეორიისა და მისი

დამუშავების შედეგად ამ სკოლის ფარგლებში აღმოცენებულ კონცეფციათა თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამეცნიერო კონტექსტში.

თავი III. ფოლკლორი და ადაპტაციური ქცევა. ამ თავში განხილულია კვლევასთან დაკავშირებული ცნებები და მათი ურთიერთმიმართება, კერძოდ, ფოლკლორი, როგორც სემიოტიკური სისტემა, ენობრივი კულტურული მოდელები და ადაპტაციური ქცევა. პირველ ქვეთავში გაანალიზებულია ლინგვისტურად კოდირებული მოდელების როლი ადაპტაციური ქცევის რეგულაციაში, ხოლო მეორე ქვეთავში - ფოლკლორისა და მისი ელემენტების (ვერბალური ფორმულები) - ანდაზებში რეპრეზენტირებული ადაპტაციური იმპლიკაციები.

ბოლო ქვეთავში მოცემულია ადაპტაციური ქცევის ამხსნელი მოდელებისა და კლასიფიკაციების თეორიული ანალიზი. ანალიზის შედეგად, მოცემული კვლევის სამუშაო ტერმინად შერჩეულია ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიები. მათში მოვიაზრებთ პრობლემური სიტუაციის გადაჭრის, შეგუებისა თუ დაძლევის უზრუნველმყოფელ ქცევით სტრატეგიებს. აღნიშნული სტრატეგიები ქცევის მიმართულობის განმსაზღვრელი ზოგადი ორიენტაციებია, რომლებსაც ადამიანი იყენებს ინდივიდი–გარემოს შორის ურთიერთობის მართვისას.

თავი IV. ქართული ანდაზები და ადაპტაციური ქცევის სტრატეგიები. ნაშრომის ბოლო თავში წარმოდგენილია ემპირიული კვლევა, რომელშიც მცირე ფოლკლორის ბაზაზე გამოვლენილია ადაპტაციის ქართული კულტურული მოდელები.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გულუბრყვილობა იქნებოდა კულტურული ინფორმაციის მიჩნევა ადამიანის თავისუფალ აზროვნებასა და ქცევაზე მოქმედ ერთადერთ წყაროდ. თუმცა, ნამდვილად გვჯერა, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა ათვალსაჩინოვებს კულტურული კოგნიციის მნიშვნელობას ადამიანის ქცევის

დეტერმინაციაში, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ის უზრუნველყოფს მოტივაციურ ფაქტორთა სრულყოფასა და განსაზღვრავს პროსპექტიული აქტივობის მიმართულობას.

თავი I. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია

ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებებისთვის, იზიარებენ რა კვლევის ობიექტს, სრულყოფილი და გამთლიანებული სამეცნიერო შედეგის მისაღებად აუცილებელი ხდება ცალკეულ სფეროებში მოპოვებული ცოდნის სინთეზი. თუმცა, მეცნიერების კარტეზიანული მოდელი, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი დარგის არსებობის უპირობო გარანტად მისი საზღვრები მიიჩნევა (კონკრეტული საკვლევი ფენომენითა და შესწავლის შესაბამისი მეთოდოლოგიით) და რომელიც სამეცნიერო დარგის განვითარების ხარისხს დიფერენცირებულობის სიდიდით ზომავს (განვითარება = დიფერენციაციას), ცალკეულ სფეროებში მოპოვებული ცოდნის ინტეგრაციასთან დაკავშირებით პრობლემებს აჩენს. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება „განვითარებადი პროგრესის“ ეგიდით შეუპოვრად განაგრძობდა სვლას, XX საუკუნის დასასრულს, მკვლევართა უმეტესობა სამეცნიერო შედეგების უკმარისობასა და დანაწევრებული ცოდნის გამთლიანების საჭიროებაზე იწყებს საუბარს (მაგ., იხ.: Ortner, 1984). აღნიშნულმა ტენდენციებმა ინტერდისციპლინური სამეცნიერო სფეროების ფორმირებისათვის ნიადაგი მოამზადა. სწორედ ამგვარ ნიადაგზე მოიხაზა დამოუკიდებელი სამეცნიერო სფეროს – ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კონტურები.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, კვლევისა და სწავლების ტრადიციის გათვალისწინებით, კულტურული ანთროპოლოგიის სუბ–სფეროდ განიხილება, დღეს უკვე ჭირს მისი ერთი კონკრეტული მეცნიერების ფარგლებში მოაზრება. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე კოგნიტური, ნეირო და კომპიუტერული მეცნიერებების განვითარების კვალდაკვალ, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიაც ინტერ და მულტიდისციპლინური სფეროს ფორმას იღებს და არ დაიყვანება კონკრეტული დისციპლინის საზღვრებზე.

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია თითქმის საუკუნეა ფიგურირებს სამეცნიერო სივრცეში. ის აერთიანებს ადამიანისა და ადამიანის ქცევის შემსწავლელ მეცნიერებებში არსებულ ადრეული კვლევებსაც, თუმცა როგორც სუბ–სფერო, კულტურული ანთროპოლოგიის ამერიკული სკოლის შთამომავალია.

მკვლევართა უმეტესობა ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას ისტორიულ პერსპექტივაში აანალიზებს, რადგან მის ფორმირებაზე გავლენა იმ შეხედულებებმა იქონია, რომლებიც, ისტორიულად, ანთროპოლოგიური პრობლემებისა და ფსიქოლოგიური თეორიების გადაკვეთის წერტილებში ჩნდებოდა (LeVine, 1974; Spindler, 1978; Bock, 1988; Alten, 1998; Moore & Mathews, 2001; Bernard & Spencer, 2002; Лурье, 2005; Birx, 2011). შესაბამისად, თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია იმ ხანგრძლივი კვლევების ნაყოფად შეგვიძლია განვიხილოთ, რომლებშიც მეცნიერები წინამორბედთა შეცდომების აღმოჩენასა და აღმოფხვრას ცდილობდნენ.

ანთროპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ დისციპლინებში მოღვაწე მეცნიერთა თანამშრომლობის მცდელობები ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო. დიდი ხნის განმავლობაში, ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის საკვანძო საკითხები განუცალკევებლად შეისწავლებოდა (Hickman, 2010), მოგვიანებით კი (XIX საუკუნიდან მოყოლებული) თანამშრომლობის მცდელობები ცალკეული დისციპლინის ფარგლებში – სუბ–სფეროებში გაგრძელდა.

მნიშვნელოვან რეფლექსიას არ საჭიროებს იმის გარკვევა, რომ ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური ცოდნის სინთეზის მოთხოვნილება საერთო კვლევის საგნით იყო განპირობებული. ადამიანისა და ადამიანის ქცევის სრულყოფილი შესწავლა, ცალკეულ სფეროებში მოპოვებული შედეგების გამთლიანებასთან ერთად, კვლევის ფოკუსში ისეთი რეალობის ჩართვის საჭიროებასაც აჩენს, როგორიცაა კულტურა, რომელიც ადამიანური ცხოვრების მანიფესტაციად მიიჩნევა. ანთროპოლოგთა და ფსიქოლოგთა თანამშრომლობა არსებითად კულტურისადმი ინტერესით განისაზღვრა, კულტურისადმი, რომელიც ადამიანური ფსიქიკის შემდგენელად და, იმავდროულად, ობიექტივირებულ ფსიქიკურ არტეფაქტად განიხილება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის საზღვრებს სცდება ფსიქოლოგია–ანთროპოლოგიის ურთიერთობის ისტორიულ–მეთოდოლოგიური საკითხების

ანალიზი, სადისერტაციო კვლევის კონტექსტის განსაზღვრის მიზნით, ხსენებული ორი დარგის ურთიერთობის რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1.1. ფსიქოლოგია ანთროპოლოგიაში

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი – ფილიპ ბოკი აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური კონცეფციების გავლენა, ზოგჯერ კი ფსიქოლოგიური რედუქციონიზმი, მეტნაკლებად, ყველა ანთროპოლოგიური სკოლისთვის იყო დამახასიათებელი. ამ ორ დარგს შორის კომუნიკაციის მცდელობები, ძირითადად, ანთროპოლოგებს ეკუთვნოდათ (მ. მიდი, რ. ბენედიქტიდა სხვ.), თუმცა იყვნენ გამონაკლისებიც, მაგალითად, აბრაჰამ კარდინერი, გეზა როჰეიმი და სხვ. (Bock, 1999).

ანთროპოლოგიაში ფსიქოლოგიური ხაზის ანალიზისას მკვლევართა უმეტესობა განსაკუთრებულად აღნიშნავს ამერიკული კულტურული ანთროპოლოგიის სკოლის ფარგლებში ფორმირებული კულტურა-პიროვნების სკოლის მონაპოვარს (Alten, 1998; Bock, 1999; Лурье, 2005; Birx, 2011). მიუხედავად ამერიკული ისტორიული სკოლის ფუძემდებლის – ფ. ბოასის ინტერესისა ზოგადი ფსიქოლოგიისადმი, მისი ბევრი სტუდენტი და მიმდევარი (მიდი, ბენედიქტი, სეპირი, კარდინერი, ვაითინგი, როჰეიმი, დევაუსი, ვესტონ ლა ბარე, სპირო) აქცენტს სვამდა კულტურულ განსხვავებებზე. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ფსიქოლოგიურ ორგანიზაციაში კულტურის როლისა და მნიშვნელობის შესწავლას უთმობდნენ (Ingham, 2001). სწორედ ფ. ბოასის მოწაფეებმა შექმნეს კულტურა–პიროვნების სკოლა, რომლის ფარგლებში განხორციელებული კვლევები და შემუშავებული კონცეფციები იქცა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის – კულტურული ანთროპოლოგიის სუბ–სფეროს საფუძვლად.[1]

[1] კულტურა–პიროვნების სკოლის სახელდება ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიად ეკუთვნის ამერიკელ მეცნიერს ფრენსის ჰსუს 1961 წელს (Hsu, 1961).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ფსიქოლოგიური კონცეფციის თუ თეორიის გავლენა არაერთ ანთროპოლოგიურ სკოლაზე შეინიშნება, განსაკუთრებით გამოვყოფთ სიღრმის ფსიქოლოგიას და გეშტალტფსიქოლოგიას, რომლებმაც ანთროპოლოგიური აზრის განვითარებაში კარდინალური ცვლილებები შეიტანეს.

ფსოქოანალიტიკური თეორია ეთნოლოგიაში[2] 1920-იანი წლებიდან გახდა პოპულარული. ეს თეორია განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ანთროპოლოგებისთვის, ვინაიდან, როგორც ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს, ზ. ფროიდი მარტო ფსიქიკას როდი იკვლევდა, იგი კიდეც აგებდა აქედან კულტურის კონცეფციას, მის საფუძველზე ამუშავებდა გარკვეულ წარმოდგენას ადამიანსა და ადამიანის ცნობიერების მითოლოგიური წარსულის შესახებ. ეს წარმოდგენები სავსებით განსხვავდება კლასიკურ ფილოსოფიაში, კლასიკურ ანთროპოლოგიაში არსებული წარმოდგენებისგან (მამარდაშვილი, 1998, გვ. 52-53). შესაბამისად, კულტურის მკვლევართათვის ფსიქოანალიტიკურმა თეორიამ ახლებური კვლევა–ინტერპრეტაციის საინტერესო ასპექტები მონიშნა და ანთროპოლოგიაზე გავლენა როგორც მეთოდოლოგიურად (ანთროპოლოგიური კვლევითი აპარატი გამდიდრდა ახალი მეთოდებით), ისე შინაარსობრივად მოახდინა (შეცვალა სამეცნიერო კვლევა–ძიების რაკურსი).

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიურ ლიტერატურაზე თვალის შევლება გვაჩვენებს, რომ ფსიქოანალიტიკური თეორიიდან ანთროპოლოგებმა მიიღეს თეზისი ჩახშულ ლტოლვებზე, დაცვის მექანიზმებზე და ა.შ. კარდინერმა კი ინდივიდის შფოთვის წყარო სოციალურ ინსტიტუტებზეც განავრცო.[3]

---

[2] თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის ნაცვლად, ჩვეულებრივ, იყენებენ ანთროპოლოგიას. ამა თუ იმ ქვეყანაში დარგის ძველი სახელწოდებების შენარჩუნება დაკავშირებულია ტრადიციასთან (სურმანიძე, 2010; გვ. 24-28).

[3] აღსანიშნავია, რომ ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა (Bock, P. 1999); Sections, Journals & Dues http://www.americananthro.org/ParticipateAndAdvocate/SJDList.aspx?navItemNumber=593 .

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ კულტურასა და პიროვნებას შორის კავშირის გასაგებად ფსიქოანალიზი განსხვავებული გზებით გამოიყენებოდა. თავიდან აქცენტი კეთდებოდა ფსიქო-სექსუალური განვითარების სტადიებზე, მოგვიანებით კი დაცვის მექანიზმებზე. სკოლის შიგნით გამოიყო ორი მიდგომა: ა) პირველის მიხედვით კვლევის ფოკუსშია სოციალურ-კულტურულ პროცესებსა და პიროვნულ ფაქტორებს შორის მსგავსების საკითხი (რ. ბენედიქტი, მ. მიდი, პ. კარდინერი), ბ) მეორეს მიხედვით კი – ამა თუ იმ საზოგადოებაში პიროვნების მიერ შექმნილი კულტურული ფორმები (Whiting & Child, 1953; Whiting & Whiting, 1975). საბოლოო ჯამში, ფსიქოდინამიკური კონცეფციების ანთროპოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენების სიმრავლემ ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგია ჩამოაყალიბა.

გარდა სიღრმის ფსიქოლოგიისა, კულტურა–პიროვნების სკოლაზე გავლენას გეშტალტფსიქოლოგიაც ახდენს. სწორედ ამ თეორიის იდეებითა ნასაზრდოები კულტურული რელატივიზმის სკოლის ფარგლებში კონფიგურაციონიზმის მიმართულება. ანთროპოლოგები, რ. ბენედიქტი, მ. მიდი და ე. სეპირი, თვლიდნენ, რომ კულტურა უნდა შევისწავლოთ როგორც ფორმა, მოდელი და არა როგორც ინდივიდუალური ელემენტი. ამ პოზიციის საილუსტრაციოდ ისინი ყველაზე ხშირად ვერთჰაიმერისეულ მუსიკალური მელოდიის აღქმის მაგალითს იმოწმებენ: „როდესაც გვესმის მუსიკალური მელოდია, ჩვენ უფრო ურთიერთდაკავშირებულ მოდელებს აღვიქვამთ, ვიდრე ინდივიდუალურ ნოტებს. მელოდია არ არის ცალკეული ნოტი, ნოტების ახალი მოწყობით ჩვენ მივიღებთ სხვაგვარ მელოდიას... აზრი დევს მოდელში'' და არა ცალკეულ ელემენტში. ცალკეული ელემენტის ანალიზი არღვევს მოდელს (Bock, 1988: 45).[4]

[4] უპირველესი კონფიგურაციონისტი რუთ ბენედიქტი თავის "კულტურის პატერნებში" (1934) აყალიბებს "კულტურული ეთოსის" კონცეფციას: კულტურა მოიაზრება პიროვნების ფსიქოლოგიური წყობით გამთლიანებულ წარმონაქმნად. პიროვნება საზოგადოების კულტურაა და მისი შესწავლა შესაძლებელია საერთო კულტურული „თემით" - ეთოსით გამთლიანებული შიდაკულტურული ელემენტების უნიკალური კონფიგურაციის შესწავლით (Bock, 1988).

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის 60-იან წლებამდე „კულტურა–პიროვნების სკოლაში“ დომინირებდა წარმოდგენა „კულტურისა“ და „პიროვნების“ ცნებებს შორის მჭიდრო კორელაციის შესახებ, მკვლევართა უმეტესობა კულტურასა და პიროვნებას შორის არსებული დინამიკური კავშირის (პროცესის) კვლევაზე უფრო ცალკეული მოდელების აღმოჩენაზე ფოკუსირდებოდა.[5] ჩვენი აზრით, რ. ბენედიქტის „კულტურის ეთოსი” სტატიკური ბუნების წარმონაქმნია, რომელიც, თუმცა კი განსაზღვრავს პიროვნების ტიპს, ეთოსსა და პიროვნებას შორის დინამიკური კავშირ–ურთიეთიერთობის ამსახველ მექანიზმს ვერ აღწერს. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებულმა კვლევებმა ბიძგი მისცა ეთნოკულტურული გაერთიანების ყველა წევრისათვის საერთო აქტივობის მექანიზმების ფუნქციონირების სისტემატურ თეორიულ ძიებებს. ამასთანავე, ყურადღება გამახვილდა კულტურული ნიმუშების/პატერნების ცნებაზე, რომელიც ფსიქოლოგიურ და კოგნიტურ ანთროპოლოგიაში მოდელად/სქემად ითარგმნა და რომელიც ერთი–ერთი ყველაზე აქტუალური კონცეპტია თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში. შეხედულება ადამიანის მოქნილი და პლასტიკური ბუნების კულტურული კონფიგურაციით განსაზღვრულობის შესახებ დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ ღირებულებას.

ამრიგად, ანთროპოლოგიის ინტერდისციპლინური და ჰოლისტური ორიენტაცია - შეისწავლოს ადამიანი, როგორც მთლიანობა - აუცილებლობით მოითხოვდა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის ინტეგრაციას. ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები იმდენად ხშირი იყო, რომ ანთროპოლოგიური სკოლების უმეტესობა განიცდიდა ფსიქოლოგიის გავლენას. ხსენებული მცდელობებით განსაზღვრული კვლევები და კონცეფციები, საბოლოო ჯამში, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ქუდის ქვეშ გაფორმდა.

---

[5] 1950–იანი წლებში ანთროპოლოგიაში კროსკულტურულ-ფსიქოლოგიური ორიენტაციის კვლევების გაჩენა დაკავშირებულია იელის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებისა და ანთროპოლოგების თანამშრომლობასთან (Clark Hull, John Dollard, G. P. Murdock, John Whiting). „კულტურა-პიროვნების“ სკოლის მიმართ მათი პრეტენზიებით, ამ სკოლის წარმომადგენლები, თეორიების კვლევით შემოწმების ნაცვლად, „დამტკიცებულ თეორიებს“ იყენებენ. თავად მათ, შედარებითი მიდგომის მომხრეებს თეორიის/ჰიპოთეზის შემოწმების პირობად სხვადასხვა კულტურაში საკვლევ ფენომენთა გამოვლენის სიხშირის განსაზღვრა მიაჩნდათ (Alten, 1998).

1.2. ანთროპოლოგია ფსიქოლოგიაში

ანთროპოლოგიისადმი ფსიქოლოგების დამოკიდებულება, რომელიც არსებითად კულტურის კვლევებისადმი ინტერესით იყო განპირობებული, ყოველთვის ერთგვაროვანებით არ გამოირჩეოდა. ერთი საუკუნის წინ კულტურა ფსიქოლოგიური მეცნიერების განუყოფელი ნაწილად ითვლებოდა, მოგვიანებით მან ეს სტატუსი დაკარგა, შემდგომში კი კვლავ აღიდგინა.

ბევრი მკვლევარი საუბრობს ანთროპოლოგია–ფსიქოლოგიის ურთიერთობის სარგებელზე. მაგალითად, კლინიკური ფსიქოლოგი ჯეფერსონ ფიში აღნიშნავს, რომ ანთროპოლოგიური მონაცემები ფსიქოლოგებს უბიძგებს ყურადღება გაამახვილონ ტაბუირებულ თემებსა და მეთოდებზე (მაგ., იმაზე, რაც „არამეცნიერულად“ მიიჩნევა ფსიქოლოგებისთვის და არა ანთროპოლოგებისათვის). ამასთანავე, ანთროპოლოგიური კვლევების გაცნობამ (სექსუალური ქცევის, ნარკოდამოკიდებულების, გენდერული როლების ან „რასის“ შესახებ), შესაძლოა, ფსიქოლოგებს დაანახოს, თუ რამდენად ღარიბია მათი პერსპექტივა „მეცნიერების“ შეზღუდულ ჩარჩოში (Fish, 2000: 554-555).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ისიც სათქმელია, რომ ანთროპოლოგიური კვლევები ეჭვქვეშ აყენებს ფსიქოლოგიური მონაცემების სანდოობას და მათი შემოწმების საჭიროებებს აჩენს. მაგალითად, არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ აღქმის, სწავლისა და სხვა „ძირეული პროცესების“ უნივერსალური პრინციპები საჭიროებს კვლევას და არა ვარაუდს. მიგვაჩნია, რომ ქცევა, რომლებსაც ფსიქოლოგები ვსწავლობთ, ინდივიდების ქცევაა. თუკი ვაღიარებთ თეზას კულტურის გაზიარებულობის შესახებ, მაშინ ფსიქოლოგიური პერსპექტივაც უყურადღებოდ არ უნდა ტოვებდეს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზიარებული კულტურული ცოდნის ან ნორმების ინდივიდუალური/სუბიექტური მოცემულობის ნიველირება მოხდება. შედეგად კი მივიღებთ ქცევის ამხსნელ ნაკლოვან კონსტრუქციებს, სადაც მისი დეტერმინაციის

მნიშვნელოვანი და ხშირად არსებითი ფაქტორები გამოტოვებული იქნება. აქ ფორმულირებული პრობლემა ხშირად ახსენებდა თავს ფსიქოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან წარმომადგენლებს.

ფსიქოლოგიის საბუნებისმეტყველო პარადიგმაზე დაფუძნებული დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის დასაბამიდანვე, ვ. ვუნდტი მიიჩნევდა, რომ ხალხთა ფსიქოლოგიამ, როგორც ფსიქიკის განვითარების შემეცნებაზე ორიენტირებულმა ემპირიულმა მეცნიერებამ, უპირატესობა უნდა მიანიჭოს ისტორიული განვითარების გამთვალისწინებელ მეთოდოლოგიას. ასეთად მას აღმწერი მეცნიერებების - ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, ლინგვისტიკის მეთოდები მიაჩნდა, რადგან, მისი აზრით, ინდივიდუალური ცნობიერების უკმარისობის გამო Völkerpsychologie კვლევა შეუძლებელია ლაბორატორიული მეთოდებით ტრენირებული ინტროსპექციით. ამასთან, ხალხის სულის კვლევის საქმეში ფსიქოლოგიურ ახსნას იგი მხოლოდ „მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებად" მოიაზრებდა. როგორც მკვლევარი ლ. სურმანიძე აღნიშნავს, მეორე ფსიქოლოგიის აღიარებით, რომლის კვლევა უნდა დაფუძნებოდა ემპირიული ფსიქოლოგიის პრინციპებს, ვ. ვუნდტმა, პრაქტიკულად, აღიარა უნივერსალისტური კონცეფციების უკმარისობა ადამიანური ფსიქიკის შემეცნებაში და, ამით, გარკვეულწილად, სოციალური მეცნიერებების დღევანდელი კრიზისი იწინასწარმეტყველა (სურმანიძე,2004: 60-66).

მიუხედავად ვ. ვუნდტის პროგრესული და შორსმიმავალი შეხედულებებისა, ფსიქოლოგიაში ვერც „ხალხთა ფსიქოლოგიის" ხაზის გაგრძელება და ვერც მისი ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასთან ინტეგრაცია ვერ მოხერხდა. მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან აკადემიურ ფსიქოლოგიაში იწყება რა ბიჰევიორიზმის ბატონობის „ცივი ზამთარი", კიდევ უფრო ძლიერდება ფსიქოლოგიის საბუნებისმეტყველო პარადიგმა. თუმცა, პარალელურად, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში (1920-1930) ანთროპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილს იკავებს ლევ ვიგოტსკისა (რუსეთი) და ფრედერიკ ბარტლეტის (ბრიტანეთი) შრომები.

ისინი ადამიანის განვითარების (განსაკუთრებით, კოგნიტური განვითარების) პროცესში კულტურის როლზე ყურადღების გამახვილებით კულტურის კოგნიტური რეკონცეპტუალიზაციისათვის ნაყოფიერ წინაპირობებს ქმნიან (Bartlett, 1932; Vygotsky, 1962; Kashima, 2010; Shore, 1998; იმედაძე, 2008; ფარჯანაძე, 2008).

1960-იანი წლებიდან კოგნიტური რევოლუცია იწყება, რომლის თანამდევი პროცესი გახდა კროსკულტურული კვლევების გახშირებაც (განსაკუთრებული აქცენტით სხვადასხვა კულტურაში კოგნიტურ პროცესთა შედარებაზე). აღნიშნულმა ტენდენციამ ზოგიერთ მკვლევარს მეცნიერების საბუნებისმეტყველო მოდელის დომინანტობის რყევისკენ უბიძგა. სოციალური მეცნიერების პრაქტიკოსი და ფილოსოფოსი (მაგ., Geertz, Ricoeur, Taylor) მეცნიერების საბუნებისმეტყველო მოდელის დეკონსტრუქციას და კულტურული მოდელის აღდგენას ახდენენ, განსაკუთრებით სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაში. ფსიქოლოგიაშიც კ. გერგენი და სხვები შეუერთდნენ სოციალ-კონსტრუქციონისტების მოძრაობას, რომლებიც ასაბუთებდნენ ფსიქოლოგიის საბუნებისმეტყველო მოდელზე არსებობის უსარგებლობას. შედეგად, კულტურის მიმართ ინტერესი საბოლოოდ გაფორმდა კროსკულტურული ფსიქოლოგიისა და კულტურის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებით. ამათგან პირველი ფსიქოლოგიური მეცნიერების საბუნებისმეტყველო პარადიგმის გამგრძელებელია, რომელიც კულტურას დამოუკიდებელ ცვლადად განიხილავს; ხოლო მეორე - კულტურის ფსიქოლოგია - ალტერნატიულ მეთოდოლოგიად მიიჩნევა, რომელიც კულტურას ადამიანური ფსიქიკის შემდგენელად მოიაზრებს (Berry, Poortinga, Segall & Dasen, 2002; Greenfield, 2000; Shweder, 1984; Valsiner, 2003; Chai, 2011).

როგორც მკვლევარი ი. კაშიმა მიუთითებს, თანამედროვე გამოწვევებისა და უკმარისობების გათვალისწინებით, აუცილებელია იმგვარი კონცეფციების შექმნა, რომლებიც პასუხს გასცემს მნიშვნელოვან შეკითხვებს: რა განაპირობებს კულტურის დინამიკურობასა და ხანგრძლივობას? როგორი არიან ინდივიდები რეალურ გარემოში? რა როლი აქვს ევოლუციას, ისტორიასა და ონტოგენეზს კულტურული კონტექსტის

ფორმირებაში, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ადამიანს? (Kashima, 2010, გვ. 52). მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემით განისაზღვრება კულტურისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობისშემდგომი განვითარების პერსპექტივა.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურის კონცეფციის ფსიქოლოგიურმა დამუშავებამ დროს გაუძლო. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსვლა ექსპერიმენტულ/უნივერსალისტურ/საბუნებისმეტყველო და ინტერპრეტაციულ/პარტიკულარისტულ/კულტურის მეცნიერების მიდგომებს შორის, ფსიქოლოგიაში ორივე მათგანი არის წარმოდგენილი.

1.3. მეცნიერული ცოდნის სინთეზთან დაკავშირებით

" Woe to the science that lets its methods dictate its problems" [6]
Otto Klineberg, 1999

ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური მონაცემების სინთეზთან დაკავშირებით არსებული პრობლემების განხილვისას, მკვლევართა უმრავლესობა განსხვავებულ მეთოდოლოგიურ არსენალზე აკეთებს აქცენტს (Fish, 2000; Greenfield, 2000; Hickman, 2010). მხედველობაში აქვთ ანთროპოლოგიაში იდეოგრაფიული, ხოლო ფსიქოლოგიაში – ნომოთეტური მეცნიერული მეთოდოლოგიური საყრდენები. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიაში საპირისპირო ორიენტაციებიცაა წარმოდგენილი (ფსიქოლოგიაში - კულტურული ფსიქოლოგიის, ანთროპოლოგიაში - კოგნიტური ანთროპოლოგიის სახით), მეინსტრიმული ტენდენციები აფერხებს თავისუფალ კომუნიკაციას. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანთროპოლოგია „მისთვის ბუნებრივი ინტერდისციპლინური ორიენტაციის" გათვალისწინებით, უფრო მეტად გახსნილია, ვიდრე ფსიქოლოგია. სწორედ ამიტომ, ინტეგრაციის ხელისშემშლელ

[6] ვაი მეცნიერებას, რომელსაც მეთოდები კარნახობს პრობლემებს (Klineberg, 1999).

ფაქტორთა შორის ყურადღებას გავამახვილებთ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ წინააღმდეგობრიობაზე.

ფსიქოლოგიის შესწავლის ძირითადი საგანი ფსიქიკაა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი ადამიანის ღრმა სუბიექტური გამოცდილების შესწავლისადმი ჯერ კიდევ ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ფორმირების პროცესში მჟღავნდებოდა, მოგვიანებით ეს ინტერესი დაიკარგა. ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგი ა. ტომელა მიუთითებს – ნაცვლად იმისა, რომ ფსიქოლოგია განვითარებულიყო ადამიანის სუბიექტური გამოცდილების შემსწავლელ მეცნიერებად, ის ფსიქიკის მექანიკური რეკონსტრუქციის ცდებში ჩაიკეტა - დასაწყისში ბიჰევიორისტულ და, მოგვიანებით, კოგნიტივისტურ პერსპექტივებში. ფსიქოლოგიური კვლევა ფოკუსირდებოდა იმ გზებზე, რომელთა მეშვეობითაც, ფსიქოლოგიურ ცვლადებს შორის კაუზალურ კავშირზე დაყრდნობითა და სტატისტიკის გამოყენებით წინასწარმეტყველება იქნებოდა შესაძლებელი (Toomela, 2007). აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, თანამედროვე ფსიქოლოგიური კვლევა–ძიების ძირითად შეკითხვად რელევანტური მეთოდის შერჩევა იქცა.

ნორვეგიელი ფსიქოლოგი ი. სმედსლუნდი კრიტიკულად შენიშნავს, რომ მიუხედავად ემპირიული ორიენტაციისა, ფსიქოლოგია „იდეოლოგიურად ფსევდოემპირიულია“ (Smedslund, 1997). თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი ი. ვალსინერი გვახსენებს, რომ „ფაქტებზე დაფუძნებული მეცნიერების ღირებულება განსაზღვრულია ფაქტის შექმნის სოციალური წესებით და მათი შემქმნელების ღირებულებებით“ (Valsiner, 2009). შესაბამისად, კულტურული და სუბიექტური გარემოს უყურადღებოდ დატოვება ნაკლოვანი და, ხშირად, ზედაპირული შედეგების საშიშროებას ქმნის.

თუკი თვალს გავადევნებთ თანამედროვე თეორეტიკოსთა დებატებს, რომლებიც ფსიქოლოგიის მეცნიერულ-ფილოსოფიურ საფუძვლებსა და მეთოდოლოგიურ–

ისტორიულ პრობლემებს აანალიზებენ, ყურადღების ფოკუსში მოექცევა რამდენიმე პრობლემა:

1. საკვლევი ფენომენების დინამიკური ბუნების უგულებელყოფა. ადამიანის ფსიქიკა - ქცევის, აზროვნებისა და განცდების მეშვეობით დანახული - დინამიკურ მდინარეობას წარმოადგენს, თუმცა ამ დინამიკიდან შეგროვებული საანალიზო მასალა მხოლოდ სტატიკური რეპრეზენტაციებია და არ ასახავს მთელს დინამიკურ მდინარეობას (Wagoner & Valsiner, 2005). გაზომვის ფსიქოლოგიური ტრადიცია ვერ ახერხებს იმ პროცესის მოხელთებას, რომელთა დროებით შედეგსაც წარმოადგენს „უკვე გაზომილი“ ფაქტები.

2. ფენომენთა საკვლევ მონაცემად ტრანსფორმაციისას იერარქიული წყობის (ნაწილი/მთელის კავშირები) უგულებელყოფა. საკვლევ ფენომენთა ყოველი დისკრეტულად დაკვირვებადი ასპექტი ჩაბმულია მათგან განუყოფელ, უმაღლესი წესრიგით განსაზღვრულ კონტექსტში, რომელიც ხშირად არადაკვირვებადია, როგორც დისკრეტული კატეგორია (Asquith, 2000). ცხადია, რომ მაღალი რიგის მთლიანობა წარმოადგენს სცენას დაბალი რიგის ერთეულების ფუნქციონირებისათვის.

3. ფენომენთა საკვლევ მონაცემად ტრანსფორმაციისას უშუალო კონტექსტის გათვალისწინების უგულებელყოფა. წინასწარგანსაზღვრული კოდირების სქემების მეშვეობით მკვლევრები თავიანთ სამყაროს სურათს ადებენ საკვლევ ფენომენებს, ნაცვლად იმისა, რომ აღმოაჩინონ სხვების სამყარო (Asquith 2000; Bibace et al. 2005).

ეჭვგარეშეა, თუკი აღნიშნული პრობლემები არ გადაიჭრება, ადამიანურ გამოცდილების ფსიქოლოგიური კვლევა ყოველთვის პრობლემების წინაშე იდგება. ფსიქოლოგი-მკვლევრები ფსიქოლოგიაში შემდგომი აღმოჩენებისა და მიღწევების გასაღებს მეთოდოლოგიის გადახედვაში ხედავენ.

ფსიქოლოგიურ ფენომენთა კომპლექსური შესწავლისთვის აქსიომატური ცვლილებების აუცილებლობაზე მიუთითებს თანამედროვე მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი, როგორიცაა იაპონელი მეცნიერი მაგორო მარუიამა. ავტორი აკრიტიკებს

ხსენებული მეცნიერების გულუბრყვილო მიმღებლობას მათემატიკური წარმომავლობისა და განსაზღვრულობის ისეთი გავრცელებული კონცეფციის მიმართ, როგორიცაა ნორმალური განაწილება. ავტორი აღნიშნავს, რომ ნორმალურ განაწილებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა არსებობს ორი აუცილებელი პირობა: 1. ცვალებადობა იშვიათია და 2. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელია. თუმცა, ფსიქოლოგიური და სოციალური მოვლენები არც იშვიათია და არც ურთიერთდამოუკიდებელი. შესაბამისად, ადამიანურ სამყაროში ნორმალური განაწილების შესახებ ვარაუდი ლოგიკურად მცდარია (Maruyama 1999: 53). აქსიომატური საფუძვლების შეუთავსებლობის (სტატისტიკური მეთოდი vs ფსიქოლოგიური ფენომენი) გადახედვით, მარუიამამ მონიშნა ახალი მეთოდოლოგიური პერსპექტივების დასახვის არეალი, რომელშიც საკვლევი ფოკუსი გადანაცვლდება „ცენტრიდან“ „პერიფერიებისაკენ“. ყოველი განმასხვავებელი, მაგალითად, „ახალი“ შემთხვევა, „მწყობრიდან ამოვარდნილია/outlayer” წინამორბედთან მიმართებაში. ეს არის ადამიანის ქცევის მიღებული წესისგან გადახვევა, რომელიც აღარ წარმოადგენს „გადახრას ნორმებიდან“, არამედ ახლებური მტკიცე კონსტრუქციების შესატყვისი ქცევების ნიმუშებია. ცხადია, რომ „... ადამიანები არ უნდა განვიხილოთ შეცდომებად“. ერთეული შემთხვევები, რომლებიც უპირისპირდება ჯგუფურ მონაცემებს, კი არ უნდა გადავყაროთ, არამედ აღვწეროთ და გავიგოთ. ამგვარი „ჭეშმარიტი ღირებულების მითოლოგია“ უნდა მოიშოროს ფსიქოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ ადამიანთა ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ“ (Sato et. Al 2007: 53). ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კრედო არღვევს ინდუქციური vs დედუქციური ანალიზის უპირატესობის მტკიცების შეკრულ წრეს და ხდება სინთეზური. ცოდნის ახალი თაობა არც დედუქციურია და არც ინდუქციური, არამედ აბდუქციური.[7] აბდუქციური სინთეზი კი, როგორც ჩ. პირსი მიუთითებდა, ერთადერთია, რასაც ახალი იდეების გენერირების უნარი შესწევს (Peirce, 1935). ამ მოსაზრებას ზოგიერთი თანამედროვე ფსიქოლოგიც იზიარებს. მაგალითად, ჩარლზ დეგე ადასტურებს, რომ სწორედ

[7] ლოგ. სილოგიზმი, რომლის დიდი წანამძღვარი ჭეშმარიტია, ხოლო მცირე წანამძღვარი და დასკვნა მხოლოდ საალბათო. ამ შემთხვევაში, სინთეზურის მნიშვნელობით გამოიყენება.

სინთეზის მეშვეობით ხდება შესაძლებელი ინდუქციურად ცნობილისა და დედუქციურად ნავარაუდევის მიღმა თვისებრივი ნახტომი. დეგეს თვალსაზრისით, კონცეპტუალური საკითხები, დაკავშირებული სინთეზთან, ისაა, რასაც ფსიქოლოგია არაერთხელ მიუბრუნდა და რაც ჯერაც გადაუჭრელია. პრაგმატული შეკითხვა - როგორ შევისწავლოთ ფენომენი (და არა ის, რომელ პოზიციაზე დავდგეთ) დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი (Charles & Dege, 2008). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეთოდოლოგიური სრულყოფის ერთ–ერთ ვარიანტად „თვისებრივი შემობრუნება“ მიიჩნევა. ამ ხედვის უმთავრეს არგუმენტად ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტის თავისებურებები სახელდება, ვინაიდან საქმე ეხება სტრუქტურულ მთლიანობებს და მათ დინამიკურ ტრანსფორმაციებს (Gelo et al. 2008). ი. ვალსინერის მიხედვით, ახალი მეცნიერება ცენტრალურ საკითხად აღადგენს ადამიანის გამოცდილებას და ყოველ კონკრეტულ ფენომენს განიხილავს, როგორც დროში მუდმივად ცვალებადს, უპირატესობას ანიჭებს ერთეულ შემთხვევათა ბუნებას და ობიექტური პროცესების შესახებ უბრუნდება თვისებრივ - სტრუქტურულ-ფუნქციონალურ - აბსტრაქციებს მეცნიერებაში. ამის კვალდაკვალ მიმდინარეობს ფსიქოლოგიური პროცესების შესახებ არსებული ჩაკეტილი მითიური ისტორიების - ოიდიპოსითა და კალით დაწყებული და სხვა ხალხური ისტორიებით დამთავრებული - გაფართოება და ამის საფუძველზე ახალი ზოგადი ფსიქოლოგიური ცოდნის შექმნისათვის საფუძვლის მომზადება (Valsiner, 2009 :8).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი ერა ფსიქოლოგიაში გაიხსნება გადაუჭრელი და ყურადღების მიღმა დარჩენილი საკითხებისკენ მიბრუნებით. ბევრი ასეთი საკითხის გადაჭრა მოითხოვს კვლევის აქსიომატური საფუძვლების ტრანსფორმაციას. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არც არის, რომ ასეთი ცვლილებების წყარო დისციპლინის პერიფერიებიდან და სხვა მომიჯნავე დარგებიდან მომდინარეობს. თანამედროვე მეცნიერების ეს ორიენტაცია გამყარებულია ინტერდისციპლინური კოლაბორაციის ეგიდით წახალისებული სამეცნიერო

კონცეფციებითა და „მეთოდთა ბრიკოლაჟით“. ერთ-ერთი ამგვარი მცდელობის ნაყოფია ინტერდისციპლინური სამეცნიერო სფერო – ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია.

1.4. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია დღეს

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის არსებითი მიზანია
ადამიანის არსებობის იმ ფსიქოლოგიური განზომილების გაგება,
რომელიც სოციალური და კულტურული ცხოვრების დინამიკური ნაწილია
ი. ინგამი

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია ინტერდისციპლინური სამეცნიერო სფეროა, რომელიც ადამიანის ფსიქიკისა და სოციოკულტურული გარემოს ურთიერმიმართებასა და ურთიერთქმედების შედეგებს შეისწავლის.

ფსიქოანთროპოლოგთა შრომებში გამოთქმული მოსაზრებები აჩვენებს, რომ აქტუალურია კოგნიციასთან, განვითარების ფსიქოლოგიასთან, ბიოლოგიასთან, ფსიქიატრიასა და ფსიქოანალიზთან დაკავშირებული საკთხები, თუმცა ტრადიციული მიდგომები მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, რაც მომავალში ბევრი ახალი საინტერესო პერსპექტივის გაჩენის შესაძლებლობას ქმნის.

როგორც წარსულში, დღესაც ფსიქოანთროპოლოგები იბრძვიან ემპირიისა და თეორიის შეკავშირებისთვის, რაც გამოიხატება კულტურულ პარტიკულარიზმსა და ფსიქოლოგიურ უნივერსალიზმში - ერთი მხრივ, აქცენტი კეთდება ინდივიდზე სოციოკულტურული გარემოს გავლენაზე, ხოლო მეორე მხრივ, მოტივაციის ფსიქოლოგიურ ცვლადებზე.

თანამედროვე ფსიქოანთროპოლოგი - ი. ინგამი აღნიშნავს, რომ კულტურის ფსიქოლოგიისა და ეთნოფსიქოლოგიის დამცველები პრობლემის გადაჭრას კულტურის მხარდასაჭერად ცდილობენ. მათი ხედვა ადამიანის ქმნადი და აქტიური სელფის

დადასტურების შესაძლებლობას აჩენს; ამგვარად, ისინი კულტურული დეტერმინიზმის ენას სოციალური და კულტურული კონსტრუქციონიზმით ანაცვლებენ. კულტურალისტური მიდგომა მნიშვნელოვან შეკითხვებს სვამს ინდივიდთა სოციოკულტურული გარემოთი განსაზღვრულობის შესახებ, თუმცა, ჩვეულებრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს მოტივაციისა და სოციოკულტურული გარემოს რთულ და ამოუცნობ თვისებებს. ინგამის აზრით, უნივერსალისტურ - ფსიქოანალიტიკურ და ევოლუციონისტურ - მიდგომებს აქვთ როგორც უპირატესობები, ისე ნაკლიც. ისინი გვთავაზობენ თეორიებსა და ჰიპოთეზებს მოტივაციის შესახებ, თუმცა ვერ უმკლავდებიან სოციალურ კონტექსტსა და კულტურის გავლენას (Ingham, 2001: 12353).

ინგამი ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში არსებული ტენდენციების ანალიზისას ერთ–ერთ ცენტრალურ პრობლემად „სელფსა“ და „სხვებს“, პიროვნებასა და კულტურას შორის არსებული მიმართებების შესწავლას მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით ის ორ არსებით დისკურსს განასხვავებს:

1. კულტურალისტურ/კონსტრუქტივისტულ დისკურსში განსაკუთრებით აღსანიშნავია დისკურსზე ცენტრირებული ეთნოგრაფიის განვითარება. ეს მიდგომა ნაკლებად აინტერესებს ნებელობითი და მოტივაციური პროცესები, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს სიმბოლურ გამონათქვამებზე; შედეგად, კულტურალისტური მიდგომა თავს აღწევს ინდივიდუალისტურ და სოციოცენტრისტულ შეხედულებებს და ყურადღებას სუბიექტურობასა და კულტურულ კომპლექსურობაზე ამახვილებს. მეტყველების თანდაყოლილი დიალოგური ბუნების აღიარებით ის ემხრობა შეხედულებას, რომ სუბიექტი მხოლოდ კულტურის გავლენას კი არ განიცდის, არამედ კულტურის კვლავწარმოების პროცესში აქტიურადაა ჩართული.

2. ფსიქოანალიტიკურ დისკურსში შეიმჩნევა ფსიქოანალიზსა და სოციალურ ანთროპოლოგიაში არსებული შეხების წერტილების ხელახალი წარმოჩენის ტენდენცია. კულტურა აშუალებს სოციალურ კავშირებს და არ დაიყვანება ინდივიდის ფსიქოლოგიაზე, თუმცა, შესაძლოა, ეხებოდეს არაცნობიერ ფანტაზიასა და ემოციას. ამ

მიდგომის დიალოგურ ვერსიაში ინდივიდები და ჯგუფები ურთიერთგავლენას პრაგმატული დისკურსის მეშვეობით ახდენენ. ამგვარად, ყურადღების ცენტრში ექცევა შემდეგი საკითხები: ორატორული პრაქტიკები (რომლებიც საღი აზრის დათრგუნვის, მობილიზებისა და მიმართულების შეცვლით ავლენს სოციალურ და პოლიტიკურ ეფექტებს); მორალური აზროვნება და არაცნობიერი მოტივაცია (განსაკუთრებით მიჯაჭვულობასთან, სექსუალობასთან, აგრესიასა და სიყვარულთან დაკავშირებით). საბოლოოდ, ყურადღება ექცევა იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდები ეწინააღმდეგებიან ამგვარ პრაქტიკებს, ან ითვალისწინებენ მათ (Ingham, 1996).

თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია განიხილავს ურთიერთმიმართებებს ინდივიდუალურ და სოციოკულტურულ გარემოს შორის. ეს ურთიერთმიმართება ვლინდება პიროვნებაზე კულტურის გავლენებში, აგრეთვე ასახულია საზოგადოებისა და კულტურის ფსიქოლოგიურ საფუძვლებში. ეს სფერო მდიდარია კვლევებით, რომლებიც ეხება ბავშვის აღზრდის, სელფ-რეპრეზენტაციის, ემოციის, მოტივების, მორალური აზროვნების, კოგნიციის, სიზმრებისა და ოცნებების, ფსიქიკური აშლილობების, გენდერული კავშირ-ურთიერთობების, ძალადობის, რასიზმის, კულტურული სიმბოლიზმის და სხვა მრავალ საკითხს. თეორიული და მეთოდოლოგიური პერსპექტივა აერთიანებს კულტურულ ფსიქოლოგიას, ეთნოფსიქოლოგიას, ფსიქოანალიტიკურ ანთროპოლოგიას, ბავშვის განვითარების კროსკულტურულ კვლევებს, ევოლუციონისტურ ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიასა და კოგნიტურ ანთროპოლოგიას (Bock, 1999).

დღეს უკვე აღარავის აკვირვებს, რომ ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია სწორედ ფსიქოლოგიურია. ვინაიდან, რ. შვედერს თუ დავიმოწმებთ, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის „ნიშანდობლივი და შესანიშნავი მიზანია შეისწავლოს რიტუალის, ენის, რწმენის და სხვა მნიშვნელობათა სისტემების ფუნქციონირების სპეციფიკა და მათი არსებობის ფორმა პიროვნულ გამოცდილებასა და მენტალურ რეპრეზენტაციებში“ (Shweder, 1991: 88).

მკვლევართა დიდი ნაწილი მომიჯნავე სფეროებიდან თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის არსებით განმასხვავებელად სხვადასხვა კულტურაში განხორციელებული ეთნოგრაფიული საველე კვლევებისადმი ერთგულებას მიიჩნევს (Bock, 1999). როგორც ი. ინგამი აღნიშნავს, სწორედ კულტურასთან კავშირი ხდის შესაძლებლებელს ფსიქოანთროპოლოგებისათვის, გონებისა და პიროვნების თეორიებს ორი მნიშვნელოვანი შეკითხვა დაუსვან: 1. რამდენად ადეკვატურად ასახავს ფსიქოლოგიური თეორიები ინდივიდზე კულტურის გავლენას და 2. რამდენად შეუძლია ფსიქოლოგიურ თეორიებს აღმოაჩინოს ექსპრესიული კულტურის სიმბოლური კონტექსტი და ლოკალური ცოდნის ლოგიკა. პირველი შეკითხვა ეჭვქვეშ აყენებს დასავლური ფსიქოლოგიის ვალიდურობას, ხოლო მეორე მიუთითებს საპირისპირო მიმართულებაზე - ინტერესის გაძლიერებაზე ფსიქოანალიზისა და კოგნიტური მეცნიერების მიმართ: ფსიქოანალიზისადმი იმიტომ, რომ შინაარსზე ცენტრირებულია, ხოლო კოგნიტური მეცნიერებისადმი იმიტომ, რომ ლოგიკაზეა ირიენტირებული (Ingham, 2001: 12349).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია მეცნიერების ინტერდისციპლინურ სფეროდ განვიხილოთ, რომელიც შეისწავლის გარემოს კონტექსტში ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთანავე, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია მულტიდისციპლინური სფეროცაა - ის საზრდოობს ფსიქოლოგიის, ადამიანის განვითარების, კოგნიტური მეცნიერების, ხელოვნური ინტელექტის, მედიცინისა და სხვა მომიჯნავე დისციპლინების ძველი და ახალი კონცეფციებით.

დაბოლოს, ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას - როგორც პოლივარიანტულ მიდგომათა კრებულს - ჯეფრი ვაიტისა და კატარინა ლუტსის (Schwartz, White, & Lutz, 1992) პერიფრაზირებით შევაჯამებთ: ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური მიდგომა სხვებისგან განსხვავდება სპეციფიკური მანერით, რომლითაც მკვლევრები, პირველ რიგში, ყოველდღიური ცხოვრების კომპლექსური გაცვლების დეკონტექსტუალიზებას,

ხოლო შემდეგ მათ რეკონტექსტუალიზებას ანალიზის კონვენციონალურ ფორმებში ახდენენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის განსაკუთრებული მიზანი ისეთ მიდგომათა განვითარება უნდა იყოს, რომლებიც პიროვნებების, როგორც სხეულებრივის და მნიშვნელობის მაკონსტრუირებელი აგენტების რეპრეზენტაციას შეძლებენ.

თავი II. კულტურული კოგნიცია

2. 1. კულტურა და ქცევა თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კონტექსტში

„ფსიქიკა ეთანადება ინტენციონალურ პიროვნებას,
ხოლო კულტურა – ინტენციონალურ სამყაროს.
ისინი, როგორც ურთიერთდამოკიდებული ფენომენები,
აწარმოებენ ინტენციონალურ პრაქტიკებსა
და აქტივობებს, მათივე მეშვეობით დიალექტიკურად
კონსტრუირდებიან და რეკონსტრუირდებიან“
რ. შვედერი, 1991

რადგან ისტორია, კულტურა და ფსიქიკა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, ადამიანური ფენომენების შემსწავლელი სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, გვერდს ვერ უვლის კულტურას - ადამიანური ცხოვრების მანიფესტაციას და ადამიანის ქცევას - ადამიანის ფსიქიკური აქტივობის შედეგს.

კულტურასა და ქცევას შორის კავშირის მეცნიერული ახსნის ცდები ყოველთვის მოითხოვდა დარგთაშორის სინთეზს, შესაბამისად, ქცევის მულტიფაქტორული ანალიზი, მეტწილად, ინტერდისციპლინურ კონტექსტში წარიმართება. ცალკეულ დისციპლინებში აღნიშნული პრობლემის კვლევის, დაახლოებით, საუკუნოვანმა ისტორიამ წარმოშვა კონცეფციათა ფართო სპექტრი, რომელშიც ერთიანდება არსობრივად განსხვავებული მეცნიერული საფუძვლის მქონე სინთეზური შეხედულებები. ხსენებულ მიდგომათა ძირითადი საერთო ნიშანია ყურადღების გამახვილება გონებას/ფსიქიკასა და ქცევას შორის კულტურით გაშუალებულ კავშირზე, სადაც კვლევის არსებით ფოკუსს დღეს უკვე კოგნიტურ-ემოციური და მოტივაციური აქტივობა წარმოადგენს. კვლევის აღნიშნულ ფოკუსამდე მისვლას საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიაში თანადროულმა კოგნიტივისტურმა შემობრუნებამ, რომელიც კულტურის კოგნიტური რეკონცეპტუალიზაციის საფუძველზე გაიშალა.

კულტურა. კულტურით დაინტერესება უძველესი დროიდან იწყება, თუმცა ინტერესმა განსაკუთრებული რეზონანსი რენესანსის ეპოქაში (XV-XVI) ჰპოვა, რაც ძირითადად

მოგზაურობებსა და ვაჭრობებთან იყო დაკავშირებული. მოგვიანებით (XIX), ევროპის მიერ მსოფლიოს კოლონიზაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა კულტურულ ცოდნაზე მოთხოვნილება.

კულტურის მრავალგვარი განმარტება არსებობს. რა თქმა უნდა, ცნებების სისტემური ანალიზი არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის საგანს. თუმცა, მისი ფსიქოლოგიურ და ანთროპოლოგიურ კონტექსტში განხილვისათვის ურიგო არ იქნება ყურადღების შეჩერება ერთ მნიშვნელოვან ასპექტზე, რომლის მიხედვითაც კულტურა ადამიანის ფსიქიკური მუშაობის მნიშვნელოვან მდგენელად განიხილება.

ე. ტაილორის დეფინიციით, კულტურაში მოიაზრება ყველაფერი, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი. სხვა განსაზღვრებებში აქცენტი კეთდება კულტურული მნიშვნელობებისა და სიმბოლოების გაზიარებულ სისტემაზე (Kashima, 2010: 3). ამ მიდგომის წარმომადგენლებისათვის კულტურა არის ინფორმაცია, გნებავთ მნიშვნელობა, რომელიც განსხეულებულია კულტურის ობიექტებსა და სტრუქტურებში. მიაჩნიათ, რომ კულტურული ინფორმაცია განსხვავდება გენეტიკური ინფორმაციისგან, რამდენადაც განსხვავებული მექანიზმებით გადაიცემა.

დროთა განმავლობაში, სამეცნიერო დისკურსში სულ უფრო აქტუალური გახდა საკითხი ადამიანის ქცევის კულტურული დეტერმინაციის შესახებ. ამ მიმართულებით არსებულ კონცეფციებს შორის გამოირჩევა კოგნიტივისტური მიდგომები, რომლებშიც აქცენტი კულტურისა და ადამიანის მენტალურ სტრუქტურებს შორის ანალოგიისებრ კავშირზე კეთება (Quinn, 1987; Shore, 1996; Strauss & Quinn, 1997). შესაბამისად, ადამიანის კულტურულ/სოციალურ გარემოში ფსიქოლოგები და ანთროპოლოგები ეძიებენ იმგვარ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანის ბუნებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ სრულყოფილი გაგების პერსპექტივას შექმნის.

ადამიანის ქცევა. მეორე მნიშვნელოვანი კატეგორია, რომელიც ანთროპოლოგებისა და ფსიქოლოგების საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენს, ადამიანის ქცევაა. ადამიანი

კულტურის სუბიექტიცაა (შემოქმედი) და ობიექტიც (ნაყოფი). ეს ორმხრივი მიმართება უმეტესად ქცევაში აისახება. კულტურა და ქცევა მნიშვნელოვნად განაპირობებენ ერთმანეთს: კულტურა განსაზღვრავს ქცევის მოდელს, იმავდროულად, ადამიანი ქცევის მეშვეობით ქმნის, აძლიერებს ან სახეს უცვლის კულტურას და, შესაბამისად, მოდელსაც. ამიტომ, კულტურალისტური ორიენტაციის მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქცევის კვლევა აუცილებელია კულტურის კონტექსტში. ამახვილებენ რა ყურადღებას ამ კავშირზე, მეცნიერები ცდილობენ, კულტურისა და ქცევის ანალიზის მეშვეობით სრულყონ წარმოდგენები ადამიანის აქტივობის სპეციფიკის შესახებ (Shore, 1998; Shweder, 1984; Cole, 1998).

ადამიანის ქცევის ანალიზსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ერთდროულად შეისწავლება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ქცევის თანამედროვე თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის გადამკვეთ სივრცეში მყოფ კონცეფციებს, რომლებშიც საზოგადოებებისა და მათი კულტურების დასახასიათებლად გამოყენებულია მენტალური ტიპოლოგიებისა და მოდელების თანამედროვე მონაცემები. კულტურა განიხილება არა როგორც ტაქსონომიების კრებული, არამედ ინდივიდუალურ დონეზე ქცევის განმსაზღვრელი სამყაროს მოდელების მაწარმოებელი. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის ს.კ. ჩაის თანახმად, თანამედროვე კონცეფციებში ცხადად იკვეთება კულტურასა და ქცევას შორის არსებული კავშირის ანალიზის ერთი საერთო ნიშანი - კულტურის განხილვა მიკრო-მაკრო კონტექსტში: არა როგორც საზოგადოების მთლიანი ატრიბუტისა, არამედ როგორც საზოგადოების წევრთა ინდივიდუალური ნიშნების ერთობლიობა. კვლევის ობიექტს ქცევის დეტერმინაციაში მხოლოდ კოგნიციებსა და მოტივაციებს შორის კაუზალური კავშირი არ წარმოადგენს. ერთი მხრივ, აქცენტი კეთდება იმ სოციალურ პროცესზე, რომელშიც კულტურის მეშვეობით, დროდადრო, მსგავსი კოგნიციები და მოტივაციები ფორმირდება; ხოლო, მეორე მხრივ - უკუკავშირის სისტემაზე, რომელშიც ქცევა ახდენს გავლენას კულტურაზე (Chai, 2011: 1033-1034).

დეტერმინაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიურ და ანთროპოლოგიურ სფეროებში ქცევის ახსნის განსხვავებული მიდგომები/მოდელები არსებობს,[8] ურთიერთგადამკვეთ წერტილებს ვხვდებით ქცევის ახსნის იმგვარ შეხედულებებში, სადაც ქცევის დეტერმინაციაზე საუბრისას განსაკუთრებულ აქცენტს კულტურულ ფაქტორებზე აკეთებენ.

შეხედულება ქცევის კულტურული დეტერმინაციის შესახებ ორივე სამეცნიერო სფეროშია აქცენტირებული. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, თავს არიდებენ ქცევის მექნიზმის დახასიათებას (განსაკუთრებით ანთროპოლოგიურ კვლევებში),[9] ან სხვა ფაქტორებთან შედარებით, კულტურული ფაქტორების ნიველირებას ახდენენ (დამახასიათებელია ფსიქოლოგიური კვლევებისათვის, სადაც ქცევის მადეტერმინებელ სუბიექტურ (ადამიანურ) ფაქტორთა შორის აქცენტი კეთდება მოთხოვნილებაზე, რომლის კულტურული სპეციფიკა ყურადღების გარეშეა დატოვებული; ობიექტურ (გარემოს) ფაქტორთა შორის აქცენტი კულტურული ველიდან გადატანილია გარემოს სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა მახასიათებლებზე). ამ პრობლემას ანთროპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ფესვგადგმული ეპისტემოლოგიური წანამძღვრები აქვს (იხ. მოც . ნაშრომის §1.3).

კოგნიტივისტური მიდგომა კულტურაზე, რომელიც ყველაზე ნაყოფიერად ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სფეროში გაიშალა, ეკლექტური წარსულით გამოირჩევა. აღნიშნულ მიდგომას ქვემოთ განვავრცობთ.

---

[8] მაგალითად, ლესლი უაიტის გახსენებაც კმარა, რომელიც არჩევდა ქცევას, როგორც უნივერსალურ, "ფსიქოლოგიურ" ფენომენს და ქცევას, როგორც კულტურულ, "სიმბოლიზებულ" ფენომენს (Уайт, 1997: 17-49).

[9] ქცევის ახსნასთან დაკავშირებულ ანთროპოლოგიურ თეორიებში უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ კულტურა ფსიქოლოგიური რეალობისგან განცალკევებულ ობიექტურ მოცემულობად განიხილება. ამგვარი ხედვით კი შეუძლებელი ხდება კულტურასა და ქცევას შორის არსებული კავშირის ახსნა; დანდრადე აღნიშნავს, "კულტურულად განსაზღვრული ქცევის აღძვრის უნარი მხოლოდ ინდივიდის ფსიქიკაში მოცემულ აზრებსა და აფექტებს აქვს, რომლებიც, ინდივიდუალურობის (ინტრაპერსონალურობის) მიუხედავად, ამავდროულად, კოლექტიურიცაა (გაზიარებულია ერთი კულტურის წარმომადგენლებს შორის)" (ჩხაიძე, 2015: 7).

2.2. კულტურა კოგნიტივისტურ პერსპექტივაში: სქემა და მოდელი

ამ თავში განვიხილავ კოგნიტური ანთროპოლოგიის, კოგნიტური მეცნიერებისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის ნაყოფიერი ურთიერთობის შედეგად ფორმირებულ კოგნიტურ ფსიქოანთროპოლოგიურ მიმართულებას. ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ამ სუბ–სფეროში ჩამოყალიბდა „გონების ეთნოგრაფიული თეორია“ (სხვაგვარად, კულტურული მოდელების სკოლა), რომელიც მოცემული სადისერტაციო კვლევის არსებით კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს.

ანთროპოლოგიის კოგნიტურ მეცნიერებასთან დაკავშირება კულტურის შესახებ არსებული ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური ცოდნის სინთეზის საფუძველზე მოხდა.

მენტალური კონსტრუქტებისა და მათ საფუძვლად მდებარე პრინციპების შესახებ კითხვები სამეცნიერო ფოკუსში ნახევარი საუკუნის წინ მოექცა. 1950–იანი წლებიდან იწყება კოგნიტური რევოლუცია,[10] რომელმაც „ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში გონება დააბრუნა“ (Miller, 2003: 142). აღნიშნულმა ტენდენციამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა კოგნიტივისტური მიდგომის განვთარება და მომავალი, რაც, საბოლოოდ, კულტურის შესახებ არსებული ცოდნის რეკონცეპტუალიზებაში აისახა.

კონცეპტებს - მოდელები და სქემები - იყენებს როგორც კოგნიტური ფსიქოლოგია, ისე კულტურული ანთროპოლოგია. ბარტლეტის მეხსიერების კლასიკური შრომიდან მოყოლებული, ფსიქოლოგებმა მიმართეს კანტიანურ შეხედულებას მენტალურ სქემებსა თუ მოდელებზე, როგორც მეხსიერებისა და დასწავლის პროცესების მნიშვნელოვან კომპონენტებზე. თავის მხრივ, ფსიქოანთროპოლოგები, რ. ბენედიქტის ადრეული შრომებიდან მოყოლებული, აყალიბებენ თვალსაზრისს „კულტურული პატერნების“

[10] მილერის აღნიშვნით, კოგნიტურმა რევოლუციამ ფსიქოლოგიაში განაახლა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე მეცნიერთა შრომებისადმი საერთო ინტერესი. მათ შორის აღსანიშნავია ფრედერიკ ბარტლეტი (კემბრიჯი), ჟან პიაჟე (ჟენევა) და ა. რ. ლურია (მოსკოვი). ამ უკანასკნელმა პირველმა განიხილა ტვინი და გონება ერთ მთლიანობად (Miller, 2003).

(რომელთაც კულტურულ შაბლონებს, მოდელებსა და სქემებსაც უწოდებდნენ) შესახებ იმისათვის, რომ აღწერონ კულტურული არტეფაქტების (მათ შორის, სიმბოლური არტეფაქტების) სპეციფიკური ორგანიზაცია და მათი გავლენა ფსიქოლოგიურ სტრუქტურებზე (Shore, 1998: 4-5). იმისათვის, რომ ამგვარი სქემაზე-ცენტრირებული ორიენტაცია გაშლილიყო და, შედეგად, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და კოგნიტური მეცნიერება ნაყოფიერად დაკავშირებოდა ერთმანეთს, საჭირო გახდა კულტურის იმგვარი განსაზღვრება, რომელიც სინთეზურ კვლევებს ლოგიკურ ჩარჩოში მოაქცევდა. ამგვარ განმარტებად იქცა გუდენაფის ყველაზე ხშირად ციტირებული დეფინიცია: „საზოგადოების კულტურა შედგება იმ ცოდნისა და რწმენებისაგან, რომლებსაც უნდა ფლობდე, რომ საზოგადოების წევრებისათვის მისაღებად მოქმედებდე“ (Keesing, 1972; D'andrade, 1995). შედეგად, კულტურა, როგორც „გაზიარებული ცოდნის“ ერთობლიობა, იქცა ყველაზე უფრო რელევანტურ განსაზღვრებად კულტურის ცნების კოგნიტური დამუშავებისათვის. ამის შემდეგ ანთროპოლოგებმა დაიწყეს ქცევის საფუძველმდებარე „კულტურული წესების/კოდების“ აღმოჩენაზე ზრუნვა. მოგვიანებით პოპულარული გახდა კომპონენტური ანალიზი, გამძაფრდა ინტერესი პროტოტიპებისადმი, რამდენადაც მიაჩნდათ, რომ ინდივიდები სწორედ ტიპურ რეპრეზენტაციებს იყენებენ კატეგორიის იდენტიფიცირებისთვის და ასევე, პროტოტიპებთან მსგავსების მიხედვით ამოიცნობენ კატეგორიის სხვა წევრებსაც (Blount, 2011).

1970-იანი წლების შუახანებში ლინგვისტიკაში, ანთროპოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ხელოვნური ინტელექტის სფეროებში ნათელი გახდა, რომ ადამიანის კოგნიცია ოპერირებს ისეთი სტრუქტურებით, რომლებიც გაცილებით რთულია, ვიდრე პროტოტიპები. თუმცა, ამ რთული სტრუქტურების სახელდებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნებოდა. ზოგი მას „ფრეიმს“ უწოდებდა, ზოგი - „სცენარს“, ზოგი - „სკრიპტს“ და ა.შ. საბოლოოდ, კონსენსუსი გაჩნდა ტერმინის - „სქემა“- ირგვლივ (D'andrade, 1995). მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში, გამომდინარე კულტურა-პიროვნების სკოლის ტრადიციიდან, სქემა და მოდელი სინონიმური მნიშვნელობით იხმარება, ხოლო სკოლას, რომლისთვისაც კვლევის არსებითი

ინტერესის წყარო კულტურული სქემები და მენტალური რეპრეზენტაციებია - კულტურული მოდელების სკოლა ეწოდა.

2.3. კულტურული მოდელების სკოლა

კულტურული მოდელების კონცეფცია ერთ-ერთი ცენტრალურია კოგნიტურ ფსიქოანთროპოლოგიაში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სკოლის ფორმირება იმ „პარადიგმული ცვლილების“ კვალდაკვალ მოხდა, რომლის საფუძვლადაც „კოგნიტური რევოლუცია“ იქცა, და რომელმაც სამეცნიერო ინტერესის ფოკუსი იდეაციური პლანისკენ (ღირებულებები, რწმენა-წარმოდგენები...) მიმართა. პირველი პუბლიკაციები კულტურულ მოდელებთან დაკავშირებით თავმოყრილია დ. ჰოლანდისა და ნ. ქუინის რედაქტორობით 1987 წელს გამოცემულ წიგნში - „კულტურული მოდელები ენასა და აზროვნებაში“. ზემოთხსენებულ ერთობლივ შრომაში ავტორები გვარწმუნებენ, რომ „კულტურული ცოდნა - გაზიარებული შეხედულებები სამყაროს შესახებ - უდიდეს როლს თამაშობს ადამიანთა ურთიერთგაგებაში... კულტურული ცოდნა ორგანიზებულია პროტოტიპულ მოვლენათა სიხშირეებით - სქემებით“, რომელსაც ავტორები კულტურულ მოდელებს უწოდებენ და რომლებსაც სხვადასხვა კულტურულ ცოდნასთან იერარქიულად აკავშირებენ (Holland, 1987: vii). წიგნის შესავალ ნაწილში კულტურული მოდელები განსაზღვრულია, როგორც თაობიდან თაობას „გადაცემული სამყაროს მოდელები, რომლებიც ფართოდაა გაზიარებული (თუმცა, არც ალტერნატიული მოდელების არსებობას გამორიცხავს) საზოგადოების წევრების მიერ და რომლებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს როგორც სამყაროს, ისე სამყაროში ადამიანთა ქცევის გაგებაში“ (Holland, 1987: 4). ავტორთა აზრით, კოგნიტურ ანთროპოლოგთა ძირითადი შეკითხვა კულტურული ცოდნის ორგანიზებას ეხება.

კულტურული მოდელების სკოლაში არსებითად ორ მნიშვნელოვან ეტაპს განასხვავებენ:

პირველ ეტაპზე ყურადღების ცენტრში მოექცა „კულტურული ცოდნის ორგანიზაციის“ შესწავლა, რომელსაც კულტურული მოდელები/კულტურული სქემები ეწოდა. ამ ტიპის კვლევების არსებითი მიზანი იყო ცოდნის ორგანიზაციის აღწერა და მისი დაკავშირება ადამიანის კოგნიტურ პროცესებთან.

მეორე ეტაპზე საჭირო გახდა შემოთავაზებულ სამეცნიერო მოდელში ამხსნელი მექანიზმების განსაზღვრა/დახასიათება. ამ მიზნით, კულტურული მოდელების კონცეფციის განვითარება გაგრძელდა ხელოვნური ინტელექტის მოდელის – კონექციონიზმის ფარგლებში, რომელსაც პრეტენზია აქვს, აღწეროს ტვინში ინფორმაციის გადამუშავების მექანიზმები. შედეგად, კ. სტრაუსი და ნ. ქუინი ხსენებულ მოდელს იყენებენ იმისთვის, რათა აჩვენონ და განსაზღვრონ ადამიანის კოგნიტურ მუშაობაში შინაგანი/მენტალური და გარეგანი/კულტურული მოდელების მუშაობის მექანიზმი და როლი (Quinn, 2011).

როგორც ანთროპოლოგი დ. კრონენფილდი აღნიშნავს, ხსენებული სკოლის ძირითად სისუსტედ კრიტიკოსები ასახელებდნენ მოდელის ქცევის დრაივერად წარმოდგენის საკითხს (Kronenfeld, 2011: 20). ამ პრობლემას მოგვიანებით ეწოდა „დირექტიული ძალის პრობლემა“, რომლის საპასუხოდაც ფსიქოლოგ რ. დანდრადესა და ანთროპოლოგ კ. სტრაუსის რედაქტორობით 1992 წელს გამოქვეყნდა წიგნი - „ადამიანის მოტივები და კულტურული მოდელები“ (D'Andrade & Strauss, 1992). ხსენებულ შრომაში, ინდივიდუალური შემთხვევის კვლევების შემაჯამებელ ანალიზში რ. დანდრადე მიუთითებს ორ მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელიც, გარკვეულწილად, პასუხს სცემს კრიტიკას „დირექტიული ძალის პრობლემასთან“ დაკავშირებით: 1. დირექტიული ძალის იდენტიფიცირება შესაძლებელია, რისთვისაც საჭიროა დამატებითი ეთნოგრაფიული კვლევა იდეაციურ მოდელებსა და ქცევას შორის კავშირის შესახებ; 2. მოტივაციური ძალა არის ერთადერთი ფსიქოლოგიური ძალა, რომელიც შეიძლება ასოცირდებოდეს მოდელთან. გარდა ამისა, მოდელს შეიძლება ჰქონდეს ორიენტაციული ძალა, რომლის საშუალებითაც ხდება მოვლენის მნიშვნელობის

განსაზღვრა, აგრეთვე, შეფასებითი ძალა, რომელიც იძლევა ხარისხის შეფასებას, მაგ., როგორიცაა კარგი ან ცუდი. უფრო მეტიც, ერთ მოდელს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი ძალაც: „რაც უფრო მეტად ხდება მოდელი ინტერნალიზებული, მით მეტ ფუნქციას ასრულებს იგი“ (D'Andrade & Strauss, 1992: 225–226). შედეგად, კულტურული მოდელების მოტივაციური შესაძლებლობების შესწავლა ძირითად საკვლევ პრობლემად ცხადდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი გამოქვეყნდა ხუთი წლის შემდეგ - „კულტურული მნიშვნელობის კოგნიტური თეორია“ (Strauss & Quinn, 1997). „მოცემული შრომა ათვალსაჩინოებს, რომ კოგნიტური ათროპოლოგია არ არის ის, რასაც მისი კრიტიკოსები ამტკიცებენ. კულტურის ცენტრისკენული (centripetal) ეფექტი,[11] რომლის ქომაგებიც კრიტიკოსები არიან, გონებასა და გარე სამყაროს შორის ინტერაქციის შედეგია. კ. სტრაუსმა და ნ. ქუინმა მოდელი კონექციონიზმზე დაყრდნობით განავითარეს. ისინი ეფექტურად იყენებენ კონექციონიზმს, რათა აჩვენონ, რომ ადამიანური ცოდნა აგებულია ინფორმაციით „თავში“ - კულტურული მოდელებით, რომლებიც ინტერაქციაშია გარემო ვითარებებთან. მათი მიზანი იყო არა კონექციონიზმის სრულყოფა ან განვითარება, არამედ კოგნიციის პროტოტიპული კონექციონისტური მოდელების გამოყენება, მათი საშენი მასალაა გაერთიანებები (units), რომლებიც აქტიურდება გარემოს (ან სხვა გაერთიანებების) მეშვეობით და რომელებსაც სხვადასხვა წონა და ნუმერაციული ღირებულება აქვთ. მიიჩნევა, რომ კონცეპტები, რომლებიც ამ გაერთიანებებს შორის ინტერაქციის პროცესში დაისწავლება, დისტრიბუციულია (distributive). ეს ნიშნავს იმას, რომ ინფორმაცია სიმბოლოებში კი არ ბუდობს/ცხოვრობს, არამედ გაერთიანებებს შორის ურთიერთმიმართების პატერნებში. ინფორმაციის გადამუშავებას განიხილავენ როგორც სერიულ, ისე პარალელურად მიმდინარე პროცესად. საბოლოოდ, ცოდნა იქმნება სხვადასხვა შემთხვევის თვისებებს შორის ასოციაციური მიმართებების დასწავლით და არა კონკრეტული წესების სწავლების შედეგად (Kronenfeld, 2011: 20-21).

[11] კულტურის ცენტრისკენული ეფექტი – ძალა, რომელიც კულტურის წევრებს გაერთიანებისკენ უბიძგებს.

როგორც ნ. ქუინი აჯამებს, კულტურულ ინფორმაციასა და ქცევას შორის არსებული კავშირის ახსნისათვის კონექციონისტურ მოდელირებას გარკვეული უპირატესობები გააჩნია, კერძოდ:

- ნათელს ჰფენს გონებაში ერთი კულტურული სქემის მეშვეობით სხვა სქემების ინტერიორიზაციის პროცესს. მიიჩნევა, რომ კონკრეტული კულტურული სქემა გონებაში მეტაფორულად ან ფართო კულტურული თემების შემოსაზღვრით ძლიერ ემოციურ და მოტივაციურ რეზონანს აღწევს;
- კულტურული ინფორმაციის სტატიკური ხედვის საპირისპიროდ,[12] ათვალსაჩინოებს კულტურის დინამიკურ ბუნებას;
- სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ არსებული განსხვავებული სქემების ინკორპორირების შესაძლებლობის დადასტურებით, ინდივიდუალური ვარიაციების ახლებურად გააზრების შესაძლებლობებს ქმნის;
- კონექციონისტური ჩარჩოს ფარგლებში სქემის წარმოდგენა გამოცდილების, კოგნიციის, ემოციისა და მოტივაციის ნაერთად მკვლევრებს აძლევს შესაძლებლობას, კულტურული სქემების უკან დაინახონ იმგვარი "მენტალური ორგანიზაციები", რომლებიც არსებით მამოტივირებელ ფაქტორებს წარმოადგენენ, ფსიქოდინამიკური მოტივაციის ჩათვლით. მოტივაციისადმი ინტერესმა გააფართოვა არეალი კულტურასა და ბიოლოგიას შორის კავშირის შესწავლისათვის. ჩნდება ახალი კითხვები ზოგიერთი სქემის უნივერსალურობისა და ადამიანთა ევოლუციურ ადაპტაციაში მათი როლის შესახებ (Kronenfeld, 2011: 40).

ზემოთ განხილულ საკითხებს უფრო გამჭვირვალეს გახდის ამ სკოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის - ბრედ შორის კონცეფცია, რომელმაც გაამთლიანა კულტურის კოგნიტური კონცეფცია გონების ეთნოგრაფიულ თეორიაში. მოცემული სადისერტაციო კვლევა ეფუძნება ბ. შორის გონების კოგნიტური თეორიის არსებით დაშვებებსა და ფუნდამენტურ წანამძღვრებს.

---

[12] კულტურული ინფორმაციისადმი სტატიკური მიდგომის მიხედვით, კულტურული ინფორმაცია მიიჩნევა კონკრეტულ პოპულაციაში ხანგრძლივად გაზიარებულ მოცემულობად.

2.4. ბრედ შორის გონების კოგნიტურ-ეთნოგრაფიული თეორია

ბრედ შორი კოგნიტური და ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის ამაგდარი წარმომადგენელია, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის კულტურული მოდელების სკოლის განვითარებაში. წიგნში – „კულტურა გონებაში“ იგი შეეცადა გაემთლიანებინა კულტურული მოდელების სკოლაში არსებული შეხედულებები, რომლის საფუძველზეც შემოგვთავაზა გონების კოგნიტურ–ეთნოგრაფიული თეორია.

ავტორი „კულტურა–გონების“ დიქოტომიის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ კულტურა ინდივიდის გონებას ინსტიტუციონალიზებულ კულტურულ მოდელებთან აკავშირებს, ვინაიდან „ტვინის ფუნქციონირება დამოკიდებულია გარემოს სხვადასხვა მოდელზე“ (Shore, 1996: 10). კულტურის ამგვარი რეკონცეპტუალიზების გზით, ბ. შორი ანთროპოლოგიისა და კოგნიტური მეცნიერების თანამშრომლობისათვის ნაყოფიერ საფუძველს ამზადებს.

თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში აქტუალურია შეხედულება საკვლევ ფენომენთა სხვადასხვა დონეზე ორგანიზებული და მოწესრიგებული არსებობის შესახებ. ამიტომაცაა, რომ მეცნიერების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად კონკრეტული საკვლევი ფენომენის შესახებ სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში მოპოვებული ცოდნის სინთეზი მიიჩნევა. ამ პრობლემისადმი ფსიქოანთროპოლოგიური მიდგომაც, ეთნოგრაფიულ მონაცემებისა და მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მოპოვებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების გზით, სინთეზური კონცეფციების შექმნას გულისხმობს. თუმცა, როგორც ბ. შორი აღნიშნავს, ფსიქიკაში კულტურის ადგილის მონიშვნისათვის განსხვავებულ დისციპლინებში არსებული კონცეპტების დაკავშირება არ კმარა. საჭიროა აბსტრაქციისა და ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე არსებული მოდელების სინთეზიც (Shore, 1996).

რა სახის დონეები აქვთ მხედველობაში, როდესაც საუბრობენ ინფორმაციის სხვადასხვა საფეხურზე ორგანიზაციის შესახებ? თანამედროვე კოგნიტურ მეცნიერებაში მიღებულია შეხედულება მონათესავე მოდელების სამ განსხვავებულ დონეზე ორგანიზაციის შესახებ: სოციოკულტურულზე, ფსიქიკურზე და ბიოლოგიურზე. ფსიქიკურსა (მენტალურსა) და ბიოლოგიურ (ნერვულ/ნეირონულ) კონსტრუქტებს შორის კავშირის დადგენა კოგნიტური მეცნიერების ერთ–ერთი თავსატეხია. ამასთან, ურთულეს პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დონეზე არსებული მოდელების არქიტექტონიკის შესაბამისობის საკითხიც. როგორც ბ. შორი აღნიშნავს, სანამ შეუძლებელია მენტალურ ან ნევროლოგიურ მოდელებზე პირდაპირი დაკვირვება, მანამ ამ კითხვაზე პასუხი არაერთმნიშვნელოვანი იქნება (Shore, 1996: 344).

ამგვარად, გონების კოგნიტურ-ეთნოგრაფიულ თეორიაში ბ. შორი ცდილობს კოგნიციაში კულტურის როლის განსაზღვრას და კულტურის, როგორც გონების, ისე სოციალური რეალობის განზომილებად წარმოდგენას. მიზნის მისაღწევად ავტორი ახდენს სხვადასხვა მომიჯნავე სფეროში მოპოვებული ემპირიული მასალის სინთეზსა და თეორიული ვარაუდების დაკავშირებას.

თეორიის ცენტრალური საკითხია ანალოგიის ფორმირების, როგორც მნიშვნელობის კონსტრუირების ფსიქოლოგიური პროცესების დაკავშირება მეტაფორის შესახებ არსებულ ათნროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებთან და მიღებული შედეგების კოგნიტური პროცესების იერარქიული სტრუქტურის კონტექსტში განხილვა.

გონების კოგნიტურ–ეთნოგრაფიულ თეორიის კონცეპტუალური დაშვებები

1. **დიქოტომია – ფსიქიკური ერთიანობა / ფსიქიკური განსხვავებულობა მცდარი დიქოტომიაა.** „კოგნიტური ფსიქოლოგიის, ევოლუციური ბიოლოგიისა და ნეირომეცნიერების თანამედროვე კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანებს ეკოლოგიური ტვინი აქვთ, რომელიც უზრუნველყოფს კოგნიტურ ადაპტაციას განსხვავებულ და ცვალებად გარემოებებში. მიიჩნევა, რომ ადამიანთა ნერვული სისტემის ურთიერთმსგავსი არქიტექტონიკა შესაძლებელს ხდის, როგორც ადამიანთა შორის განსხვავებებს კოგნიციაში, ისე უნივერსალურ კოგნიტურ ფუნქციონირებას“ (Shore, 1996: 312). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფსიქიკური ერთიანობისა და ფსიქიკური განსხვავებულობის პოსტულატები ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს.

2. **კულტურული ცოდნა დისტრიბუცირებულია (დანაწილებულია) სხვადასხვა ტიპის მოდელში.** სხვადასხვა განმარტებაში კულტურა წარმოდგენილია გაზიარებული ღირებულებების, რწმენების, ადაპტაციური სტრატეგიების, ჩვევების, იდეების, დისკურსების, მატერიალური და სულიერი არტეფაქტების, იდეალური ნიმუშების, ცხოვრების წესის სახით. ბ. შორი ყურადღებას ამახვილებს კულტურის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუციისა და კულტურის, როგორც აზროვნების პატერნის კავშირზე და კულტურის არსებობის შინაგანი და გარეგანი ერთობლიობის/მთლიანობის კონსტატაციას ახდენს. ბ. შორმა, ისევე როგორც კულტურული მოდელების სკოლის სხვა ავტორებმა, კულტურის ანალიზის იმგვარი ერთეული შეარჩია, რომელიც შესაძლებელს ხდის სამყაროში არსებულ კულტურულ არტეფაქტებსა და გონებაში არსებულ კულტურულ რეპრეზენტაციებს შორის კავშირის დამყარებას. ამ კონტექსტში, კულტურის ყველაზე დამაკმაყოფილებელ ერთეულად მიჩნეულია „სქემა“ ან „მოდელი“, ხოლო მოდელირებას გონების ძირითადი აქტივობის სტატუსი მიენიჭა. საბოლოოდ, კულტურა განისაზღვრა, როგორც მრავალფეროვან მოდელთა ერთობლიობა; მათი მეშვეობით კულტურის წევრები გაიგებენ სამყაროს და მასზე კოორდინირებულად მანიპულირებენ.

ამგვარად, კულტურის ეთნოგრაფიულ–კოგნიტური თეორია ეყრდნობა „კულტურის დისტრიბუციულ ხედვას“, რაც გულისხმობს შემდეგს: „კულტურული ცოდნა/ინფორმაცია დროსა და სივრცეში სოციალურად გადანაწილებულია სხვადასხვა სახის მოდელში და არ წარმოადგენს დრომოჭმული და სრულად გაზიარებული მოდელების ფიქსირებულ ერთობებს“ (Shore, 1996: 260).

ბ. შორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის კულტურულ მოდელს – ინსტიტუციურსა და მენტალურს.

1. ***ინსტიტუციური მოდელების*** სინონიმად ამ თეორიაში გამოიყენება ტერმინები – მოდელი, კულტურული მოდელი, კონვენციური მოდელი, ექსტერნალური მოდელი და საზოგადოებრივი მოდელი. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ინსტიტუციური მოდელები კულტურის ექსტერნალური ან, გნებავთ, საზოგადოებრივი ასპექტებია. ისინი წარმოადგენს საერთო/გაზიარებულ წყაროს/თარგს მენტალური მოდელების სქემატიზაციისთვის (Shore, 1996: 312). (მაგ., კულტურული პერფორმანსები, ნორმატიული აქტები, ფოლკლორული ნიმუშები და სხვ.)

2. ***მენტალური მოდელების*** სინონიმად ამ თეორიაში გამოიყენება ტერმინები – სქემა, კოგნიტური სქემა, ინდივიდუალური/პერსონალური სქემა, მენტალური სქემა, ფსიქიკური რეპრეზენტაცია, ინტერნალური მოდელი. მენტალური მოდელები ინსტიტუციური მოდელების რეპრეზენტაციებია, რომლებშიც შესაძლოა ასახული იყოს როგორც კონვენციური კულტურული ინფორმაციის ასპექტები, ისე გამოცდილების ინდივიდუალური მახასიათებლები.

გარდა ზემოთქმულისა, ავტორი განასხვავებს განსაკუთრებული მიზნის მოდელებსა და ფუნდამენტურ სქემებს. მათი გამიჯვნისათვის თავად ავტორს დავიმოწმებთ: „განსხვავებული კულტურული მოდელები შეიძლება იზიარებდეს გვაროვნულ მსგავსებას, რადგან ორგანიზებულია საერთო ფუნდამენტურ სქემასთან კავშირით. განსხვავება ფუნდამენტურ სქემასა და კულტურულ მოდელს შორის არსებითად გარეგანია, რამდენადაც ყოველი მოდელი შეიძლება გამოიყენებოდეს მისი ქვე-

მოდელის სქემატიზებისათვის. შედარებით უფრო აბსტრაქტული ფუნდამენტური სქემები, მოდელებისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს რაიმე კონკრეტული ფორმისა თუ ჟანრის ერთეულს (Shore, 1996: 312).

ადაპტაციური ინფორმაცია მოიცავს ბევრი სახის მოდელს, რომელთაგან მხოლოდ ნაწილია კულტურული. ზოგიერთი მოდელი (სახის ბაზისური გეშტალტის აღქმა, ზოგიერთი ბაზისური ემოციის მანიფესტაცია) გაზიარებულია თითქმის ყველა ადამიანის მიერ და წარმოადგენს გენეტიკურად განსაზღვრულ/მყარ (hard-wired) მენტალურ მოდელებს. სპექტრის მეორე მხარესაა ინდივიდუალური მოდელები, გამოცდილების იდიოსინკრაზიული განზომილებები, რომელთაც ზოგჯერ ვხვდებით სიზმრებში და რომლებიც დროდადრო პროეცირდება საზოგადოებრივ ფორმებში, როგორც უაღრესად პერსონალური გამოხატულებები, ან როგორც ხელოვნების ნიმუშები. ჩვეულებრივ, მენტალური მოდელები აისახება კონკრეტულ ფორმებში: სიტყვებში და ნახატებში, დრამებსა და ჟესტებში. ამგვარი ფორმები მენტალური ხატების რეპრეზენტაციებია, „mind made matter“. იგივე შეგვიძლია ვთქვათ პირუკუ. ძალიან ბევრი, უაღრესად პირადი აზრი და გრძნობა მოდელირებულია რაღაცის ან ვიღაცის მიხედვით. ამ კონტექსტში, აზროვნება და შეგრძნებაც კი ხშირად კონვენციური აქტია მაშინაც კი, როცა პირადულად განიცდება. ეს ორმხრივი „ტრეფიკინგი“ ინსტიტუციურ და მენტალურ მოდელებს შორის კულტურისა და გონების ფუნდამენტურ დიალექტიკას წარმოადგენს (Shore, 1998: 11).

3. **სხვადასხვა დონეზე ორგანიზებულ მოდელთა შორის დინამიკური და ანალოგიისებრი კავშირია.** ბ. შორი განსაკუთრებულ ხაზგასმას ახდენს კულტურული მოდელების დინამიკურ როლზე. „კულტურის, როგორც ცოდნის სისტემად წარმოდგენა გვეხმარება კავშირის დამყარებაში კულტურის არსებობის ორ ფორმას - მის სოციალურ არსებობასა (როგორც საზოგადოების ინსტიტუტების) და მის კოგნიტურ არსებობას (როგორც გონების კომპონენტს) შორის“[13] (Shore, 1996: 12). ტვინის მუშაობის აღსაწერად

[13] კულტურის ორმაგი სახით არსებობა გამომდინარეობს ბ. შორის ძირითადი იდეიდან „კულტურის ორჯერ დაბადების“ შესახებ (დეტალურად იხ. Shore, 1996: 208).

თეორიაში გამოიყენება „კომპიუტერის“ მეტაფორა. თუმცა ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ტვინს ერთმნიშვნელოვნად ციფრულ მექანიზმად (როგორც ხელოვნური ინტელექტის სფეროშია გავრცელებული) არ მიიჩნევს. ბ შორის აზრით, ტვინი ანალოგიების მაწარმოებელი მექანიზმია. „ადამიანის ტვინი ვირტუოზი მოდელიერია. იგი აგებს მოდელებს გარეთ არსებული მონაცემებისგან, კითხულობს გარემოში არსებულ მოდელებს, ინახავს მათ სამომავლო გამოყენებისთვის და მიმართავს შენახულ მოდელებს, როგორც მაინტერპრეტირებელ ხელსაწყოებს. ტვინი გამუდმებით აწარმოებს მოდელებს ელექტროქიმიური ფორმით – ნერვულ ბადეში, სენსორული პორტალების მეშვეობით განუწყვეტლივ ახდენს გარე სამყაროს მონიტორინგს, ეძიებს გარემოში არსებულ ნიმუშებს ნერვულ დონეზე მათი მოდელირებისთვის“ (Shore, 1998: 9).

საკვლევი ფენომენის სხვადასხვა დონეზე ორგანიზაციის შეხედულების კვალდაკვალ, აღნიშნულ თეორიაში ასეთ დონეებად მიჩნეულია ნევროლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული დონე. ამ განსხვავებულ დონეებზე არსებული მოდელების ურთიერთკავშირის უზრუნველმყოფელი მექანიზმების დასახასიათებლად გამოყენებულია ცნება – ანალოგიური სქემატიზაცია, იგივე ანალოგიის ფორმირება. აღნიშნული ტერმინებით აღიწერება ერთი დონის მოდელის საფუძველზე სხვა დონის მოდელის შექმნის პროცესი (მაგალითად, ინსტიტუციური მოდელის (სოციოკულტურული დონე) ანალოგიით მენტალური მოდელისა - ფსიქიკის დონეზე). ამ სამ დონეთაგან, კულტურულ და მენტალურ მოდელებს შორის არსებული კავშირის განხილვა გონების ეთნოგრაფიული თეორიის ერთ–ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ბ.შორი ვრცელ სამეცნიერო დისკუსიას მიმოიხილავს (Shore, 1996). საბოლოოდ, შესაძლებელი ხდება რამდენიმე ძირითადი თეზისის ამოკრება:

1. ერთი და იგივე მოდელი სხვადასხვა დონეზეა ორგანიზებული;
2. სხვადასხვა დონეზე ორგანიზებულ მოდელებს შორის არსებობს კავშირი;

3. მოდელების სხვადასხვა დონეზე ფორმირება/აბსტრაგირება „ანალოგიისებრი სქემატიზაციის“ მეშვეობით მიმდინარეობს. შესაბამისად, „ინტერნალურ“ და „ექსტერნალურ“ მოდელებს შორის ანალოგიისებრი და დინამიკური კავშირია;

4. სხვადასხვა დონე შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს აბსტრაქციის სირთულით. მენტალური მოდელები უფრო მარტივია და სქემატური, ვიდრე კულტურული მოდელები. სქემატიზაციის პროცესში მოდელი თავისი ანალოგის ბევრ დეტალს კარგავს, თუმცა ფორმით (იქნება ის ხატისებური, სკრიპტული თუ კინესთეტიკური) არსებით თვისებებს ინარჩუნებს;[14]

5. შესაძლებელია მოდელთა ინდივიდუალური სხვაობებიც, ვინაიდან მოდელი ინდივიდის წინარე გამოცდილებისა და მოლოდინების შედეგად წარმოქმნილ იდიოსინკრაზიულ მახასიათებლებსაც მოიცავს, რომლებიც, ხშირად, კულტურულად სტანდარტიზებულია;

6. მენტალური მოდელები დინამიკურია. მათი მუდმივი განახლება გარემოსთან უკუკავშირით მიმდინარეობს.

4. **სხვადასხვა დონეზე ორგანიზებულ მოდელთა შორის ანალოგიისებრი კავშირის საინტერპრეტაციოდ პერსპექტიულია ტვინის კონექციონისტური მოდელები.** როგორც ვნახეთ, ბ. შორი მიიჩნევს, რომ გონების არსებითი ფუნქცია ანალოგიისებრი კავშირების დამყარებაა.[15] კონექციონისტური მოდელები სხვადასხვაგვარ პატერნს რამდენიმე ფუნქციის მეშვეობით აწარმოებს: პატერნის აღქმა/რეკოგნიცია, პატერნის სრულყოფა/დასრულება, პატერნის ტრანსფორმაცია და პატერნის ასოციაცია.[16]

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ბ. შორი, ისევე როგორც ნ. ქუინი და კ. სტრაუსი, კონექციონისტურ მოდელებს მიიჩნევს ადეკვატურად კულტურისა და გონების

---

[14] ამ პროცესის საილუსტრაციოდ შეიძლება განვიხილოთ ბ. შორის მიერ აღმოჩენილი კულტურული მოდელები (იხ. სამოელთა სოფლის სივრცის ორგანიზება Shore, B. (1996).

[15] დევიდ რუმელჰარდტის ტვინის ფუნქციონირების კონექციონისტური მოდელების კონცეპციის თანახმად, ტვინი ეფექტური ანალოგ-პროცესორია, რომელიც კითხულობს სამყაროს და გამუდმებით ახდენს მისი კონტურების მოდელირებას დინამიკურ ნერვულ კავშირებში Rumelhart, (1990).

[16] კონექციონისტური მოდელების ფუნქციის შესახებ იხ. Strauss, C. and Quinn, N. (1997); Shore, B. (1998).

თეორიის პრობლემატიკის ანალიზისათვის. მოცემულ თეორიაში შინაგანი (სუბიექტური) და გარეგანი (ობიექტური) კულტურის დიალექტიკის ფუნდამენტური პროცესია ანალოგიის ფორმირება. ანალოგიისებრი ტრანსფერი უზრუნველყოფს მენტალური მოდელების საზოგადოებრივ არტეფაქტებად პროექტირებას, ამასთანავე, ინსტიტუციური მოდელების მენტალურ რეპრეზენტაციებად ინტროექციას. ანალოგია, რომელიც აბსოლუტური კოგნიტური ფაქტია, კოგნიციის სხვადასხვა დონეზე მოქმედებს. კულტურულ კოგნიციაში ანალოგიის ფორმირება არ არის მარტივი პროცესი და ანალოგიის მაწარმოებელი პროცესების მთელი სპექტრის ჩართულობას მოითხოვს.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ მოდელთა სხვადასხვა დონეზე ორგანიზაციაში ანალოგიისებრი სქემატიზაციის როლის შესახებ ბ.შორის მოსაზრებებს.

- **დაბალი დონის მოდელები და ნევროლოგიური მოდელირება**

როგორც ცნობილია, დაბალი დონის კოდირება (ნეირონული კავშირების მსგავსი გაერთიანებები) წარმოადგენს კომპიუტერულ სიმულაციებს, სადაც ქსელური კავშირები მოდელირებულია ნერვული კავშირების სტრუქტურის შესაბამისად. ამ დონეზე მიმდინარე ანალოგიის ფორმირების პროცესი მოიცავს პატერნის ძიებისა და პატერნის იმიტაციის ქცევებს. კონექციონისტური მოდელები კულტურული მოდელების მუშაობის მნიშვნელოვანი თავისებურებების აღმოჩენის პერსპექტივას ქმნის. ამ კონტექსტში განსაკუთრებული ინტერესის საგანია მნიშვნელობის ფორმირების პროცესში კულტურული მოდელების როლის განსაზღვრა და მისი საფუძველმდებარე მექანიზმის აღწერა. ამ მიზნით ყურადღება გამახვილებულია კონექციონისტური ქსელისთვის დამახასიათებელ „დასწავლისა“ და მოდიფიკაციის შესაძლებლობებზე, ითვალისწინებს გარემოს ცვალებად მდგომარეობას, პერმანენტულად ადარებს და ცვლის ინტერნალურ მდგომარეობას ექსტერნალური სიტუაციების გათვალისწინებით.

რა მიმართებაა კონექციონისტურ მოდელებში აღწერილ დაბალ დონეზე ფორმირებულ ნევროლოგიურ მოდელებსა და კულტურულ მოდელებს შორის?

ამ კითხვაზე პირდაპირი და ექსპერიმენტულად დასაბუთებული პასუხი არ არსებობს. ბ. შორი აღნიშნავს, არ არის მოსალოდნელი, რომ მსგავსი მოდელები ანთროპოლოგიურ ნაშრომებში აღწერილი კულტურული მოდელების მსგავსი იყოს. თუმცა, იქვე დასძენს, რომ თუკი ინსტიტუციურ მოდელებს წარმოვიდგენთ როგორც გონების, ისე სოციალური გარემოს ნაწილად, მაშინ აუცილებლად გვჭირდება თეორიული ხიდი სენსორული გამოცდილების აშკარა პატერნებსა და კოდირების დაბალ დონეზე არსებულ კოგნიტურ პროცესებს შორის (Shore 1996: 349). სწორედ ამგვარ ხიდად განიხილება კონექციონიზმი, რამდენადაც:

- კონექციონიზმის მეშვეობით გათვალსაჩინოვებული ნერვული მოდელირების პრინციპით საფუძველი იქმნება კონცეპტის ფორმირებისა და ნევროლოგიური ფუნქციონირების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;
- კონექციონიზმი ასახავს უწყვეტ კავშირს გონებასა და სამყაროს შორის, ანალოგიური სქემატიზაციის როლს გარედან–შიგნით რუქის შექმნაში;
- აჩვენებს მოდელის მიერ საკუთარი თავის ცვლილება/მოდიფიკაციის უნარს;
- გასაგებს ხდის იმას, თუ როგორ შეიძლება მოდელები გაზიარებული იყოს საზოგადოების წევრების მიერ და, იმავდროულად, გამოცდილების მეშვეობით იდიოსინკრაზიულად მოდიფიცირდებოდეს;
- საუკეთესო საშუალებაა მნიშვნელოვანი საკითხების - მოდელთა რეკოგნიციის, დასრულება/შევსების, ტრანსფორმაციისა და ასოციაციის მოდელირებისთვის,
- ახერხებს ტიპური მაგალითების/პროტოტიპული კავშირების მოდელირებას;

- ათვალსაჩინოებს „ნატიფ დეგრადაციას“,[17] შესაძლებელს ხდის მართებული დასკვნების გაკეთებას არასრულყოფილი ან, სხვაგვარად, უწესრიგო/დეფექტური ინფორმაციის არსებობის დროს;
- ნათელს ჰფენს ინფორმაციის როგორ ციფრულ (წყვეტილ), ისე ანალოგიისებრ (უწყვეტ) გადამუშავებას; ქმნის თეორიულ საფუძველს გადამუშავების შუამავალი ფორმების დასადასტურებლად (უხეში კოდირება/coarse coding) (Shore, 1996: 350).

ამგვარად, ბ. შორი კონექციონისტური მოდელების უპირატესობად მიიჩნევს იმას, რომ ისინი ეხება ერთი ტიპის ანალოგიისებრ კავშირ მოდელირებულ ფენომენთან (აქტივაციის დონეების კონტექსტში) და რამდენადმე განსხვავებული ტიპის ანალოგიისებრ კავშირს დაბალი დონის ნერვულ ქსელებთან. თუმცა, მისი აზრით, ნერვულად კოდირებული ფენომენები (შრეები, ქსელები, აღგზნება–შეკავებები) უფრო გამოცდილების ტრანსფორმაციებს წარმოადგენს, ვიდრე გამოცდილების ანალოგებს.

- **საშუალო დონის მოდელები და ფსიქიკური მოდელირება**

საშუალო დონის მოდელებად განიხილება ფსიქიკური დონის მოდელები – მენტალური რეპრეზენტაციები. აქ არსებითი ანალოგიის ფორმირების პროცესია. ანალოგიის ფორმირების შესახებ დისკუსიაში (რომელიც ინფორმაციის ციფრული გადამუშავების ალტერნატივად განიხილება) ბ. შორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანალოგიის ფორმირების არაანალიტიკური (პირველი რიგის ანალოგია) და ანალიტიკური (მეორე რიგის ანალოგია) პროცესების გამიჯვნას. განვითარების კონტექსტში, ადრეულ ბავშვობაში ადამიანი ანალოგიურ ტერმინებს შორის პირდაპირ პერცეპტულ კავშირს ამყარებს მაშინ, როცა გვიან ბავშვობაში ანალოგიურ ტერმინებს

[17] ნატიფი დეგრადაცია (Graceful Degradation) – კომპიუტერის, ხელსაწყოს, ელექტრონული სისტემის ან ქსელის უნარი, უზრუნველყოს ლიმიტირებული ფუნქციონირება მაშინაც კი, როდესაც სისტემის დიდი ნაწილი დაზიანებული ან უმოქმედოა. ნატიფი დეგრადაციის მიზანია კატასტროფული მარცხის თავიდან არიდება.

შორის კავშირში მაღალი დონის ანალოგიურ კავშირს მიმართავს.[18] პირდაპირი პერცეპტული ანალოგიები პირველადი ანალოგიის ფორმირების ნიმუშია, მიმართებით მსგავსებებზე დაფუძნებული კი - მეორე რიგისა.[19]

ბ. შორი ანალოგიის ფორმირების საფუძველმდებარე კოგნიტური პროცესის დახასიათებისას ერთმანეთისაგან განასხვავებს აზროვნების ორ ტიპს: 1. „ანალოგიის საფუძველზე აზროვნებას“ და 2. „სქემის საფუძველზე აზროვნებას“. პირველი ტიპი არ საჭიროებს დამოუკიდებელი ექსპლიციტური სქემის არსებობას - აზროვნების პროცესი წარიმართება ორ ან მეტ ანალოგიას შორის აბსტრაქციის ერთსა და იმავე დონეზე დამყარებული პირდაპირი კავშირის მეშვეობით. ახალი სქემები იქმნება აპრიორი სქემის არსებობის გარეშე. ამის საპირისპიროდ, მეორე შემთხვევაში ორ ფენომენს შორის ანალოგიური კავშირი გაშუალებულია ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახული ზოგადი სქემით. მკვლევართა აღნიშვნით, სქემის საფუძველზე აზროვნებას შემოქმედებითი და კონსტრუქციული ბუნებაც ახასიათებს (Gick & hlyoak, 1983). შორი ამიტომაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანალოგიები მარტივი და პასიური ფაქტები კი არაა, არამედ აქტიური კონსტრუირების უნარიც გააჩნიათ. ამიტომაც „მეტაფორების ინტერპრეტაცია ... უნდა იწყებოდეს სხვების კონსტრუქციებთან მნიშვნელოვანი პირველადი შესატყვისობების აღმოჩენით“ (Shore, 1998).

უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი სენსორული ანალოგიები, სადაც ფენომენთა თვისებებს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება ხდება, ვერ თავსდება აზროვნების ვერც ანალიტიკურ და ვერც ინფორმაციულ მოდელში. სწორედ ამიტომ, პირველადი ანალოგიის ფორმირების კონტექსტში საუბრობენ არაანალიტიკური კონცეპტის ფორმირებაზე. ამ ტიპის კონცეპტები აერთიანებს ანალოგის „ინტეგრალურ ატრიბუტებს“. ამ საფეხურზე წამყვანია გეშტალტური პერცეფცია (Rosch et al., 1976).

---

[18] ხუთი წლის ბავშვისთვის ღრუბელი და რეზინის ღრუბელი იმიტომ გავს ერთმანეთს, რომ ორივე „ფაფუკი“ და „ფუმფულაა“, ცხრა წლის ბავშვისთვის ღრუბელიც და რეზინის ღრუბელიც ინახავს წყალს და უკან აბრუნებს.

[19] ანალოგიის, როგორც ანალიტიკური აზროვნების პროცესის ერთ–ერთი ყველაზე დეტალურად დამუშავებული მოდელი სტერნბერგს ეკუთვნის იხ. Sternberg, (1977).

ამგვარად, ანალოგიის ფორმირება განიხილება როგორც ანალიტიკურ, ისე არაანალიტიკურ (ინტეგრალურ) პროცესად. თუმცა, განვითარების ადრეულ საფეხურებზე და ინფორმაცის სიღრმისეული დამუშავების შემთხვევაში საქმე გვაქვს ანალოგიის ფორმირების არაანალიტიკურ (ინტეგრალურ) პროცესთან, რომელიც კროსსენსორული ანალოგიური ტრანსფერის მეშვეობით უზრუნველყოფს გეშტალტურ პერცეფციას და, შედეგად ადამიანის გარემოსთან ურთიერთობას ფსიქოლოგიური ცვლადებით აშუალებს.

ფსიქიკურ დონეზე მოდელთა ანალოგიისებრი ფორმირების ბაზისურ სახეს წარმოადგენს მიკროანალოგია. ამ დონეზე მნიშვნელობის კონსტრუირების ელემენტარული ფორმები უფრო მეტად ეფუძნება ბაზისური ტიპის ანალოგიურ სქემატიზაციას. მიკროანალოგიის ერთ–ერთი ბაზისური სახეა სინესთეზია, როგორც სხვაგვარად უწოდებენ – კროსმოდალური პერცეფცია. ძირითადი სინესთეზიური პერცეფცია თანდაყოლილია და დროთა განმავლობაში ვითარდება (Marks & Bornstein, 1987).

წმინდად საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და კოგნიტურ მენტალურ მოდელებს შორის მოდელირების საუკეთესო მაგალითად განიხილავენ ფონოსემებს [20] (Bolinger, 1989: 284); რომლებიც ასახავს კავშირს წმინდად საზოგადოებრივ ინსტიტუციურ მოდელებსა და წმინდად კოგნიტურ მენტალურ მოდელებს შორის. ამგვარად, სინესთეზია და ფონოსემები არაანალიტიკური კონცეპტის ფორმირების ფუნდამენტურ კოგნიტურ პროცესზე მიგვანიშნებენ. ორივე მათგანი ეფუძნება პირველად ანალოგიას. ორივე გულისხმობს კროსსენსორული ანალოგიური ტრანსფერის მეშვეობით შეგრძნებათა გაერთიანებაზე მიმართულ კოგნიტურ ორიენტაციას.

[20] ბოლინგერის ტერმინი, რომელიც აღწერს არტიკულაციის მიმიკრიის მეშვეობით მსგავს სემანტიკურ კომპონენტებს შორის კავშირის დამყარების მექანიზმს.

- **მაღალი დონის მოდელები და კულტურული მოდელირება**

ამ დონეზე მოდელთა ორგანიზაციისა და მათი უფრო დაბალ დონეზე ორგანიზებულ მოდელებთან დაკავშირებისათვის იკვლევენ სიმბოლოთა ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. ბ.შორი მიიჩნევს, რომ მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა გამოცდილებაში სიტყვები არ წარმოადგენს კონცეპტების რეპრეზენტაციებს. აღსანიშნთან აღმნიშვნელის ვირტუალური იდენტურობის მაგალითად ავტორი ასახელებს საგალობლებს, შელოცვებს, ლოცვებს, მაგიის სხვადასხვა სიტყვიერ ფორმას, რიტუალში წმინდა სიტყვების გამოყენებას და იმას, რასაც ბავშვის მეტყველებაში ფროიდი „სიტყვების ყოვლისშემძლეობას“ ეძახდა. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ფსიქოლოგიური იდენტურობა ენის ყოველდღიური გამოყენების აუცილებელი პირობაა (Shore, 1996). ამ კონტექსტში ბ. შორი საინტერესოდ მიიჩნევს ბგერით–სიმბოლური სქემატიზაციის ისეთ ფორმას, როგორიცა ონომატოპეა (ხმაბაძვა).[21]

მოხმობილ თვალსაზრისს დამაჯერებლობას მატებს ვერნერისა და კაპლანის მოსაზრებაც, რომელთა თანახმად, სიმბოლოსა და რეფერენტს შორის კავშირი შინაგანია და ეფუძნება „სქემატიზაციის ორგანიზმისეულ პროცესებს“, როცა „ნიშანი–ხელსაწყო ტრანსფორმირდება სიმბოლურ ხელსაწყოდ, ხოლო რეფერენტი – კონოტაციურად განსაზღვრულ რეფერენტად (სიგნიფიკატად)“ (Werner & Kaplan, 1963: 29-30). ეს „სქემატიზაციის ორგანიზმისეული პროცესი“ ლოგიკის კლასიკური მოდელების (მაგ., ინფორმაციის გადამუშავების) საპირისპიროა. კლასიკური ლოგიკა იწყება ურთიერთშეთანხმებულობის (noncontradiction) პრინციპით, როცა შეუძლებელია, რაიმე იყოს ერთდროულად თავისი თავიც და კიდევ რაღაც სხვაც. შედეგად იქმნება ინფორმაციის მატარებელი კატეგორიული გაერთიანება, რომელიც, შორის აღნიშვნით, გაერთიანებების „ორგანიზმისეული პროცესისგან“ განსხვავებით, ორი დისკრეტული მოცემულობის გაერთიანების უნარიც შესწევს და სწორედ მისი ეფექტია „მნიშვნელობა“ (Shore, 1996). ამ სახის სქემატიზაციის საფუძველი „თანამონაწილეობის“

[21] ონომატოპეა (ხმაბაძვა), ბგერით–სიმბოლურ მოდელირებას გულისხმობს. ონომატოპეას მაგალითებია: ჭიკჭიკი, ჟივილხივილი, ჭახუნი, რაკრაკი დ ასხვ.

(„პარტიციპაცია“ ლევი–ბრულის ტერმინით) პრინციპია. „პარტიციპაციული“ სქემატიზაციით სიმბოლო ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას იძენს. აქ ძირითად პროცესს სინესთეზიურ კავშირებზე დამყარებული პირველადი იდიოსინკრაზიული ანალოგიების კონსტრუირება წარმოადგენს. ამგვარად, მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესი მოიცავს საგნის ფიზიკური არსებობის გახსენებას („რეკოლექციას“, „ანამნეზს“) კონვენციური ნიშან–ფორმების მენტალურ რეპრეზენტაციებში.

სხვადასხვა დონის მოდელთა შორის კავშირები განვითარების ადრეულ პერიოდში მყარდება და მომწიფებასთან ერთად თანდათანობით ინიღბება. ვერნერი და კაპლანი ერთმანეთისაგან განასხვავებენ კონვენციურ სიმბოლოებსა და პატერნის „ფიზიოგნომიკურ ფორმირებას“, რომელიც გულისხმობს სიმბოლოს პატერნის ანალოგიისებრ სქემატიზაციას, დაფუძნებულს სხეულებრივ გამოცდილებაზე, ე.წ. პატერნის ფიზიოგნომიკურ ფორმირებას. ამ შეხედულებას ბ. შორი აკავშირებს ლაკოფისა და ჯონსონის კინესთეტიკური ხატის სქემასთან (მაგ., როგორიცაა ცენტრი–პერიფერია, ვერტიკალურობა, შეკავება/containment, მიზანმიმართულობის ტრაექტორია და წინ/უკან), რომელიც ბ. შორს სხეულსა და გონებას შორის ხიდად მიაჩნია (Shore, 1996). აქვე აღვნიშნავთ, რომ ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში ნიშანსა და მნიშვნელობას შორის კავშირის გამაშუალებლად ორგანიზმის მიჩნევა ასახულია ტერმინით „განსხეულება“ (embodiment).[22] ბ. შორი ვარაუდობს, რომ შეხედულება განსხეულების შესახებ მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის კულტურული სიმბოლიზმის კონტექსტში მოტივაციის ფსიქოლოგიური თეორიის დამუშავებისათვის.

[22] ვერნერისა და კაპლანის მიხედვით, სიმბოლოს ფორმირების ყველაზე პრიმიტიულ დონეზე, ნიშან-ხელსაწყოსა (რეპრეზენტაციას) და აბსტრაქტულ რეფერენტს შორის გამაშუალებელი სენსომოტორული გამოცდილებაა. ჩვენი ელემენტარული კონცეპტები ემპირიულ/გამოცდილებისეულ ძალას იძენენ განსხეულების მეშვეობით. კონცეპტის ფორმირებაში განსხეულების როლის მნიშვნელობის განსაზღვრა პიაჟედან იღებს სათავეს, რომელიც აზროვნებას სენსომოტორულ სქემებზე აფუძნებდა.

ანდაზები, როგორც კულტურული მოდელირების შემთხვევა

კულტურულ და კოგნიტურ მოდელებს შორის კავშირის საილუსტრაციოდ კარგ შემთხვევად მიიჩნევა ანდაზები. მართლაც, არაერთი კვლევა მიეძღვნა კოგნიციაში ანდაზების გამოყენებას. ეს კვლევები ადასტურებს თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ინსტიტუციური მოდელების თარგმნა პერსონალური ცოდნის ფორმებში არსებითად ანალოგიისებრი სქემატიზაციის კოგნიტური პროცესის საფუძველზე მიმდინარეობს. მაგალითად, ჰონეკმა მკვლევართა ჯგუფთან ერთად ჯერ კიდევ 1987 წელს ჩაატარა კვლევების სერია, რომლებიც ანდაზების კოგნიტურ გადამუშავებას ეძღვნებოდა. კვლევა ნათლად აჩვენებს საზოგადოდ ხელმისაწვდომი კულტურული მოდელების (ანდაზების) მეორე დაბადებას კონკრეტული მენტალური რეპრეზენტაციების ანაკრებში (ანდაზების ინტერპრეტაციებში). ანდაზები წარმოადგენს კონკრეტული კულტურული მოდელების ფონდს, რომლებიც ორგანიზებულია შეზღუდული რაოდენობის ზოგადი სქემების, ე.წ. ანდაზის „კონცეპტუალური საყრდენის“ ირგვლივ. (Honeck et al., 1987:109). როგორ იგებენ და იყენებენ ადამიანები ამგვარი საერთო მოდელების ფონდს?

„როცა დამკვირვებელი ხვდება, რომ ანდაზის პირდაპირი მნიშვნელობა გარემოებისთვის შეუსაბამოა და არაპირდაპირზე უნდა იფიქროს, ანდაზის პირდაპირ მნიშვნელობას რელევანტურ კონტექსტურ ინფორმაციად გარდაქმნის. ანალოგია, რომელიც ტრანსფორმაციის პროცესით იქმნება, წარმოადგენს ჩარჩოს ფიგურალური (გადატანითი, ხატოვანი, მეტაფორული) მნიშვნელობის კონსტრუირებისათვის. ეს მნიშვნელობა კომპლექსური კატეგორიის (ანდაზის) წებოდ გამოიყენება. სხვადასხვა სენსორული მოდალობიდან მომდინარე ბევრი მოვლენა შეიძლება იზიარებდეს ერთსა და იმავე კატეგორიულ ხვედრს, ამიტომ ცხადია, რომ მნიშვნელობა გენერაციული/გამომწვევი/წარმომქმნელი და ამოდალურია“ (Honeck et al., 1987: 109-110).

ანდაზების გაგების პროცესში მნიშვნელოვანია ანალოგიისებრი სქემატიზაციის როლი. ანდაზები იმგვარი კულტურული მოდელებია, რომელთა ლინგვისტური ფორმისთვის

ანალიტიკური გადამუშავება უფრო შესაფერისია, ვიდრე ანალოგიური. მიუხედავად ამისა, ანდაზები განსაკუთრებულად მიიჩნევა ფიგურალური და არა პირდაპირი (literal) ენობრივი ფორმის გამო. ამასთან დაკავშირებით ბ. შორი შენიშნავს, რომ ლაკოფისა და ჯონსონის ყოვლისმომცველი შრომა მეტაფორების შესახებ ეჭვქვეშ აყენებს ამგვარ მარტივ განსხვავებას პირდაპირ (literal) და ფიგურალურ ენას შორის. მეტყველებაში ანდაზის პოეტური თუ ფიგურალური ფორმა უფრო სწრაფად ააქტიურებს ინტეგრალურ ანალოგიურ გადამუშავებას, ვიდრე პირდაპირი ფორმით გამოხატული ანდაზა. სწორედ ეს იგულისხმება იმ ზოგად წარმოდგენაში, რომლის თანახმად ანდაზები, ჩვეულებრივ ენასთან შედარებით, უფრო მეტად „პოეტურად“ განიხილება. რაც მართებულია ამ ლინგვისტური ფორმების შესახებ, შესაძლოა კიდევ უფრო მართებული აღმოჩნდეს არალინგვისტური კულტურული მოდელების შესახებ. არცერთი ექსპერიმენტული კვლევა არ ჩატარებულა იმ პროცესის შესასწავლად, რომლითაც ეს საზოგადოებრივი მოდელები, ანალოგიური სქემატიზაციის მეშვეობით კონკრეტული ადამიანისთვის მენტალურ მოდელებად ტრანსფორმირდება. თუმცა, როგორც ბ. შორი აღნიშნავს, ანდაზების პერცეფციაზე ჩატარებული კვლევები აჩვენებს ანალოგიისებრი სქემატიზაციის მნიშვნელოვან როლს კულტურული მოდელების გონებაში თარგმნის პროცესში (Shore, 1996). ამას გარდა, კვლევები ადასტურებს მათ მნიშვნელოვან გაშუალებულობას კულტურული მანიფესტაციებით, ამიტომაცაა, რომ ანდაზებზე დაყრდნობით ფორმირებული ანალოგიები მეტწილად კულტურული კონვენციებითაა მოტივირებული. სწორედ ამიტომ ანდაზების განხილვა კულტურულ დონეზე რელევანტურად მიიჩნევა.

- **ანალოგიის ფორმირების ოთხი დონე და ანალოგიური სქემატიზაციის 6 ტიპი.**

ანალოგიური სქემატიზაცია კოგნიციის რამდენიმე განსხვავებულ დონეზე ხდება, ნერვული ქსელის აქტივობის ტიპიდან დაწყებული, სინესთეზიური პროცესების საფუძველზე განხორციელებული მიკროანალოგიით გაგრძელებული და

სქემატიზაციის დეტალურად დამუშავებული მაკროპროცესებით დამთავრებული. ბ. შორი ანალოგიის ფორმირების ოთხ განსხვავებულ დონეს განასხვავებს.

ანალოგია 1. მოიაზრება ნერვული მოდელირება (პატერნის ძიებისა და რეკოგნიციის მანერა/აქტივობისა). ამ დონეზე შესაძლებელი ხდება ნევროლოგიურად რელევანტური სკაფოლდინგი სხვა ტიპის ანალოგიების ფორმირებისთვის.

ანალოგია 2. ეს ტიპი იწარმოება ბაზისური სენსომოტორული კროსმოდალური ასოციაციების მეშვეობით და ეფუძნება ინტეგრალურ/ჰოლისტურ პერცეფციას. მის საფუძველზე იქმნება მიკროანალოგიები (სინესთეზია, ფონოსემები).[23]

ანალოგია 3. მოიაზრება პრობლემის გადაჭრის ანალოგიისებრი კონსტრუქციები. „მწვანე - „სვლა“, ხოლო წითელი?“ ამგვარი საშუალო დონის ანალოგიები ინტელექტის ტესტის პური და კარაქია. ანალოგია I არაცნობიერია, ანალოგია II - მეტწილად წინარეცნობიერი (preconscious), ანალოგია III კი ხშირად სილოგისტური აზროვნების მსგავსი ცნობიერი აქტია და ანალიტიკურ გადამუშავებას ეფუძნება. ბრედ შორის აღნიშვნით, ანალოგიური ფაზლის გადაჭრის დონეზე სტერნბერგის მიერ ექსპერიმენტულად გამოვლენილი ექვსსაფეხურიანი ანალიტიკური პროცესის ფაქტი ეწინააღმდეგება მიკრო-ანალოგიაზე არსებული შრომების მონაცემებს, რომელთა თანახმად, ანალოგია უფრო ჰოლისტურად - გეშტალტური პერცეფციის შედეგად იქმნება, ვიდრე ეტაპობრივი ანალიტიკური პროცესით[24] (Shore, 1998: 23).

ანალოგია 4. სტრუქტურული ანალოგია, ყველაზე მეტად რელევანტურია კულტურული მოდელებისთვის. როგორც კულტურული მნიშვნელობის კონსტრუირების ფორმა,

---

[23] იმავე კონოტაციის მატარებელია ვერნერისა და კაპლანის მიერ დამუშავებული სიმბოლოთა ფიზიოგნომიკური აღქმა.

[24] პრობლემის გადაჭრის ანალოგიები მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევების საფუძვლად მიაჩნია გამოჩენილ კოგნიტივისტს, ნენსი ნერსესიანს. მისი თქმით, მეცნიერული ახსნა ჩვეულებრივ იყენებს როგორც ანალოგიას, ისე მენტალური ხატების მანიპულაციას. მაგალითად, მაქსველის „ველის თეორია“ უნდა ეფუძნებოდეს წარმოსახვით აპლიკაციებს, მაქსველის ცნობილ აირის მოძრაობასა და მის დამოკიდებულებას ელექტროობასა და მაგნეტიზმთან. ნერსესიანი ნათელყოფს ანალოგიის მნიშვნელოვან როლს მაქსველის დიდ მიგნებებსა და რამდენიმე შეცდომაში Nersessian, N. j. (1984).

ეფუძნება ზოგადობის მაღალი ხარისხის მქონე კულტურულ სქემებს. ამგვარ სქემებს სხვადასხვა კულტურული მოდელების სქემატიზაციის უნარი შესწევს, აერთიანებს მათ მსგავსებით, ამ სახის ინფორმაციას კონკრეტული კულტურის წევრები მემკვიდრეობით იღებენ და მხოლოდ ცოტას თუ შეუძლია მისი ექსპლიცირება. გამოცდილების ამ ზოგად ორგანიზაციებს ფუნდამენტური სქემები ეწოდება. ჩვეულებრივ, მათი პოვნა შესაძლებელია რელიგიური ტრადიციის მითოსურ და რიტუალურ მოდელებში. ამგვარად, სტრუქტურულ ანალოგიასთან გვაქვს საქმე, როდესაც მაღალი დონის მოდელი ან ამ მოდელის ნიმუში სხვა მაღალი დონის მოდელის ფორმირების წყარო ხდება, ხშირად გამოცდილების განსხვავებული არეებისათვის. მაღალი დონის ამგვარი სტრუქტურული ანალოგიის ნიმუშია მეტაფორები, რომლებიც გამოცდილების ნაცნობ არეს - სხეულს აკავშირებს გამოცდილების შედარებით აბსტრაქტულ და რთულად გასაგებ/დაუნაწევრებელ არესთან - განწყობებსა და ემოციებთან.[25]

ყოველი ამგვარი ანალოგიის მოდელირება შესაძლებელია ანალიტიკურად, როგორც პროცედურული პროგრამებისა (ხელოვნური ინტელექტის ტესტები, ანთროპოლოგისათვის საკუთარი კულტურის გაცნობა, რომელიც საჭიროებს უმაღლეს ცნობიერ კონტროლს და სტრატეგიულ მანიპულაციებს). მეორე მხრივ, როგორც ექსპერიმენტული ფაქტები აჩვენებს, ნაკლებ კომპლექსური ანალოგიები (ანალოგია 2) და ზოგიერთი უფრო მეტად კომპლექსური ანალოგია (ანალოგია 4), ჩვეულებრივ, არაანალიტიკურად აღიქმება ინტეგრალური ან გეშტალტური პერცეფციის მეშვეობით. სწორედ ამიტომაა, რომ ბევრი მოდელი და სქემა არ არის მარტივად ხელმისაწვდომი ვერბალური არტიკულაციისათვის (Shore, 1996).

აბსტრაქტულობის ხარისხის მიხედვით, ქცევის სტრუქტურირებაში ბ. შორი სამ დონეს განასხვავებს: 1. ქეისები, სპეციფიკური შემთხვევები - აზროვნებისთვის საფუძვლის

[25] აღნიშნულის საილუსტრაციოდ ბ. შორს მოჰყავს ემოციური მდგომარეობის აღმწერი სომატური წარმომავლობის ისეთი სტრუქტურული ანალოგია, როგორიცაა „მაღლა და დაბლა / up and down" (მაგ., „I'm feeling low today," "It was highpoint in my life," "What's up?," "Did you get high at the party?"). გარდა ამისა, სტრუქტურული ანალოგიების პოვნა შესაძლებელია ხელოვნების ბევრი ნიმუშის ფორმისა თუ შინაარსის საფუძველში. მაგალითად, შექსპირი დახელოვნებული იყო თავის პიესებში სტრუქტურული ანალოგიების გამოყენებით Shore, B. (1998).

შემქმნელი კონკრეტული გამოცდილებები; 2. ინსტიტუციური მოდელები - გამოცდილების კონვენციონალიზებული „კატეგორიების“ ქცევითი ეკვივალენტები. ისინი ექსპლიციტურადაა კოდირებული საზოგადოების წევრების მიერ და ამიტომაც ინსტიტუციური გამოცდილების ადვილად შესამჩნევი ფორმებია; 3. ფუნდამენტური სქემები - ყველაზე ზოგადი მოდელები, რომლებიც ასტრუქტურირებს გამოცდილების ემპირიულად ჰეტეროგენულ სფეროებს და განსაზღვრავს საზოგადოებების სამყაროს სურათებს. ფუნდამენტური სქემები, ჩვეულებრივ, იმპლიციტურადაა ცნობილი და არ არის ექსპლიციტურად გაცნობიერებული საზოგადოების წევრთათვის. ადამიანთა უმრავლესობა სპონტანურად ვერ ახერხებს მუშა ფუნდამენტური სქემების აღწერას.

აღნიშნულ დონეს შორის შესაძლებელია 6 ტიპის ასიმილაციური და აკომოდაციური სქემატიზაცია, კერძოდ: ასიმილაციური სქემატიზაცია 1. მოდელებიდან ქეისებში; 2. სქემებიდან ქეისებში და 3. სქემებიდან მოდელებში და აკომოდაციური სქემატიზაცია 4. ქეისებიდან მოდელებში, 5. ქეისებიდან სქემებში და 6. მოდელებიდან სქემებში.

I ტიპის სქემატიზაციის დროს სპეციფიკური პერსონალური გამოცდილების ორგანიზება კონკრეტული ინსტიტუციური მოდელების გამოყენებით მიმდინარეობს. ეს არის „გამოცდილების კულტურული კონსტრუირების“ სტანდარტული ფორმა, რაც ანთროპოლოგიური ანალიზისთვის ჩვეული და შესაფერისი ადგილია. ბ. შორი აღნიშნავს, რომ როდესაც ჩვენს გამოცდილებას განვიხილავთ ზოგიერთი კონვენციონალური „ტიპის“ კულტურული გამოცდილების ნიმუშად, მხედველობაში გვაქვს I სქემატიზაცია – მოდელების ქეისებში ტრანსფერი.

II ტიპის სქემატიზაციიით ხდება ფუნდამენტური სქემების უშუალოდ შეღწევა კონკრეტულ გამოცდილებებში. ბ. შორი აღნიშნავს, რომ II ტიპის სქემატიზაციას შესაძლოა მაშინ ჰქონდეს ადგილი, როდესაც ახალ მოვლენას არ მოეპოვება შესატყვისი ინსტიტუციური მოდელი. ამის მაგალითებად შეიძლება განვიხილოთ კროსკულტურული გამოცდილებები, როდესაც ინდივიდები ცდილობენ იმგვარი

გამოცდილებების გაგებას, რომელსაც ინსტიტუციონალური ანალოგია არ მოეპოვება საკუთარ კულტურაში.[26]

III ტიპის სქემატიზაცია წარმოადგენს ანალოგიისებრ ტრანსფერს ფუნდამენტური სქემებიდან სპეციფიკურ ინსტიტუციურ მოდელებში. ყველა ინსტიტუციური მოდელი არ განიცდის ფუნდამენტური სქემების გავლენას.[27] მესამე ტიპის სქემატიზაციასთან დაკაშირებით ბ. შორი შენიშნავს, რომ ჩვეულებრივ ადამიანები არ აცნობიერებენ იმ დონეს, რომელზეც სხვადასხვა ინსტიტუციური მოდელი იზიარებს საერთო ფუნდამენტურ სქემას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სქემა > მოდელი ტრანსფერი მთლიანად არაცნობიერია. ისინი იმპლიციტურად ცნობილია და როდესაც ეს კავშირი მყარდება, მყისიერ რეკოგნიციას იწვევს ადამიანებში. სქემიდან მოდელში ცნობიერი ტრანსფერი, როგორც წესი, მიმდინარეობს გამძაფრებული კულტურული ცნობიერების ან ინტერკულტურული კონფლიქტის ვითარებაში.

IV და V ტიპის სქემატიზაციები ასახავს ჟ. პიაჟეს ტერმინოლოგიით, „აკომოდაციის“ ტიპის კოგნიტურ პროცესებს. ამ შემთხვევაში სქემები ტრანსფორმირდება (ან იქმნება) ახალი გამოცდილების მეშვეობით. ეს ის შემთხვევებია, სადაც კულტურული ცოდნის შექმნა, ტრანსფორმირება პროცესში მიმდინარეობს. მაგ., ანომალიურმა გამოცდილებებმა შესაძლოა შეცვალოს ძველი კულტურული მოდელები ან შექმნას ახალი (IV ტიპი ქეისიდან მოდელში ტრანსფერი).

ბ. შორის მიხედვით, ნაკლებად შესაძლებელია ფუნდამენტური სქემის ტრანსფორმირება ან შექმნა ერთი ინსტიტუციური მოდელის საფუძველზე. ფუნდამენტური სქემები

---

[26] მაგ., სამოელი ემიგრანტები აშშ–ი ცხოვრობენ ტიპურ ამერიკულ უბნებში და გარეგნულად ადაპტაციას ახდენენ ამერიკული ცხოვრების სტილთან. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც იყენებენ სამოელთა ფუნდამენტურ სქემებს ფორმალური და ინტიმური სივრცითი თუ სოციალური კავშირების მოდელირებისათვის იმგვარ სიტუაციებში, სადაც არ არსებობს ან ნაკლები ინსტიტუციური მსგავსებაა თავიანთ ტრადიციულ ინსტიტუციურ მოდელებთან. ასეთ შემთხვევებში ქცევის მართვისათვის მიმართავენ ხოლმე ზოგად ფუნდამენტურ სქემებს, რომლებიც უკეთ აფორმებს ფორმალურ და ახლო/ინტიმურ კავშირებს, ვიდრე სხვა ადგილობრივ–სპეციფიკური ინსტიტუციური მოდელები.

[27] ამის საილუსტრაციოდ განიხილავენ „ხუმრობებს“, სახუმარო მოდელის (ludic model) ჟანრებს. ზოგიერთ ხუმრობას უნიკალური ნარატიული ფორმა აქვს და ხუმრობებად მაშინვე არ აღიქმება. სხვები, როგორიცაა „knock-knock jokes,” “playing the dozens”, ან ეთნიკური ხუმრობები („How many x’s does it take…”) იზიარებენ ზოგად სქემას და მყისიერად ითრევენ თანამონაწილეებს კარგად განსაზღვრულ ჩარჩოში.

კონსერვატორული და რეზისტენტულია ცვლილებების მიმართ. სქემის ტრანსფორმაციის ან შექმნის სწრაფი ცვლილება, ჩვეულებრივ, იშვიათად ხდება და, ფაქტიურად, შეუმჩნეველია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ფუნდამენტური სქემის თანდათანობითი ტრანსფორმაციის ან შექმნის აღწერა კულტურული მოდელების ხანგრძლივი ზემოქმედების პირობებში.[28] ასეთ შემთხვევებში კატასტროფული მოვლენები ცვლიან სოციალური ურთიერთობების სპეფიციკურ მოდელებს; ეს ახალი მოდელები თანდათანობით ახდენენ ბევრი კულტურული მოდელის საფუძვლად არსებული ფუნდამენტური კულტურული სქემების ტრანსფორმირებას (Shore, 1996).

ცხადია, რომ სქემატიზაციის ეს ტიპოლოგია არ გულისხმობს მნიშვნელობის კონსტრუირების მხოლოდ ამგვარ მარტივ კატეგორიებზე დაყვანას. რეალურ სამყაროში, კულტურული მნიშვნელობის კონსტრუირება სქემატიზაციის რამდენიმე განსხვავებულ ტიპს ერთდროულად იყენებს ან შესაძლოა ალტერნატიულ სტრატეგიებსაც მიმართავდეს. ჩვეულებრივ, გონება ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობათა მწარმოებელია, ამიტომ კულტურის როლი მნიშვნელობის წარმოებაში უკეთ გასაგები ხდება მაშინ, როცა კულტურას პირობით რესურსთა იმგვარ წყებად წარმოვიდგენთ, რომლებიც ადამიანების მიერ სხვადასხვაგვარად გამოიყენება. გარდა ამისა, ანალოგიური სქემატიზაცია უზრუნველყოფს იმგვარ აღქმადი და რეგულირებადი გამოცდილებების სამყაროში ცხოვრებას.

ამრიგად, გონების ეთნოგრაფიულ კოგნიტურ თეორიაში (Shore, 1996) მოცემულია რამდენიმე ფუნდამენტური წანამძღვარი, რომელიც კულტურული კოგნიციის საინტერპრეტაციო მოდელს ქმნის, კერძოდ:

[28] ავტორს ამის მაგალითად მოჰყავს პიტერ ლოურენსის კლასიკური კვლევა კარგოს კულტის შესახებ ახალ გვინეაში, რომელიც პირველყოფილი ფუნდამენტური სქემის (ცოცხელბსა და წინაპრებს შორის კავშირის შესახებ) თანდათანობით ცვალებადობას აჩვენებს. ამ შემთხვევაში, კონკრეტული მოვლენები (ქეისები), ასოცირებული მეორე მსოფლიო ომთან, თანდათან ცვლიან ბევრ ლოკალურ კულტურულ მოდელს (სიმდიდრის, ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის ახლებური კავშირის შესახებ), ვინაიდან ახლებური სამყაროს აღქმა შეუძლებელი ხდება ძველი სქემის მეშვეობით და იქმნება ახალი სქემა მათი ცხოვრების ახალი მდგომარეობის ახსნისთვის Lawrence, (1964).

- კულტურისა და გონების ერთმანეთთან დაკავშირება გულისხმობს ორგანიზაციის განსხვავებულ დონეებზე არსებული კონცეპტების დაკავშირებას;
- ორგანიზაციის განსხვავებულ დონეებზე (ნერვული, კოგნიტური, სოციალური) არსებულ მოდელებს შორის ფუნდამენტურ მსგავსებებს განსაზღვრავს ანალოგიისებრი სქემატიზაციის მექანიზმი;
- სტუქტურულ პარალელიზმს მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს, რამდენადაც ის ვერ ხსნის იმ შესაძლო ტრანსფორმაციებსა და ტრანსდუქციებს, რომლებიც ჩნდება ნერვულ ქსელებსა და კულტურულ მოდელებს შორის;
- ანალოგიისებრი სქემატიზაციის, როგორც დამაკავშირებელი პროცესის ყველაზე საუკეთესო ნიმუშია უმაღლესი დონის ორგანიზაციაში არსებული გამოცდილებისეული მოდელები (ინსტიტუციური მოდელები, კონცეპტები).
- პარალელური გადამუშავების კონექციონისტური მოდელები დაბალი და მაღალი დონის მოდელებს შორის პირდაპირი კავშირის ილუსტრირებას ახდენს, კერძოდ, პატერნთა შორის დინამიკური კავშირისა (ინდექსირებისა და ტრანსფერისა), ამიტომ მათ მიმართავენ უმდაბლეს და უმაღლეს დონეებს შორის მოდელირების ასახსნელად;
- სქემის ინდუქცია ასახავს ცენტრალური კულტურული კოგნიციისთვის მნიშვნელოვან საშუალო დონის მოდელირების პროცესს;
- ანალოგიები შეიძლება კონსტრუირდეს ანალიტიკურად, რთული დახარისხების პროცესების მეშვეობით. სიტუაციები, რომელთა მეშვეობითაც ანალოგიის ფორმირების ანალიტიკური მოდელები ჩნდება, უნდა შევისწავლოთ იმ სიტუაციებთან მიმართებაში, სადაც ანალოგიები ინტეგრალური გადამუშავების მეშვეობით იწარმოება;
- პირველადი არის (source domain) სირთულის დონემ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ანალოგიის ფორმირების სტრატეგიაზე. უმარტივეს და ურთულეს პირველად არეს შეუძლია გამოიწვიოს როგორც არაანალიტიკური, ისე ინტეგრალური გადამუშავება; საშუალო დონის სირთულის პირველადი არე ააქტიურებს ანალიტიკურ სტრატეგიებს;

- ანალოგიის ფორმირება შეიძლება აღიწეროს ორგანიზაციის განსხვავებულ დონეებზე, მარტივი ნევროლოგიური პატერნის ძიებიდან მაღალი დონის კონცეპტებამდე (კულტურული მეტაფორებით და ფუნდამენტური სქემებით);[29]
- ანალოგიის ფორმირების მაღალი დონის პროცესები ცენტრალურია კულტურული კოგნიციისთვის. ანალოგიური სქემატიზაცია ვლინდება კულტურული მოდელებისა და ფუნდამენტური სქემების ინტერაქციის მრავალფეროვანი ვარიაციებით. 6 ტიპის შესაძლო ტრანსფერში ქეისებს, მოდელებსა და სქემებს შორის კავშირების დამყარების პროცესები ათვალსაჩინოებს კომპლექსურ გზებს, რომელთა მეშვეობთაც ანალოგიის ფორმირება მართავს კავშირებს სპეციფიკურ გამოცდილებებს, კულტურულ ფორმებსა და მენტალურ რეპრეზენტაციებს შორის;
- კონვენციური მოდელები გამოიყენება ანალოგიისებრი სქემატიზაციის წყაროდ, აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის კონსტრუირება კულტურული და სოციალური პროცესია;
- ანალოგიური სქემატიზაცია არ არის პასიური კავშირების დამყარების პროცესი. ეს არის მნიშვნელობის მაძიებელი აგენტის ინტენციონალური აქტივობა. ანალოგიები კონსტრუირდება და არ ხდება მათი აღმოჩენა. კონვენციური მოდელები გონების ნაწილი ხდება შემოქმედებითი და მყისიერი აქტივობებით, ამდენად, არ წარმოადგენს დეტერმინირებულ და პასიური რეპლიკაციის პროცესს.

[29] ვერნერმა და კაპლანმა აღწერეს პირველადი ანალოგიისებრი სქემატიზაციის სახე, რომელიც მართავს სიმბოლოს ფორმირებას და სიმბოლოს ფსიქოლოგიური მნიშვნელობით აღჭურვავს. მისი ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ სიმბოლოს აშორებს პირობითობას.

2.5. კულტურული მოდელების სკოლა და განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლა

როგორც პირველ თავში ვნახეთ, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისათვის, როგორც ტრანსდისციპლინური სამეცნიერო სფეროსთვის, პრაქტიკას წარმოადგენს განსხვავებულ თეორიულ კონცეფციათა ძიება, გამოყენება თუ სინთეზი. სწორედ ამიტომ, სადისერტაციო კვლევის პირველ ეტაპზე, რელევანტური თეორიული კონცეფციების დამუშავებისას, გვერდს ვერ ავუვლიდით ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას. კერძოდ, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა დ. უზნაძის განწყობის თეორია და მისი დამუშავების შედეგად ამ სკოლის ფარგლებში აღმოცენებულ კონცეფციათა თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის სამეცნიერო კონტექსტში. ცხადია, ამ საკითხთა სრულყოფილი შესწავლა მოცემული სადისერტაციო კვლევის ფოკუსს არ წარმოადგენს. ამიტომ ჩვენს მიერ ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით მოკრძალებულად შევეცდებით იმ არეების შემოსაზღვრას, რომლებშიც ქართული ფსიქოლოგიური სკოლა ფსიქოანთროპოლოგიურ საკითხთა ახლებური ანალიზის პერსპექტივებს აჩენს.

მოკლედ წარმოგიდგენთ ჩვენი კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოსთვის რელევანტურ რამდენიმე საკითხს, რომლებიც პერსპექტიულად მიგვაჩნია ქცევის ფსიქოანთროპოლოგიური მექანიზმის დახასიათებისათვის. პირველ რიგში, საკითხი ეხება განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასა და კულტურული მოდელების ამერიკული სკოლის კონცეფციების შედარებას.

როგორც ვნახეთ, კულტურული მოდელი/სქემა კოგნიტური ორიენტაციის მეცნიერებებისათვის ერთ–ერთი ცენტრალურ კონცეპტია, რამდენადაც იგი კულტურული ცოდნის ორგანიზაციულ ელემენტად განიხილება. ნიშანდობლივიცაა, რომ თანამედროვე კვლევებში კულტურის, როგორც ინტრა და ექსტრა ფსიქიკური მოცემულობის მთლიანობითი შესწავლა ეფუძნება კულტურის შესახებ არსებული ცოდნის იმგვარ რეკონცეპტუალიზებას, სადაც მისი (კულტურის) სპეციფიკის

განმსაზღვრელ არსებით ფაქტორად გაზიარებული ცოდნის სტრუქტურა მიიჩნევა. სამეცნიერო დისკურსს ქმნის კულტურული აღწერილობების ინტერპრეტაცია მათი ფსიქიკური კორელატების აღმოჩენა/აღწერის გზით. გარკვეული გამარტივებით, აქტუალურია იმგვარი თეორიული კონცეფციების გამოყენება, რომლებიც კოდირების პირველად (ყველაზე დაბალ) დონეზე კულტურულ–სენსორულ გამოცდილებასა და კოგნიტურ პროცესებს ერთმანეთთან დააკავშირებს. სწორედ ამგვარი მცდელობებითაა შესაძლებელი კულტურასა და გონებას შორის არსებული დიალექტიკური კავშირის დადასტურება და, შედეგად, დიქოტომიის – კულტურა//გონება – დაძლევა. მცდელობათა მიუხედავად, ჭირს იმგვარი მექანიზმის აღმოჩენა/შერჩევა, რომელიც ადამიანის ყოველგვარი ქცევისა და საფუძველმდებარე ფსიქიკური პროცესების მუშაობის ამხსნელად გამოდგება. ამ კონტექსტში ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისათვის უდავოდ საინტერესოა ზოგადფსიქოლოგიური თეორიები, რომელთა პრეტენზიის საგანსაც სწორედ ადამიანის ყოველგვარი ფსიქოფიზიკური აქტივობის მექანიზმების დადგენა წარმოადგენს.

დ. უზნაძე და განწყობის ფსიქოლოგია. დიმიტრი უზნაძე XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა ფსიქოლოგიის კლასიკოსი და ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელია (O'Connor, 1966; McLeish, 2016).

დ. უზნაძე ორიგინალური თეორიის ავტორია, რომელიც – განწყობის[30] ფსიქოლოგიის სახელითაა ცნობილი. განწყობის თეორია ზოგადფსიქოლოგიური თეორიაა, რასაც ადასტურებს თეორიის სისტემატოლოგიური ანალიზი მეტაგანზომილების მიხედვით (ქოჩორაძე, 1993). თეორიის არსებითი ფოკუსი ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის კანონზომიერებათა დადგენა და მისი ფსიქოლოგიური მექანიზმის ახსნა/დახასიათებაა. ადამიანის ქცევის სრულყოფილი მექანიზმის დახასიათებისთვის, უზნაძის მიხედვით, არსებითია აქცენტის დასმა არა ცალკეულ ფსიქიკურ ფუნქციებზე, არამედ ამ

[30] Set ინგლისურად; Einstellung გერმანულად; Attitude ფრანგულად.

ფუნქციების მქონე აქტიურად მოქმედ ქცევის მთლიან სუბიექტზე – ადამიანზე (უზნაძე, 1977).

კულტურული მოდელების ამერიკული ფსიქოანთროპოლოგიური სკოლისა და განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონცეფციებში ხშირ შემთხვევაში იმპლიციტურად ნაგულისხმევი ჭარბი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობის ცნებების შედარებით–თეორიული ანალიზი ათვალსაჩინოებს რამდენიმე საერთო მომენტსა და ორიგინალურ შეხედულებას, რომელთა თავსებადობაში მოყვანის გზებიც საინტერესო ფსიქოანთროპოლოგიური კონცეფციის შექმნის პერსპექტივას ქმნის. ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე საყურადღებო თეზისს.

1. დიქოტომიების – ფიზიკური//ფსიქიკური, გონება//სხეული დაძლევა გაშუალებული ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისით.

დ. უზნაძის განწყობის თეორია ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ მცდელობას წარმოადგენს, რითაც ის ეხმიანება თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას გონება//კულტურის დიქოტომიის დაძლევასთან დაკავშირებით.

დიქოტომია ფსიქიკური//ფიზიკური - ესაა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ფუნდამენტური ფილოსოფიური პრობლემა. დ.უზნაძე უპირისპირდება რა უშუალობის პრინციპზე დამყარებულ ფსიქოლოგიურ თეორიებს, ამ დაპირისპირების საფუძველზე იწყებს ახალი ფსიქოლოგიური სისტემის აგებას, რომელშიც აღნიშნული დიქოტომიები (ფსიქიკური//ფიზიკური, გონება//სხეული) დაძლეულია გაშუალებული ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისის თანახმად, კავშირი როგორც ფიზიკურსა და ფსიქიკურს, ისე თითოეული მათგანის ფარგლებში გაშუალებულია მაორგანიზებელი ინსტანციის მეშვეობით, რომელსაც ავტორი

განწყობას უწოდებს.[31] შესაბამისად, განწყობა განიხილება ფსიქიკურისა და ფიზიკურის ამსახველ/მაინტეგრირებელ/მაორგანიზებელ ინსტანციად, რომელიც განსაზღვრავს რა ფსიქიკის/ადამიანის კონტექსტურ (სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შესატყვის) მოდიფიკაციას, უზრუნველყოფს აქტივობისთვის საჭირო მზაობის შექმნას და საფუძვლად ედება მიზანშეწონილ ქცევას.

2. ფიქსირებული ფსიქიკური წარმონაქმნები ადამიანის გამოცდილების მაორგანიზებელად მიჩნევა.

გარკვეულ განწყობებს შესაბამის პირობებში უნარი აქვთ, იქცნენ ფიქსირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებად (ფიქსირებულ განწყობებად); ისინი უზრუნველყოფენ ქცევის განხორციელებას ან მონაწილეობას იღებენ ყოველი ახალი აქტივობისთვის საჭირო განწყობის შექმნაში. თეორიაში მოცემულია ამ წარმონაქმნთა მეშვეობით კულტურული ინფორმაციის შეთვისების, შენახვისა და გადაცემის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სოციალიზაციის მიზნებს; ეს მექანიზმი ადამიანის გამოცდილების მაორგანიზებელ ფუნქციას ასრულებს.

3. გონებასა და სამყაროს შორის უწყვეტი დიალექტიკური კავშირის დადასტურება.

განწყობის თეორიაში ადამიანი წარმოდგენილია გარკვეული ფიქსირებული განწყობების ანაკრების სახით, რომლებიც მუდმივ ინტერაქციაშია ქცევის კონტექსტურ - სუბიექტურ (მოთხოვნილებისეულ) და ობიექტურ (გარემოს) ფაქტორებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილი ქცევისთვის საჭირო ფსიქიკური წარმონაქმნები ნარჩუნდებიან ან განიცდიან შესაბამის მოდიფიკაციას. ფიქსირებულ ფსიქიკურ წარმონაქმნებში ასახულია ადამიანის გამოცდილება, რომელიც ყოველთვის

[31] როგორც მკვლევარი ბ. ქოჩორაძე აღნიშნავს, ამგვარი შეხედულება ეპისტემოლოგიაში ნიშნავს ნეიტრალურ მონიზმს, ხოლო ონტოლოგიაში – ონტოლოგიურ პლურალიზმს ქოჩორაძე, ბ. (1993). ნეიტრალური მონიზმისადმი ინტერესი ბოლო ხანებში განახლდა, რაც შეიძლება განვიხილოთ იმ ზოგადი მოძრაობის ნაწილად, რომელიც ცდილობს ცნობიერების მეტაფიზიკაში შესაძლო პარამეტრების აღმოჩენას – ამ მოძრაობას ტრადიციული შეხედულებების გადაულახავი პრობლემებიც ასაზრდოებს. დევიდ ჩალმერი შრომაში – „პანფსიქიზმი და პანპროტოფსიქიზმი“ Chalmers, (2015) ნათლად აჩვენებს თანამედროვე ფილოსოფოსების მცდელობებს, აითვისონ ნეიტრალური მონიზმის უყურადღებოდ დატოვებული არეები (იხ., Sayre, 1976; Ladyman and Ross, 2007; Fredkin, 2003; Lloyd, 2006; Tegmark, 2014).

კონკრეტულ სოციოკულტურულ ველში ფორმირდება. ფსიქიკური აქტივობის ყველა დონეზე ადამიანის აქტივობა სოციოკულტურულადაა განსაზღვრული, რამდენადაც ინდივიდის სოციოკულტურული გამოცდილება თავს იჩენს აქტივობის ყველა დონეზე (ნადირაშვილი, 1985).

4. გამოცდილების ორგანიზაციაში იერარქიული სტრუქტურისა და მათი მოქმედების მოქნილი/დინამიკური მექანიზმის დადასტურება.

განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონცეფციებში დასტურდება არაცნობიერი განწყობის სპეციალური ფიქსირებული სახეობები, რომელსაც დისპოზიციური განწყობების სახელით მოიხსენიებენ (ნადირაშვილი, 1985; ნადარეიშვლი, 2013). ამგვარი ფიქსირებული წარმონაქმნები განწყობათა სტრუქტურას ქმნიან და აქტუალობის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.[32] მიუხედავად იმისა, რომ დისპოზიციური განწყობა წარსული გამოცდილების საფუძველზე იქმნება და წარსულისვე ორგანიზებას უზრუნველყოფს, პერმანენტული აქტუალობის მდგომარეობაში ყოფნის გამო ის გამუდმებით ახდენს პროგნოზირებას და ეძებს ვითარებებს/ფაქტორებს, რომელთა მეშვეობითაც სიტუაციურ განწყობად ტრანსფორმირდება და მომავალში რეალიზებას შეძლებს. ნათქვამის გათვალისწინებით, ის უფრო მეტად შეჭიდულია მომავალთან, ვიდრე წარსულთან. შესაბამისად, დისპოზიციური განწყობის მეშვეობით დაშვებულია იმგვარი ფიქსირებული წარმონაქმნების არსებობა, რომელიც პროსპექტული აქტივობის მიმართულობას განსაზღვრავს და, შედეგად, ქცევის პროგნოზის შესაძლებლობებს აფართოვებს.

თუკი ფიქსირებული განწყობებით გამოცდილების ორგანიზება ხდება, ხოლო ამგვარი გამოცდილებები დისპოზიციურ განწყობათა მეშვეობით ლაგდება,[33] მაშინ გასაგებია, რომ დისპოზიციური განწყობები, შემოსაზღვრავს რა ერთსა და იმავე კულტურულ

---

[32] აღნიშნული თავისებურებებით იგი ყველაზე ახლოს დგას პიროვნული ნიშნის ცნებასთან. "*ათითუდი* და *პიროვნული ნიშანი* შეუცვლელი ტერმინებია ფსიქოლოგიისთვის. მათ შორის ისინი ფარავს არსებით დისპოზიციებს, რომლებთანაც პიროვნების ფსიქოლოგიას აქვს საქმე" (Allport, 1961, 348).

[33] გონების კოგნიტურ–ეთნოგრაფიულ თეორიაში, ამგვარი დისპოზიციური განწყობის შინაარსის აღმწერ ტერმინად გამოიყენება „ფუნდამენტური სქემა".

თემას, ქმნის მნიშვნელობათა სპეციფიკურ ველს/“ზონას”. აღქმის მასალის (კონკრეტული სტიმულების) აღნიშნულ ველში/“ზონაში“ მოხვედრა, შეიძლება საფუძვლად დაედოს მნიშვნელობის შექმნის პროცესს.[34] ამ კონტექსტში საინტერესოა განწყობის თეორიაში აღწერილი ადაპტაციური მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც სიტუაციისა და ქცევის საშუალებების გარკვეული ზომით ცვლილების შემთხვევაში მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებაა უზრუნველყოფილი. ამგვარ ცვლილებათა ზონას ასიმილაციის ზონა ეწოდება. მასში მსგავსი მოვლენები ერთ კლასში ერთიანდება და ერთსა და იმავე საგნებად განიცდება. კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული რეაქციებიც მსგავს მოვლენათა მთელი კლასის მიმართ ზოგადდება. მრავალი გამღიზიანებლით სავსე სინამდვილის ასეთი კლასიფიცირება, სწორედ ეს, მისი ერთგვარი გამარტივება უადვილებს ადამიანს ადაპტაციას (ნადირაშვილი, 1985).

აღნიშნულს ამყარებს დისპოზიციური განწყობების ზემოთხსენებული სპეციფიკური თავისებურება – მათი მუდმივი აქტუალურობა. ისინი არა მხოლოდ მუდმივ მზაობაში არიან რეაქციისათვის, არამედ თავად მოიძიებენ ან ქმნიან შესაბამის სტიმულებს, რათა კვლავ და უფრო მაღალი ხარისხით განახორციელონ აქცია. დისპოზიციურ განწყობას (პიროვნებას) აქტუალურობას უნარჩუნებს ყველაფერი, რაც მის ღირებულებათა სისტემასთანაა დაკავშირებული, შესაბამისად იგი ურთიერთობს მის გარეთ, სოციუმში მიმდინარე ყველა მოვლენასთან და სხვა სოციალური სუბიექტების მოთხოვნილებებთან. სწორედ ამიტომ არის/უნდა იყოს ის მუდმივად ღია და აქტიური/აქტუალური. ასეთი დონის „ღიაობას“, სწორედ ძლიერი დისპოზიციის არსებობა აპირობებს. ფაქტობრივად, ღირებულებების (უფრო ზოგადად, ნორმების) მეშვეობით პიროვნება თავის თავს საზოგადოებასთან, მის მოთხოვნილებებთან და მიზნებთან აიგივებს და ყველაფერს არა საკუთარი, არამედ საზოგადოების მოთხოვნებიდან, ინტერესებიდან გამომდინარე ასახავს, აფასებს და რეაგირებს. სწორედ

[34] მხედველობაში გვაქვს გონების კოგნიტურ–ეთნოგრაფიულ თეორიაში მოცემული მნიშვნელობის შექმნის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მნიშვნელობის შექმნა გულისხმობს განსხვავებულ დონეებზე (მაგ., ფსიქიკურ დონეზე – მენტალური რეპრეზენტაცია და კულტურულ დონეზე – ინსტიტუციური მოდელი) ორგანიზებულ მოდელთა ერთმანეთთან დაკავშირებას.

ამიტომ აქვს მის დისპოზიციას მუდმივი „გარე“ სტიმულაცია, მაგრამ რომელიც მხოლოდ შინაგანი წარმონაქმნის (დისპოზიციური განწყობის) არსებობის შემთხვევაში იძენს აღმძრავ დატვირთვას. დისპოზიციური განწყობის თავისებურება მისი მაფორმირებელი და შემდგომში, აღმძრავი სტიმულების, სხვა სიტყვებით, მიმართულობის და რეალიზაციის ობიექტების დიდი რაოდენობაა – „შორეული მოტივაციის“ მეშვეობით ის დაკავშირებულია არა მხოლოდ წარსულთან (რაც ჩვეულებრივი ფიქსირებული განწყობის სპეციფიკაა) და აწმყოსთან (სიტუაციური განწყობის სპეციფიკა), არამედ მომავალთანაც და შესაბამისად, პრაქტიულად შეუზღუდავია სტიმულების რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ ეს განწყობა მუდმივად აქტუალურ მდგომარეობაში შეინარჩუნონ“ (ნადარეიშვილი, 2010).

აქედან გამომდინარე, დისპოზიციური განწყობის მუდმივი აქტუალურობა და ასიმილაციის ზონის სპეციფიკა შესაძლებელს ხდის აღიწეროს როგორც მნიშვნელობის შექმნის პროცესთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პროცესები, ისე, ზოგადად, კულტურული კონგიციის საფუძველზე ქცევის რეგულაციის მექანიზმი.[35]

გარდა ამისა, ადაპტაციის გამარტივებული მექანიზმის დადასტურებით და დისპოზიციურ განწყობათა ზემოთხსენებულ თავისებურებათა მიღებით, დაცულია ფსიქიკის მუშაობის ეკონომიურობის პრინციპი.

5. კულტურის სუბიექტური და ობიექტური არსებობის დადასტურება და მის საფუძველზე ნორმატიული აქტივობის რეგულაცია.

სოციოკულტურული ღირებულებების საფუძველზე ნორმატიული აქტივობის აღძვრისა და მართვის საკითხები თანამედროვე სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. ფსიქოლოგიის ქართულ სკოლაში აქცენტი კეთდება

[35] უფრო მეტიც, თუკი გავიზიარებით კულტურული მოდელების სკოლის დაშვებას, რომლის მიხედვითაც მნიშვნელობის შექმნა კულტურული მოდელისა და მისი მენტალური რეპრეზენტაციის დაკავშირების მეშვეობითაა პირობადებული, მაშინ ასიმილაციის ზონა (რომელიც მნიშვნელობათა ფიქსირებული წარმონაქმნებისგან – მენტალური რეპრეზენტაციებისაგან შედგება) კულტურული მოდელის „აქტივაციის საზომ“ საშუალებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ეს კონტექსტი განწყობის თეორიის თანამედროვე დამუშავებისთვის ერთ–ერთ საინტერესო მიმართულებად გვესახება.

პიროვნების მთლიანობის მეთოდოლოგიურ პრინციპზე და აქტივობის უზრუნველმყოფელი მექანიზმის ფუნქციონირება დაფუძნებულია ცნობიერი და არაცნობიერი დონის რესურსთა სინერგიაზე. ქცევის განწყობისეული მექანიზმი შესაძლებელს ხდის დახასიათდეს სოციოკულტურულ ღირებულებათა საფუძველზე ნორმატიული აქტივობის რეგულაცია (ნადარეიშვილი, 2013). ამ კონტექსტში საინტერესოა განწყობის სპეციფიკური ფორმის - დისპოზიციური განწყობის მოცემულობა, რომლის თავისებურებადაც ღირებულებათა საფუძველზე ქცევის დეტერმინაცია მიიჩნევა.

თანამედროვე ემპირიული კვლევები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ღირებულებებისა და ნორმების მიმართ. კულტურულ ადაპტაციაზე ზემოქმედი ფაქტორები, იმავდროულად, ინდივიდუალურ ქცევასა და ხასიათზეც ზემოქმედებს. ასეთ, ზეგავლენის მქონე ცვლადებს შორის ღირებულებები გადამწყვეტია; საზოგადოებებში ფართოდ გავრცელებული ღირებულებითი პრიორიტეტები კულტურის ყველაზე ცენტრალური ელემენტებია, ისინი ინდივიდებისთვისაც ისეთ ცენტრალურ მიზნებს ქმნის, რომლებიც ქცევის ყველა ასპექტს ეხება. იმავდროულად, ცვალებად ეკოლოგიურ და კულტურულ კონტექსტში ღირებულებებზე უშუალო გავლენას ახდენს ყოველდღიური გამოცდილება (სურმანიძე, 2001: 58).

ქცევის კულტურული დეტერმინაციის ფსიქოლოგიას ძალიან კარგად აღწერს ჰ. ტრიანდისის მიერ შემოტანილი „სუბიექტური კულტურის“ ცნებაც. ცხადია ქცევის დეტერმინაციის სუბიექტურ (ადამიანისეული) ფაქტორებს თითქმის ყველა ფსიქოლოგიური თეორია ითვალისწინებს, თუმცა მათში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა თავად სუბიექტური ფაქტორების კულტურულ სპეციფიკას. „სუბიექტურ კულტურაში“ კონკრეტული საზოგადოების წევრთათვის დამახასიათებელი ის გზები მოიაზრება, რომლითაც ისინი სოციალურ გარემოს აღიქვამენ. სუბიექტური კულტურის ელემენტებში განირჩევა: კატეგორიები, რწმენები, დამოკიდებულებები, ნორმები, როლები, ამოცანები, ღირებულებები და

ღირებულებითი ორიენტაციები (Triandis, 2002: 2–7). მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღირებულებას, როგორც ქცევის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტორს.

მიუხედავად იმისა, რომ მიზანმიმართული ქცევის კულტურულ-ღირებულებითი ორიენტაციით განპირობებულობა არაერთ მეცნიერს აღუნიშნავს (როგორც აქსიოლოგიურ, ისე ფსიქოლოგიურ და ანთროპოლოგიურ გამოკვლევებში), ქცევის მექანიზმში მისი ერთმნიშვნელოვანი ჩართვა სირთულეებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, საკითხი ეხება ქცევის განმსაზღვრელ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლივ გათვალისწინებას, რაც კულტურის/ღირებულების, როგორც ობიექტური რეალობის და კულტურის/ღირებულების, როგორც ფსიქოლოგიური მოცემულობის აღიარებას მოითხოვს. [36]

ანთროპოლოგიასა და კულტურის მეცნიერებებში ცნება ღირებულება ძირითადად შემოდის როგორც კულტურის ამხსნელი პრინციპი. კულტურის ემპირიულ მეცნიერებებში (ანთროპოლოგიაში) ღირებულება განიხილება ისეთ აბსტრაქტულ ცნებებთან მიმართებაში, როგორიცაა ,,სასურველი'' და ,,მიზანი''. ღირებულების საკითხი ანთროპოლოგიაში დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ კვლევებთან განწყობების, ათითუდების (დამოკიდებულებებების), მოსაზრებების (განსჯების), გრძნობითი მიმართებების, მიზანი/განზრახვის, წინასწარი მზაობის შესახებ. კროსკულტურულ ფსიქოლოგთა თვალსაზრისით, ღირებულებათა სემანტიკა უფრო ძლიერად არის შეჭიდული ზმნასთან ,,უნდა'', ვიდრე ზმნებთან – ,,ყოფნა'' ან ,,მინდა''. აქ ღირებულება, არსებითად, არჩევანის შესაფასებელი სტანდარტის ფუნქციის მქონე განსაკუთრებული სახის განწყობად მოიაზრება (სურმანიძე, 2010: 90).

[36] აღსანიშნავია ისიც, რომ ფილოსოფიაშიც ღირებულების ცნების ორგვარი გაგება არსებობს: სუბიექტივისტური და ობიექტივისტური. სუბიექტივისტური თვალსაზრისით, ღირებულება შეჭიდულია სურვილთან, მოთხოვნილებასთან. ღირებულების წყარო სუბიექტია - ადამიანია, ან ადამიანთა ერთობლიობაა. ობიექტივისტური თვალსაზრისით, არსებობს რეალობიდან სავსებით დამოუკიდებელი ღირებულებათა თავისთავადი სამყარო, რომელსაც აუცილებელი მიმართება სუბიექტთან არა აქვს, აღიარებს ღირებულებათა დამოუკიდებლობას და უარყოფს მათ სურვილებზე დაყვანას (ყულიჯანიშვილი, 2009: 110)

ამრიგად, აშკარაა, რომ ქცევის სრულყოფილი მექანიზმის დასახასიათებლად აუცილებელია ღირებულების სუბიექტური და ობიექტური მოცემულობების გათვალისწინება. თუმცა, ფსიქოლოგია, რომელიც ქცევის აღმძვრელ ინსტანციად, არსებითად, ფსიქიკურს განიხილავს, ორიენტირებულია მოთხოვნილების მნიშვნელოვნების წარმოჩენაზე (სადაც მოთხოვნილების ღირებულებითი, კულტურული საფუძვლები ძირითადად მიჩქმალულია); ხოლო ანთროპოლოგია - პირიქით, ქცევის დეტერმინაციაში წამყვან როლს ობიექტურ კულტურულ ღირებულებებს ანიჭებს ისე, რომ ქცევის აღძვრისთვის საჭირო ფსიქიკური ინსტანცია გამოტოვებულია. როგორც მკვლევარი ვ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, ფსიქოლოგიაში ხშირად ღირებულება მოთხოვნილების ცნებით იმიტომ ნაცვლდება, რომ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ღირებულების შინაარსი მხოლოდ მოთხოვნილების ობიექტად გადაქცევის შემთხვევაში ატარებს აქტივობის დეტერმინაციის ფუნქციას/უნარს. ეს ნიშნავს, რომ ყველა აქტივობას, ცხადია, საფუძვლად მოთხოვნილება უდევს, ოღონდ ზოგიერთი მოთხოვნილების დამკმაყოფილებელი შესაძლოა სპეციფიკური იყოს: ა) უაღრესად ზოგადი (სიკეთის სამსახურის მოთხოვნილება); ბ) დროში არაშემოფარგლული, ანუ დაკმაყოფილების საბოლოო განსაზღვრული ვადის არმქონე, რომლის შემდეგაც მოთხოვნილება განილეოდა; გ) სტიმულთა განუსაზღვრელი არეალის მქონე (ორიენტაცია მთელი კაცობრიობისათვის სიკეთეზე და შესაბამისად ნებისმიერი მისი წარმომადგენლის პრობლემებით სტიმულაცია). სწორედ ასეთი მახასიათებლების მქონეა ღირებულება (ნადარეიშვილი, 2013). განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევა გაშუალებულია სამი ფაქტორის (მოთხოვნილება, სიტუაცია, ოპერაციული შესაძლებლობები) თანხვედრის შედეგად ფორმირებული ოთხკომპონენტიანი (კოგნიტური, შეფასებითი, აფექტური, კონატური) ფსიქიკური წარმონაქმნით - განწყობით. შესაბამისად, აღნიშნული ქცევის მექანიზმში ბუნებრივად არის ჩართული ქცევის კულტურული დეტერმინანტი - ღირებულება, როგორც ფაქტორების, ისე კომპონენტების დონეზე. უფრო მეტიც, როგორც, მკვლევარი ვ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, განწყობა თავად არის აქტივობის პატერნთა და სოციოკულტურულ ღირებულებათა მენტალური არსებობის ფორმა,

რომლითა მეშვეობითაც ნორმატიული აქტივობა ხორციელდება (ნადარეიშვილი, ვ. 2013). განწყობის თეორიაში ჯერარსი დამოუკიდებელი განწყობის სახით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ დისპოზიციური განწყობის კოგნიტური კომპონენტია. დისპოზიციური განწყობის საფუძველზე იქმნება სიტუაციური განწყობა, ყოველი კონკრეტული შეფასება/არჩევანისთვის იგი თავსებადობაში უნდა მოვიდეს დისპოზიციურთან. ამიტომაც „უნდა“ – თავსებადობის აუცილებლობაა. დისპოზიციური და სიტუაციური განწყობის არათავსებადობის შემთხვევაში სიტუაციური განწყობა ნორმატიულ აქტივობას ვერ განსაზღვრავს.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, განწყობის კონცეფციებში საუბარია იმგვარ ფსიქიკურ მოცემულობაზეც (დისპოზიციური განწყობა), რომელიც ღირებულებათა მუდმივი რეალიზების მექანიზმს წარმოადგენს. კვლავ ვ. ნადარეიშვილს დავიმოწმებთ: დისპოზიციური განწყობის შემთხვევაში რეაქტუალიზაცია უზრუნველყოფილია „პირადისა და აქტუალურის გარეთ არსებული მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების“ მეშვეობით, ანუ, პრაქტიკულად, მოვლენათა შეუზღუდავი წრით, ე.ი. მუდმივად. უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალური ინტერაქცია (ახალი ინფორმაცია, საზოგადო პრობლემები, ანუ სოციალური და არა პერსონალური ველის მოთხოვნილებები/მოთხოვნები) წარმოადგენს დისპოზიციის რეალიზაციისაკენ მუდმივი სტიმულირების სოციალურ, გარეგან წყაროს (მაგრამ, ცხადია, იმდენად, რამდენადაც შესაბამისი პერსონალური დისპოზიციები არსებობენ, ანუ რაოდენია სოციალურის ინტერნალიზაციის ხარისხი და უნარი). გარკვეული პირობითობით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ღირებულებები წარმოადგენს სხვათა, მრავალთა, საზოგადოებრივი ერთობის მოთხოვნილებით დამოკიდებულებას რაღაც საერთოს მიმართ და ეს საერთო, ანუ მოთხოვნილებითი მიმართულობის ობიექტი, ზოგადობისა და აბსტრაგირებულობის უმაღლესი ხარისხითაა მოცემული... დისპოზიცია, როგორც მზაობა, ესწრაფვის რა რეალიზაციას, საამისოდ აუცილებელი ასპარეზის ძიების აქტივობას ასტიმულირებს. ძიების შედეგად აღმოჩენილი/მოპოვებული ობიექტის/მოვლენის სიტუაციური განწყობის ფაქტორად

გამოყენების შემდეგ კი უკვე რეალურ აქტივობაში ხორციელდება თავდაპირველი მოთხოვნილების, ანუ დისპოზიციურ მდგომარეობაში მყოფი განწყობის რეალიზაცია... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღირებულება ხელს უწყობს დისპოზიციის ჩამოყალიბებას (ცნობიერი სივრციდან არაცნობიერისაკენ მოძრაობა, ტრანსფორმაცია), ხოლო, თავის მხრივ, დისპოზიცია ხელს უწყობს ღირებულების (მისი შესაბამისი აქტივობის) შენარჩუნებას[37]. ყოველივე ეს თავის მხრივ აუცილებელია აქტივობის მარეგულირებელი ფუნქციის - ორიენტირის (მიმართულება) და მასზე დინამიკური მიმართულობის შენარჩუნებისათვის (ნადარეიშვილი, 2013).

განწყობის მექანიზმის უპირატესობად ისიც უნდა ვიგულვოთ, რომ კულტურით განსაზღვრული ქცევის ახსნისათვის თეორიაში ცნობიერი (ნებელობა) და არაცნობიერი (დისპოზიციური განწყობა) დონის რესურსთა სინერგიაზეა საუბარი. „ცნობიერი და არაცნობიერი თვითრეგულირების კომბინაციის არსებობა კი აუცილებელი წინაპირობაა სოციალურისა და პიროვნულის თავსებადობისა და დაბალანსებისა“ (ნადარეიშვილი, 2007:128).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, განწყობის თეორიაში მოცემულია მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კულტურის ფსიქიკის განზომილებად წარმოდგენაა შესაძლებელი, შედეგად კი კულტურული ინფორმაციის/ღირებულებების მეშვეობით ნორმატიული აქტივობის რეგულაცია ფსიქოანთროპოლოგიურადაა დადასტურებული.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურული მოდელების ამერიკული ფსიქოანთროპოლოგიური სკოლისა და განწყობის ქართული ფსიქოლოგიური სკოლის

---

[37] „ითვლება, რომ სოციალური სისტემის ერთ–ერთი, ე.წ. ლატენტური, ფუნქცია (Parsons, 1970), რომელსაც ზოგადად კულტურა (და, მათ შორის, სამართლებრივი კულტურა) უზრუნველყოფს, ღირებულებების და ნორმების შენარჩუნებასა და მიმღებლობაში მდგომარეობს. ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არა კულტურული პატერნების შემადგენლების საკუთრივ შენახვა, არამედ მათი მამოტივირებელი დატვირთვის, მათდამი აფექტური დამოკიდებულების შენარჩუნება, ან, სხვანაირად, მათზე ორიენტირებული ფსიქიკური წარმონაქმნების და პროცესების (მაგ. “Motivational Dispositions” (Allport, 1961) ან „Dispositional sets“ (Uznadze, 1964) ქმედითობის შენარჩუნება და გაძლიერება. ცნობილია, რომ დისპოზიციის, ათითუდის, პიროვნული დისპოზიციის და პიროვნული ნიშნის მიმართებისა და მათი ფუნქციების განსხვავების შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს . არსებობს, აგრეთვე, ფსიქოლოგიის საქართველოს სკოლის პოზიციიდან დისპოზიციური განწყობის ცალკეული ასპექტების დამუშავების მცდელობები“ (Nadareishvili, 2018, *ხელნაწერის უფლებით*).

თეორიული ანალიზი ათვალსაჩინოებს განწყობასა და კულტურულ მოდელს შორის არსებულ ფუნდამენტურ მსგავსებებს. ამასთანავე, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონცეფციებში მოცემულია რამდენიმე ორიგინალური შეხედულება, რომელთა შესაბამისი დამუშავებაც საინტერესო ფსიქოანთროპოლოგიური კონცეფციის შექმნის პერსპექტივას ქმნის.

ამას გარდა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კონცეფციები შესაძლებლობას აჩენს დაძლიოს კოგნიტივიზმისთვის დამახასიათებელი მექანიციზმი და შეავსოს ის ფსიქოლოგიური სიცარიელე, რომელიც დაშვებულია, მაგრამ გამოტოვებულია კულტურული მოდელების სკოლის კონცეფციებში.

ჩემი აზრით, კულტურული მოდელის/სქემის საპირწონედ, რომლის დიალექტიკაშიც წამყვანია კოგნიტურ პროცესთა არქიტექტონიკის აღწერილობა, განწყობის თეორიაში შემოთავაზებულია ქცევის იმგვარი ფსიქოანთროპოლოგიური მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს ხდის დახასიათდეს და აღიწეროს დინამიკური და მობილური ფსიქოლოგია, რომელსაც ადამიანი ამჟღავნებს როგორც აქტუალგენეზში, ისე ონტოგენეტურ და ფილოგენეტურ განვითარებაში.

თავი III. - ფოლკლორი და ადაპტაციური ქცევა

3.1. ენობრივი კულტურული მოდელები და ქცევა

კოგნიტურ ანთროპოლოგთა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ვერბალიზებულ და განხორციელებულ ქცევას შორის კავშირის კვლევა. დ. ჰოლანი და ნ. ქვინი ნაშრომში - „კულტურული მოდელები ენასა და აზროვნებაში“ აცხადებენ, რომ კულტურულ მოდელებსა და ქცევას შორის არ არის პირდაპირი და მარტივი კავშირი. „კულტურული მოდელები, რომელთა შესახებაც ადამიანთა ნათქვამის შესაბამისად ვასკვნით, მათ ქცევასთან კომპლექსურ კავშირშია. ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ამ კავშირის ბუნების დაზუსტებას. ვფიქრობთ, რომ პირველი არსებითი ნაბიჯია იმის ჩვენება...თუ როგორ ახდენს კულტურული მოდელები გამოცდილების კონსტრუირებას, გამოცდილებისა და შედეგის ინტერპრეტაციას და ქცევისათვის მიზნის განსაზღვრას. თუკი ინტერპრეტაცია და მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნა ქმედებას იწვევს, მაშინ აქტორისეული კულტურული გაგება მის მიზანსაც განსაზღვრავს“ (Holland, 1987: 4). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული მსჯელობა „ქცევის“ დაზუსტებასაც საჭიროებს. გარკვეული უტრირებით, დამოწმებულ ავტორთათვის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აზროვნებაც ქცევაა. ცხადია, ქცევის ამგვარი გამარტივებული გაგება არ იძლევა საშუალებას მენტალური და ფიზიკური ქცევის მთლიანი კომპლექსის სრულყოფილი შესწავლისათვის.

როგორც ნ. ქუინი და დ. ჰოლანდი აღნიშნავენ, კულტურული ცოდნა არ არის სათანადოდ შესწავლილი „რეპრეზენტაციული“ და „ოპერაციული“ (მოქმედებასთან დაკავშირებული დ.ჩ.) ცოდნის კონტექსტში, როგორც „მოდელები რაღაცისა/models of“ და „მოდელები რაღაცისათვის/models for“.

ავტორთა მიხედვით, ერთი და იმავე ბრძანების/ინსტრუქციის საფუძვლად მდებარე კულტურული მოდელები მრავალფეროვანი კოგნიტური ამოცანების შესასრულებლად გამოიყენება. ეს კულტურული მოდელები დროდადრო განსხვავებულ მიზნებს

ემსახურება, მათ შორის: სამოქმედო მიზნის განსაზღვრა, გამოთქმული მიზნების საფუძველზე გეგმის შედგენა, მიზნების აქტუალიზაცია, სხვების ქცევებისა და მიზნების გაგება და ვერბალური ქცევის წარმართვა, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა როლს თამაშობს ზემოთხსენებული ამოცანების შესრულებასა და მომხდარის შედეგის ინტერპრეტაციაში. ადამიანების მიერ განხორციელებულ და ვერბალიზებულ ქცევას შორის კომპლექსური კავშირია. მოსაუბრეები ძალიან ხშირად წამოიწყებენ ხოლმე რთულ და მრავალმიზნიან ამოცანებს, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს მათ მიერ ვერბალიზებულს (Holland, 1987: 4-5). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მაგ., ბ. შორისათვის კულტურული მოდელები არ ამოიწურება მხოლოდ ლინგვისტური მოდელებით. მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტურ მოდელებს განსაკუთრებული როლი აქვთ ქცევის დეტერმინაციაში, ბ. შორი მათ არ განიხილავს ქცევის განმსაზღვრელ ერთადერთ მოდელად.

ამრიგად, კოგნიტური ანთროპოლოგების განსაკუთრებულმა ინტერესმა ლინგვისტური ფენომენებისადმი ქცევის შემსწავლელი ნაყოფიერი კონცეფციები წარმოშვა. კოგნიტური ანთროპოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს კვლავაც წარმოადგენს კულტურულ მოდელებსა და ქცევას შორის კავშირის გაგება, შესაბამისად, ამ პრობლემის მიმართ ინტერესი სულ უფრო ძლიერდება.

3.2. ვერბალური ფორმულები, როგორც კულტურული მოდელები: ანდაზები

ანდაზა არის ვერბალური ფორმა, რომელიც ყველა ენაში არსებობს და ყველა სხვა, დიდი თუ მცირე ვერბალური ფორმისაგან განსხვავებული თვითმყოფადი, სპეციფიკური შინაარსის, სტრუქტურისა და აღქმადობის მქონეა (რუსიეშვილი, 2005: 3). ფოლკლორის მკვლევრები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ანდაზებში აკუმულირებულია

ხალხური სიბრძნე (ქურდოვანიძე, 2012). ფოლკლორზე საუბრისას ყოველთვის იგულისხმება ის სოციოკულტურული გარემო, რომლის მეხსიერებასა და ცნობიერებაშიც ის არსებობს. სწორედ ყოფაში აღმოაჩენს ფოლკლორული ცნობიერება მზა მასალას განზოგადების, იდეოლოგიური შეფასებებისა თუ ფსიქოლოგიური დახასიათებებისთვის. ამის გამო ფოლკლორი რეფლექსურ ფუნქციას ასრულებს (სურმანიძე, 2011). ეს თვისებები ე. წ. მცირე ფოლკლორსაც ახასიათებს. იდიომური გამოთქმები _ ფრაზეოლოგიზმები (ხატოვანი გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები) აზრის განზოგადებულობით, სიღრმით, ლაკონიზმით, სტილის დახვეწილობით, ზუსტი გამომხატველობით, ხშირად, მსჯელობის აშკარად გამოხატული მოულოდნელობით ხასიათდება (Фюрстенберг, 1982). მასობრივი აღდგენადობის მოდუსი ფრაზეოლოგიზმებს (იდიომურ გამოთქმებს), სიტყვებსა და აფორიზმებთან ერთად, მოაქცევს ენობრივი, და არა სამეტყველო ერთეულების კატეგორიაში, ამიტომ, როგორც წესი, ისინი ცნობილია ამ ენის ყველა თუ არა, უმრავლესი მატარებლისთვის. გაზიარებული კულტურული გამოცდილების ამსახველი ვერბალური ფორმულები არც კოგნიტური ორიენტაციის მკვლევრებს დარჩენიათ უყურადღებოდ.

ბ. შორმა კულტურული მოდელების კლასიფიკაციაში ერთმანეთისაგან განასხვავა ლინგვისტური და არალინგვისტური მოდელები. ანდაზა ლინგვისტურად კოდირებული მოდელების კატეგორიაში, კერძოდ, ვერბალური ფორმულების თემატურ ჯგუფში ერთიანდება. მისი თქმით, „ვერბალურ ფორმულებში მეტყველების უმაღლეს კონვენციურ ფორმაში ასახულია ტრადიციული სიბრძნე, სპეციალიზებული ცოდნა ან ტაქტიკები. ვერბალური ფორმულების ნიმუშია ანდაზები, გამონათქვამები, ტრადიციული ნარატივები, ლოცვები, წყევლა და საბავშვო სიმღერები“ (Shore, 1996: 56-59).

ბ. შორი ვერბალური ფორმულების, როგორ კლიშეების, რამდენიმე ასპექტზე აკეთებს აქცენტს: კლიშეები კონვენციური ფრაზებია და არსებობს მზა სახით; წარმოადგენს

ყველა მოსაუბრის მიერ დაუფლებულ ლინგვისტურ რესურსს; ავტომატიზებული საპასუხო ნიმუშებია; ამარტივებს საუბარს (Shore, 1996: 58).

როგორც სტილიზებული გამონათქვამები, ანდაზები ყოველდღიურ ცხოვრებაში შეთანხმებულობას/თანაზიარობას ასახავს. ლექსიკონში ანდაზები განმარტებულია, როგორც „ხშირად და ფართოდ გამოყენებული მოკლე, სხარტი გამონათქვამები, რომლებიც გამოხატავენ საყოველთაოდ აღიარებულ სიმართლეს ან ფაქტს“. ჯ. ვაიტი აღნიშნავს, რომ პასუხებმა კითხვებზე – თუ რა არის „საყოველთაოდ ცნობილი სიმართლე“, როგორ არის ის გამოხატული ანდაზებით, როგორ მნიშვნელობს კოგნიტურად და ლინგვისტურად – შესაძლოა ნათელი მოჰფინოს მათ საფუძვლად მდებარე კულტურული მოდელების ორგანიზაციას. ჯ. ვაიტისათვის ანდაზები ინტერპრეტაციას უკეთებს სპეციფიკურ ქცევებს ან მოვლენებს ზოგადი, გაზიარებული მოდელის ფარგლებში. ამასთანავე, ისინი არ წარმოადგენს მარტივ ეკონომიურ დესკრიპციებს. ანდაზები კონცენტრირებულია მორალზე, რამდენადაც აფასებს და განსაზღვრავს ქცევის მიმართულებას და, შედეგად, ხშირად გამოიყენება მორალურ არგუმენტაციაში. ანდაზებში გამოხატული შეფასებები, დამოკიდებულებები, როგორც ქცევის სასურველი მიმართულებით განხორციელების ტენდენციები, ანდაზებს დირექტიული ძალით აღჭურვავს (White, 1987: 151-153).

როგორ ხდება ანდაზით გამოხატული მნიშვნელობის დაკავშირება გამოცდილებისეულ კულტურულ მოდელთან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯ. ვაიტიცა და ბ. შორიც ინფორმაციის ანალოგიურ გადამუშავებას უბრუნდებიან. ამ კონტექსტში კი განსაკუთრებულ ყურადღებას მეტაფორის როლზე ამახვილებენ.

მეტაფორის კოგნიტური თეორიის ავტორები, ლაკოფი და ჯონსონი აღნიშნავენ, რომ ანდაზური გაგების ძირითადი კონცეპტია „მეტაფორული ხატი“. ანდაზათა უმრავლესობის მეტაფორული კომპოზიცია მიუთითებს მათ მნიშვნელოვან დამატებით ფუნქციაზე. საკითხი ეხება კავშირს მეტაფორის კონცეპტუალურ როლსა და ანდაზების პრაგმატულ გამოყენებას შორის. თუკი ზოგიერთი მეტაფორას განიხილავს

აბსტრაქტული კონცეპტების გამომხატველ ხელსაწყოდ (ფიზიკურ გამოცდილებაში ჩაწნული კონცეპტების კონტექსტში), მაშინ ანდაზური გამონათქვამებისთვის მეტაფორული ხატი წარმოადგენს არაჩვეულებრივ ინსტრუმენტს, რომელიც გაზიარებული გამოცდილების საფუძველზე ყველასათვის ცხად პროპოზიციებს ავლენს. შედეგად კი ეფექტურ ინსტრუმენტად წარმოგვიდგება რჩევისა და რეკომენდაციის მისაცემად. როგორც ანდაზები წარმოადგენს ზოგადი მეტაფორული აზროვნების/გაგების განსაკუთრებულ შემთხვევებს. ჯ. ვაიტი მიმართავს მეტაფორული გაგების კარბონელისა და მინტონისეულ აღწერას: შედარება, ანალოგია და მეტაფორა „საღი აზროვნების“ (common-sense reasoning) ერთსა და იმავე კოგნიტურ პროცესს - ანალოგიისებრ აზროვნებას (analogical reasoning) ეფუძნება, რომლითაც ახალი სიტუაციის ინტერპრეტაცია ხდება სხვა, წარსულში გამოცდილი და აღქმული სიტუაციის შესაბამისად. ჯ. ვაიტის თანახმად, ანდაზაზე დაფუძნებული აზროვნებაც (proverbial understanding) შეიძლება ეფუძნებოდეს „ანალოგიისებურ აზროვნებას“. თუმცა, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი შეკითხვაა ის, თუ როგორ ხდება დომენების (იგულისხმება კონკრეტული სოციალური სიტუაციისა და ანდაზაში მეტაფორულად ნაგულისხმევი კულტურული მოდელების) დაკავშირება? როგორ ხდება რელევანტური დომენების იდენტიფიცირება? (White, 1987: 153).

ჯ. ვაიტი ანდაზების ინტერპრეტაციის პროცესს იმგვარ ინტერაქციად განიხილავს, რომელშიც მოსაუბრე სოციალურ სიტუაციას აბსტრაქტული კულტურული მოდელის შესაბამისად აღიქვამს და აფასებს; ის კონკრეტული ხედვის არტიკულირებასაც ანდაზის (რომელიცერთ ან მეტ ურთიერთდაკავშირებულ მტკიცებას შეიძლება მოიცავდეს) მეშვეობით ახდენს. ამდენად, ინტერპრეტაცია გულისხმობს ანდაზის რელევანტურ კულტურულ მოდელთან დაკავშირებას. შეიძლება ითქვას, რომ მსმენელის მიერ გაკეთებული დასკვნის თავისებურება დამოკიდებულია კულტურული მოდელის გამოყენების კონტექსტზე. ამგვარად, ანდაზიდან დასკვნის გამოტანის პროცესი მიჰყვება საფუძველმდებარე გაზიარებული ცოდნის სტრუქტურას, ამიტომ შესაძლებელი ხდება

ანდაზების მეშვეობით გამოცდილების გენერალიზებული მოდელების ორგანიზაციის შესწავლა (White, 1987: 155).

ანდაზების ჯ. ვაიტისეული ანალიზისა და ბ. შორის ზემოთ განხილული კონცეპციის კონცეპციიდან გამომდინარეობს, რომ ლინგვისტური ფორმები ცოდნის დამაჯერებლობის გაძლიერების ფაქტორს წარმოადგენს - სწორედ ლინგვისტური ფორმა ფუთავს ცოდნას „კულტურულ სიბრძნედ“.

პარემიოლოგი ო. ლაუჰაკანგა ანდაზებს განიხილავს „ყოველდღიური აზროვნების მრავალფუნქციურ და მოქნილ ინსტრუმენტებად“; მისი თვალსაზრისით, ანდაზები ან ანდაზების მსგავსი გამონათქვამები პასუხობს იმ კითხვებს, რომლებსაც ზოგადად ეხება ხალხური ნარატივების კვლევა: სელექციური მეხსიერება, გამოცდილების რეკონსტრუქცია, წარსულის ახსნა და აზროვნება, მომავლის შესახებ ინსტრუქციებისა და გაფრთხილებების მიცემა, ერთმანეთის გამხნევება ან გართობა და ა.შ. საუბარი, რომელშიც ანდაზები გამოიყენება, აგრეთვე, მისი რაციონალურობის მოდუსი განსხვავდება ლოგიკური და მეცნიერული არგუმენტაციისაგან. გამოყენებისას ანდაზების ნარატიული სიძლიერე დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე. ამასთანავე, მათ შესწევს ატიტუდებისა და კონკრეტულ კულტურაში გავრცელებული აზროვნების ტრადიციული მოდელების შენარჩუნების უნარი (Lauhakangas, 2007).

ო. ლაუჰაკანგა აანალიზებს ანდაზების რამდენიმე ფუნქციას და აქცენტს სვამს შემდეგ თავისებურებებზე: 1. ანდაზა გვარწმუნებს, გვაჯერებს და აჩენს იმპლიციტური სიმართლის შთაბეჭდილებას; 2. ანდაზას შეუძლია დააბრკოლოს გადაწყვეტილების მიღების ან აზროვნების ნორმალური გზა; ანდაზა გამოსადეგი ინსტრუმენტია გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვალსაზრისის გასაძლიერებლად მაშინ, როცა არ არსებობს ერთი „სწორი“ გადაწყვეტილება; 3. ანდაზის მეშვეობით ხდება სიტუაციებზე თუ სოციალურ ინტერაქციაზე მიჯაჭვა ან ნეიტრალობის მიღწევა. მსმენელზე

მოხდენილი ეფექტი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ნაცნობია მისთვის ანდაზა. ეფექტი დამოკიდებულია ანდაზის დასწავლის სუბიექტურ გამოცდილებაზე; 4. ანდაზის გამოყენება, ჩვეულებრივ, განამტკიცებს სოციალურ იერარქიასა და კონტროლს, მაგრამ იგივე გამონათქვამები სხვა კონტექსტში, შესაძლოა, გამოიყენებოდეს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისათვისაც; 5. ანდაზის გამოყენებას აშკარა კავშირი აქვს იუმორის დაძაბულობის მომხსნელ ფუნქციასთან. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმის ალბათობას, რომ ანდაზების გამოყენება შესაძლებელია შეზღუდული მოსაზრებებისა და სანქცირებული ძალადობის შესანარჩუნებლადაც. სტერეოტიპები შეიძლება იუმორისტულ ანდაზურ ხატებში უკეთ ცოცხლობდეს, ვიდრე ანდაზების სერიოზული გამოყენებისას; 6. ანდაზები შეიძლება ემსახურებოდეს საღი აზრის განმტკიცებას ან ზღუდავდეს სიტუაციათა შესაძლო ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებას. ამასათანავე, ანდაზა, შეიძლება სიტუაციის ზუსტი ანალიზის გამკეთებელ ინსტრუმენტად უფრო გამოიყენებოდეს, ვიდრე ტრადიციულად ნაგულისხმევი შეხედულებების გადამცემ მექანიზმად. ისინი შეიძლება ქმნიდეს შესაძლებლობას სიტუაციათა კონვენციური ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად; 7. საკუთარ ენასა თუ დიალექტზე ანდაზათა გამოყენების ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქციაა ერთობის იდენტობის გაძლიერება. კვლევები იმის შესახებ, რომ განსხვავებულ ადამიანებს სოციალურ ინტერაქციაში, შეიძლება ანდაზათა გამოყენების ურთიერთმსგავსი პრაქტიკა ჰქონდეთ, გვეხმარება გამოცდილებებს შორის არსებული განსხვავებების შემცირებაში (Lauhakangas, 2007: 82-84). ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ანდაზათა ზემოთ ხსენებული ორმხრივი და პარადოქსული ფუნქციები ადასტურებს, რომ ქცევასა და კულტურულ მოდელებს შორის კავშირის ანალიზი საჭიროა ფსიქიკური აქტივობის ცნობიერი და არაცნობიერი დონეების კონტექსტში.

ანდაზის ზემოთ განხილული მახასიათებლები განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მათ სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის, მათ შორის, ფოლკლორისტების, სოციოლოგების, ანთროპოლოგებისა და ფსიქოლოგებისათვის. მაგ., ფსიქოლოგები ხშირად იყენებენ ანდაზებს არა მხოლოდ ცალკე საკვლევ ფენომენად, არამედ (ინტელექტის,

შიზოფრენიის, პიროვნული თვისებების, ატიტუდების) საკვლევი ინსტრუმენტების მასალადაც. როგორც მკვლევარი ვ. მიედერი აღნიშნავს, ანდაზები სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიურ ტესტებში გამოიყენება. მათ შორის ყველაზე წარმატებული რ. გორჰამის ანდაზების ტესტი აღმოჩნდა, რომელიც დღემდე გამოიყენება. ტესტის შესავალ ნაწილში გორჰამი მიუთითებს ინტელექტუალური ფუნქციონირების საკვლევად ანდაზების ტესტის გამოყენების ხანგრძლივ ისტორიაზე და გამოყოფს რამდენიმე მახასიათებელს, რომლებიც ვერბალური აღქმის საზომად ანდაზების გამოყენების ეფექტურობას განსაზღვრავს:

ა) ანდაზები საინტერესოა სუბიექტებისათვის იმიტომ, რომ ისინი საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა სხვადასხვა კულტურული სიბრძნის ამსახველ კარგად ნაცნობ გამონათქვამებად;

ბ) ანდაზის შემადგენელი მასალა მარტივად აღსაქმელია სუბიექტისათვის, რადგან იგი ყოველთვის შედგება ყოველდღიური ცხოვრების ნაცნობი ობიექტებისა და მოვლენებისაგან;

გ) სუბიექტები ანდაზაში მოცემულ მნიშვნელობას, ფაქტობრივად, ახსნის გარეშე წვდებიან....

დ) (ანდაზებით შედგენილი დ.ჩ.) ფსიქოლოგიური ტესტის გამოყენების დიაპაზონი განუზომლად ვრცელია... (Meider, 1978: 45-46). როგორც მკვლევარი სტენლი მარზოლფი აღნიშნავს, „ფართოდ გავრცელებული გამონათქვამები გამოიყენება შთაგონების, ახსნის, ნუგეშისცემისა და რაციონალიზებისათვის. ამიტომ ანდაზები ჩვენი კულტურის ასპექტებს წარმოადგენს და იმაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე მათ აქამდე ეთმობოდა“ (Marzolf, 1974: 204). ამგვარად, დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ანდაზების გამოყენება ფსიქოლოგიურ კვლევებში განსაკუთრებული ღირებულების მქონეა, ვინაიდან ვერბალურ ფორმულათა სქემატურობა და მეტაფორულობა

მრავალფეროვანი კვლევითი მიზნების შესაბამის მსუყე გასაანალიზებელ მასალას იძლევა.

ამრიგად, კულტურული მოდელები განსაკუთრებულ როლს თამაშობს კულტურულ კოგნიციაში. ემპირიული კვლევები, რომლებიც ეხება ინსტიტუციურ მოდელებსა და კოგნიტურ მოდელებს შორის კავშირს, მიანიშნებს, რომ ანალოგიისებრი სქემატიზაცია არის ძირითადი კოგნიტური პროცესი, რომელიც საფუძვლად ედება ინსტიტუციური მოდელების გადატანას/ტრანსლაციას გონებაში - პიროვნული ცოდნის ფორმაში.

ჩვენი აზრით, ანდაზური აზროვნება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ორივე ტიპის ინფორმაციის გადამუშავებას - ანალიტიკურსაც და ანალოგიურსაც. ერთი მხრივ, ანდაზების მეშვეობით ინფორმაციის ანალიტიკური გადამუშავების პროცესის შესწავლამ შეიძლება ცხადყოს კულტურული კოგნიციის რამდენიმე ასპექტი, განსაკუთრებით, კულტურული ინფორმაციის როლი კოგნიციის პროცესში და მისი კავშირი ინდივიდუალურ ქცევასთან (კულტურული მოდელის დირექტიული და მოტივაციური ძალის განსაზღვრა); მეორე მხრივ, ანდაზათა მეშვეობით ანალოგიისებრი გადამუშავების შესწავლამ შესაძლოა დააზუსტოს ტრანსლაციის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურული მოდელები გონების ნაწილად იქცევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერბალური ფორმულების შესწავლა, მათ შორის ანდაზებისა, წარმოადგენს ერთ-ერთ გზას კულტურულ მოდელებსა და ქცევას შორის არსებული კავშირის ახსნისა და გაგებისათვის. უფრო მეტიც, მსგავსი კვლევა ცხადყოფს კავშირს ინსტიტუციურ და კოგნიტურ მოდელებს შორის. საზოგადოდ, ეს არის ერთ-ერთი გზა პასუხის გასაცემად კითხვაზე - როგორ ოპერირებს კულტურული მოდელები მენტალურ დონეზე?

3.3. ადაპტაციური ქცევა: დეფინიცია, ამხსნელი მოდელები, კლასიფიკაცია

დეფინიცია და ამხსნელი მოდელები. ადაპტაცია ერთ-ერთი ძირითადი ამხსნელი კატეგორიაა ბიოლოგიის, ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ქცევათმეცნიერებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ადაპტაციის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია და ადაპტაციური ქცევების უნივერსალური გაზიარებული კლასიფიკაცია, იგი ინარჩუნებს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სამეცნიერო ტერმინის როლს.

ადაპტაციური პრობლემატიკის კვლევასთან ასოცირებული სირთულეების საფუძველი, მეტწილად, კონცეპტ – „ადაპტაციის“ ზოგადობის მაღალ ხარისხშია საძიებელი. გარემოში ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობის სპეციფიკის აღსაწერად ტერმინი – ადაპტაცია[38] ყველაზე ხშირად გამოიყენება. მიუხედავად ამისა, არ არსებობს მისი ერთმნიშვნელოვანი, ცხადი ინდიკატორები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა ქცევის ადაპტაციური ღირებულების განსაზღვრა ან შედარება.

ყველაზე ზოგადი დეფინიციის მიხედვით, ადაპტაცია გულისხმობს სახეობის/ინდივიდის სტრუქტურის, ფუნქციისა და ქცევის ცვლილებას, რომელიც სპეციფიკურ გარემოში ზრდის გადარჩენის შესაძლებლობას (The american heritage science dictionary, 2010: 594) ანთროპოლოგიაში ცნება ადაპტაციას მეტწილად ევოლუციონისტური კონოტაცია ახლავს, იგი დაკავშირებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოში შეგუების პროცესთან. ტერმინი ფუნდამენტურია ეკოლოგიური ანთროპოლოგიისა და ევოლუციონისტური თეორიისათვის (Watts, 2009: 437).

სოციალურ მეცნიერებებში ცნება „ადაპტაცია“ იხმარება ორგანულის ანალოგიით - შეხედულება, რომლის მიხედვითაც სოციალური სისტემები წარმოადგენს ცოცხალი

---

[38] ცნება „ადაპტაცია“ მომდინარეობს ლათინური ძირიდან - adaptus - მნიშვნელობით „შესაფერისი“ ან „ადაპტირებული“, ხოლო „მორგება“ – ძველი ფრანგული adjuster-დან, ნაწარმოები ad (მიმართულებას აღნიშნავს) + juste (სწორი, მართებული) - აღწერს ადამიანებისა და ჯგუფის ორ თვისებას: პლასტიკურობას და სწავლისა და ცვლილების შესაძლებლობას/უნარს“ (Callari Galli, 2003).

სისტემის ფორმებს, რომელთათვისაც ადაპტაციის პროცესი შინაგანად დამახასიათებელია/არსებითია. შესაბამისად, ადაპტაცია აღნიშნავს „პროცესს, რომლის მეშვეობითაც ცოცხალი სისტემები ინარჩუნებენ ჰომეოსტაზისს, ახდენენ თავიანთი კომპოზიციური სტრუქტურისა და გარემოს ცვლილებას გარემოდან მომდინარე მცირეხნიანი შეშფოთებების საპასუხოდ“ (Rappaport, 1999: 145). ცხადია, რომ ისეთი ცნებები, როგორიცაა „ჰომეოსტაზისი,“ „დინამიკურად სტაბილური მდგომარეობა“ და მასთან დაკავშირებული „დინამიკური წონასწორობა“ არ გულისხმობს უცვლელობას. უფრო პირიქით, მუდმივად ცვალებად სამყაროში წონასწორობის შენარჩუნება მოითხოვს მდგომარეობის გამუდმებულ ცვლილებას, ხოლო იშვიათ და დისკრეტულ ცვლილებას - თავად სტრუქტურაში. „თუკი ჰომეოსტაზისის შენარჩუნება არ არის ადაპტაციის პროცესის სინონიმი, მაშინ ის ადაპტაციის მიზანია“ (Rappaport, 1999: 410).

ფსიქოლოგიისათვის რელევანტური ადაპტაციის განმარტებები შეგუებას, შეწყობას, თავსებადობაში მოსვლას, მისადაგებას მოიაზრებს (ნადარეიშვილი, 2013). ამასთანავე, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ საკითხს, რომელიც ეხება ფსიქოლოგიურ დისკურსში სინონიმური მნიშვნელობით გამოყენებულ ისეთ ცნებებს შორის განსხვავებებს, როგორიცაა ადაპტაცია (ADAPTATION), მორგება (ADJUSTMENT) და დაძლევა (COPING). თუმცა ავტორები მათ შორის გგანსხვავებებზეც მიუთითებენ.

ადაპტაცია აღნიშნავს ყველაზე „ზოგად პროცესს, რომლის მეშვეობითაც ცოცხალი სისტემა ინარჩუნებს ფსიქოფიზიკურ წონასწორობას საკუთარი სტრუქტურისა და გარემოს მუდმივი ცვლილების მეშვეობით“ (Rappaport, 1999: 145). ამ კონტექსტში, ადაპტაცია მოიაზრებს როგორც წონასწორობის შენარჩუნების, ისე ცვლილების ამსახველ პროცესს.

მორგება აღნიშნავს „ფსიქოლოგიურ პროცესს, რომლის მეშვეობითაც ადამიანები გადალახავენ ყოველდღიურობის მოთხოვნებსა თუ გამოწვევებს“ (Weiten et al., 2011).

დაძლევა და დაძლევის სტრატეგიები ძირითადად დაკავშირებულია სტრესთან და სტრესის ფსიქოლოგიასთან. ის აღნიშნავს ადამიანის ძალისხმევას, დაძლიოს – შეამციროს ან აიტანოს დისტრესი (Miller, Major, Brenda;, 2003). აქედან, დაძლევა იმ კოგნიტური და ქცევითი ძალისხმევის ერთობლიობას გულისხმობს, რომელიც ინდივიდის მიერ სტრესის გავლენის შესასუსტებლად იხარჯება.[39]

დაძლევის, შეგუებისა და, ზოგადად, ადაპტაციის პროცესის საერთო მიზანია ადამიანურ და გარემოს მოთხოვნებთან ადაპტირება, რაც გულისხმობს ფსიქოფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებას. აქედან შეიძლება ითქვას, რომ ადაპტაციის, მორგების, შეგუების პროცესი მიუთითებს ადამიანების შესაძლებლობაზე, თავსებადობაში მოვიდეს გარემოსა (ობიექტური) და საკუთარი თავიდან (სუბიექტურ) მომდინარე მოთხოვნებთან. მაშინ, როცა მორგება ფოკუსირდება ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ პასუხზე, ხოლო დაძლევა – კონკრეტულად სტრესულ მდგომარეობასთან გამკლავებაზე, ადაპტაცია უფრო მეტადაა შეჭიდული სოციო–კულტურულ მიმართებებთან. გარდა პროცესისა, ცნება ადაპტაცია მოიაზრებს ყველა ზემოთ აღწერილი პროცესის შედეგსაც.

ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლაში ადაპტაციის გაგება დაკავშირებულია განწყობასთან, როგორც გარემოსა და ინდივიდის ფსიქიკური აქტივობის გამაშუალებელ ინსტანციასთან, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული მიმართულებით აქტივობის მზაობას და რომლის ფორმირებაც უზრუნველყოფილია სუბიექტის მოთხოვნილებისა და მისი შესაბამისი ობიექტური სიტუაციის თანხვედრით (Константинов, 2008). მკვლევარი ვ. ნადარეიშვილი განწყობის თეორიისათვის ორგანულად დინამიკური

[39] ფსიქოლოგიაში დაძლევის ცნების გაგების სამი ძირითადი მიდგომაა გავრცელებული: ფსიქოანალიტიკური (დაძლევა დაცვის მექანიზმად, დაცვის ერთ–ერთ მეთოდად/საშუალებადა მიიჩნევა); პიროვნული (ნიშნების) (დაძლევა მდგრად მიდრეკილებად, სტრესულ მოვლენებზე გარკვეული სახით რეაგირების პრედისპოზიციად განიხილება, შესაბამისად აქცენტს სტაბილობაზე, სტაბილურ სტილზე აკეთებს და არა დინამიკაზე) და პროცესუალური (დაძლევა დინამიკურ პროცესად მოიაზრება, რომლის სპეციფიკის განმაპირობებლად არა მხოლოდ სიტუაცია, არამედ სუბიექტის გარესამყაროსთან შეჯახების შედეგად წარმოქმნილი კონფლიქტის განვითარების სტადიაც მიიჩნევა. შესაბამისად, დაძლევა ტრანსაქციული ცვლადია, რაც გულისხმობს, რომ მასში მოიაზრება არა მხოლოდ პიროვნება, ან მხოლოდ გარემო, არამედ მათი ინტეგრაცია მოცემულ ტრანსაქციაში. ეს უკანასკნელი მიდგომა დაძლევის კოგნიტურ–ბიჰევიორალურ მოდელს ეყრდნობა) (ხეჩუაშვილი, 2009: 21–25).

წონასწორობის მოდელს მიიჩნევს. ამ მოდელის თანახმად, ადამიანი წარმოდგენილია ღია სისტემად, რომელიც აღჭურვილია უცვლელი/ბირთვული, ადაპტაციის უზრუნველმყოფი განწყობების არსენალით, თუმცა პარალელურად მიმდინარეობს ახალ, კონკრეტულ ეტაპზე პერიფერიულ განწყობათა წარმოქმნის მუდმივი პროცესი. აქ დინამიზმი განწყობების აქტუალობის ხარისხის მუდმივი ცვალებადობის და ახალთა წარმოქმნის პროცესითაა გაპირობებული, ხოლო მამოტივირებელ დისონანსს იწვევს პროსპექტიული ვალენტური მოვლენის მოსალოდნელობა და მისი შესაბამისი განწყობის რეალიზაციის აუცილებლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც პერსპექტივის რეალიზაციაში დარწმუნებულობის და მოლოდინის მაღალი მაჩვენებლები განწყობის აქტუალობის მაღალ ხარისხს განსაზღვრავენ, განწყობა და შესაბამისი აქტივობა მდგრადია გარეშე, „არაპროგრამული შეშფოთებების“ (ადაპტაციის შემაფერხებელთა) მიმართ - მიუხედავად „სტოქასტიკურობისა“, ადაპტაციური სისტემა მაინც მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს. ამავდროულად, ვინაიდან ახალი განწყობა სისტემის საბაზო განწყობებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს, სისტემა, გარკვეულწილად, ავთენტიკურია, ინარჩუნებს ძირითად პარამეტრებს და „მოძრავი წონასწორობის“ მდგომარეობაშია. ყოველივე ზემოაღნიშნული სტაბილობას უზრუნველყოფს (ნადარეიშვილი, 2013).

ჩვენი კვლევის ფოკუსი ფსიქო–კულტურულ განზომილებაში თავსდება, ადაპტაციური ქცევასთან დაკავშირებულ კულტურულ მნიშვნელობებს (ადაპტაციის კულტურულ მოდელებს) ვსწავლობთ კონკრეტული კულტურის წარმომადგენელთა ადაპტაციური შესაძლებლობებისა და თავისებურების აღწერისათვის. ამ კონტექსტში უპირატესობას ვანიჭებთ ყველაზე ზოგად ცნებას – ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიები და მათში მოვიაზრებთ პრობლემური სიტუაციის გადაჭრის, შეგუებისა თუ დაძლევის უზრუნველმყოფელ ქცევით სტრატეგიებს. აღნიშნული სტრატეგიები ქცევის მიმართულობის განმსაზღვრელი ზოგადი ორიენტაციებია, რომლებსაც ადამიანი იყენებს პიროვნება–გარემოს შორის ურთიერთობის მართვისთვის. ამ კონტექსტში

ჩვენთვის საინტერესოა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი დაძლევისა და პრობლემური სიტუაციის გადაჭრის სტრატეგიები.

კლასიფიკაციის საკითხი. ადაპტაციის პროცესში განხორციელებადი ქცევითი სტრატეგიების შესწავლას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ფსიქოლოგიაში. ჯერ კიდევ ზ. ფროიდმა გამოჰყო პიროვნების ადაპტაციური ქცევის ორი ტიპი: ალოპლასტიკური და აუტოპლასტიკური. პირველი ადაპტაციის პროცესში გარემოს შეცვლაზე, ხოლო მეორე – საკუთარი თავის ცვლილებაზე ორიენტაციას მოიაზრებს. ჟ. პიაჟემ, გაიაზრა რა ადაპტაცია გარემოსთან ადამიანის ურთიერთქმედების აქტიურ პროცესად, ადაპტაციის ორი განსხვავებული მექანიზმი აღწერა: ასიმილაცია და აკომოდაცია. ასიმილაციის შემთხვევაში საქმე გვაქვს გარემოს შესატყვის სხეულებრივ ცვლილებებთან, ხოლო აკომოდაციის შემთხვევაში - ინდივიდის ქცევის სქემაში გარემოს კომპონენტების ჩართვასთან, რაც მის (ქცევის სქემის) ცვლილებას ემსახურება. ამ დიქოტომიურმა წყვილებმა ბევრ ფსიქოლოგიურ კონცეფციაში ჰპოვა ასახვა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა რუსი სოციალური ფსიქოლოგის, ნ. მელნიკოვას ადაპტაციური ქცევების საკლასიფიკაციო სქემაც, რომელიც მან ფსიქოსოციალური ადაპტაციის ამხსნელი მიდგომების სისტემატიზების შედეგად დაადგინა. მელნიკოვასეულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ადაპტაციის პროცესის განხორციელება ეფუძნება სამი გადამწყვეტი პირობის მოცემულობას: კონტაქტურობას, აქტიურობას და ორმხრივ ცვლილებას. სამივე პირობის არსებობის შემთხვევაში გვაქვს ადაპტაციის ოპტიმალური სტრატეგია: საწყის ეტაპზე ინდივიდი რეალურ კონტაქტს ამყარებს კონფლიქტურ გარემოსთან და აქტიური ცნობიერი ქმედების საფუძველზე იწყებს ცვლილებას, შემოქმედებითად აშენებს ურთიერთქმედების ახალ სისტემას. მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა იცვლება ურთიერთქმედებაში ჩართული მხოლოდ ერთი მხარე, რასაც მივყავართ ადაპტაციური სტრატეგიების განსხვავებულ ვარიაციებთან. ადაპტაციისთვის აუცილებელი სამი პირობის შესაბამისად, მკვლევარი გამოყოფს სამ დიქოტომიურ წყვილს: 1. კონტაქტურობა/არაკონტაქტურობა; 2.

აქტიურობა/პასიურობა; 3. გარეთ/შიგნით მიმართულობა. ხოლო ამ პირობათა ვარიაციებით განასხვავებს 8 ადაპტაციურ ქცევით სტრატეგიას: 1. აქტიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (გარემოს აქტიური ცვლილება); 2. აქტიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (ინდივიდის აქტიური ცვლილება); 3. აქტიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (ახალი გარემოს აქტიური ძიება); 4. აქტიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (გარემოსთან კონტაქტის შეწყვეტა და ინდივიდის შინაგან სამყაროში ჩაკეტვა); 5. პასიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (საკუთარი თავის პასიური რეპრეზენტაცია); 6. პასიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (გარემოს პასიური მორჩილება); 7. პასიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (გარემოს ცვლილების პასიური მოლოდინი); 8. პასიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (შინაგანი ცვლილების პასიური მოლოდინი) (Мельникова, 2001). [ნ. მელნიკოვას მოდელი უფრო ვრცლად განხილულია კვლევის მეთოდოლოგიურ ნაწილში].

სტრესი–დაძლევის შესახებ არსებულ კვლევებში ყველაზე ხშირად ლაზარუსისა და ფოლკმანის დაძლევის პროცესუალური მოდელი გამოიყენება, რომლის მიხედვითაც დაძლევა შეიძლება მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით: 1. პრობლემაზე ორიენტირებული დაძლევა, როდესაც ხდება დისტრესის გამომწვევი გარემო პირობების რედუცირება და 2. ემოციაზე ორიენტირებული დაძლევა, როდესაც ხდება საკუთარი განწყობებისა და ემოციების რეგულაცია/ცვლილება სიტუაციის შესატყვისად (Lazarus, Folkman, 1984). ლაზარუსისა და ფოლკმანის კოგნიტივისტურ კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადაპტაციის პროცესში პრობლემური სიტუაციის კოგნიტურ შეფასებას.

ვეიტენი და მისი თანამოაზრეები განასხვავებენ დაძლევის სტრატეგიების სამ ტიპს: (1) კოგნიტური შეფასების ან შეფასებაზე-ფოკუსირებული სტრატეგიები მიმართულია რთული სიტუაციებიდან ინდივიდუალური გამოსავლის პოვნაზე, კოგნიტურ ადაპტაციაზე. ისინი წარმოადგენს სტრესული სიტუაციის დაძლევის ინდივიდისმიერ

ინტერპრეტაციას, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება პიროვნულ და გარემოს რესურსებს; (2) პრობლემაზე-ფოკუსირებული სტრატეგიები - მიმართულია სტრესორისგან მომდინარე წნეხის შემცირებაზე ან აღმოფხვრაზე. ამ სტატეგიების მიზანია სტრესის შემცირება, საკუთრივ სტრესის გამომწვევ სიტუაციურ ფაქტორებთან/სტიმულებთან გამკლავება; (3) ემოციებზე-ფოკუსირებული სტრატეგიები - მიმართულია ემოციური რეაქციის ცვლილებაზე. ამ სტატეგიების მიზანია პრობლემური/სტრესული სიტუაციების ხედვის შეცვლა - სიტუაციის ხელახლა შეფასება, რეინტერპრეტაცია თუ დაცვის მექანიზმების გამოყენება; სტრატეგიების სუბიექტი მიმართავს ემოციების ცნობიერ რეგულაციას (Weiten et al., 2011) (იხ. ცხრილი 2.)

მკვლევრები, აანალიზებენ რა სტრესი–დაძლევის კონტექსტში დაძლევის სტრატეგიების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აღნიშნავენ, რომ არ არსებობს დაძლევის სტრატეგიების ერთი საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია. მკვლევართა უმრავლესობა სტრატეგიების კლასიფიკაციის ორ მთავარ პრინციპს ეყრდნობა. პირველი მიდგომა აქცენტს აკეთებს დაძლევის ფოკუსზე: პიროვნების ორიენტაცია და აქტივობა სტრესორის პასუხად. ინდივიდმა შეიძლება მიმართოს აქტიურ ძალისხმევას პრობლემის გადასაჭრელად (პრობლემაზე ფოკუსირებული დაძლევა) ან თავი აარიდოს პრობლემას და ფოკუსირება მოახდინოს მასთან დაკავშირებული ემოციების მართვაზე (ემოციაზე ფოკუსირებული დაძლევა). მეორე მიდგომა აქცენტს აკეთებს პრობლემის დაძლევის მეთოდზე: რას ანიჭებს ინდივიდი უპირატესობას - ქცევით, კოგნიტურ თუ ემოციურ დაძლევას (მარწყვიშვილი, 2010: 51; ხეჩუაშვილი, 2009: 27). ამრიგად, პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება დაძლევის ლოკუსზე (ორიენტაცია), ხოლო მეორეში – ფსიქიკურ სფეროზე, სადაც ვითარდება დაძლევა.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური კვლევების უმრავლესობა ეხება დაძლევისა და მისი ეფექტურობის საკითხებს, თუმცა შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა კულტურისა და კულტურული გავლენების შესწავლას დაძლევასთან დაკავშირებული საპასუხო რეაქციებისა და პროცესების კონტექსტში (Kuo, 2014). კულტურული ფაქტორების

გათვალისწინება დაიწყეს მკვლევრებმა, რომელთა ინტერესის საგანს აკულტურაციისა და აკულტურაციის სტრესთან დაკავშირებული დაძლევა წარმოადგენს (Carvantes, Castro, 1985; Berry, 1997; Castro, Murray 2010; Yakushko, 2010; Aldwin, 2007; Kuo & Roysircar 2006, აკულტურაციის სხვადასხვა მოდელის მაგალითები).

ცხრილი 2. დაძლევის კონსტრუქციული სტრატეგიები

პრობლემაზე ორიენტირებული	პრობლემაზე ორიენტირებული	ემოციაზე ორიენტირებული
▪ საკუთარი ნეგატიური შეხედულებების აღმოჩენა და განხილვა ▪ რაციონალური აზროვნება ▪ პოზიტიური რეინტერპრეტაცია ▪ იუმორისტული შეფასება ▪ რელიგიისკენ მიბრუნება	▪ პრობლემის აქტიური მოგვარება ▪ სოციალური მხარდაჭერის ძიება ▪ დროის მენეჯმენტი ▪ თვითკონტროლის ზრდა ▪ თვითშეფასების ზრდა	▪ დახშული ემოციების გამოთავისუფლება ▪ საკუთარ თავზე ყურადღების გადატანა ▪ არაკეთილგანწყობლური და მიმტევებლური განცდების მართვა ▪ ფიზიკური ვარჯიში ▪ მედიტაცია ▪ რელაქსაციური პროცედურების გამოყენება

არსებული მოდელებიდან ერთ–ერთი გავლენიანი ბერის აკულტურაციის მოდელია (Berry, 1997). ბერის მოდელი იზიარებს ლაზარუსისა და ფოლკმანის მოდელს და გამოჰყოფს აკულტურაციის ოთხ სტრატეგიას: ასიმილაციას, სეპარაციას, მარგინალიზაციას და ინტეგრაციას, აგრეთვე, გამოყოფს სტრესის დაძლევის სამ ტიპს: პრობლემაზე-ფოკუსირებული, ემოციაზე-ფოკუსირებული, თავიდან აცილებაზე ფოკუსირებული. აკულტურაციის ეს მოდელი ყველაზე ხშირადაა გამოყენებული და ემპირიულად შესწავლილი.

ამჟამინდელ სამეცნიერო დისკურზე თვალის შევლება გვაჩვენებს, რომ ჯ. ბერისა და ზემოთ დამოწმებულ ავტორთა ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევები, მეტწილად, კროსკულტურულ კვლევებს წარმოადგენს, რომლის მიზანიც სხვადასხვა კულტურაში მიმდინარე აკულტურაციის პროცესების კვლევა და შედარებაა და არა უშუალოდ დაძლევის ფსიქოლოგიურ პროცესში კულტურული ფაქტორების მნიშვნელობის ფუნდამენტური შესწავლა. მნიშვნელოვნად თუ გავამარტივებთ საკითხს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი ტიპის კვლევებში აკულტურაცია სტრესის გამომწვევი ერთ–ერთი წყაროა, თუმცა დაძლევა არსებითად იმ მექანიზმებით მიმდინარეობს, როგორც ჩვეულებრივ სტრესულ სიტუაციებში. ერთი სიტყვით, თავად დაძლევის მექანიზმის კულტურული სპეციფიკა ყურადღების მიღმა რჩება.

ჩვენი კვლევა წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების კულტურული სპეციფიკის შესწავლის საქმეში.

თავი IV. ემპირიული კვლევა

4.1. ფოლკლორი, ლინგვისტური მოდელები და ადაპაციური ქცევა

თანამედროვე კულტურულ ფსიქოლოგიაში კულტურა სემიოტიკურ სისტემად განიხილება, რომელიც, გარკვეულწილად, ფსიქოლოგიური ფუნქციების მომწესრიგებელია (Valsiner, 2003). ამ მიდგომის მიმდევართათვის აპრობირებული სტრატეგიაა ფოლკლორული მოდელების (ანთროპოლოგიური ტერმინოლოგია) გამოყენებით ფსიქიკის თავისებურებათა შესწავლა. ქართულ სამეცნიერო სივრცეშიც არსებობს შრომა, რომლითაც ფოლკლორული მოდელების (ხატოვანი გამოთქმები: ფრაზეოლოგიზმები) ექსპერიმენტული კვლევის ბაზაზე გამოვლენილია ფსიქიკაში ფიქსირებული არაცნობიერი ფსიქოლოგიური პარამეტრები – მენტალური კულტურული მოდელები (სურმანიძე, 1993). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევა არ ეხება უშუალოდ ადაპტაციური ქცევის შესწავლას, მისი კონცეპტუალური კონტექსტი თანამედროვე ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის კულტურული მოდელების სკოლის რელევანტურია. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის შედეგები ქმნის შესაბამის საინტერპრეტაციო კონტექსტს ჩვენი კვლევის მონაცემებისთვისაც.

უშუალოდ ლინგვისტური მოდელებისა და ადაპტაციური ქცევის კონტექსტში შესრულებული შრომებიდან განვიხილავთ ორ მნიშვნელოვან კვლევას, რომელთაც გავლენა იქონიეს წინამდებარე კვლევის დაგეგმვაზე.

ჯეფრი ვაიტი: ანდაზები და კულტურული მოდელები

ამერიკული კულტურული მოდელები არაერთმა კოგნიტურმა ფსიქოანთროპოლოგმა შეისწავლა (D’Andrade; Heider 1958; Hutchins; Schmidt & D’Addamio 1973). თუმცა, ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში არსებობს მხოლოდ ერთი კვლევა, სადაც სწორედ ანდაზები იქნა გამოყენებული პრობლემური სიტუაციის გადაჭრის სტრატეგიების საფუძველმდებარე კულტურული მოდელის გამოსავლენად.

ნაშრომში - „ანდაზები და კულტურული მოდელები: პრობლემის გადაჭრის ამერიკული ფსიქოლოგია“ [აქ და ქვემოთ, (White, 1987)] - ჯ. ვაიტი ვარაუდობდა, რომ პრობლემებთან დაკავშირებული საღი აზრი გამოიხატება ანდაზებით, რომლებიც მნიშვნელობებს იძენს საერთო საფუძველმდებარე ეთნიკური ფსიქოლოგიიდან. ანდაზების ეს კატეგორია უფრო „პიროვნება-პრობლემა“ კავშირს ეხება, ვიდრე თავად პრობლემის გადაჭრის ალგორითმებს. მათში ასახულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია პიროვნებებისა და სოციალური ქცევის შესახებ, რომელთა ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია კონკრეტული კულტურის ეთნოფსიქოლოგიური ცოდნის გათვალისწინება.

მკვლევარმა რამდენიმე ეტაპად ჩაატარა კვლევა: 1. ლექსიკონებიდან ამოკრიფა ისეთი ანდაზები, რომლებიც უკავშირდებოდა გარკვეული სახის დილემას, პრობლემური სიტუაციის გადაჭრას და რომელთა შედარებაც შესაძლებელი იქნებოდა პიროვნებებისა და პრობლემების საერთო ან განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით; 2. შეგროვებული ანდაზებიდან შეარჩია 11 ანდაზა და პერიფრაზირება სთხოვა 17 ინფორმანტს. პერიფრაზების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა კონკრეტული ანდაზის ინტერპრეტაციული ვარიაციის შესაძლო დიაპაზონი და გამოააშკარავა ანდაზის მნიშვნელობებს შორის მსგავსება-განსხვავებები. (3) ჰიპოთეზის შესამოწმებლად (რომ შერჩეული ანდაზები მნიშვნელობებს იძენენ საერთო საფუძველმდებარე ეთნიკური ფსიქოლოგიიდან), ინფორმანტებს დამატებით სთხოვეს მსგავსებების მიხედვით დაეჯგუფებინათ ანდაზები და, ამასთანავე, დაეწერათ მსგავსების დამადასტურებელი მოკლე დასაბუთება. (4) გამოიყენეს მრავალგანზომილებიანი სკალირების მეთოდი, შექმენს ანდაზათა დაჯგუფებები, რომელიც ვიზუალურად (გრაფიკულად) გამოსახეს სემანტიკური ველებით (იხ. დანართი 1.); (5) მსგავსებათა კონცეპტუალური ბაზისის რეკონსტრუირებისთვის, საბოლოოდ, მკვლევარმა დეტალურად გააანალიზა ანდაზების პერიფრაზები და ინფორმანტთა მიერ ანდაზათა მსგავსების დასადასტურებლად მოხმობილი მსჯელობები.

ვაიტი აღნიშნავს, რომ კვლევისთვის შერჩეული ყველა ანდაზა ასახავს კავშირს - პიროვნება--პრობლემა. მათში ასახულია განსვლა გარემო პირობებსა და პიროვნების მდგომარეობას (ინტენციები, სურვილები, ქცევები და მისთ.) შორის და განსაზღვრულია პრობლემური სიტუაციის გადაჭრის ტრაექტორიაც. შესაბამისად, ყოველი ანდაზა იძლევა რეკომენდაციას ადეკვატური პასუხისათვის, რომელიც პიროვნებასა და სამყაროს დააბრუნებს ჰარმონიულ მდგომარეობაში, თავსებადობაში მოიყვანს პიროვნულ პერსპექტივასა და გარემო პირობებს. მოცემული ანდაზები, სულ მცირე, ორ განსხვავებულ რეკომენდაციას იძლევა: აქტიურ ძალისხმევას გარემოს ცვლილებისათვის (მაგ., “The squeaky wheel gets the grease” – „ჭრაჭუნა ბორბალი კარგად იზეთება“) ან ძალისხმევას პიროვნების ცვლილებისათვის (მაგ., “There’s no use crying over spilt milk”/ „დაღვრილ რძეს ტირილი აღარ შველის“).

ვაიტი არ მიიჩნევს, რომ კვლევაში მის მიერ გამოყენებული ანდაზები[40] ამოწურავს ან რეპრეზენტაციულია პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული ამერიკული ანდაზების ერთობლიობისა. მისი აზრით, შერჩეული ანდაზები წარმოადგენს იმ ანდაზათა ქვესიმრავლეს, რომლებშიც ასახულია პრობლემური სიტუაციების გადაჭრისათვის ამერიკელთათვის დამახასიათებელი სტრატეგიები.

შესაფერისი ქცევის ინიცირებისთვის ანდაზა მოითხოვს გარკვეულ ცოდნას ადამიანის ფსიქოლოგიისა და ქცევის შესახებ. ანდაზური მნიშვნელობები ეფუძნება აღქმის, გრძნობისა და აზროვნების ორგანიზაციის კულტურულ კონტექსტს. სწორედ ეს კულტურული ფონი აშუალებს კავშირს პიროვნებასა და სამყაროს კონკრეტული ანდაზური მტკიცებების შესაბამისი (რელევანტური) ქცევის შესახებ სპეციფიკური დასკვნებით, კვლევის მონაწილეები, არსებითად, პიროვნების კულტურულ მოდელს

[40] ეს ანდაზებია: 1. Every cloud has a silver lining / ყოველ ღრუბელს ვერცხლისფერი საფანელი აქვს; 2. God helps those who help themselves / ღმერთი მას ეხმარება, ვინც თავის თავს ეხმარება; 3. The grass is always greener on the other side of the fence / ღობის მიღმა ბალახი უფრო მწვანეა; 4. There’s no use crying over spilt milk / დაღვრილ რძეს ტირილი აღარ შველის; 5. Where there’s a will there’s a way / სადაც სურვილია, გზაც იქ არის; 6. Necessity is the mother of invention / უკიდურესი აუცილებლობა აღმოჩენების დედაა; 7. Rome wasn’t built in a day / რომი ერთ დღეში არ აშენებულა; 8. The squeaky wheel gets the grease /ჭრაჭუნა ბორბალი კარგად იზეთება; 9. You can’t have your cake and eat it too / შეუძლებელია ნამცხვარი კიდეც ჭამო და კიდეც გქონდეს; 10. Don’t make a mountain out of a mole hill / პატარა ბორცვს მთად ნუ აქცევ; 11. Time heals all wounds / დრო ყველა ჭრილობას კურნავს.

ქმნიან, ანდაზათა ვაიტისეული ინტერპრეტაციული ანალიზი ავლენს ამერიკული კულტურული მოდელის რამდენიმე ელემენტს, რომლებიც ადასტურებს ამ მოდელის შესახებ დანდრადეს, ჰეიდერისა და ჰაჩინსის კვლევების მონაცემებს (D'anddrade, 1987; Heider, 1958; Hutchins & Levin, 1981).

ანდაზიდან დასკვნის გამოტანის თავისებურებათა ანალიზისას ვაიტი მიუთითებს იმპლიკაციის სამ დონეზე: კოგნიტურზე, ფსიქოლოგიურსა და ქცევითზე (White, 1987:159). ამერიკაში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ანდაზათა პერიფრაზირებისას ინფორმანტები ძირითადად პირველ და მეორე დონეზე ფოკუსირდებიან, მესამე დონე კი უფრო ხშირად უფრო ზოგად დასკვნებში ფიგურირებს.

ანდაზებში ნაგულისხმევი მნიშვნელობის შესახებ დასკვნის გამოტანის პროცესის თავისებურებას ჯ. ვაიტი ახასიათებს კვლევის მონაწილეთა მიერ ანდაზების დაჯგუფებისას მოტანილი არგუმენტების ანალიზით კვლევამ გამოავლინა, რომ ანდაზები მონაწილეობას იღებს რა სააზროვნო პროცესში, მიმართულებას აძლევს დასკვნის გამოტანის პროცესს (inferential process), რომელიც მოძრაობს შემდეგნაირად: I. კოგნიტური იმპლიკაცია: მტკიცება პიროვნების ან პრობლემის რამდენიმე ასპექტის შესახებ (მაგ., პრობლემური სიტუაციის აღწერა), II. ფსიქოლოგიური იმპლიკაცია: პიროვნების კულტურული მოდელით ნაგულისხმევი ფსიქოლოგიური მდგომარეობის განზოგადება (მაგ., დასკვნა პრობლემის ან პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ), III. ქცევითი იმპლიკაცია: შესაფერისი ქცევითი ტენდენციის განსაზღვრა (მაგ., დასკვნა შესაფერისი ქცევითი პასუხის შესახებ. კვლევის მონაწილეთა პერიფრაზები ანდაზური მნიშვნელობების შესახებ ამგვარი აზროვნების სხვადასხვა საფეხურის ილუსტრირებას ახდენს. ყოველი ანდაზის 17 განსხვავებულ პერიფრაზში ასახულია ანდაზური აზროვნების ზემოთაღწერილი საფეხურები. პერიფრაზების უმეტესობა I და II დონეზე ფოკუსირდება, თუმცა, ანდაზების მსგავსების შესახებ რაციონალურ დანასკვებში III დონეც მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი.

ვაიტი ასკვნის, რომ ანდაზები მიმართულია აზროვნებაზე. კერძოდ, ისინი მიმართავს საღ აზროვნებას, დაფუძნებულს გამოცდილების კულტურულ მოდელებზე. კვლევაში განხილული ყოველი ანდაზა, რამდენადაც ისინი გაზიარებულ ცოდნას ეფუძნება, ასახავს მოსაზრებებს/შეხედულებებს პრობლემებისა და პიროვნებების შესახებ და ატარებს იმპლიკაციებს ქცევისთვის. ანდაზა კონკრეტული პრობლემური სიტუაციისა და კულტურული მოდელის ერთმანეთთან დაკავშირებას უზრუნველყოფს იმით, რომ თავად წარმოადგენს კულტურული მოდელის ნაწილს ვითარებათა მისთვის დამახასიათებელი მეტაფორული აღწერით (მაგ., როგორც „დაღვრილი რძე / spilt milk“ ან „ჭრაჭუნა ბორბლები / squeaky wheels“); სწორედ ეს გარემოება განაპირობებს კოგნიტურ შეფასებას, ემოციურ და ქცევით პასუხს.

ანდაზური მნიშვნელობების დასკვნის გამოტანის პროცესუალური ეტაპები (რომელიც შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: პრობლემის აღწერა > ფსიქოლოგიური დასკვნა/ვარაუდი > იმპლიკაციები ქცევისთვის) მიუთითებს ანდაზების გამოყენების პრაგმატულ ასპექტზე. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრაფარეტული/შაბლონური/ენის ეს თავისებური პატარა ნამცეცები ფართოდ გამოიყენება იმიტომ, რომ დირექტიული ძალის მატარებელია. როგორც ირიბი ინსტრუქციები/დირექტივები, ისინი წარმოადგენს სტრატეგიულ ლინგვისტურ ინსტრუმენტებს, რომლებიც, მიემართება რა საღი აზრისკენ, აფასებს და ფორმას აძლევს სოციალურ გამოცდილებას. ის ფაქტი, რომ ანდაზები განიხილება ხალხური სიბრძნის ან საღი აზრის გამომხატველ გამონათქვამებად, მიუთითებს გაურკვევლობის შესამცირებლად მათი მუდმივად გამოყენების საჭიროებაზე.

ხალხურ სიბრძნეზე მიმართვა კარგი საშუალებაა პიროვნული კონფლიქტისა თუ ამბივალენტურობის გადასაჭრელად. ჯ. ვაიტი, ამახვილებს რა ყურადღებას ეთნოფსიქოლოგიურ კონტექსტზე,[41] მიიჩნევს, რომ ყოველგვარი მტკიცება კონკრეტული

[41] ანალიტიკოსები აღნიშნავენ კონტექსტის ცნების გაგების არა ერთმნიშვნელოვნებას. გამოჩენილი კულტურფსიქოლოგის - მ. კოულის თქმით, ერთ ცნებაში - „კონტექსტი“ - ორი ტერმინის მნიშვნელობაა აღრეული: კონტექსტი გაიგება, როგორც "სიტუაცია მთლიანად, ფონი, კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებული გარემო", ხოლო გარემო - "იმად, რაც ირგვლივ გვაკრავს". ეს ვითარება "დაუსრულებელებელ შეუთანხმებლობას და

იმპლიკაციის მატარებელია ემოციისა და ქცევისთვის. ანდაზების ინტერპრეტაციების საფუძველმდებარე დასკვნის გამოტანის პროცესების ანალიზი ააშკარავებს პიროვნებისა და ქცევის შესახებ არსებულ კულტურულ-სპეციფიკური აღქმების ფუნქციონირებას.

როგორც კვლევამ ცხადყო, ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების არსებობა (მაგალითად, „სადაც სურვილია, საშუალებაც იქვეა / Where there's a will there's a way" და „შეუძლებელია ერთდროულად ნამცხვარი კიდეც ჭამო და კიდეც გქონდეს / You can't have your cake and eat it too") მიუთითებს იმაზე, რომ კულტურული მოდელები უზრუნველყოფს გამოცდილების ინტერპრეტაციის ალტერნატიული (და ზოგჯერ თანაზიარად წინააღმდეგობრივ) გზების არსებობას. ამ შემთხვევაში, ორივე ანდაზა ეფუძნება ერთსა და იმავე ეთნიკურ–კულტურული ფსიქოლოგიის ცოდნას, რომლის თანახმად, მიზანმიმართული ქცევა, ჩვეულებრივ, ვარაუდობს რაღაცის კეთების ან მიღწევის შესაძლებლობის რწმენას. ზემოთ მოყვანილ ანდაზათაგან პირველი გვთავაზობს რესურსის/შესაძლებლობის ვარიანტს და იძლევა აქტიური პასუხის რეკომენდაციას; ხოლო მეორე უარყოფს შესაძლებლობას და აქტიური პასუხის გაცემის შეფერხებას ემსახურება. გამოცდილების კონცეპტუალიზაციის ასეთი განსხვავებული და წინააღმდეგობრივი ინსტრუმენტები იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკული ანდაზები და კულტურული მოდელები ადვილად ადაპტირებადია (მოქნილი ინსტრუმენტებია) მრავალფეროვან მიზნებთან და შემთხვევებთან მიმართებაში.

ჯ. ვაიტმა მოახდინა ანდაზების ანალიზი პერიფრაზირებებისა და მსგავსებათა შეფასების საფუძველზე, რის შედეგადაც გამოააშკარავა იმგვარი მტკიცებები და დასკვნები (კულტურული მოდელები), რომლებიც ანდაზური მნიშნელობების შექმნაში იღებენ მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ ჯ. ვაიტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ მის მიერ წარმოდგენილი მოდელის ექსპერიმენტულად შემოწმებას მიიჩნევს.

არეულდარეულობას" ბადებს, რასაც ადასტურებს უამრავი ნაირგვარი სიტყვა, რომლებსაც კონტექსტის ცნების შემნაცვლებლად იყენებენ, "კიდევ რაღაცის" აღსანიშნავად: "გარემოებები", "გარემოცვა", "სიტუაცია", "პრაქტიკა", "მოღვაწეობა" და ა.შ. (სურმანიძე, 2010: 127).

ნატალია მელნიკოვა: ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიები

საინტერესოა კიდევ ერთი კვლევა, რომელიც რუსი სოციალური ფსიქოლოგის, ნ. მელნიკოვას მიერ არის ჩატარებული. ჯ. ვაიტისგან განსხვავებით, ნ. მელნიკოვა არ ინტერესდება ანდაზის ეთნოფსიქოლოგიური ფონით, ანდაზის მიღმა არსებული კულტურული მოდელებით. მისი ინტერესის საგანს ფსიქოსოციალური ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების საკლასიფიკაციო სქემის შექმნა წარმოადგენს. ჩვენთვის ეს კვლევა საინტერესო აღმოჩნდა სწორედ კვლევაში გამოყენებული სპეციფიკური მასალის გამო.

ნ. მელნიკოვა, აანალიზებს რა ფსიქოსოციალური ადაპტაციის ამხსნელ მიდგომებს და ახდენს მათ სისტემატიზებას, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მკვლევართა ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ზოგადად „ცხოვრებასთან ადაპტაციის“ პრობლემაზე. ანალიზი კეთდება ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და ქცევით სტრატეგიებზე, რომლებსაც ადამიანი იყენებს არა მხოლოდ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, არამედ ყოველდღიურ პრაქტიკაშიც.

მელნიკოვას თანახმად, ადაპტაციური ქცევის სტრატეგიები შესაძლებელია აღიწეროს კლასიფიკაციით, რომელიც ემყარება სამ საბაზისო ორიენტაციას: კონტაქტურობას, აქტიურობას და ცვლილებებზე მიმართულობას. ზოგადად, პიროვნება ცვლილებას ორი მიმართულებით ახორციელებს: ცვლის გარემოს, ან საკუთარ თავს. ადაპტაციის განსხვავებულ სტრატეგიებს განსხვავებული ადაპტაციური პოტენციალი გააჩნიათ. ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების შესაძლებლობა განისაზღვრება მათი თავისებურებებით და შესაძლებელია გამოისახოს იერარქიულად: (1) გარდაქმნა/ცვლილება (преобразование/conversion) – (2) შეგუება/მორგება (приспособление/adjustment) – (3) გაქცევა ან მოლოდინი (уход либо выжидание) – (4) საკუთარი თავის რეპრეზენტაცია - (5) კონტაქტის შეწყვეტა.

ამრიგად, ნ. მელნიკოვას კლასიფიკაციის შესაბამისად, ადაპტაციის პროცესში გადამწყვეტია სამი პირობა: კონტაქტურობა, აქტიურობა და ორმხრივი ცვლილება. სამივე პირობის არსებობის შემთხვევაში გვაქვს ადაპტაციის ოპტიმალური სტრატეგია: ინდივიდი საწყის ეტაპზე რეალურ კონტაქტს ამყარებს კონფლიქტურ გარემოსთან და აქტიური ცნობიერი ქმედების საფუძველზე იწვევს ცვლილებას, შემოქმედებითად აშენებს ურთიერთქმედების ახალ სისტემას. მაგრამ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა იცვლება ურთიერთქმედებაში ჩართული მხოლოდ ერთი მხარე, რასაც მივყავართ ადაპტაციური სტრატეგიების განსხვავებულ ვარიაციებთან.

ადაპტაციისთვის აუცილებელი სამი პირობის შესაბამისად, მკვლევარი გამოყოფს სამ დიქოტომიურ წყვილს:

კონტაქტურობა - არაკონტაქტურობა
მიმართულობა გარეთ - მიმართულობა შიგნით
აქტიურობა - პასიურობა

მოყვანილი დიქოტომიური წყვილებიდან ნ. მელნიკოვა ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიის რვა ტიპს განასხვავებს:

1. აქტიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (გარემოს აქტიური ცვლილება);
2. აქტიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (ინდივიდის აქტიური ცვლილება);
3. აქტიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (ახალი გარემოს აქტიური ძიება);
4. აქტიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (გარემოსთან კონტაქტის შეწყვეტა და ინდივიდის შინაგან სამყაროში ჩაკეტვა);
5. პასიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (საკუთარი თავის პასიური რეპრეზენტაცია);
6. პასიურობა, კონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (გარემოს პასიური მორჩილება);
7. პასიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა გარეთ (გარემოს ცვლილების პასიური მოლოდინი);
8. პასიურობა, არაკონტაქტურობა, მიმართულობა შიგნით (შინაგანი ცვლილების პასიური მოლოდინი).

მკვლევარმა აღნიშნული სტრატეგიები შეამოწმა რუსულ მცირე ფოლკლორში და გამოყო ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების შესაბამისი ანდაზები (იხილეთ დანართი #2. ანდაზების, როგორც ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების საკლასიფიკაციო სქემა.)

ამრიგად, ჯ. ვაიტის კვლევისგან განსხვავებით, ნ. მელნიკოვას კვლევა ანდაზური აზროვნების მესამე დონეზე ფოკუსირდება, რომელიც ქცევით პასუხს, ქცევითი ტენდენციის განსაზღვრას ეხება. თუმცა, მკვლევარი ყურადღების მიღმა ტოვებს ანდაზით მოაზრებული ქცევითი სტრატეგიის კულტურულ–სპეციფიკურ თავისებურებებს (ანდაზის საფუძველმდებარე გაზიარებული/გამოცდილებისეულ კულტურულ მოდელებს), რომელთა გათვალისწინების გარეშე ნაკლოვანია ცოდნა, როგორც ანდაზის სემანტიკის, ისე მასში ნაგულისხმევი ქცევითი სტრატეგიის შესახებ.

4.2. კვლევის მიზანი და ამოცანები

ჩვენი ინტერესების შესაბამისი საკითხების განხილვის შემდეგ, შეგვიძლია განვსაზღვროთ კვლევის ძირითადი ობიექტები – ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები: ინსტიტუციური მოდელები და მენტალური რეპრეზენტაციები.

კვლევის **მიზანია** ადაპტაციური ქცევის ქართული კულტურული მოდელების იდენტიფიცირება და დახასიათება.

ამოცანები:

- ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიის ამსახველი ანდაზური გამონათქვამების შესარჩევი ინდიკატორების განსაზღვრა;
- პრობლემურ სიტუაციებთან დაკავშირებული ქართული ანდაზური გამონათქვამების შერჩევა;
- შერჩეული ანდაზური გამონათქვამების კატეგორიალური სტრუქტურის დადგენა - სემანტიკური სივრცის აგება;
- ანდაზათა კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლების (კვლევის მონაწილეთა მსჯელობების) სემანტიკური და დისკურსული ანალიზი;
- ანდაზურ გამონათქვამსა და ქცევას შორის ნაგულისხმევი კავშირის სპეციფიკის (პირდაპირი/ირიბი) გამოვლენა;
- ექსპერიმენტული და ინტერვიუს მეთოდებით მოპოვებულ და დამუშავებულ მონაცემთა სინთეზური ანალიზი და ინტერპრეტაცია.

საკვლევი მასალის შერჩევა. ადაპტაციური შინაარსის მქონე ანდაზათა არსებობა დასტურდება როგორც პარემიოლოგიური (Lauhakangas, 2001) ისე ფსიქოლოგიური (Мельникова, 2001) და ფსიქოანთროპოლოგიური (White, 1987) კვლევებით. შესაბამისად, კვლევა დავიწყეთ ამ ტიპის ანდაზური გამონათქვამების ამოკრეფით სპეციალური ფოლკლორული ლექსიკონებიდან.

საკვლევი მასალის (ანდაზების) შერჩევის ინდიკატორების განსაზღვრისას ვიხელმძღვანელეთ კვლევებით, რომლებშიც საკვლევ მასალად ანდაზები იქნა გამოყენებული (White, 1987; Мельникова, 2001). ჯ. ვაიტის კვლევის ანალოგიით, ანდაზათა შერჩევის კრიტერიუმად გამოვიყენეთ პიროვნება - პრობლემა/მიზანი კავშირის ამსახველი ანდაზები. ამგვარად, ყველა ანდაზა დაკავშირებულია რაიმე ტიპის პრობლემურ სიტუაციასთან და მისი გადაჭრის იმპლიკაციების მატარებელია. ანდაზებში გამოხატული ქცევითი ტენდენციის გამოსავლენად გამოვიყენეთ ნ. მელნიკოვას ფსიქოსოციალური ადაპტაციის კლასიფიკაციური სქემის საფუძველმდებარე კრიტერიუმები: კონტაქტურობა/არაკონტაქტურობა, აქტიურობა/პასიურობა, გარეთ მიმართულობა/შიგნით მიმართულობა (იხ. ცხრილი 1).

ანდაზების შერჩევის პროცესმა ცხადყო, რომ არსებობს ანდაზებით გამოხატული ისეთი ქცევითი სტრატეგიები, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი სამივე ინდიკატორი. აქცენტი ერთ ან რამდენიმე კომპონენტზე კეთდება. ასე, მაგალითად, ანდაზაში - „მოჩქარეს მოუგვიანდესო“ - წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ინდიკატორი (აქტიურობა/პასიურობა).

ამას გარდა, მელნიკოვასეული კლასიფიკაცია ვერ ასახავს მოქნილობის ფართო დიაპაზონის გამომხატველ, ორმაგი სემანტიკის მქონე ადაპტაციურ სტრატეგიებს („ავი კაცი აქე და ერიდეო“, „არც მწვადი დასწვა, არც შამფურიო“. „დრო არის ჩაქცევა ჯობია, დრო არის - გაქცევაო“.). აღსანიშნავია, რომ მელნიკოვას კლასიფიკაციის საფუძველია ადაპტაციის კონტექსტში ცვლილება/უცვლელობის (გარემოს/საკუთარი თავის ცვლილება) კრიტერიუმი, აღწერილი ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ასიმილაციურ და

აკომოდაციურ სტრატეგიებად (პიაჟე). ცვლილება/უცვლელობის ტენდენციები სტრატეგიებში განსხვავებული ვარიაციებით გვეძლევა. მაგალითად, ჭირს აკომოდაციური ტიპის სტრატეგიების მკაფიო გამიჯვნა: ანდაზა - „რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“ ან „ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდებაო“ - შეიძლება ჩაითვალოს როგორც უცვლელობის - გარემოს პასიურ მორჩილებაზე ორიენტაციად (კონტაქტურობა/პასიურობა/მიმართულობა შიგნით), ისე ინდივიდის ცვლილებაზე ორიენტაციად (კონტაქტურობა/აქტიურობა/მიმართულობა შიგნით).

ცხრილი 1. ადაპტაციური კონოტაციის მქონე ანდაზური გამონათქვამების შერჩევის ინდიკატორები

ანდაზის თემატიკის ინდიკატორი	პიროვნება // პრობლემა/მიზანი კავშირი
ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიის ინდიკატორი	კონტაქტურობა // არაკონტაქტურობა აქტიურობა // პასიურობა გარეთ მიმართულობა // შიგნით მიმართულობა

აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, კვლევისთვის ანდაზები შერჩეულ იქნა ორ კატეგორიად: 1. პირველი მოიცავს ე.წ. ბირთვულ ანდაზებს, რომლებიც დაძებნილ იქნა პრინციპით, რომ ანდაზა უნდა აკმაყოფილებდეს სამივე ინდიკატორს, შესაბამისად, ამ კატეგორიის ანდაზებში გამოხატული ქცევითი სტრატეგიის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული იქნა სამივე ინდიკატორი. ამგვარი ანდაზების შერჩევა განხორციელდა ექსპერტული კვლევის მეშვეობით. ათმა ექსპერტმა (2 ფსიქოლოგი, 2 ანთროპოლოგი, 3 პარემიოლოგი და 3 ფილოლოგი) ადაპტაციური ქცევის ინდიკატორების მიხედვით გამოყვეს ის ანდაზები, რომლებშიც სამივე ინდიკატორი იყო წარმოდგენილი). 2. ანდაზების მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი კატეგორია ექსპერიმენტში გამოყენებულია ბირთვული ანდაზების კონტექსტური ველის აღსაწერად, რაც ბირთვული ანდაზების და, ამგვარად, ადაპტაციური სტრატეგიების სემანტიკური სივრცის შექმნის

შესაძლებლობას ქმნის. შესაბამისად, მეორე კატეგორიის საექსპერიმენტო მასალის დაძებნისას საკმარისად მივიჩნიეთ ის, რომ ანდაზა აღიწერებოდეს არა სამივე, არამედ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთი ან ორი ინდიკატორით.

ამგვარად, კვლევის პროცესში ინფორმანტებისათვის იმთავითვე მიწოდებულ იქნა ადაპტაციური იმპლიკაციის მატარებელი ანდაზური გამონათქვამები. ანდაზური გამონათქვამები იხილეთ ცხრილში (დანართი 1).

საკვლევი მასალა: 113 ქართული ანდაზური გამონათქვამი. თითოეული ანდაზა განთავსებული იყო 3x6 ზომის ფურცელზე და მინიჭებული ჰქონდა კოდური ნომერი. ანდაზები ამოკრეფილ იქნა სპეციალური ლექსიკონებიდან (ლაშქარაძე, 1987; სონღულაშვილი, 1991; ჯორჯანელი, 2003; ღლონტი, 1957; ხორნაული, 1984; კალანდაძე, 2010; სახოკია, 2012).

კვლევის მონაწილეები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25–დან 59 წლამდე (განსაზღვრულია კრიტერიუმის მიხედვით – „ახალგაზრდა“) ორივე სქესის წარმომადგენელმა (30 ქალი და 30 კაცი), ჯამში n=60 კვლევის მონაწილე. ყოველი მათგანის მშობლიური ენა ქართულია.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია ორიენტირებულია პოზიტივისტური და ჰერმენევტიკული მიდგომების სინთეზზე. კვლევის მეთოდები ინდუქციურია და მიზნად ისახავს კონკრეტულ კულტურულ ჯგუფში ადაპტაციურ ქცევასთან დაკავშირებული კულტურული მოდელების აღმოჩენას.

კვლევა განხორციელდა ე. წ. ემიკური სტრატეგიით, რომელიც გულისხმობს კულტურის კვლევას „შიგნიდან“, მისთვის სპეციფიკურ კონცეპტებზე დაყრდნობით. შესაბამისად, მონაცემთა ანალიზის პროცესში გათვალისწინებულია აღქმა–ინტერპრეტაციის კულტურულ–სპეციფიკური კონცეპტები და მოდელები.

კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო და დაშვება

კვლევა ეყრდნობა „გონების“ ეთნოგრაფიულ-კოგნიტურ თეორიას, რომელიც კულტურით დეტერმინირებული ქცევის ანალიზისას ითვალისწინებს სუბიექტურ და ობიექტურ მნიშვნელობათა ანალოგიისებრი ურთიერთმიმართების სპეციფიკას.

ამგვარად, ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ კულტურა წარმოადგენს მისი წევრების საერთო, საზიარო გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელების ერთობლიობას. ამიტომ ყოველი კონკრეტული ინდივიდი საკუთარი გამოცდილების აღქმისა და ორგანიზებისთვის (მათ შორის: აზრების, გძნობების, მოტივაციების, საკუთარი და სხვების ქცევების) უნდა ითვალისწინებდეს გაზიარებულ შეხედულებებს, აკუმულირებულს ფიქსირებულ წარმონაქმნებში.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები

1. მონაცემთა მოკრების მეთოდები: მონაცემთა მოსაკრებად გამოყენებულ იქნა ორი ტიპის მეთოდი - ექსპერიმენტული, კერძოდ, ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტი[42] და ე.წ. რბილი – ინტერვიუ კვლევის მონაწილესთან.

ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა ანდაზების ბაზაზე ცნობიერების კატეგორიალური სტრუქტურის რეკონსტრუირება და შესაბამისი სემანტიკური სივრცის აგება (Петренко, 1997).

სემანტიკური სივრცის აგებისთვის პირველად მეთოდად გამოყენებულ იქნა კლასიფიკაციის პროცედურა – დახარისხების მეთოდი. ეს მეთოდი ეყრდნობა დაშვებას, რომლის თანახმად, საკვლევი მასალის შინაგანი სემანტიკური კავშირები შეესაბამება ამ მასალის კლასიფიკაციის ფორმას. კლასიფიკაციის პროცედურით იქმნება სემანტიკური კავშირების სტრუქტურა.

ინტერვიუ კვლევის მონაწილესთან. ინტერვიუს მიზანს წარმოადგენდა კვლევის მონაწილის მიერ განხორციელებული აქტივობების ახსნა–განმარტება/დაზუსტება (White, 1987; Quinn, 2005). ჩვენს შემთხვევაში, მსგავსი ინტერვიუს საჭიროება გამართლებულია ანდაზათა კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება/დაზუსტების საჭიროებით.

---

[42] ფსიქოსემანტიკა ფსიქოლინგვისტური კვლევითი სტრატეგიაა, რომელიც ორიენტირებულია ტექსტის კვლევასა და ანალიზზე რეალურ სამეტყველო პროცესში. ფსიქოსემანტიკური პარადიგმის ფარგლებში, ექსპერიმენტული პროცედურების მეშვეობით ხდება სამეტყველო ან საზროვნო მოღვაწეობის რეალური ფორმების მოდელირება, კერძოდ, ადამიანის ან სოციალური ჯგუფის ცნობიერების მნიშვნელობათა სისტემის რეკონსტრუქცია. სემანტიკური სივრცის აგება ეყრდნობა სხვადასხვა პირველად მეთოდს (მრავლობითი იდენტიფიკაცია, ასოციაციური ექსპერიმენტი, სკალირება, კლასიფიკაცია და სხვ.). ექსპერიმენტის შედეგად შექმნილი სემანტიკური სივრცე ცნობიერების ოპერაციონალისტურ ანალოგიას წარმოადგენს, რომლითაც ასახულია ფსიქიკის ფრაგმენტი (საკვლევი სფერო). კვლევის მონაცემები მუშავდება მულტიკომპონენტური სტატისტიკის მეთოდებით (Петренко В. Ф. 1997; Петренко В. Ф., Сурманидзе Л.Д.; 1994).

პროცედურები

ექსპერიმენტის პროცედურა: კვლევის მონაწილეებს მიეწოდებოდათ 113 ბარათი, თითოეულზე ერთი ანდაზური გამონათქვამით. მათ მოეთხოვებოდათ მიწოდებული ანდაზური გამონათქვამების დაჯგუფება მნიშვნელობათა მსგავსებაზე დაყრდნობით. დაჯგუფების პრინციპს (ჯგუფის რაოდენობას, შემადგენლობასა და მოცულობას) ყოველი მონაწილე ინდივიდუალურად, სურვილისამებრ ადგენდა. ექსპერიმენტის ხანგრძლივობაა 40- 45წთ. ექსპერიმენტი ტარდებოდა ინდივიდუალურად. ექსპერიმენტის მონაცემთა აღრიცხვა სპეციალურად შემუშავებულ ბლანკზე ხდებოდა (იხ. დანართი 2).

ინტერვიუს პროცედურა: ექსპერიმენტული პროცედურის დასრულებისთანავე მკვლევარი ინტერვიუს იღებდა კვლევის მონაწილისგან. კლასიფიკაციის შემდგომ კვლევის მონაწილეებს ვთხოვდით, პირობითი სახელი ეწოდებინათ მათ მიერ გამოყოფილი თითოეული ჯგუფისათვის. მათ, აგრეთვე, მოეთხოვებოდათ გამოყენებული კლასიფიკაციის პრინციპის ფორმულირება, ყოველ ჯგუფში გაერთიანებულ ანდაზებსა და მათში ნაგულისხმევ ქცევას შორის არსებული კავშირის იდენტიფიცირება/დახასიათება (მაგ., კვლევის მონაწილეებს უხდებოდათ პასუხის გაცემა შემდეგი ტიპის კითხვებზე: რატომ დაარქვით კონკრეტულ ჯგუფს კონკრეტული სახელწოდება? რის მიხედვით გვანან კონკრეტულ ჯგუფში გაერთიანებული ანდაზები ერთმანეთს? თქვენი აზრით, როგორ ქცევებს ახორციელებს კონკრეტულ ჯგუფში გაერთიანებულ ანდაზურ გამონათქვამებში ნაგულისხმევი ქცევის სუბიექტი? და სხვ.).

ამგვარად, ვავლენდით ანდაზურ გამონათქვამთა ინდივიდუალურ გაგებას. ინტერვიუ–გასაუბრებისას მიმდინარეობდა აუდიო ჩაწერა. პროცედურა ტარდებოდა ინდივიდუალურად, კვლევის მონაწილის ინფორმირებული თანხმობით (იხ. დანართი 3). ინტერვიუს ხანგრძლივობა - 15-20 წთ.

2. მონაცემთა დამუშავების მეთოდები: ამგვარად, მოპოვებულ იქნა ორი ტიპის მონაცემი: ექსპერიმენტული პროცედურით – ანდაზათა სემანტიკური გაერთიანებები და ინტერვიუთი – ამ გაერთიანებათა სახელდებები და კვლევის მონაწილეთა მსჯელობები კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლის შესახებ. ორივე ტიპის მონაცემი დამუშავდა ცალ-ცალკე.

ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება. ფსიქოსემანტიკური ექსპერიმენტით მოპოვებული მონაცემები დამუშავდა კლასტერიზაციის მეთოდით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება საკვლევი ერთეულების სემანტიკური კავშირების ფიქსირება კატეგორიზაციის სხვადასხვა დონეზე, შესაბამისად, კატეგორიზაციის მრავალდონიანი "ხის" (დენდროგრამა) აგება. აღნიშნული ამოცანა შესრულდა რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზის პროგრამის – SPSS 23-ის გამოყენებით.

ინტერვიუს მონაცემების დამუშავება. ინტერვიუირების შედეგად მიღებულ იქნა ტექსტები, რომლებიც მოიცავდა კვლევის მონაწილეთა მიერ მოწოდებულ ვერბალურ ინფორმაციას. მათი სისტემატიზებისთვის გამოვიყენეთ ე.წ. „ანალიტიკური კოდირების პრინციპი", რომელიც გულისხმობს გასაანალიზებელი ტექსტების ან ტექსტის შემადგენელი ელემენტების თემატურ კლასიფიკაციას. კვლევის ამოცანების შესაბამისად, წინასწარ განისაზღვრა თითოეული ნოდი.[43] ამგვარად, დამუშავების ამ, პირველად ეტაპზე მოხდა მონაცემთა *კონტენტ-ანალიზი.* აღნიშნული ამოცანა შესრულდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის პროგრამის – NVivo 10-ის გამოყენებით.

[43] ნოდი – თემატური გაერთიანების კოდური სახელწოდება, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება თემატრუი კლასიფიკაცია.

დამუშავების პროცედურები

ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავება-ანალიზის პროცედურა. ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული კოდირებული მონაცემების შეყვანა მოხდა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერულ პროგრამაში – SPSS 23. დენდროგრამა აიგო იერარქიული კლასტერული ანალიზის საფუძველზე. სადაც ობიექტთა წყვილის მსგავსების ზომად მიღებულია ერთსა და იმავე კლასტერში მათი მოხვედრის სიხშირე. ობიექტებს შორის მანძილის საზომად გამოყენებულ იქნა ევკლიდეს მანძილის კვადრატი. ამგვარად, დენდროგრამა - ე.წ. სემანტიკური ხე ასახავს სემანტიკურ დაჯგუფებებს სირთულის დონის შესაბამისად (მსგავსების მაღალი ხარისხიდან უფრო განვრცობილი გაერთიანებების მიმართულებით). ყოველი მომდევნო დონე უფრო მსხვილი სემანტიკური ერთეულია, შესაბამისად, მატულობს კლასტერის პოლისემანტიკურობა, რაც ხშირად ინტერპრეტაციას ართულებს. კლასტერის შინაარსობრივ თავისებურებას ქმნის მისი შემადგენელი ქვეკლასტერები, რომელთა რაოდენობა ყოველ კლასტერში განსხვავებულია. კლასტერული დამუშავების შემდეგ იმ კლასტერული კლასების ინტერპრეტაცია მოხდა, რომლებიც გამოიყო დენდროგრამის საშუალო დონეზე. გამოყენებულ იქნა კრონბახის ალფას კოეფიციენტი. კლასტერში გაერთიანებული ობიექტების შინაგანი შეთანხმებულობა საშუალოზე მაღალია (α ≥. 60) (იხ. დანართი 4).

ექსპერიმენტის შედეგად გამოიყო სემანტიკური დაჯგუფების რამდენიმე დონე. მონაცემთა ინტერპრეტაციამ მოიცვა ე.წ. საშუალო დონეზე გამოყოფილი 13 ძირითადი კლასტერული ერთობლიობა. ყოველი მათგანი აერთიანებს ერთიდან სამამდე ქვეკლასტერს. კლასტერთა შემადგენელი ელემენტები (ანდაზური გამონათქვამები) ჩვენს მიერ განხილულია კონკრეტულ ქცევით სტრატეგიად. ერთ სემანტიკურ ველში ისინი გარკვეული არქისემა/არქისემებით (სემანტიკური ნიშანი/ნიშნებით) ერთიანდებიან, რაც იმპლიციტურად ნაგულისხმევ არსებით ნიშანს/ნიშნებს, ჩვენს შემთხვევაში, ადაპტაციური ქცევის მახასიათებლებს/ინდიკატორებს მოიაზრებს.

თვისებრივი მონაცემების დამუშავება-ანალიზის პროცედურა. აინტერვიუირების შედეგად მიღებულ იქნა ტექსტები, რომლებიც მოიცავდა კვლევის მონაწილეთა მიერ მოწოდებულ ვერბალურ ინფორმაციას. მათი სისტემატიზებისთვის გამოვიყენეთ ე.წ. „ანალიტიკური კოდირების პრინციპი“ (Böhm, 2004), რომელიც გულისხმობს გასაანალიზებელი ტექსტების ან ტექსტის შემადგენელი ელემენტების თემატურ კლასიფიკაციას. კვლევის ამოცანების შესაბამისად, წინასწარ განისაზღვრა თითოეული ნოდი/სემანტიკური ჯგუფი. ამგვარად, დამუშავების ამ, პირველად ეტაპზე მოხდა მონაცემთა *კონტენტ-ანალიზი*. აღნიშნული ამოცანა შესრულდა თვისებრივ მონაცემთა ანალიზის პროგრამის – NVivo 10-ის გამოყენებით.

ანდაზათა ჯგუფების სახელწოდებებისა და კვლევის მონაწილეთა ინტერპრეტაციების შესაბამისობის გამოვლენა/სისტემატიზებისას ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო კვლევის მონაწილეთა ინტერპრეტაციებში რეპრეზენტირებული თემების გამოვლენა და, მათი შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე, ადაპტაციური ქცევის მდგენელთა იდენტიფიცირება და აღწერა/დახასიათება.

თვისებრივი მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია ორი მიმართულებით წარიმართა: 1. თვისებრივ მონაცემებში საბაზისო სემანტიკურ ერთეულთა გამოვლენა და მათი სემანტიკური სტრუქტურის აღწერა, 2. ანდაზასა და ქცევას შორის ნაგულისხმევი კავშირის დადგენა.

ანალიზის პროცესი წარიმართა შემდეგნაირად:

კვლევის მონაწილეთა ტექსტური მასალის დამუშავების შედეგად გამოიყო სემანტიკური დაჯგუფებები: 1. ადაპტაციური ქცევის კომპონენტების შესაბამისი 6 ძირითადი სემანტიკური ჯგუფი (აქტიური, პასიური, კონტაქტური, არაკონტაქტური, შიგნით მიმართული, გარეთ მიმართული); 2. ადაპტაციური ქცევის კომპონენტებთან არაპირდაპირი კავშირის მქონე, ე.წ. კონტექსტური 3 სემანტიკური ჯგუფი: ზოგადი

ფსიქოფიზიკური მდგომარეობების აღმწერი, პიროვნული თვისებების აღმწერი, ორმაგი სემანტიკის მქონე.

სემანტიკური ჯგუფი მოიცავს სამიდან ოცდაერთამდე სემანტიკურ ერთეულს (იხ. დანართი 5).

ანალიზი და ინტერპრეტაცია წარიმართა ორი მიმართულებით: 1. სემანტიკური ერთეულებში კონკრეტულ ჯგუფთან მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გამოვლენა; 2. მათი ურთიერთკავშირის დახასიათება.

როგორც ცნობილია, ანდაზები, ალეგორიულობის გამო, მეტაფორულ გააზრებას მოითხოვს. ჩვეულებრივ, მეტყველების პროცესში ანდაზა კონკრეტულ, კომუნიკაციაში ჩართული სუბიექტებისთვის ნაცნობ სიტუაციაში ჩნდება და, შესაბამისად, მისი მეტაფორული არსიც იოლი გასაგებია. მაგრამ კონკრეტული ანდაზის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილებისეული თავისებურებები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ამიტომ ჩვენთვის იმის გარკვევაც საინტერესო იყო, თუ რა იმპლიკაციებს ატარებს კონკრეტული ანდაზები კონკრეტული ჯგუფის წევრებისათვის.

ანდაზიდან დასკვნის გამოტანასთან დაკავშირებით ვაიტი აღნიშნავს იმპლიკაციის სამ დონეს: კოგნიტურს, აფექტურსა და ქცევითს (White, 1987). ქართულ ანდაზებსა და ქცევას შორის კავშირის (პირდაპირი/არაპირდაპირი) გასარკვევად ჩვენც მივმართეთ ნაგულისხმევი იმპლიკაციების (აფექტურს, კოგნიტურსა და ქცევითს) გამოვლენას (დანართი 6. ასახავს იმპლიკაციებისა და შესაბამი რაციონალური დანასკვების რაოდენობრივ ურთიერთმიმართებას).

მონაცემთა ანალიზი/ინტერპრეტაცია. კვლევის მონაცემთა ინტერპრეტაცია ეყრდნობოდა ორივე ტიპის მონაცემთა შედეგების სინთეზის პრინციპს.
მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის ამ ეტაპზე, დისკურს–ანალიზისა და სემიოტიკური ანალიზის ტექნიკების გამოყენებით, მეტაფორებისა და პროპოზიციების ანალიზით, ერთმანეთთან დავაკავშირეთ ექსპერიმენტული და თვისებრივი კვლევის

შედეგები. ქვემოთ მოცემულია შედეგების აღწერა, რომელიც კვლევის მონაცემთა დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის სინთეზურ/შეჯამებულ სურათს წარმოადგენს.

** ინიციალით P აღნიშნულია ანდაზა, ხოლო ინიციალით N – კვლევის მონაწილე. კვლევის მონაწილეთა ციტირებულ ტექსტებში მათი სტილი დაცულია*

4.5. მონაცემების აღწერა და ანალიზი

კლასტერი N1. დინების მიყოლა – ცვლილების პასიური მოლოდინი

მონაცემთა კლასტერული ანალიზით გამოვლენილ დენდროგრამაში გამოიყო პირველი კლასტერი, რომელშიც ცხრილში მოცემული ანდაზური გამონათქვამები ერთიანდება. კვლევის მონაწილეთა ინტერპრეტაციებში მოცემული გაერთიანების შესატყვისი თემატური ბლოკებია: ფატალიზმი, ბედი და დრო.

კლასტერი N1. გარეთ მიმართულობა, პასიურობა, არაკონტაქტურობა

(3 ანდაზა; α = .74)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P78 თავის ბედს კაცი ვეღარსად დაემალება P85 სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო P95 ყველაფერს თავისი დრო აქვსო	

როგორც დენდროგრამიდან ჩანს, ანდაზური გამონათქვამები P78 და P85 მცირე ქვეკლასტერს წარმოადგენს, რომელთა სემანტიკურ საფუძველსაც ბედით განსაზღვრულობა და მისი უპირობო მორჩილება ქმნის, ხოლო ანდაზა P95–ის სემანტიკა მომავალზე ორიენტაციით აისახება.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ მოცემულ ანდაზურ გამონათქვამებში, როგორც ადაპტაციურ ქცევით სტრატეგიებში, მოვლენათა განმსაზღვრელ უცვლელ პირობებად გარე ფაქტორები მიიჩნევა, შესაბამისად, ქცევის სუბიექტი კონტროლის ექსტერნალური ლოკუსით ხასიათდება. ამასვე ადასტურებს თვისებრივი მონაცემის – კვლევის

მონაწილეთა დეფინიციების ანალიზიც, სადაც პრობლემური სიტუაციისადმი სუბიექტის ამგვარი მიმართება ფატალისტურად კვალიფიცირდება, ხოლო მოვლენათა წესრიგის განმსაზღვრელ გარე ფაქტორებად, ყველაზე ხშირად, ბედი, ღმერთი, განგება, დრო, სხვა ადამიანი, გარეგანი ძალა ან ზოგადად – გარემო მიიჩნევა:

"ფატალურობა (ბედი, ღმერთი, გარემო)" N19
"ყველაფერი დაწერილია განგების მიერ" N37
"ბედი განსაზღვრავს ყველაფერს" N52
„გარეგანი ძალა, რომელიც შენს დამოუკიდებლად განსაზღვრავს შედეგებს" N1
"დროისა და ბედის ძალა (ადამიანის ქცევას ცოტა მნიშვნელობა აქვს)" N50

საფიქრებელია, რომ პრობლემური სიტუაციისადმი ამგვარი დამოკიდებულება კვლევის მონაწილეთა მიერ ნეგატიურად აღიქმება, რამდენადაც „თავის გამართლების", „სხვებზე გადაბრალების" ტაქტიკად მიიჩნევა:

„თავის შეცდომებს სხვას აბრალებს"; „სხვაზე დამოკიდებულება" N30
"მიზეზების ძიება გარეთ: საქმე რომ არ გამოგდის და სხვას აბრალებს" N5
"გარეგან ფაქტორებს აბრალებს წარუმატებლობას" N12

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრობლემური სიტუაციის სუბიექტი არაკონტაქტურია – მდგომარეობის გამოსასწორებლად არ იჩენს ქცევით ძალისხმევას და პრობლემური სიტუაციის „განმსაზღვრელ" ფაქტორებს უპირობოდ ემორჩილება, რაც საბოლოოდ სუბიექტის პასიურ მდგომარეობად ფორმდება. ამასვე ადასტურებს ერთ–ერთი კვლევის მონაწილის მეტაფორული გამონათქვამი – „დინების მიყოლა" N17. დინება ამ შემთხვევაში დროის, პროცესის, ცხოვრების მსვლელობის კონოტაციით იხმარება. ადაპტაციის კონტექსტში კი ცვლილების მოლოდინად შეიძლება მოვიაზროთ.

პასიურობის ერთგვარი გამართლებაა სენტენცია - „დროს ვერ დავაჩქარებთ" N1, შესაბამისად, ცვლილებაც პრობლემური სიტუაციის სუბიექტის ჩარევის გარეშეა შესაძლებელი – „ეხლა თუ არ ჩანს გამოსავალი, ბოლოში გამოჩნდება" N5.

საინტერესოა მეტაფორული გამოთქმები, რომელთაგან ერთი უშუალოდ ანდაზაში ფიქსირდება – „ბედთან დამალვა" P78, ხოლო ორი – კვლევის მონაწილის მსჯელობაში: „ცხოვრების წინასწარ დაწერა" N37 და „ბედის მოტყუება" N17. აღნიშნულ მეტაფორებში ექსპლიცირებულია სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულება, რომელშიც

წინასწარგანსაზღვრულობა აღქმულია რაღაცად, რაც უკვე წინასწარ დაწერილია. ბედისა და დაწერილი ტექსტის თვისებათა სინთეზში ნათლად ჩანს კონკრეტული კულტურის წევრისათვის მატერიალური არტეფაქტის მნიშვნელობა, რომელსაც ზებუნებრივი ძალის მეშვეობით სამყაროს მოწესრიგებისა და მომავლის განსაზღვრის უნარი აქვს. ანდაზებსა და კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში წინასწარგანსაზღვრულობის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებლად მიჩნევა, რაც კარგად არის რეალიზებული მეტაფორებში: „ბედთან (ბედისგან - დ.ჩ.) დამალვა“ და „ბედის მოტყუება“.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემური სიტუაციის სუბიექტი დაძლევისას მეტწილად ემოციურ სფეროს მიმართავს, რამდენადაც აქ წამყვანია ცვლილების პასიური მოლოდინის სუბიექტური განცდა. თუმცა, ცვლილება, თავისთავად, არ წარმოადგენს სუბიექტის იმგვარი ძალისხმევის შედეგს, რომელიც პრობლემური სიტუაციის გადაჭრისკენ იქნებოდა მიმართული. ცლილება დროის ფუნქციადაა მიჩნეული. რამდენადაც ანდაზებში არ კონკრეტდება ადაპტაციის უზრუნველმყოფელი მოსალოდნელი ცვლილებისადმი ადაპტაციის ობიექტი, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ცვლილება შეიძლება შეეხოს როგორც სუბიექტს, ისე – გარემოს.

პრობლემურ სიტუაციასთან ადაპტაციას ქცევის სუბიექტი ახდენს წინასწარგანსაზღვრულობის აღიარებითა და მომავალ ცვლილებაზე პასიური ორიენტაციით/მოლოდინით. დაძლევის პროცესში წამყვანია ემოციური სფერო.

კლასტერი N2. წყალში ჩახედვა

როგორც დედნდროგრამიდან ჩანს, მოცემული კლასტერი იქმნება P9 და P99 ანდაზების გაერთიანებით, რომელსაც დამოუკიდებლად უერთდება ანდაზა P60. თუმცა, მოცემულ ანდაზებს შორის ძლიერი სემანტიკური მსგავსებაა. ამიტომ, ადაპტაციის კონტექსტში მათი ცალ–ცალკე დახასიათებისთვის საკმარისი საფუძველი არ ჩანს.

კლასტერი N2. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (3 ანდაზა; α =.77)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან

P9 თუ სახლში არავინ გყავს, კედელს მაინც დაეკითხეო P99 თვითონ თუ არ იცი, სხვებს ჰკითხეო P60 თუ სარკე არ გაქვს, წყალში მაინც ჩაიხედეო		

აშკარაა, რომ ამ ანდაზებით წარმოჩენილი ქცევითი სტრატეგიების არსებითი მახასიათებელია პრობლემის გადასაჭრელად სხვების აზრის გაგება–გათვალისწინება. შესაბამისად, ნათლად იკვეთება კონტაქტურობის ტენდენცია, რომელიც ვლინდება როგორც პრობლემურ სიტუაციასთან კავშირის დამყარებაში, ისე მისი გადაჭრისათვის საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელებაში. კონტაქტურობის/უკუკავშირის მიღებისა და, მასთან ერთად, აქტიურობის ტენდენცია გამოხატულია ისეთი ზმნური ფორმებით, როგორიცაა: „დაეკითხე“, „ჰკითხე“, „ჩაიხედე“.

თვისებრივ მონაცემთა კონტენტ-ანალიზის მეშვეობით გამოვლენილი თემატური კატეგორიებიდან მოცემულ კლასტერს შეესატყვისება: კონტაქტი, კომუნიკაცია და უკუკავშირის მიღება. კვლევის მონაწილეთა თვალსაზრისებშიც დასტურდება ადაპტაციის კონტექსტში კონტაქტურობის საკომუნიკაციო კონოტაცია და მისი ადაპტაციური მნიშვნელობა:

„სხვებსაც უნდა დაეკითხო, აზრი ჰკითხო“; „გარედან უნდა მიიღო უკუკავშირი“ N12
„მარტო არ ხარ სამყაროში, სხვებიც უნდა გაითვალისწინო“ N2
„მოსმენის უნარი / სხვების მოსმენისკენ მოწოდება“ N59
„სხვას უნდა დაეკითხო რჩევას“ N40
„უნდა იკითხო, კითხვები უნდა დასვა და პასუხების მეშვეობით მიაღწევ შედეგს“ N4

ზემოთქმულის არგუმენტაციისთვის საინტერესოა ანდაზებსა და კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში სოციალური უკუკავშირის, კომუნიკაციის, პრობლემის გაგების, გამორკვევისა და რჩევის მიღების მნიშვნელობით გამოყენებული ისეთი მეტაფორები, როგორებიცაა: „წყალში ჩახედვა“ P60 და „კედელს დაკითხვა“ P9. მოცემულ მეტაფორებში წყლისა და კედლის თვისებებით სოციუმი აღიწერება. მეტაფორაში გამოცდილების ამგვარი არეების სინთეზი ადასტურებს სოციალური უკუკავშირისა და კომუნიკაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს (წყალი), რომელიც უსაფრთხოებისა

და სიმყარის გარანტია (კედელი). სოციალურ უკუკავშირსა და კომუნიკაციასთან ვიტალური არის მოთხოვნილებათა „სინესთეზიური შეჭიდულობით“ კიდევ ერთხელ დასტურდება ქართულ კულტურაში საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა.

ამგვარად, აღნიშნულ კლასტერში ადაპტაციის ლოკუსია პრობლემაზე ორიენტაცია. ამასთანავე, ქცევის სუბიექტი შიგნით მიმართულია, რამდენადაც პრობლემის გადაჭრის პირობად საკუთარ ძალისხმევას მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, ადაპტაციის საბოლოო მიზნის მისაღწევად ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთება ცვლილების ობიექტი, რამდენადაც პიროვნების მიმდინარე აქტივობა პრობლემის გადაჭრისათვის შესაფერისი სტრატეგიის ძიებას ემსახურება. დაძლევის წამყვანი სფეროა ქცევითი, რომელიც სამეტყველო–საკომუნიკაციო აქტივობით რეალიზდება. პრობლემური სიტუაციის გადაჭრას ადამიანი ახდენს კომუნიკაციის მეშვეობით. კომუნიკაციის მიზანს კი წარმოადგენს სხვების აზრის მოსმენა–გათვალისწინება, უკუკავშირის მიღება, შედეგად კი პრობლემის გადაჭრის ეფექტური, გაზიარებული და მოწონებული სტრატეგიის შერჩევა.

კლასტერი N3. გულში სიმღერა და ორი კურდღლის მადევარი

კლასტერული ანალიზის ამ დონეზე, მოცემულ ჯგუფს ქმნის ორი სუბკლასტერის გაერთიანება, რომლებიც, თავის მხრივ, პატარ-პატარა ჯგუფებისგან შედგება. იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი კლასტერის ზოგადი ორიენტაცია მრავალფეროვანი ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების სპექტრს ქმნის, გადავწყვიტეთ სუბ–კლასტერთა ცალ–ცალკე დახასიათება.

პირველი სუბკლასტერი 4 ჯგუფისგან შედგება, რომლებიც თანმიმდევრულად აზუსტებენ გაერთიანების საერთო ადაპტაციურ კონოტაციას. პირველ ჯგუფში აღწერილია პრობლემური ვითარების წინაშე მყოფი სუბიექტის თავის მართლების სტრატეგიები; მეორეში – ადაპტაციის პროცესში სუბიექტის პასიური აქტივობები და ამ აქტივობების შედეგი; მესამეში – პრობლემის გადაჭრის ირაციონალური ტაქტიკები;

ხოლო მეოთხე სუბკლასტერში მოცემული ანდაზური გამონათქვამი ერთგვარ გამამხნევებელ რჩევას წარმოადგენს მთლიანი სუბკლასტერის სუბიექტისთვის.

კლასტერი N3. გარეთ მიმართულობა, პასიურობა, კონტაქტურობა / არაადეკვატური აქტიურობა, კონტაქტურობა, შიგნით მიმართულობა

ანდაზები (17 ანდაზა; α =.82)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P69 ცოტას მხვნელ-მთესველი ღმერთს ემდურებოდაო P72 პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და, ბაკი მრუდეაო P86 მზეს შეჰყურებს, როდის ჩავაო P87 ჩიტს გაფრენა უნდოდა და შეშინებას ელოდაო P88 დღემეხვალიე კაცს კარს ზამთარი მოადგაო P89 ერთმანეთისა ბაძვითა, სახლი აივსო ნაგვითა P21 ფუტკარს თავი თაფლში ედო, კიდევ თაფლს ეძებდაო P90 კაცს ცხენი არ ჰყავდა, უნაგირს ნატრობდაო P59 მელა მახეში გაება, თავი მოიმძინარა - სიზმარი იქნებაო P91 ბებერმა კვერცხი თავქვეშ დაიდო, - ეგება აღდგომა მალე გამითენდესო P57 ამირან გულში მღეროდა, ყმანო, ბანი მითხარითო N92 ჰაცა, ვირო - ნუ მოკვდები, გაზაფხულზე ალერდი ამოვაო P20 ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო P24 ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო P6 ფაფა წამიხდა რევითა, კორკოტი - მორევლობითაო P16 ჭიაყელა გაწევ-გაწევაში შუაზე გაწყდაო P1 მოჩქარეს მოუგვიანდესო	

საერთო ჯამში, პირველი სუბკლასტერის ძირითადი მახასიათებლებია პრობლემურ სიტუაციაში სუბიექტის მიერ გამოვლენილი გარეთ მიმართულობისა და პასიურობის ტენდენციები. აღნიშნულის არგუმენტაციისათვის შეგვიძლია დავასახელოთ კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში იდენტიფიცირებული იმგვარი შინაარსობრივი კატეგორიები, როგორიცაა: ექსტერნალობა, სიზარმაცე, მიმბაძველობა, მოლოდინი, ოცნება, ნატვრა.

გარეთ მიმართულობის ორიენტაცია გამოხატულია 1. კონტროლის ექსტერნალურ ლოკუსში, რამდენადაც კონტროლის წყაროდ აღიარებულია ეგზოგენური რეალობა – „ღმერთი“ P69; „მრუდე ბაკი“ P72 და 2. გარემოდან ბიძგის მოლოდინში – „მზეს შეჰყურებს“ P86; „შეშინებას ელოდა“ P87. ამ ორიენტაციას თვისებრივი მონაცემების ანალიზიც აჩვენებს. კვლევის მონაწილეები ანდაზური გამონათქვამების კლასიფიცირებისას აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი ანდაზა აღწერს პრობლემური სიტუაციის პირისპირ „ადამიანის უძრაობას“ P38; „არაფრის კეთებას“ P42; „თავის გამართლებისთვის მიზეზების ძიებას“ P3. ასეთი ადამიანები „გარეგან ფაქტორებს აბრალებენ წარუმატებლობას, სხვისი შემყურეები არიან, გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებენ. ამიტომაც გარეგანი ბიძგი ესაჭიროებათ მოქმედებისათვის“ P12. ამავდროულად, იკვეთება პასიურობის ორიენტაცია, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სიზარმაცე („ცოტას მხვნელ–მთესველი P69; „დღემეხვალიე“ P88; ჯიბრიანი P89), პრობლემური სიტუაციიდან ყურადღების გადატანა („თავის მომძინარება“ P59, „უნაგირის ნატვრა“ P90) და გარემოს ცვლილების მოლოდინი („გაზაფხულზე ალერდი ამოვა“ P92). კვლევის მონაწილეთა მიერ ამ ანდაზების პერიფრაზებში ასევე ხაზგასმულია ადაპტაციის პროცესში „ადამიანის ინერტული სვლა“ N41; „მიზნებს ვერ აღწევს, ამიტომაც პრობლემის გადაჭრის წარმოსახულ, მეოცნებე, ფანტაზიურ სტრატეგიებს მიმართავს“ N12. ჩვენი ერთ–ერთი კვლევის მონაწილე ამგვარ პრობლემურ სიტუაციაში აღმოჩენილი ადამიანის მდგომარეობის აღსაწერად იყენებს მეტაფორას – „მახე“ N57.

პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტის თვალსაზრისით, ქცევის სუბიექტი ნაკლებ კონტაქტურია. დროდადრო კონტაქტი მყარდება, თუმცა არაეფექტური, ვინაიდან აქტივობა მოკლებულია სათანადო ძალისხმევასა და ადეკვატურ შეფასებას. კვლევის მონაწილეთა თვალსაზრისით, აქტივობის ამგვარ ფორმებში ერთმანეთთან შეჭიდულია „უსაქმურობა და უკეთესობის მოლოდინი“ N14.

დაძლევის სფეროში წამყვანი მიზანშეუწონელი ქცევითი აქტივობებებია, რომლებიც ძირითადად გაუაზრებელი ბიჰევიორალური მცდელობებით ან იმგვარი პასიური აქტივობის ფორმებით შემოიფარგლება, როგორიცაა ლოდინი, ნატვრა, ძილი,

მიმბაძველობა. აღნიშნული ტენდენციები კვლევის მონაწილეთა მიერ უარყოფითად ფასდება, ვინაიდან „ზარმაცი, უქნარა ადამიანების“ N30 თვისებებად განიხილება. თუ „ზარმაცი ხარ, წარუმატებლობასა და უხეირობას სხვას აბრალებ; რაღაცას ელოდები და არაფერს აკეთებ, ამიტომაც შენი ბრალია, რაც გემართება“ N40.

ზემოთ აღწერილს სიცხადეს მატებს მეტაფორათა ანალიზიც. მოცემულ ანდაზებში და მათი მსგავსების შესახებ მსჯელობებში პასიური, ზარმაცი და ცვლილების მოლოდინის რეჟიმში მყოფი სუბიექტის აღსაწერად გამოყენებულია ისეთი მეტაფორული გამონათქვამები, როგორიცაა: „მზის ჩასვლის ყურება“, „შეშინების მოლოდინი“ და „გულში სიმღერა“. საინტერესოა, რომ პრობლემის გადაჭრისათვის არაფრის კეთების მდგომარეობა აღწერილია გამოცდილების იმგვარი არეებით, რომელშიც ადამიანი ბუნებრივი მდგომარეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. აღნიშული წინააღმდეგობები ასახულია ოპოზიციებში სინათლე//სიბნელე („მზის ჩასვლის ყურება“); ნებსითი//უნებლიე („შეშინების მოლოდინი“). აქედან, იგულისხმება, რომ ქცევის სუბიექტს შესწევს პრობლემის გადაჭრის უნარი, თუმცა საკუთარი შესაძლებლობებისა და მოთხოვნების საპირისპიროდ იქცევა.

ამრიგად, მთლიანი სუბკლასტერის არსებითი საერთო მახასიათებლებია ორიენტაცია გარეთ მიმართულობასა და პასიურობაზე. დროდადრო პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტი მყარდება, თუმცა მსგავსი კონტაქტის ბუნება არამიზანმიმართული და გაუაზრებელია. ზოგადი მდგომარეობა ოპტიმისტურია, რაც გამოიხატება გარემოს ცვლილების პასიურ მოლოდინში. დაძლევისას წამყვანია აფექტური და კოგნიტური სფერო.

მეორე სუბკლასტერი, პირველისგან განსხვავებით, ადაპტაციური ქცევის ჩვენს მიერ გამოყენებული ინდიკატორების მიხედვით საპირისპირო კონოტაციების მატარებელია. სუბკლასტერის არსებითი მახასიათებელია აქტიურობის ტენდენცია. ამასვე მოწმობს თემატური კატეგორიებიც: აქტიურობა, სიხარბე და ზომიერება. თემატურ კატეგორიაში შესატყვისი მეტაფორები და ზმნური ფორმებია „ბევრის მდომი“, „ორი კურდღლის მდევარი“, „გაწევ–გაწევა“ და „მოჩქარე“. ჩანს, რომ ანდაზური გამონათქვამების სუბიექტი ხასიათდება „ბევრის მდომის“ განწყობით, რაც ათვალსაჩინოებს

ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიის კიდევ ერთ ორიენტაციას – შიგნით მიმართულობას. აღნიშნული ორიენტაციები დასტურდება თვისებრივ მონაცემებშიც, რომელთა თანახმად, ამგვარი ქცევითი ტაქტიკები „ხარბ“ და „გაუმაძღარ“ ადამიანებს მიეწერებათ:

„გაუმაძღრობა: იმაზე მეტი არ უნდა გინდოდეს, რაც გეკუთვნის“ N1
„არ უნდა იყო უმადური, უნდა დაკმაყოფილდე იმით რაც გაქვს“ N14
„ხარბი რომ არ უნდა იყოს ადამიანი“ N19
„ხარბი ნუ იქნები, იკმარე რაც გაქვს“ N33
„ხარბობა და დაუთმობლობა“ N38
„საქმე ჯობია ერთი აკეთო“ N13

პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტი მყარდება, თუმცა უშედეგო, რადგან პიროვნება ვერ ახერხებს ეფექტურ თვითრეგულაციას – ხშირად ერღვევა ზომიერების განცდა. ზომიერებაზე ყურადღებას ამახვილებენ ჩვენი ცდისპირებიც, რომელთა უმეტესობაც ზომიერებას სიხარბის საპირწონედ განიხილავს:

„სიღორით კარგი არაფერი გამოვა“ N46
„რაც საკმარისია იმას უნდა დასჯერდე“ N4
„ბევრის ნდომა წარუმატებლობას მოიტანს“ N12
„ ზომიერება, როგორც სიქველე“ N2
„ ზომიერება: ისე მოიქეცი საქმე არ გაფუჭდეს“ N58

ადაპტაციის ხელისშემშლელ პირობად მიჩნეულია სულსწრაფობა P1, ვინაიდან, როგორც ჩვენი ცდისპირი აღნიშნავს, „სულსწრაფი ადამიანი მიზანდასახულად ვერ იმოქმედებს“ N5.

დაძლევის პროცესში წამყვანია ქცევითი სფერო. დაძლევის არჩეულ სტრატეგიას არ მოაქვს სასურველი შედეგი („დაკარგა“, „ვერ დაიჭირა“, „წაუხდა“, „გაწყდა“, „მოუგვიანდა“).

ამრიგად, მოცემული კლასტერის შესაბამისად, ადაპტაციურ ღირებულებას წარმოადგენს პრობლემურ სიტუაციაში ზომიერების პრევალირება.[44] ზომიერებადარღვეული მდგომარეობის მაგალითებად მოყვანილია სიხარბე და აჩქარება. ზომიერების

[44] *ზომიერება ქართულ კულტურაში მნიშველოვან ღირებულებად არის მიჩნეული, რასაც ივ. ჯავახიშვილიც ადასტურებს: „დიდ ღირსებად და საუკეთესო ზრდილობის ნიშნად ითვლებოდა ზომიერების დაცვა“. ამგვარად, „უქმსიტყვაობა“, „ენათმანქანა“ ანუ ფუჭი ლაპარაკი ადამიანის ნეგატიური მახასიათებელია (ჯავახიშვილი, ივ. 1956: 130–155).*

დარღვევისას ადამიანები ვერ ჭრიან პრობლემებს, ვერ აღწევენ მიზანს. დაძლევის პროცესში წამყვანია ქცევითი სფერო.

საერთო ჯამში შეიძლება ვთქვათ, რომ მოცემული კლასტერის საერთო მახასიათებელია წარუმატებელი ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების აღწერა. სტრატეგიათა წარუმატებლობის განმსაზღვრელია ადაპტაციის პროცესში პასიურობა (მაგ., სიზარმაცე P69, P88, P92, მიმბაძველობა P89, ექსტერნალობა P72, P86, P87,); რეალობის არაადეკვატური აღქმა (ირაციონალური ქმედებები P21, P90, P59, P91; ზომიერების დარღვევა P20, P24, P6, P16, P1). ამრიგად, პრობლემის სუბიექტი არსებითად პასიური, არაკონტაქტური და გარეთ მიმართულია. აღნიშნული სტრატეგია ცვლილების პასიურ მოლოდინად კვალიფიცირდება. საინტერესოა ის, რომ სწორედ ამ კონტექსტში მოხვდა საპირისპირო ქცევითი სტრატეგია (აქტიურობა, კონტაქტურობა, შიგნით მიმართულობა), რომელიც ადაპტაციის კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენს, თუმცა მოცემულ კონტექსტში არაეფექტურია, ვინაიდან რეალობის არაადეკვატური აღქმის შედეგია და გამოუსადეგარია პრობლემური სიტუაციის გადაჭრისათვის.

კლასტერი N4. მიდგომ–მოდგომა – ახალი გარემოს ძიება.

მოცემულ კლასტერში დაჯგუფებული ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიები ხასიათდება აქტიურობის ტენდენციით, რომელიც რეალიზებულია მოქმედებისა და მოხერხებულობის გამომხატველი ისეთი ზმნური ფორმის მეტაფორით, როგორიცაა – „მიდგომა–მოდგომა“ P37. ამასთანავე პრობლემური სიტუაციის სუბიექტი გარეთ მიმართულობის ორიენტაციასაც ავლენს, რაც კარგად იკვეთება ინდივიდუალური ძალისხმევის გამოჩენის წახალისებაში – „არ უნდა ჭირში გადრეკა“ P55. აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში ვხვდებით იმგვარ ტექსტებს, სადაც სწორედ „გაჭირვების ჟამს მოქმედებისაკენ მოწოდებაზე“ N59 კეთდება აქცენტი.

კლასტერი N4. გარეთ მიმართულობა , აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (3 ანდაზა; α =.62)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P37 მიდექ და მოდექ თუ გიჭირს, სოფელი ღონიერიაო P55 არ უნდა ჭირში გადრეკა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია P102 კაცი კაცით არისო	

მიუხედავად იმისა, რომ ქცევის სუბიექტი უშუალოდ პრობლემურ სიტუაციასთან წყვეტს კონტაქტს და, ამ გაგებით, არაკონტაქტურია, ადაპტაციის მიზნით კომუნიკაციას ამყარებს ადამიანებთან და გარეთ ეძიებს ახალ ჰარმონიულ გარემო პირობებს. სწორედ ამ კონტექსტში იკვეთება გარეთ მიმართულობის ტენდენცია, რომელიც განმტკიცებულია სოციალური მხარდაჭერით P37; P55; P102.

მეორე დონის ანალიზმა გამოავლინა მოცემული კლასტერის შესატყვისი ისეთი თემატური კატეგორიები, როგორიცაა „სოციალური მხარდაჭერა“ და „დახმარება“. მონაცემთა თვისებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სოციალური მხარდაჭერა შეჭიდულია გარეთ მიმართულობასთან და განმტკიცებულია „ურთიერთდახმარებით“ N47, „თანადგომითა“N1 და „ადამიანის სოციალური არსით, მოცემულობით“ N14. მაგალითისთვის გთავაზობთ კლასიფიკაციის დასაბუთებებიდან რამდენიმე ამონარიდს:

„ჭირში დახმარება სხვასაც შეგიძლია სთხოვო“ N38
„ ძმობა, ერთობა (ყოველთვის უნდა გვქონდეს მეგობრობა და ძმების იმედი)“ N44
„ერთმანეთთან გვერდში დგომას ძალა აქვს“ N13
„კოლექტივის ძალა“ N50

ზემოთქმულის არგუმენტს ქმნის მეტაფორათა ანალიზიც. აღნიშნულ კლასტერში სამი მნიშვნელოვანი მეტაფორაა წარმოდგენილი: „მიდგომა–მოდგომა“, „ყველგან დარჩენა“ და „ღონიერი სოფელი“. კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში „მიდგომა–მოდგომა“ და „ყველგან დარჩენა“ მაღალი ადაპტაციური პოტენციალის მქონე ელასტიურობის,

მოხერხებულობისა და მოქნილობის დამადასტურებელი მეტაფორებია. „სოფლის“ (სოციუმის)აღწერა ფიზიკური ძალის თვისებით და მისი მოაზრება პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტად კი მნიშვნელოვან კულტურულ ინფორმაციას იძლევა კონკრეტულ კულტურაში ფიზიკურ სიძლიერესა და პრობლემის გადაჭრას შორის დადებითი კავშირის შესახებ.

ამრიგად, კლასტერში წარმოდგენილი ადაპტაციური ქცევის სუბიექტი აქტიური და გარეთ მიმართულია. პრობლემურ სიტუაციასთან უშუალო შეჭიდების ნაცვლად, განერიდება მას და კონტაქტს ამყარებს ახალ გარემო პირობებთან. მთელს თავის რესურსს სწორედ ახალი გარემოს ძიებისკენ მიმართავს, სადაც უფრო კომფორტულად და ჰარმონიულად იგრძნობს თავს. მოტივაციის ძირითადი წყაროა სოციალური მხარდაჭერის იმედი. დაძლევისას წამყვანია ქცევითი სფერო.

კლასტერი N5. შორი გზის მოვლა

როგორც კლასტერიზაცია აჩვენებს, ერთად თავმოყრილი ანდაზური გამონათქვამების ძირითადი ადაპტაციური მოტივია იმგვარი განწყობის აქტუალიზება, რომელიც დისტრესის გამომწვევი პრობლემის მოსაგვარებლად უზრუნველყოფს აქტიურ კოგნიტურ და ბიჰევიორალურ ძალისხმევას. ამგვარი ორიენტაციის პირობაა სტრატეგიების არსებითი ადაპტაციური მახასიათებლები – აქტიურობა და კონტაქტურობა, რომლის სადემონსტრაციოდ ისეთი ზმნური ფორმების მოშველიებაც კმარა, როგორიცაა: „დახედე...გახედე...“ P13; „გაზომე...გასჭერი“ P34; „მოიარე...მიდი“ P36; „იკითხე“ P103; „ჰკითხე...ჰქმენ“ P101.

კლასტერი N5. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (5 ანდაზა; α =.76)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P13 ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს გახედე P34 ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი P36 შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო P103 ჯერ ფონი იკითხე და მერე წყალში შესტოპეო P101 ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა	

თვისებრივ მონაცემთა ანალიზიც ადასტურებს ამგვარი გაერთიანების ლოგიკას, რომელიც შემდეგ თემატურ კატეგორიებში მჟღავნდება: წინდახედულობა, სიფრთხილე, გულისთქმა. კვლევის მონაწილეთა მიხედვით, პრობლემური სიტუაციის გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია „წინდახედულობა და სიფრთხილე“ N19. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული თვისება „გამჭრიახ“, „გონიერ“, „ჭკვიან“, „ბრძენ“ ადამიანს მიეწერება. მაგალითისთვის გთავაზობთ ამონარიდებს კვლევის მონაწილეთა მსჯელობებიდან და ანდაზების გაერთიანებების სახელწოდებებიდან:

„წინდახედულობა და სიბრძნე“ N33
„წინდახედულობა, ჭკუა, გონება“ N44
„გამჭრიახობა და ფიქრის შემდეგ მოქმედება“ N6
„გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრებაა საჭირო“ N51
„დაფიქრდი მოქმედების წინ და ერთი გადაწყვეტილება მიიღე“ N5
„მოქმედებამდე ვფიქრობთ“ N1
„გადაწყვეტილების მიღებამდე დაფიქრდი, აწონ-დაწონე“ N13
„სანამ რამეს გააკეთებ, მანამდე მის შედეგებზე უნდა იფიქრო“ N37
„განჭვრიტე მოქმედების სისწორე“ N27

გარდა აღნიშნული თვისებებისა, ანდაზური გამონათქვამების სუბიექტი ხასიათდება შიგნით მიმართულობის ტენდენციითაც, რამდენადაც მაქსიმალურად ცდილობს, რომ რესურსების გამოყენების მეშვეობით მოერგოს გარემოს. როგორც ჩვენი კვლევის ერთ–ერთი მონაწილე მიუთითებს, „მოზომო უნდა ყველაფერი და უნდა მოარგო ყველაფერი სხვას“ N7.

როგორც ვხედავთ, ქცევის სუბიექტი ადაპტაციის პროცესში იჩენს განსაკუთრებულ წინდახედულობას/სიფრთხილეს და, შესაბამისად, დაძლევისას ფოკუსირებულია ქცევით და კოგნიტურ სფეროზე (P13; P34; P36; P103), თუმცა საინტერესოა ისიც, რომ სწორედ ამ კონტექსტში ვხვდებით აფექტურ სფეროზე ორიენტირებულ დაძლევას P101, სადაც პრობლემური სიტუაციის გადაჭრა „გულის კარნახის“ გათვალისწინებით მიმდინარეობს. როგორც ერთ–ერთი ინფორმანტი აღნიშნავს, პრობლემურ სიტუაციაში „გულის კარნახს უნდა მიჰყვე, რადგან წარმატება შენს თავზეა დამოკიდებული და არა გარემოზე“ N14. აქედან ცხადია, რომ შიგნით მიმართულობის ტენდენცია ამ კონკრეტულ

შემთხვევაში მოიაზრებს არა მხოლოდ საკუთარი თავის ცვლილების ორიენტაციას, არამედ საკუთარი ინტუიციური მისწრაფებების გათვალისწინებასაც.

საინტერესოა მეტაფორებიც, რომელიც მოცემულ კონტექსტში გამოიყენება: „შორი გზის მოვლა“, „ათჯერ გაზომვა“, „ფონის კითხვა“. როგორც კვლევის მონაწილეთა მსჯელობებშიც ჩანს, ეს მეტაფორები პრობლემის გადაჭრის წარმატებულ გზებს ასახავს, ხოლო წარმატებული სტრატეგია აღწერილია სივრცესთან/მანძილთან (შორი გზა), დროსთან (მრავალჯერ გაზომვა) და შესწავლასთან (ფონის კითხვა) დაკავშირებული გამოცდილების არეებით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემის წარმატებით გადაჭრის კრიტერიუმის მდგენელებია დროის, სივრცისა და სწავლის კატეგორიები. ამასთანავე, „შორი გზის მოვლა“, როგორც ჩვენი კვლევის რამდენიმე მონაწილეც ექსპლიციტურად აცხადებს, დაკაშირებულია სიფრთხილესთან და წინდახედულობასთან.

ამრიგად, ქცევის სუბიექტი კონტაქტს ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან და შიგნით მიმართულობის ორიენტაციით ხასიათდება, მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები და მოერგოს გარემოს. ახასიათებს ინტერნალური კონტროლის ლოკუსი. წახალისებულია ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა: სიფრთხილე, წინდახედულობა და ზომიერება. დაძლევის პროცესში წამყვანია ქცევითი და კოგნიტური სფერო.

კლასტერი N6. თავი მოიმოახლეო

მოცემული მცირე ზომის კლასტერი ადაპტაციური მაასიათებლებით წინა კლასტერის მსგავსია, თუმცა ამ უკანასკნელში უფრო მეტად აქცენტირებულია პრობლემურ სიტუაციაში ჩავარდნილი ინდივიდის გარემოსთან მორგების მიზნით შინაგანი ცვლილების აუცილებლობა. ანდაზური გამონათქვამები მიზნის მიღწევისათვის ორ სტრატეგიას გვთავაზობს: 1) არსებული ობიექტური შესაძლებლობების კმარება/გამოყენება P67; P77 და 2) არსებული სუბიექტური შესაძლებლობების

გამოყენება P41. ფსიქოლოგიურად, ორივე შემთხვევაში პრობლემური სიტუაციის გადაჭრისათვის სუბიექტის ცვლილებასთან გვაქვს საქმე.

კლასტერი N6. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (3 ანდაზა; α =.56)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P67 როცა არ იყოს, ცოტა კმარიყოსო P77 ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდებაო P41 თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო	

მოცემული კლასიფიკაციის საფუძვლად თვისებრივ მონაცემებში გამოვლინდა ისეთი თემატური ბლოკები, როგორიცაა: რესურსების გამოყენება და მცირედით დაკმაყოფილება. კვლევის მონაწილეთა ინტერპრეტაციებში უხვად ვხვდებით კლასიფიკაციის საფუძვლად მოაზრებულ იმგვარ რაციონალურ დანასკვებს, სადაც ხაზგასმულია აღნიშნული ტენდენციები:

„რაც გაქვს უნდა იკმარო“ N5
„რისი საშუალებაც გაქვს იქედან გამომდინარე, სიტუაციიდან გამომდინარე, იქცევი“ N13
„რაც აქვს ის იკმაროს; თითონ მოერგოს“ N6
„გარემოებების მორგება“ N55
„ადაპტაცია: მოერგო სიტუაციას რესურსიდან გამომდინარე“ N1

კლასტერი N7. კარგი მოთამაშე

როგორც ვხედავთ, ანალიზის საშუალო დონეზე გვაქვს ერთი გაერთიანება, რომელშიც ორი სუბკლასტერი განირჩევა, თუმცა ადაპტაციური სტრატეგიების მახასიათებელთა მიხედვით მათ შორის განსხვავებას არ ვხვდებით.

მოცემული კლასტერის არსებითი მახასიათებელია შიგნით მიმართულობის ტენდენცია, რომელიც მჟღავნდება ინდივიდუალურ შესაძლებლობათა პლასტიკურობის გაზრდისკენ სწრაფვასა და ძლიერი ინტერნალობის ლოკუსში: ორიენტაცია

პრობლემურ სიტუაციაში საკუთარი წვლილის/როლის/მნიშვნელობის განსაზღვრაზე და პასუხისმგებლობის მიღებაზე.

ანალიზის მეორე დონეზე გამოიყო მოცემული კლასტერის აღმწერი იმგვარი თემატური კატეგორიები, როგორიცაა: „მოქნილობა“, „მოხერხებულობა“, „ელასტიურობა“, „ზომიერება“, „ხან ისე და ხან ასე“ . ამასვე ადასტურებს კვლევის მონაწილეთა მოსაზრებები, რომლებსაც ისინი ანდაზათა სემანტიკური მსგავსების დასაბუთებებისას გამოთქვამენ:

„ადაპტაციის სტრატეგიები: გარემოზე მორგების სტრატეგიები“ N2
„კარგი ადამიანი ყოველთვის კარგ გადაწყვეტილებას მიიღებს“ N5
„ვინც მზადაა რაღაცის გასაკეთებლად, მას აქვს უპირატესობა“ N42
„წარმატება შენს თავზეა დამოკიდებული და არა გარემოზე“ N14
„შედეგებზე პასუხისმგებელი თავად ადამიანია“ N10
„გონიერი ადამიანი საკუთარ თავზე მეტ პასუხისმგებლობას იღებს“ N2

ანდაზურ გამონათქვამებში ერთმნიშვნელოვნად არ არის გამოხატული პრობლემური სიტუაციის დაძლევაში პიროვნების აქტიურობისა და კონტაქტურობის ხარისხი, თუმცა მათი საერთო მოტივი კონტაქტურობისა და აქტიური ძალისხმევისკენ მოწოდებაა. დაძლევის პროცესში წამყვანია ხან კოგნიტური P51; P105; P50, ხან ემოციური P82, P107 და ხან კი ქცევითი სფერო P52, P26.

მეტაფორულ გამონათქვამთა ანალიზი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ პრობლემური

კლასტერი N7. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (7 ანდაზა; α =.67)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P51 გზა ვინც იცის, ფეხს არ წაიკრავსო P82 გონიერი მეტს მოითმენსო P107 ჭკვიანი თავის თავს დაემდურება, უტვინო - სხვასაო P52 კარგი მოთამაშე კამეჩს ცოხნაზედაც აჰყვებაო P105 ბედაური მათრახს არ დაიკრავსო P50 კარგ მონადირეს იარაღი არ დაუჟანგდებაო P26 ვისაც თონე ცხელი აქვს, პურსაც იგი გამოაცხობსო	

სიტუაციის გადაჭრის შესაძლებლობათა აღსაწერად გამოყენებულია პირველად, ვიტალურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგნების მახასიათებლები. ასე, მაგალითად, პრობლემის გადაჭრის მეტაფორულ ექსპრესიას წარმოადგენს ისეთი მეტაფორები, როგორიცაა: „პურის გამოცხობა“ P26 (საკვების მოთხოვნილება); „იარაღის დაუჟანგაობა“ P50, „ფეხს არ წამოიკრავს“ P51 (უსაფრთხოება). პრობლემური სიტუაციის პირისპირ ადამიანის პიროვნული ნიშნებისა და ქცევის აღსაწერადაც ადრეული გამოცდილებები და გაზიარებული კულტურული შეხედულებები გამოიყენება. მაგ., „გზის ცოდნა“ P51 (განსწავლულობა); „კამეჩის ცოხნაზე აყოლა“ (დამთმობლობა, მორჩილება, კომფორმულობა); P52; „კარგი ბედაური“ P105 (მორჩილება); „საკუთარ თავზე დამდურება“ P107 (თვითდადანაშაულება). განსაკუთრებით საინტერესოა ეპითეტად გამოყენებული მეტაფორული გამოთქმა – „კარგი მოთამაშე“, რომლითაც კარგი ადაპტაციური უნარების მქონე ინდივიდი ხასიათდება P52. ვინაიდან, აღნიშნულ ეპითეტში მოაზრებულია ინდივიდი, რომელიც პრობლემის გადაჭრისათვის ყველაფერს გააკეთებს („კამეჩს ცოხნაზედაც აჰყვება“), საფიქრებელია, რომ კონკრეტულ კულტურაში თამაში როლის მორგებისა და შესრულების საუკეთესო სტრატეგიაა და ამით პრობლემის გადაჭრის კარგი ინსტრუმენტი. როგორც ჩვენი კვლევის ერთ–ერთი მონაწილე აღნიშნავს, „კარგად უნდა შეასრულო ის სპექტაკლები, რომელსაც ცხოვრება გთავაზობს“ N53.

საგულისხმოა ისიც, რომ მეტაფორით – „კარგი მოთამაშე“ დახასიათებული სუბიექტის ადაპტაციური ქცევა შედარებულია იმგვარ რიტმულ მოძრაობასთან, როგორიც არის „ცოხნა“. ანდაზის მეტაფორულ ექსპრესიაში ამგვარ განსხვავებულ არეთა სინთეზი სიმბოლოთა ფიზიოგნომიკური ფორმირების თვალსაჩინო შემთხვევაა.

ამრიგად, კლასტერის არსებითი მახასიათებელია შიგნით მიმართულობის ტენდენცია, რომლის მიზანიც პრობლემურ სიტუაციაში ჩავარდნილი სუბიექტის პასუხისმგებლობის გაზრდა და სუბიექტის ცვლილების მოტივაციაა.

კლასტერი N8. ხან ისე და ხან ასე

კლასტერული ანალიზის ამ დონეზე გამოვლინდა ყველაზე დიდი გაერთიანება, რომელშიც 34 ანდაზა ერთიანდება. კლასტერის საერთო მახასიათებელი განსაკთრებულ კულტურულ სპეციფიკაზე მიუთითებს. მასში წარმოდგენილია მოქნილობის (ცვლილების) ვრცელი დიაპაზონის მქონე სტრატეგიები და ადაპტაციისთვის ხელისშემშლელი (უცვლელობის) გარემოებები.

მიუხედავად იმისა, რომ კლასტერის ზოგადი ორიენტაცია ნათელია და მათ შორის ანდაზათა შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხიც მაღალია (α =.78), სპეციფიკის ცხადად გაგებისთვის ცალ–ცალკე დავახასიათებთ გაერთიანებაში შემავალ სამ სუბკლასტერს.

კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში გამოვლენილ დისკურსში და ანადაზების გაერთიანებათა სახელწოდებებში გამოვლინდა პირველი სუბკლასტერის შესატყვისი თემატური კატეგორიები: „მოქნილობა“, „მოხერხებულობა“, „ელასტიურობა“, „ზომიერება“, „ხან ისე და ხან ასე“. პირველი სუბკლასტერი არსებითად სხვადასხვა ქცევით ტაქტიკას აერთიანებს, რომლის ადაპტაციური მნიშვნელობაც პრობლემის შესატყვის ცვლილებებში აისახება. ანდაზების კლასიფიცირების თაობაზე რაციონალურ დანასკვებშიც კვლევის მონაწილეები აქტიურად მიუთითებენ სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული აქტივობის ფორმების გამოყენების აუცილებლობაზე, რომლის აღსაწერადაც ყველაზე ხშირად იყენებენ – „ლავირებას“ და „მოხერხებულობას“ N1; N11; N60; N35; N47; N7; N28. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ტაქტიკა სემანტიკურად უარყოფით კონოტაციებთან არის შეჭიდული, თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში სტრატეგიულ ქცევად მიიჩნევა. ეს მკაფიოდ გვეძლევა კვლევის მონაწილეთა კომენტარებში:

„ლავირება, გაქნილობა, ეშმაკობა, თავის მოქონვა“ N19
„მოქნილობა გიბიძგებს იმისკენ, რომ რაღაცას შეეგუო; მოქნილი თუ ხარ ლავირებ, რაც გეხმარება შეგუებაში. სად როგოგრ მოიქცე უნდა იცოდე“ N40„სიტუაციიდან გამოსვლა შესაძლებელია სწორი მიდგომით, კვაჭობით, ნაცარქექიობით“ N2
„ცბიერი, მოხერხებული, მედროვე“ N11
„გონიერება, მოხერხება“ N25
„აგრესორთან როგორ უნდა მოიქცე“ N3

კლასტერი N8. შიგნით/გარეთ მიმართულობა, პასიურობა/აქტიურობა, კონტაქტურობა/არაკონტაქტურობა

ანდაზები (34 ანდაზა; α =.78)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P48 გაქცეულს კვალზე მიჰყევ, დამდგარს დაუყურადეო	
P113 მრჩოლელს უკანიდან მოუარე და მწიხლავს - წინიდანო	
P79 ავ კაცს შორიდან შემოუარეო	
P80 ავ მეზობელს და ავ ძაღლს კარგით მოშორდიო	
P110 ავთან ავი, კარგთან კარგიო	
P76 რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო	
P84 არც გავიქცევი და არც წავიქცევიო	
P111 არც მწვადი დასწვა, არც შამფურიო	
P08 ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო	
P109 მოგება და წაგება ამხანაგები არიან	
P58 ზოგჯერ გაქცევაც კარგი საქმეაო	
P112 დრო არის - ჩაქცევა ჯობია, დრო არის - გაქცევაო	
P81 ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო	
P7 ჭირი დანახული ჯობს დაუნახველსაო	
P75 ზოგი ჭირი მარგებელიაო	
P3 ადე - ნახე ჭირიო, დაჯე - ნახე ლხინიო	
P49 ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში - სირბილითო	
P83 ადამიანი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო	
P98 სატკივარს გაძლება უნდაო	
P70 კუზიანს სამარე გაასწორებსო	
P74 ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო	
P73 არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი	
P97 ვისაც არა სწადიან, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო	
P100 ვისკენაც გული გწევსო, თვალიც იქით იხედებაო	
P56 თუ ღმერთი სახლს არ აშენებს, ცუდად შვრებიან მაშენებელნი	
P93 ხნავენ დარნი და არა ხარნი	
P15 არც ვქნა და არც ვთქვაო?	
P47 მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა	
P10 მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი მოსჭრესო	
P106 სამართალმა პური ჭამაო	
P71 სასწორის სისწორე ამწონზე ჰკიდიაო	
P25 გამგონი გაიგებსო	
P66 ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო	
P54 რაც მოგივა დავითაო, - ყველა შენი თავითაო	

ამავე სუბკლასტერშივე თავმოყრილი ანდაზები პრობლემური სიტუაციის თავიდან აცილებისთვის რჩევებს იძლევა – ნაგულისხმევ ქცევის სუბიექტს მოუწოდებს ზომიერებისკენ. მაგ., ანდაზური გამონათქვამები P84 და P111 პრობლემური მდგომარეობის გაუარესების საპირწონედ, უფრო ზუსტად, კრიტიკული სიტუაციის დასაბალანსებლად („წაქცევა“, „დაწვა“) ზომიერების პრევალირებას ახდენს. კვლევის მონაწილეებიც მიუთითებენ შუალედური/ნეიტრალური მდგომარეობისა და წონასწორობის მნიშვნელობაზე:

„ბალანსი“ N20
„ხელისა და ტვინის კოორდინირებული მოქმედება“ N36
„არც იქით და არც აქეთ“ N46
„არც წყალი, არც ღვინო“ N40
„შუაში მდგომი“ N41
„არც მწვადი დაწვა, არც შამფური: ნეიტრალური დამოკიდებულება“ N32

გარდა ზემოთქმულისა, მოცემულ სუბკლასტერში გვხვდება ისეთი ანდაზებიც, რომლებიც აგრძელებს პირველის ორიენტაციას და სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარი ტაქტიკის გამოყენებაზე მიგვანიშნებს. ანდაზური გამონათქვამების P108 და P109 პრობლემური სიტუაციის პოზიტიური გადაფასებას ახდენს მრავალფეროვანი შედეგობრივი სპექტრის („ხან ისე/ხან ასე“; „მოგება/წაგება“) დადასტურებით. ხოლო ანდაზები P58, P112 და P81 სიტუაციის შესაბამისი ცვლილებისკენ მოგვიწოდებს, რაც, ვფიქრობთ, სემანტიკურად ასახულია პრობლემური სიტუაციიდან განრიდების/არაკონტაქტურობის P58; P112, ან პასიური მორჩილების კონოტაციაში P81; P112. ქცევის სუბიექტი, ძირითადად, კონტაქტს ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან, შიგნით მიმართულია, ზოგჯერ აქტიურია, ზოგჯერ კი – პასიური.

„ხან წააგებ, ხან – მოიგებ“ N16
„წაგება და მოგება ძმები არიანო“ N39
„ყოველთვის ერთნაირი შედეგების მიღება შეუძლებელია“ N53
„ ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ N29
„ ზოგჯერ უნდა აირიდო, შემოუარო“ N19
„ცუდს უნდა განერიდო“ N37

„როცა რთულ სიტუაციაში ხარ გაქცევა ჯობია“ N5
„გაჭირვება მანახე და გაქცევას განახებო“ N53

საბოლოო ჯამში, პირველი სუბკლასტერის არსებითი ბაზისი ქცევის სუბიექტის მიერ სიტუაციის სათანადო შეფასება და მისი სპეციფიკის გათვალისწინებაა. ქცევის სუბიექტი კონტაქტს ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან და აქტიურად ცდილობს ინდივიდუალური რესურსების გამოყენებით მასთან თავსებადობაში მოსვლას.

სიტუაციის მოთხოვნებისადმი მორჩილების/შეგუების ტენდენციის წამახალისებლად მიჩნეულია ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა მოქნილობა, ელასტიურობა და სიფრთხილე.

ამგვარად, პირველი სუბკლასტერის არსებითი მახასიათებელია სიტუაციური მოთხოვნების გათვალისწინება, გამოხატული ქცევითი სტრატეგიების ვრცელი დიაპაზონით – აქტიურობა/პასიურობა; შიგნით მიმართულობა და კონტაქტურობა. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ მოცემულ კლასტერში აქცენტირებული პასიურობის საფუძველია არა იმდენად ინდივიდის უმოქმედობა, რამდენადაც გარემოს მოთხოვნების უპირობო, არაწინააღმდეგობრივი მორჩილება. დაძლევა მიმდინარეობს ქცევით სფეროში.

მეორე, მცირე ზომის სუბკლასტერის შესატყვისი თემატური კატეგორიებია შეჩვევა და შეგუება. ლოგიკურიცაა, რომ სუბკლასტერის არსებითი მახასიათებელი შიგნით მიმართულობის ტენდენციაა. პრობლემური სიტუაციის („ჯოჯოხეთი“, „სატკივარი“) დაძლევა ხდება მისი მიღებითა („გაძლება“) და შეგუებით („შეჩვევა“).

თვისებრივ მონაცემთა ანალიზშიც გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა „გაჭირვების“ N20, „სატკივარის“ N31 მდგომარეობაში აქცენტს აკეთებს სუბიექტის მოთმინების, „გამძლეობის“N29 მნიშვნელობაზე:

„ვაჟკაცობა და ჭირი“ N8
„გამძლეობა – ადამიანი ყველაფერს ეჩვევა“ N4
„სატკივარის მოთმენა, გაძლება“ N27

„შემგუებლობაზეა, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა; უნდა მოერგოს გარემოს“ N7
„ადამიანი ყველაფერს შეეჩვევა; თითონ შეიცვლება და შეეჩვევა“ N5

როგორც ვხედავთ, ანდაზური გამონათქვამების ადრესატი არაკონტაქტურია – არ ცდილობს პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლას. ამგვარ რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი სუბიექტისთვის შეთავაზებული ადაპტაციური სტრატეგია პრობლემის ატანას და მასთან შეგუებას გულისხმობს. ამ კონტექსტში სუბიექტი ფსიქოლოგიურად აქტიური უნდა იყოს (ძალისხმევას იჩენდეს პრობლემის მიღებისა და ატანისათვის) და, იმავდროულად, კონტაქტს არ ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან, მის მოგვარებას არ ცდილობს. დაძლევის პროცესში წამყვანია აფექტური სფერო.

ამ იერარქიულ კლასტერში გამოიყოფა მესამე სუბკლასტერიც, რომლის შესატყვისი თემატური კატეგორიებიდან შეგვიძლია მოვიხმოთ სურვილი, სამართლიანობა, უცვლელობა და ინდიფერენტულობა. მართლაც, მოცემული სუბკლასტერის არსებითი მახასიათებელია ადამიანის უცვლელობის ხაზგასმა და ცვლილების განხორციელებისათვის შინაგანი მოტივაციის მნიშვნელობა.

ამგვარად, როგორც აღვნიშნეთ, მესამე სუბკლასტერის არსებითი მახასიათებელი პრობლემური ქცევის სუბიექტის უცვლელი ბუნების წარმოჩენაა. ანდაზები (P70;P74;P73) პიროვნების შეუქცევადი ბუნების დადასტურებით ათვალსაჩინოებს პრობლემურ სიტუაციაში ჩავარდნილი ქცევის სუბიექტის შინაგანი უცვლელობის ტენდენციას. მიუხედავად იმისა, რომ ანდაზური გამონათქვამების სუბიექტი კონტაქტურია, სურვილი აქვს პრობლემის შეცვლის, მაინც პასიურია, რადგანაც არ იცვლის პოზიციას. აღნიშნული უცვლელობის ორიენტაციები დასტურდება კვლევის მონაწილეთა რაციონალურ დანასკვებშიც:

„ჩვევა უცვლელია, ჩვევას ვერ შეცვლი“ N1
„ჩვევის მოშლა რთულია ან შეუძლებელია“ N37
„ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია, ვერ შეიცვლება ბუნება“ N14
„ადამიანი არ იცვლება“ N49

ასეთი ხისტი, არაადაპტაციური ორიენტაციის მიუხედავად, ამ ჯგუფის სხვა ანდაზები აკონკრეტებს უცვლელობის დეტერმინანტებს. ერთ შემთხვევაში უცვლელობას იწვევს ქცევის სუბიექტის არასათანადო მზაობა ცვლილებისათვის P97; ხოლო მეორე შემთხვევაში უცვლელობას განაპირობებს ქცევის სუბიექტის არასათანადო ძალისხმევა P56 ან საჭირო გარემო პირობების (სიტუაციური ფაქტორის) არარსებობა/ნაკლოვანება P93. ანდაზური გამონათქვამების P56; P93 სემანტიკურ საფუძველს პრობლემის გაგებისადმი ორი საპირისპირო შეხედულება ქმნის. პირველის P56 დეტერმინანტია შიგნით მიმართულობა – პასუხისმგებლობის გადატანა პრობლემური სიტუაციის გადაჭრაში ჩართულ პირებზე („მაშენებლებზე“), რომლებიც ვერ იჩენენ შესაფერის ძალისხმევას („ცუდად შვრებიან“). ხოლო მეორის P93 – გარეთ მიმართულობა – პასუხისმგებლობის გადატანა გარე ფაქტორებზე („ხნავენ დარნი“).

მონაცემთა თვისებრივი ანალიზიც ცხადყოფს სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ხარვეზით (სიტუაციური ფაქტორი უკმარისია, სუბიექტურს ინტენსივობა აკლია) გამოწვეულ უცვლელობას. მაგ.:

„რამდენიც არ უნდა ეცადოს, თუ არ უნდა ვერ გააკეთებს“ N13
„სურვილის სიმძაფრე პრედიქტორია ხორცშესხმული იდეის“ N36
„სურვილი საშუალებასავით მნიშვნელოვანია“ N20
“წარმატება შენს თავზეა დამოკიდებული და არა გარემოზე” N14
„თუ რაღაც ხელს გიწყობს შეიძლება შეუძლებელიც შეძლო“ N25
“გარეგანი ძალა, რომელიც შენს დამოუკიდებლად განსაზღვრავს შედეგებს” N12

მესამე სუბკლასტერში გაერთიანებული ანდაზების ერთი ნაწილი პრობლემის გადაჭრის ქცევით ტაქტიკებს ეხება. პირველი სტრატეგიის დაძლევის მექანიზმი კომპენსატორულია: განუხორციელებელი ქცევის შედეგად მიღებული წარუმატებლობის კომპენსირება ხდება ვერბალიზაციის (ქცევის ვერბალური განხორციელების) მეშვეობით P15; ხოლო მეორეს მიხედვით, აქცენტი კეთდება პრობლემური სიტუაციის პირისპირ ქცევის სუბიექტის შეუვალობაზე, სიმტკიცეზე P47.

მომდევნო სუბკლასტერის სემანტიკურ საფუძველს ქმნის სამართლიანობასთან დაკავშირებული შეხედულებები, რომელიც ქცევის სარეალიზაციო კონტექსტს უფრო

განსაზღვრავს, ვიდრე უშუალოდ ქცევით სტრატეგიას. ანდაზური გამონათქვამი P10 სიმართლის თქმის უარყოფით შედეგებზე აკეთებს აქცენტს, ხოლო ანდაზებში P106 და P71 გამოხატულია სამართლიანობასთან დაკავშირებული ორი განსხვავებული პოზიცია: პირველის მიხედვით, სამართალი ყოველთვის იმარჯვებს, ხოლო მეორეს მიხედვით, სამართალი რელატიურია. ამ უკანასკნელის ერთ–ერთ გამოვლინებაზე მიუთითებს კვლევის მონაწილეც – „სამართალი ძალაუფლების მხარესაა“ N50.

ანდაზური გამონათქვამები P25 („გამგონი გაიგებსო“) და P66 („ვინც რა უნდა თქვასო, წიქვილმა კი ფქვასო“) სემანტიკურად ახლოს დგას მეორე სუბკლასტერთან, რამდენადაც ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის აქცენტი მოთხოვნილებაზე კეთდება. გარდა ამისა, მოცემულ სუბკლასტერში ქცევის სუბიექტი კონტაქტს ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან, თუმცა მაინც პასიურ ორიენტაციას ავლენს, რაც გამოხატულია პრობლემური სიტუაციის გადაჭრისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში. ამასთანავე, სხვათა დამოკიდებულების მნიშვნელობის მინიმუმამდე დაყვანა ხდება P66. მოცემული ტენდენციებიც დასტურდება კვლევის მონაწილეთა ინტერპრეტაციებშიც. მაგ.:

„ადამიანს თუ არ უნდა ვერ შეიგნებს/გაიგებს“ N14
„რასაც გული გეუბნება ის გააკეთე, სხვებზე ნუ იფიქრებ“ N28
“რასაც გული გკარნახობს ის გააკეთე” N37

დაბოლოს, მოცემულ სუბკლასტერს ცალკე უერთდება ერთი ანდაზა P54, რომელშიც, მეტნაკლებად, ასახულია მთლიანი გაერთიანების არსებითი მახასიათებელი – პრობლემური სიტუაციის მიმღებლობა, ინტერნალობის მოთხოვნილება და უცლელობა – პრობლემა უკვე მოხდა და შეუძლებელია მასთან დაკავშირებით რაიმეს გამოსწორება. აღნიშნულ ტენდენციებზე კვლევის მონაწილეებიც აკეთებენ აქცენტს:

„შენ ქცევაზე პასუხისმგებლობას შენ იღებ“ N12
“წარმატება შენს თავზეა დამოკიდებული და არა გარემოზე” N14
“ზოგიერთი მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია“ N51

ამრიგად, მესამე სუბკლასტერის არსებითი მახასიათებლებია ქცევის სუბიექტის პასიურობისკენ მიდრეკილება, უცვლელობა და შეუვალობა. აღნიშნული ფაქტორები, პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტის დამყარების მიუხედავად, ხელს უშლის პრობლემის გადაჭრას. დაძლევის პროცესში წამყვანია ემოციური და კოგნიტური, ზოგჯერ კი – ქცევითი სფერო.

ამრიგად, მოცემულ კლასტერში წარმოდგენილი ანდაზური გამონათქვამები ადაპტაციისთვის საუკეთესო ვარიანტად ქცევის სუბიექტის ქცევითი არსენალის მრავალფეროვნებას და სხვადასხვა ვითარებაში მათ აქტიურ ცვლა–გამოყენებას მიიჩნევს. განსაკუთრებულ კულტურულ სპეციფიკად შეგვიძლია მივიჩნიოთ ანდაზებსა და მათ ინტერპრეტაციებში გამოყენებული ელასტიურობისა და მოქნილობის აღმწერი შინაარსები. კლასტერის ძირითადი სათქმელი, უცვლელობის საპირწონედ, საკუთარი თავის ცვლილების წახალისებაა.

კლასტერი N9. არ უშლის ხმალსა სიმოკლე

მოცემული კლასტერის სემანტიკურ საფუძველს ქმნის პრობლემურ სიტუაციაში სიმტკიცისა და გამბედაობის/უშიშრობის გამოჩენა, რაც თავმოყრილია „ვაჟკაცობის“ ტრადიციულ კულტურულ შეხედულებებში. ამასვე ადასტურებს კვლევის მონაწილეთა დისკურსში ფიქსირებული ისეთი თემატური კატეგორიები, როგორიცაა: ვაჟკაცობა, გამბედაობა, უშიშრობა, აქტიურობა, კონტაქტურობა, შიგნით მიმართულობა.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ გაერთიანებაში სახეზე გვაქვს სამი სუბკლასტერი, ადაპტაციის კონტექსტში მათი თემატური მსგავსების გათვალისწინებით, შესაძლებლად მივიჩნევთ მათ ერთობლივ დახასიათებას.

ანდაზური გამონათქვამების არსებითი მახასიათებელია აქტიურობისაკენ მოწოდება, რომელიც გამოხატულია პრობლემური სიტუაციის პირისპირ სუბიექტის სულიერი მდგომარეობის მნიშვნელობის ხაზგასმაში.

კლასტერი N9. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (6 ანდაზა; α =.80)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P63 ვაჟკაცსა უხელებელსა, ქალი სჯობს უხსენებელი N104 ვაჟკაცს ნურც აქებ, ნურცა ჰგმობ, სანამ არ გაგიჭირდება P5 არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ვაჟკაცსა ტანდაბლობაო P17 ვაჟკაცსა გული რკინისა, ხანჯალი თუნდა ხისაო P45 ბიჭობა ის არის, მოუბრუნდე და დახვდეო P68 მშიშარა კაცი ორჯერ მკვდარიაო	

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პრობლემური სიტუაციის პირისპირ („მოკლე ხმალი“, „ტანდაბლობა“, „ხის ხმალი“) „ვაჟკაცობა“ განიხილება მისი გადაჭრის ეფექტურ იარაღად და ამ მოსაზრებას ჩვენი კვლევის მონაწილეები ასე გადმოსცემენ (მაგალითისთვის გთავაზობთ რამდენიმე ციტატას):

„ვაჟკაცობა, სიმამაცე“ N27
„ვაჟკაცობა და მოხერხებულობა“ N46
„გამბედავი უნდა იყო“ N37
„გული თუ დიდი გაქვს, ვაჟკაცობის ჩადენაში ხის ხმალიც საკმარისია“ N5
„ვაჟკაცობით, გულადობით, ყველაფერს მოაგვარებ“ N57

ვაჟკაცობა, თავის მხრივ, აღიწერება აქტიურობით (P63; P5; P17; P45; P68), შიგნით მიმართულობითა (P63; P5; P17) და პრობლემურ სიტუაციაში კონტაქტისადმი მიდრეკილებით (N45). როგორც ჩვენი ერთ–ერთი კვლევის მონაწილეც აღნიშნავს, ანდაზების ერთი ჯგუფის საფუძველია „გამბედაობის, ვაჟკაცობისა და დაუმორჩილებლობის მეშვეობით წარმატების მიღწევა“ N31.

პრობლემურ სიტუაციაში ჩავარდნილი ადამიანი უნდა იყოს „შეუპოვარი“, „მებრძოლი“, „დაუმორჩილებელი“, „გამბედავი“ და უნდა იჩენდეს „ვაჟკაცის სულისკვეთებას“:

„თუ დამორჩილება არ გამოგივა, უნდა შეებრძოლო“ N32
„არასოდეს დანებდე“ N45
„ფარ-ხმალი არ დაყარო“ N56
„როგორც წესია, ისე არ უნდა მოიქცე, რაღაც შემთხვევაში წესი და პრინციპი უნდა დაარღვიო“N2

„ვაჟკაცის“ ოპოზიცაა „მშიშარა კაცი“, რომლის აქტივობაც „ორჯერ სიკვდილით“ სრულდება (N68). პრობლემური სიტუციისადმი შიშზე ნეგატიურ შეხედულებებს ვხვდებით კვლევის მონაწილეთა რაციონალურ დანასკვებშიც:

„მშიშრობა კაცობის შეუსაბამოა – მშიშრობა კაცისთვის ცუდ თვისებად/ჩვევად ითვლება“ N1
„არსებულმა სიტუაციამ არ უნდა შეგაშინოს“ N10
„ადამიანის ცუდი მახასიათებლები: გაუგონრობა, შიში, სიზარმაცე და საკუთარ თავზე ვერ გამარჯვება“ N50

ამრიგად, მოცემული კლასტერის ადაპტაციური მახასიათებლები მოიცავს პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტის დამყარებას, აქტიურად და ვაჟკაცურად მის ცვლილებაზე ზრუნვას. ქცევის სუბიექტი შიგნით მიმართულია, ვინაიდან ორიენტირებულია საკუთარი ძალისხმევის მეშვეობით პრობლემური სიტუაციის ცვლილებაზე. დაძლევა არსებითად მიმდინარეობს ქცევით სფეროში.

კლასტერი N10. კაცი უნდა ხერხი იყოს

როგორც ვხედავთ, მოცემულ ანდაზურ გაერთიანებაში კლასტერული ანალიზის საშუალო დონეზე გამოიყო 4 სუბკლასტერი. თუმცა მთლიანი კლასტერის სემანტიკა მათი ცალ–ცალკე განხილვის აუცილებლობას არ ქმნის.

ანდაზური გამონათქვამების, როგორც ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების მახასიათებელია აქტიურობის, კონტაქტურობისა და შიგნით მიმართულობის ტენდენცია. იგივე ტენდენციები გამოვლინდა კვლევის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ

მსჯელობებში კლასიფიკაციის რაციონალური საფუძვლის შესახებ. ეს თემატური კატეგორიებია: მოხერხებულობა, აზროვნება, გონიერება, აქტიურობა, მოქნილობა, ელასტიურობა.

კლასტერი N10. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (11 ანდაზა; α =.79)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P19 წვეთ-წვეთი წყალი ქვასაც გახვრეტსო P30 შეძახილმა ხე გაახმოო P31 კოღო ლომსაც მორევია ხერხითა და ფანდითაო P32 ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა P29 ცულით პატარა ხელი დიდ ხეს წააქცევსო P38 ალვის ხე, ცამდე ასული, ჭინჭველას წაუქცევიაო P33 ოქროს ანკესით ყველანაირ თევზს დაიჭერო P53 სვავი ძვალს კისერს დააზმანებს და ისე ჩაყლაპავსო P28 ომში რა სჯობია და, რაც ხელში მოგხვდებაო P46 კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა უნდა ეჩო იყოს, სულ თავისკენ მიითლიდესო	

მოცემულ კლასტერში აქტიურობის ტენდენცია და, შესაბამისად, ქცევის სუბიექტის მოტივაცია ბინარული ოპოზიციითაა წარმოდგენილი და შეპირისპირებების მეშვეობით მიიღწევა: 1. დიდი/პატარა (კოღო–ლომი P31; პატარა ხელი – დიდი ხე P29; ალვის ხე – ჭინჭველა P38; დიდი სატკივარი – პატარა წამალი P39); 2. საკრალური/პროფანული (ოქროს ანკესი – ყველანაირი თევზი P33). გარდა ამისა, საინტერესოა სინტაგმატური მიმართებებიც, რადგან შეპირისპირებებში მოცემული სიტყვები სხვადასხვა გრამატიკული კლასიდანაა. მაგ., წვეთ–წვეთ წყალი – ქვის გახვრეტა P19; შეძახილი – ხის გახმობა P30.

პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტურობის ტენდენცია ვლინდება პრობლემურ სიტუაციასთან პიროვნების ურთიერთობის აღმწერ ზმნურ ფორმებში: გახვრეტა P19; შეძახილი P30; მორევა P31; წაქცევა P29; P38.

შიგნით მიმართულობის ტენდენცია იძებნება პრობლემურ სიტუაციებში პიროვნების მიერ გამოჩენილ იმგვარ თვისებებში, როგორიცაა: სტაბილური მიზანმიმართული აქტივობა P19; P30 და მოხერხებულობა P31; P32; P28; P46. დაძლევა მიმდინარეობს ქცევით სფეროში.

ზემოთ ხსენებული ტენდენციები ექსპლიცირდება მონაცემთა თვისებრივ ანალიზშიც. კვლევის მონაწილეები მიუთითებენ სამ მნიშვნელოვან მახასიათებელზე, რომლებიც პრობლემური სიტუაციის გადაჭრის ხელშემწყობ პირობებს ქმნის. ეს მახასიათებლებია: მიზანმიმართულობა, მოხერხებულობა და მოქნილობა. მიზანმიმართულობა გაცნობიერებულ მიზანს გულისხმობს:

„მიზანსწრაფულ ადამიანს, რომელმაც ზუსტად იცის რა უნდა, პატარა ნაპერწკლით დიდი ცეცხლის გაჩაღება შეუძლია“ N7

მოქნილობის კოგნიტურ სემანტიკურ ველში ვხვდებით „კვაჭობას“ და „ნაცარქექიობას“,[45] რომლებიც არქეტიპულ მახასიათებლებად აღიწერება. მოქნილობა, ამასთანავე, ადაპტაციური შედეგის მიღწევაში გეხმარება, რაც პრობლემური სიტუაციის მიღებაში/შეგუებაში აისახება:

„სიტუაციიდან გამოსვლა შესაძლებელია სწორი მიდგომით, კვაჭობით, ნაცარქექიობით“ N2
„მოქნილობა გიბიძგებს იმისკენ, რომ რაღაცას შეეგუო“ N40

მოხერხებულობა მჭიდროდ უკავშირდება პრობლემური სიტუაციის გადასაჭრელად სტრატეგიის შერჩევას, აღემატება ძალას და ხელს უწყობს რესურსების დაზოგვას. ძირითადად ჭკუისა და გონების გამოყენებას გულისხმობს, თუმცა, უარყოფით კონტექსტში შეიძლება „ცბიერებასთან და მედროვეობასთან“ შეჭიდულ სემანტიკურ ველში აღმოჩნდეს:[46]

---

[45] ქართულ კულტურაში „კვაჭობა“ და „ნაცარქექიობა“ დასტურდება მოქნილობის/ელასტიურობის, გონიერების, გამჭრიახობის, ეშმაკობის, მოხერხებულობის, პრობლემური სიტუაციების გადაჭრის აღმწერ არქეტიპულ მოდელად (ლ. სურმანიძე, 2015; ა. ბაქრაძე 1990:153; ზ. გამსახურდია, 1991: 560).

[46] ამას ადასტურებს ლ. სურმანიძის კვლევაც, რომლის შედეგებით, ქართულ კულტურულ კონტექსტში მოქნილობის თვისება ამბივალენტურად აღიქმება - ის განიხილება მიზნის მიღწევის საშუალებად, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში წონასწორობის შენარჩუნების, უკონფლიქტო ფუნქციონირების სტრატეგიად; იმავდროულად, ამ

„ხერხი, მოხერხებულობა, მიდგომის შერჩევა“; „ზოგჯერ უნდა აირიდო, შემოუარო“ N19
“მოხრხებულობაზე, გამოსავლის პოვნაზე” N57
„მოხერხება ყველა მდგომარეობაში უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ძალა“ N1
„მოხერხებულობა – ძალას ზოგავს და ჭკუას იყენებს“ N4
„გონიერება, მოხერხება“ N25
„მოხერხებულობაზე და ცბიერებაზეა“ N58
„ცბიერი, მოხერხებული, მედროვე“ N11

ამრიგად, მოცემულ კლასტერში, პრობლემური სიტუაციების გადაჭრისას პიროვნება კონტაქტს ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან და საკუთარი აქტიური ძალისხმევის შედეგად ცდილობს მის (პრობლემური სიტუაციის) შეცვლას. დაძლევა არსებითად მიმდინარეობს ქცევით სფეროში.

კლასტერი N11. შეცდომებზე სწავლა

როგორც ჩანს, მოცემულ კლასტერში წარმოდგენილი ანდაზების ადაპტაციურ ბუნებას პრობლემური სიტუაციისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება განსაზღვრავს. მონაცემთა თვისებრივმა ანალიზმა გამოავლინა კვლევის მონაწილეთა დისკურსში ფიქსირებული რელევანტური თემატური კატეგორიები: პოზიტიური გადაფასება, სიტუაციის ხელახალი განსაზღვა, გაცემა–მიღება.

კლასტერი N11. შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (4 ანდაზა; α =.69)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P8 ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო P61 მწარე თუ არ ჭამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებო P35 ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდოდესო P11 კაცი შეცდომებზე სწავლობსო	

ქცევითი სტრატეგია აქტიურობისა და კონტაქტურობის ტენდენციას განამტკიცებს პრობლემური სიტუაციის პოზიტიური გადაფასების მეშვეობით. პიროვნულ ზრდაზე კონცენტრაციით პოზიტიური მნიშვნელობის შექმნის მცდელობა თავს იჩენს ისეთ

თვისებისთვის “ღირებული/არაღირებულის” მოდუსის მინიჭება სიღრმისეულ კონტექსტურობას გულისხმობს და მისი ინტერპრეტაცია უმჭიდროესადაა შეჭიდული როგორც მოქმედი სუბიექტის პიროვნულ არსთან, ისე მისი აქტივობის შედეგებთან, აგრეთვე ეპოქასთან, რომელშიც სუბიექტის აქტივობა ხორციელდება და რომელიც გამოკვეთს/ადგენს ამ ნიშნის სოციალურ სემანტიკას“ (ლ. სურმანიძე, 2015).

შეპირისპირებებში, რომლებიც შედეგსა და საფასურს შორის კავშირს ადასტურებს. მსგავსი შეპირისპირებებია: ვარდის დაკრეფა – ეკლის ჩხვლეტა P8; ტკბილის გემოს გაგება – მწარეს ჭამა P61; თევზის დაჭერა – ფეხის დასველება P35; სწავლა – შეცდომის დაშვება P11.

კვლევის მონაწილეთა მსჯელობებშიც აქტიურობის ტენდენციის წამახალისებელ მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სამყაროს კაუზალური წესრიგის დადასტურება, „ქცევასა და შედეგს“, „გაცემასა და მიღებას“ შორის პირდაპირპროპორციული კავშირის დემონსტრირება. ყველა სახის აქტივობის შედეგის განმსაზღვრელად კონკრეტული აქტივობის ბუნება/სპეციფიკა მიიჩნევა:

„ყველაფერი მიზეზ–შედეგობრივია: ქმედებას მოჰყვება შედეგი, მიზეზს აქვს შედეგი“ N2
„მოქმედების შედეგთან შესაბამისობის პრინციპი“; „თუ არ იმოქმედებ, წინსვლა არ გექნება, ერთ მდგომარეობაში იქნები“ N1
„კარგად უნდა მოიქცე, რომ კარგი შედეგი მიიღო“ N37
„გაცემა–მიღების პროცესი“; „ადამიანი ურთიერთმიმართებაში უნდა იყოს ბუნებასთან“ N1
„მსხვერპლი უნდა გაიღო“ (10); „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“ N13
„თუ გინდა რამეს მიაღწიო, უნდა იწვალო“ N25
„რასაც დასთესავ, იმას მოიმკი; ცხოვრება ბუმერანგივით გიბრუნებს ყველაფერს“ N7

ანდაზური გამონათქვამების ადრესატი შიგნით მიმართულობის ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს. დაძლევა მიმდინარეობს კოგნიტურ სფეროში, პრობლემური სიტუაციის ხელახალ განსაზღვრაზე დაყრდნობით.

კლასტერი N12. ძიება

მოცემული კლასტერის არსებითი მახასიათებელია აქტიურობა და კონტაქტურობა გამოხატული ისეთი ზმნური ფორმებით, როგორიცაა: კითხვა P14 და ძიება P22. ამასთანავე, ანდაზური გამონათქვამები ადრესატისგან შიგნით მიმართულობის ტენდენციას მოითხოვს, რამდენადაც მათში ხაზგასმულია შედეგის მიღწევაში ინდივიდუალური ძალისხმევის როლი.

კლასტერი N12. შიგნით მიმართულობა , აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (2 ანდაზა; α =.51)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P14 კითხვა კითხვით კაცი ისპაანს მივაო P22 ეძიებდე და ჰპოვებდეო	

მონაცემთა ანალიზისი მეორე დონეზე გამოვლენილი თემატური კატეგორიებიდან მოცემული კლასტერის შესატყვისია – ძიება. კვლევის მონაწილეთა შინაარსობრივ დეფინიციებშიც პრობლემური სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის ერთ–ერთ ფორმად დახასიათებულია მაძიებლური აქტივობა, რომლის საფუძველიც ოპტიმიზმია:

„ეძიებდე და ჰპოვებდეო“ N40
„ვინც ეძებს ის პოულობს“ N53

გარდა ამისა, პრობლემური სიტუაციის გადაჭრისას წახალისებულია კომუნიკაციის მნიშვნელობა:

„თუკი გაიკითხავ, გამოსავალს მიაგნებ“ N17
„კითხვები: უნდა იკითხო, კითხვები უნდა დასვა და პასუხების მეშვეობით მიაღწევ შედეგს“ N4

დაძლევის პროცესში წამყვანია ქცევითი სფერო.

კლასტერი N13. შეემატოს მღვიძარესო

დენდროგრამიდან ჩანს, რომ მოცემულ კლასტერში 4 სუბკლასტერი გამოიყო. თუმცა, ჩვენს მიერ ადაპტაციის ინდიკატორებად მოაზრებული მარკერების მიხედვით ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მთლიანი კლასტერის სემანტიკურ საფუძველს ქმნის პრობლემურ სიტუაციაში ქცევის სუბიექტის შიგნით მიმართულობა, კონტაქტურობა და აქტიურობა. აღნიშნული ტენდენციები დასტურდება კვლევის მონაწილეთა მსჯელობებში გამოვლენილ იმგვარ თემატურ კატეგორიებში, როგორიცაა: მცდელობა, გაჭირვება, ბედი, სურვილი, შესაძლებლობა, შრომა.

<u>კლასტერი N13.</u> შიგნით მიმართულობა, აქტიურობა, კონტაქტურობა

ანდაზები (15 ანდაზა; α =.83)	ფრაგმენტი დენდროგრამიდან
P12 ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო P23 ერთი დაკვრით ხე არ წაიქცევაო P62 გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო P27 ცდა ბედის მონახევრეაო P43 მოწადინება ნახევარი საქმეაო P96 თუ სურვილია, უნარით გამოჩნდებაო P42 გარჯილობასა მოჰქონდა საწუთრო დაულეველი P44 როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებო P4 შეემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო P64 ერთ ადგილზე დგომით წყალიც აყროლდებაო P65 სახლში ჯდომით საქმე არ გაკეთდებაო P2 აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო P18 ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილს ძევს, და რა ადგილი დაიძრას, გამსუბუქდებაო P40 ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო P94 ავადობას თუ დაუწექი, დაგაწვებაო	

ანდაზები P12, P23 და P62 არსებითად აქტიურობის ტენდენციას გამოხატავს, რომელიც ადაპტაციას ემსახურება და პრობლემურ სიტუაციაში მოხვედრილი პირის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. აქტიურობის ტენდენციის გამოვლენა გულისხმობს პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტის დამყარებას და მისი მოგვარებისთვის პერმანენტული ძალისხმევის გამოჩენას P12; P23. პრობლემური სიტუაციის აქტორი გარეთ მიმართულობის ტენდენციით ხასიათდება, რადგან იკვეთება გარემოს შეცვლის ინტენცია.

ანდაზებში P27, P43 და P96 პრობლემურ სიტუაციაში ქცევის სუბიექტი წარმოდგენილია ფსიქოლოგიისთვის „წმინდა სამების“ ერთიანობით: აფექტური მზაობით („მოწადინება“ P43 და „სურვილი“ P96); ფსიქოფიზიკური შესაძლებლობებითა („უნარი“ N96) და ქცევითი ძალისხმევით („ცდა“ N27).

ინფორმანტთა მსჯელობებში და ანდაზების ჯგუფების სახელწოდებებში აღნიშნული ტენდენციები ერთიანდება ისეთი მოტივაციური ცვლადების აღმწერ კლასტერში,

როგორიცაა: „სურვილი, მონდომება და მცდელობა“. გთავაზობთ მოცემული ტენდენციის რამდენიმე ილუსტრაციას:

„სურვილის სიმძაფრე პრედიქტორია ხორცშესხმული იდეის“ N36
„სურვილი საშუალებასავით მნიშვნელოვანია“ N20
„ყველა ღონე უნდა იხმარო , წარმატებას რომ მიაღწიო, მცირე ნაბიჯებით წარმატებისკენ“ N12
„თუკი მოინდომებ ყველაფერს შეძლებ N14
„მცირე ძალით, მაგრამ მონდომებით, დიდი საქმეც გაკეთდება“ N45
„მთავარია შემართება, დამოკიდებულება“; ის, თუ „როგორი დამოკიდებულება გვექნება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, პიროვნული დამოკიდებულება“ N36
„მცდელობა და სურვილი, როგორც მოქმედების ძირითადი დეტერმინანტი“ N23
„თუ ადამიანი ცდილობს, აუცილებლად მიაღწევს საწადელს“ N7

ანდაზები P42, P44 და P4 აგრძელებს მთლიანი კლასტერის საერთო მოტივს, რომელიც ითვალისწინებს აქტიურობას, კონტაქტურობასა და შიგნით მიმართულობის ტენდენციებს, თუმცა აქცენტს აკეთებს პრობლემურ სიტუაციაში შრომითი აქტივობის მნიშვნელობაზე – შრომითი აქტივობის მოცულობა შედეგის პირდაპირპროპორციულად მოიაზრება. გამოჩენილ ძალისხმევასა და შედეგს შორის არსებული კავშირი წარმოდგენილია პროპოზიციების სახით: გარჯილობა – საწუთრო დაულეველი P42; როგორც იშრომებ – ისე იცხოვრებ P44; მღვიძარეს – შეემატოს, მძინარეს – შემოაკლდეს P4.

კვლევის მონაწილეთა ანდაზების გაერთიანების საფუძველმდებარე მსგავსების აღმწერ რაციონალურ დანასკვებში აქტიურობის ტენდენციის გამომხატველ ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობას შრომა წარმოადგენს. შრომა პრობლემური სიტუაციის დაძლევის, გამოსავლის პოვნისა და კეთილდღეობის ძირითადი დეტერმინანტია:

„შრომა და მოქმედება წარმატების ძირითადი საწინდარი“ N 23
„კაცისთვის გარჯას ყველაფერი კარგი მოაქვს, მაშინ არის გონიერი; შრომით ყველაფერს მიაღწევ N 37
ადამიანზეა დამოკიდებული, რას მიაღწევს“ N 5
„მოთმინება, მონდომებულობა და შრომისმოყვარეობაა საჭირო, რომ რაღაცას მიაღწიო“ N 40
„იმუშავე და გექნება“ N 50
„გაურჯელად წარმატება არ მოდის“ N 28
„როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებო“ N 20

ანდაზურ გამონათქვამთა P64; P65; P2; P18; P40; PN94 არქისემას აქტიურობისაკენ მოწოდება ქმნის. თუმცა, განსხვავებით ზემოთ განხილული ჯგუფებისგან, მოცემულ გაერთიანებაში პრობლემური სიტუაციის გადაჭრაში აქტიურობის ტენდენციის მნიშვნელობას ხაზი გაესმის პასიურობასა და უარყოფით შედეგს შორის არსებული მიმართების დადასტურებით. აღნიშნული მიმართება შემაპირისპირებელი პროპოზიციებით დასტურდება: ერთ ადგილზე დგომა – აყროლება/სიმძიმე P64; P18; სახლში ჯდომა – საქმის ვერ გაკეთება P65; ბედს და ავადობას მორჩილება – მონობა/დაწოლა P40, P94. აქტიურობასთან ერთად, წახალისებულია გარეთ მიმართულობისა და კონტაქტურობის ტენდენციაც.

დამოწმებულ ანდაზებში ექსპლიცირებული აქტიურობის ტენდენცია პრობლემურ სიტუაციაში აქტივობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის პიროვნული თვისების აღმწერ ეპითეტში, ზმნურ ფორმაში, შედარებასა თუ შეპირისპირებაში ვლინდება. როგორც კვლევის მონაწილეები მიუთითებენ, პრობლემური სიტუაციის გადაჭრისათვის უმთავრესია აქტიური ძალისხმევა – „მოქმედება, მოძრაობა, აქტიურობა“ N19:

„მიზნის მიღწევისათვის საჭიროა მოქმედება; აკეთებ შედეგისათვის“ N4
„არ უნდა იყო ინერტული, არ უნდა შეეგუო ბედს, უნდა იბრძოლო, მიდგე-მოდგე, ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდე, უმოქმედოდ არ უნდა იყო“ N14
„უმჯობესია იმოძრაო, ერთ ადგილზე დგომით წყალიც მყაყდებაო“ N15
„მოქმედებას მოაქვს შედეგი; უძრაობას - ცუდი შედეგი“ N2
„სიცოცხლე მოძრაობაზეა დამოკიდებული“ N47

კვლევის მონაწილეთა აღქმებსა და დეფინიციებში ექსპლიცირდება აქტიურობის სემანტიკური ბაზისი – მოძრაობა, რომელიც სიცოცხლის გამუდმებულ დადასტურებას უნდა გულისხმობდეს.

ამრიგად, მოცემულ კლასტერში წარმოდგენილი ანდაზური გამონათქვამების, როგორც ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიების არსებითი მახასიათებელია აქტიურობის, კონტაქტურობისა და გარეთ მიმართულობის ტენდენციასთან დაკავშირებული განწყობების აქტუალიზება. პრობლემურ სიტუაციაში საუკეთესო შედეგის მისაღწევად, ქცევის სუბიექტი კონტაქტს უნდა ამყარებდეს სიტუაციასთან და აქტიური ძალისხმევის

შედეგად ცვლიდეს გარემოს და ჭრიდეს პრობლემას. დაძლევა მიმდინარეობს ქცევით და ემოციურ სფეროში.

ანდაზური იმპლიკაციების შესახებ

მონაცემთა ანალიზის მომდევნო ეტაპზე, კულტურულ მოდელთა მნიშვნელობებში კოგნიტური, ფსიქოლოგიური და ქცევითი იმპლიკაციების გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებული დაკვირვების საგნად ვაქციეთ კვლევის მონაწილეთა მსჯელობები და მათ მიერ ანდაზათა დაჯგუფებებისთვის დარქმეული სახელები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო აღმოჩნდა ანდაზური გამონათქვამიდან დასკვნის გამოტანის პროცესი, თუმცა კი თავად ამ პროცესის შესწავლა მოცემული კვლევის ამოცანას არ წარმოადგენდა.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ანდაზათა მსგავსების დასაბუთებებში ინფორმანტთა ნაწილი აქცენტს სვამს პიროვნებისეული პრობლემებისა და მიზნების პერცეფციაზე (იხ.#.).

ცხრილი #. იმპლიკაციებისა და შესაბამი რაციონალური დანასკვების რაოდენობრივ ურთიერთმიმართება

პირველადი ნოდი	წყარო	რეფერენსი
კოგნიტური იმპლიკაცია	60	91
აფექტური იმპლიკაცია	60	289
ქცევითი იმპლიკაცია	60	358

ამგვარად, აქცენტირებულია კავშირი პიროვნებასა და პრობლემურ სიტუაციას შორის (კოგნიტური იმპლიკაციები). ამასვე ადასტურებს ანდაზათა პერიფრაზები და ანდაზების დაჯგუფებების სახელწოდებები, მაგ.:

„მახე: დაკარგვის შიში, ლოდინი“ N57
„ჭირი დანახული სჯობს“ N31
„ვაჟკაცობა და ჭირი“ N8
„შეცდომაც ბევრს გვასწავლის“ N37
„მსხვერპლის გარეშე საქმე არ კეთდება“ N53
„უსაქმურობა, უკეთესობის მოლოდინი“ N14
„უძრაობა; გამოსწორებისთვის არაფრის კეთება“ N3
„სიმართლე ძალაუფლების მხარესაა“ N50

მეორენი ყურადღებას ამახვილებენ პიროვნების გრძნობებსა და სურვილებზე. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ანდაზებში აღწერილი სიტუაციების კავშირზე ანდაზის მიღმა ნაგულისხმევ გრძნობებსა და მოთხოვნილებებთან (აფექტური იმპლიკაციები), მაგ.:

„კონფორმისტული/პასიური“ N48
“შრომისმოყვარე, აქტიურ ადამიანებზეა“ N7
„კაცზე, მებრძოლზე“ N57
„მონდომებული“ N34
„სასოწარკვეთა“ N3
„ზარმაცი, უქნარა ადამიანი“ N30
„ვაჟკაცობა და სილაჩრე“ N49
„ცუდი მახასიათებლები: გაუგონრობა, შიში, სიზარმაცე და საკუთარ თავზე ვერ გამარჯვება“ N50
„ორჭოფობა“ N49
„მეოცნებე“ N34
„მოთმინება / ზომიერება“ N59
„სუბიექტურ განცდაში ხარ, და ობიექტურ რაღაცეებს ვერ ამჩნევ, რაღაც სათვალით რომ უყურებ სამყაროს“ N12

კვლევის მონაწილეთა რაციონალურ დანასკვებში ყველაზე მეტი სიხშირით ქცევითი იმპლიკაციებია წარმოდგენილი. მაგ.:

„ხელი გაანძრიე და გეშველება“ N47
„არასოდეს დანებდე“ N45
„თუ ეცდები, შედეგს მიაღწევ“ N1
„ყველა ღონე უნდა იხმარო, რომ წარმატებას მიაღწიო, მცირე ნაბიჯებით წარმატებისკენ; ფარ–ხმალი არ უნდა დაყარო“ N12
„ლავირება“ N60
„ზოგჯერ უნდა აირიდო, შემოუარო“ N19
„არ უნდა შეეჭიდო საქმეს, რომელიც არ გამოვა“ N24
„სიტუაციის შესაბამისად მოქმედება“ N37
„გასაჭირს უნდა დაუსხლტე ხელიდან“ N7
„მსხვერპლი უნდა გაიღო“ N10

ჯ. ვაიტი აღნიშვნით, ანდაზიდან დასკვნის გამოტანის პროცესში ადამიანები მნიშვნელობის აკონსტრუირებენ კულტურული შეხედულებების საფუძველზე, ქმნიან პიროვნების კულტურულ მოდელს, და ამ მიზნით გარკვეული სახის პერცეფციებს/აზრებს უკავშირებენ კონკრეტულ გრძნობებს/სურვილებს. შედეგად, ისინი აღწერენ ანდაზურ მნიშვნელობებში ნაგულისხმევ პიროვნებისეულ ემოციურ მდგომარეობას (პერცეფცია/აზრი —> გრძნობა/სურვილი) (White, 1987). ამგვარად, ინდივიდი, აღიქვამს რა ანდაზით გამოხატულ მნიშვნელობას პრობლემად (პრობლემა), უჩნდება სიტუაციის შეცვლის მოთხოვნილება (მოთხოვნილება), რაც უზრუნველყოფს ქცევის აღძვრას (მცდელობა).

ჩვენი მონაცემების მიხედვით, კვლევის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ჯგუფებში გაერთიანებული ანდაზების მსგავსებათა დასაბუთებებში აქცენტს ფსიქოლოგიურ და ქცევით იმპლიკაციებზე აკეთებს. ამის ერთ–ერთი მიზეზი ის არის, რომ განზოგადების ამ დონეზე (ვგულისხმობთ ჯგუფში გაერთიანებული ელემენტების მსგავსების შესახებ დანასკვის გაკეთებას) არსებითი ანდაზურ გამონათქვამში ნაგულისხმევი ინტენციის იდენტიფიცირებაა. არსებითად კი, ქცევით იმპლიკაციებთან ერთად, ფსიქოლოგიური მდგომარეობების იმპლიკაციების სიმრავლე აფექტური და კონატური რეგულაციის განუცალკევებელობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

4.6. შეჯამება

კვლევამ ცხადყო, რომ ლინგვისტურად კოდირებული კულტურული მოდელები - ვერბალურ ფორმულები (ანდაზური გამონათქვამები), ადაპტაციური ქცევის მაორიენტირებელია. ამას ადასტურებს:

• ანდაზათა აღქმა–ინტერპრეტაციისა და კლასიფიკაციის პროცესში კვლევის მონაწილეთა მიერ აქცენტის დასმა როგორც ნაგულისხმევ ქცევით იმპლიკაციებზე, ისე კოგნიტურ და ემოციურ იმპლიკაციებზე.

• მეტაფორულ გამონათქვამებში, რომლებიც გამოვავლინეთ ანდაზებსა და კვლევის მონაწილეთა ტექსტებში, თვალნათლივ ჩანს გამოცდილების სხვადასხვა არის სინთეზური მოცემულობა. ამგვარი სინთეზურობა უნდა აძლიერებდეს დირექტივის დამაჯერებლობასა და რეზონანსს, აგრეთვე, უნდა ზრდიდეს სიტუაციაში შეთავაზებული ქცევის განხორციელების ალბათობას.

პრობლემურ სიტუაციასთან დაკავშირებულ ქართულ ანდაზებსა და მათ სუბიექტურ/მენტალურ მნიშვნელობებს შორის კავშირის ანალიზმა გამოავლინა ადაპტაციური ქცევის კულტურული მოდელები. შესაბამისად, ამ ადაპტაციურ კონტექსტში აღნიშნულ მოდელთა კომპონენტები (მდგენელები) ლოკალურ-კულტურულ მნიშვნელობებს ატარებს. ესენია:

აქტიურობა ორ მსოფლმხედველობრივ კაუზალობას აერთიანებს: 1. ქცევასა და შედეგს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია და 2. გაცემას/შენატანს და მიღებულს/გამონატანს შორის კავშირი სწორხაზოვანია. ამრიგად, აქტიურობა პრობლემის გადაჭრის ძირითადი საშუალებაა, ხოლო აქტივობის შედეგს დახარჯული ძალისხმევის ინტენსივობა და ქმედების ხასიათი განსაზღვრავს. აქტიურობის ტენდენცია რეალიზდება ისეთ თვისებებში, ორიენტაციებსა და აქტივობებში,

როგორიცაა: დაუმორჩილებლობა, მცდელობა, მონდომება, გამბედაობა, ვაჟკაცობა, მიზანმიმართულობა, სიბრძნე და მაძიებლობა. აქტიურობის ტენდენცია მნიშვნელოვნად არის შეჭიდული მიწიერისადმი, ამქვეყნიურისადმი განსაკუთრებულ პოზიტიურ დამოკიდებულებასთან. აქტიურობა ადამიანური ყოფის გამართლებად აღიქმება. ის მოძრაობით და დინამიკურობით რეალიზდება. აქტივობა სიცოცხლისუნარიანობის დადასტურებად მიიჩნევა.

პასიურობა პრობლემურ სიტუაციაში სუბიექტის ინერტულობასა და უმოქმედობას გულისხმობს. იგი შეჭიდულია ისეთ პიროვნულ თვისებებთან, როგორიცაა სიზარმაცე და კონფორმიზმი (შიში, ორჭოფობა, დამთმობლობა). მოცემული კომპონენტი პრობლემურ სიტუაციაში პასიურობას უარყოფით კონტექსტში მოიაზრებს. იმავდროულად უშვებს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პასიურ ქმედებებს (სტრატეგიულ პასიურობას), რომელიც კონკრეტულ პირობებში (ძალაუფლების ნაკლებობისა და რესურსების დეფიციტის შემთხვევაში) პრობლემის გადაჭრის სტრატეგიად მოიაზრება. ასეთ შემთხვევაში პასიურობა შეგუების საწინდარია და ფსიქოლოგიური წონასწორობის აღდგენას უზრუნველყოფს. სტრატეგიული პასიურობის აღმწერ თვისებად მიჩნეულია ოცნება.

კონტაქტურობა მოიაზრებს პრობლემურ სიტუაციასთან კონტაქტის დამყარებას, ადეკვატურ შეფასებას, მიმღებლობას; პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო რესურსების გამოყენებას, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა–გათვალისწინებას, აზროვნებას, თანადგომას და ვერბალურ კომუნიკაციას. კონტაქტურობა შეჭიდულია აქტიურობასთან. ის ადამიანის სოციალური ბუნების დადასტურებად და მისი ფუნქციონირების აუცილებელ პირობად მიიჩნევა.

არაკონტაქტურობა გულისხმობს პრობლემური სიტუაციიდან გაქცევას, განრიდებისა და იზოლაციისკენ მისწრაფებებს, რაც გამყარებული და არგუმენტირებულია სიტუაციის შეფასებისას სუბიექტურობის სიჭარბით, ასევე, პრობლემური სიტუაციის არაადეკვატური აღქმით. სუბიექტი ორიენტირებულია თავის მოტყუებაზე. როცა

კონკრეტულ ვითარებაში არასასურველი შედეგის დადგომის ალბათობა მაღალია, აღნიშნული კომპონენტი დასაშვებად მიიჩნევს სტრატეგიული მნიშვნელობის არაკონტაქტურ ქმედებებსაც (სტრატეგიული არაკონტაქტურობას).

გარეთ მიმართულობა მოიცავს ექსტერნალურ კონტროლის ლოკუსს და გარედან ბიძგის საჭიროებას. ზოგ შემთხვევაში ამ კომპონენტის სემანტიკურ ბირთვს წარმოადგენს ადამიანური და გარემოს ფაქტორების უცვლელობის კონცეფცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კვლევის მონაწილეთა მენტალურ რეპრეზენტაციებში ცვლილების ინტენციის მქონე შინაარსები შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი. ცვლილება ყველაზე ხშირად ინდივიდს ეხება, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში, თუმცა კი ცვლილება იგულისხმება, ცვლილების წყარო (სუბიექტი /გარემო) არ დასტურდება.

შიგნით მიმართულობა მოიცავს ინტერნალური კონტროლის ლოკუსს და გარემოს მოთხოვნების შესაბამისად ინდივიდის ცვლილების ორიენტაციას. პრობლემური სიტუაციების მიღებასა და დროის გამოწვევებზე მორჩილებას.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ანდაზებსა და მათ შესატყვის მენტალურ რეპრეზენტაციებში გამოვლინდა ადაპტაციური ქცევის იმგვარი მოდელები, რომელთა დახასიათებისას ამოსავალ წერტილად გვევლინება არა ცვლილება/უცვლელობა (საკუთარი თავის/გარემოს), არამედ პრობლემურ სიტუაციასთან სუბიექტის სიახლოვის პრინციპი.

სიახლოვის პრინციპით გამოიყო ადაპტაციის ორი განსხვავებული მოდელი: *ცენტრისკენული* (პრობლემურ სიტუაციასთან დარჩენა) და *ცენტრიდანული* (პრობლემური სიტუაციისგან განრიდება). ცენტრისკენული მოდელი მოიაზრებს ადაპტაციური ქცევის სამ სტრატეგიას: 1. საკუთარი თავის აქტიური ცვლილება; 2. სტრატეგიული ელასტიურობა; 3. ცვლილების პასიური მოლოდინი. ცენტრიდანულ მოდელში კი მხოლოდ ერთი სტრატეგია გამოიკვეთა: ახალი გარემოს ძიება.

1. საკუთარი თავის აქტიური ცვლილება – ქცევის სუბიექტი კონტაქტს ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან, ხასიათდება შიგნით მიმართულობის ორიენტაციით, ცდილობს აქტიური ძალისხმევისა და რესურსების მაქსიმალური გამოყენებით შეცვალოს საკუთარი თავი და, შედეგად, გადაჭრას პრობლემა. ახასიათებს ინტერნალური კონტროლის ლოკუსი. ამ სტრატეგიის საილუსტრაციოდ შესაძლებელია რამდენიმე ტაქტიკის მოხმობა:

- პრობლემის შესწავლა P103;
- საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გათვალისწინება P60 P9;
- ობიექტური (გარემოს) შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენება P67;
- სუბიექტური (საკუთარი) შესაძლებლობებისა და რესურსების გამოყენება P41;
- პრობლემური სიტუაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა P45;
- სიტუაციის პოზიტიური გადაფასება P11;
- აფექტურ-ემოციური რესურსების გამოყენება P101.

აღნიშნული სტრატეგიის წარმატებით განხორციელების ხელშემწყობი თვისებებიდან გამოიყოფა: მოძრაობა, აქტიურობა, შეუჩერებელი შრომა, მაძიებლური აქტივობა, პასუხისმგებლიანობა, მცირედით კმაყოფილება, ზომიერება, წინდახედულობა, გამბედაობა და ოპტიმიზმი. ქცევის სუბიექტი პრობლემური სიტუაციის გადაჭრისათვის აქტიურად მიმართავს კომუნიკაციას და სოციალურ მხარდაჭერას: ცდილობს სხვას დაეკითხოს, რჩევა, უკუკავშირი და დახმარება მიიღოს. აღნიშნულ კონტექსტში ვლინდება ორიენტაცია სოციალური მხარდაჭერის დადებით აღქმაზე. ხშირად გამოიყენება მეტაფორები „წყალში ჩახედვა“ და „კედელს დაკითხვა“, სადაც წყლისა და კედლის კატეგორია სოციუმის ანალოგიად მოიაზრება. კონცეპტულ მეტაფორაში გამოცდილების ამგვარი არეების სინთეზი ადასტურებს სოციალური უკუკავშირისა და კომუნიკაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს (წყალი), რომელიც უსაფრთხოებისა და სიმყარის გარანტია (კედელი). სოციალურ უკუკავშირსა და კომუნიკაციასთან ვიტალური არის მოთხოვნილებათა „სინესთეზიური შეჭიდულობით“ კიდევ ერთხელ დასტურდება ქართულ კულტურაში საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა.

ქცევის სუბიექტისთვის, რომელიც საკუთარი თავის ცვლილებაზე ორიენტაციას ავლენს, პრობლემის წარმატებით გადაჭრის ერთ–ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად წინდახედულობა მიიჩნევა. წინდახედულობა, თავის მხრივ, შეჭიდულია დროსა და სივრცეში ორიენტაციისა და სწავლის შესაძლებლობებთან. აღნიშნული მნიშვნელობები ექსპლიციტურად არ არის გაცხადებული, მაგრამ კულტურულ კოგნიციაში მეტაფორის ანალოგიისებრი კავშირების დამყარების ფუნქცია შესაძლებელს ხდის გამოცდილების სხვადასხვა არის სინთეზს. ასე, მაგალითად, ამ კონტექსტში გამოყენებული მეტაფორები – „შორი გზის მოვლა“, „ათჯერ გაზომვა“ და „ფონის კითხვა“ – პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის წინდახედულობის პრევალირებას ახდენს, რისთვისაც გამოცდილების იმგვარ არეებთან მყარდება კავშირი, როგორიცაა სივრცე/მანძილი (შორი გზა), დრო (მრავალჯერ გაზომვა) და სწავლის პროცესი (ფონის კითხვა).

ადაპტაციის ასიმილაციური ვარიანტის ერთ–ერთი მახასიათებელია პრობლემურ სიტუაციასთან შეგუება/მორგების აღმწერი იმგვარი მეტაფორული გამონათქვამები, როგორიცაა „საბნამდე ფეხის გაჭიმვა“ და „თავის მოახლება“. მეტაფორულ გამონათქვამში – „საბნამდე ფეხის გაჭიმვა“ ადამიანის პირველადი სენსორული გამოცდილება განვრცობილია პრობლემური სიტუაციის გამოცდილებისეულ არეზე. კერძოდ, სითბო/სიცივის დიქოტომია გამოყენებულია პრობლემის გადაჭრის წარმატება/წარუმატებლობის აღსაწერად. რაც შეეხება მეტაფორულ გამონათქვამს – „თავის მოახლება“, საინტერესოა იმით, რომ მასში ადამიანი მოქმედი სუბიექტისა და პასიური ობიექტის მთლიანობადაა წარმოდგენილი. ადაპტაცია კი საკუთარი თავის ობიექტივაციასა და, შედეგად, საკუთარი თავის სამსახურში ჩადგომას გულისხმობს. რამდენადაც მეტაფორა, თავისი ფუნქციით, აწესრიგებს და ერთმანეთთან აკავშირებს გამოცდილების სხვადასხვა არეს, ის მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს კულტურულ მოდელებსა და ქცევას შორის კავშირის დამყარებაში.

ასიმილაციური ტიპის ქცევის სუბიექტისთვის განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება აქტიურობას. პრობლემური სიტუაციის გადაჭრაში აქტიურობის ტენდენციის

მნიშვნელობას ხაზი გაესმის პასიურობასა და უარყოფით შედეგს შორის არსებული მიმართების დადასტურებით. აღნიშნული მიმართებები მეტაფორული ფორმით გამოხატული შემაპირისპირებელი პროპოზიციებით დასტურდება (ერთ ადგილზე დგომა – აყროლება/სიმძიმე; სახლში ჯდომა – საქმის ვერგაკეთება; ბედს და ავადობას მორჩილება – მონობა/ზეწოლა).

დაძლევის პროცესში წამყვანია არსებითად ქცევითი (მეტწილად რეალიზდება სამეტყველო–საკომუნიკაციო აქტივობაში), ზოგჯერ კოგნიტური (პრობლემის შესწავლის მიზნით სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელება: შესწავლა, გამოთვლა), იშვიათად კი -ემოციური სფერო.

2. სტრატეგიული ელასტიურობა – ქცევის სუბიექტი აქტიურიც შეიძლება იყოს და პასიურიც, პრობლემურ სიტუაციას არ შორდება; მიმართულია შიგნით; მოქმედებს სტრატეგიულად, მიზნებიდან გამომდინარე. დაძლევისას წამყვანია ქცევითი სფერო. მიზნის მისაღწევად მიმართავს სხვადასხვა მანიპულაციურ ქმედებას. ამ ტიპის საილუსტრაციოდ შესაძლებელია რამდენიმე ტაქტიკის მოხმობა:

- ზომიერების დაცვა P111;
- როლების მორგება და შესრულება P52;
- პრობლემის მიღება და სიტუაციური მოთხოვნების გათვალისწინება P76;
- გარემოს მოთხოვნების უპირობო, არაწინააღმდეგობრივი მორჩილება P81.

სტრატეგიული ელასტიურობა კულტურულად სპეციფიკური ქცევითი სტრატეგიაა, რომლის ადაპტაციური მნიშვნელობის განმსაზღვრელია ისეთი თვისებები, როგორიცაა – ელასტიურობა, მოქნილობა და ზომიერება. ელასტიურობისა და მოქნილობის აღმწერი მეტაფორული გამონათქვამები უხვად გამოვლინდა როგორც კვლევის მონაწილეთა დისკურსში, ისე ანდაზებში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია „თამაში“, „კვაჭობა“, „ხან ისე და ხან ასეო“. მეტაფორული ეპითეტით – „კარგი მოთამაშე“ კარგი ადაპტაციური უნარების მქონე სუბიექტი ხასიათდება. მასში მოაზრებულია ქცევის იმგვარი პატერნი, რომელიც ყველა სახის პრობლემის საპასუხოდ გამოდგება („კამეჩს ცოხნაზედაც აჰყვება“). საფიქრებელია, რომ კონკრეტულ კულტურაში თამაში როლის მორგებისა და

შესრულების საუკეთესო სტრატეგიაა და ამით პრობლემის გადაჭრის კარგი ინსტრუმენტი. კარგი მოთამაშე ელასტიურია – იყენებს ქცევის მრავალფეროვან არსენალს ცვალებად პირობათა შესატყვისად. ეს შეხედულება აკუმულირებულია მეტაფორულ გამონათქვამშიც – „ხან ისე და ხან ასეო“. მოქნილობის კოგნიტურ სემანტიკურ ველში თავსდება „კვაჭობა“ და „ნაცარქექაობაც“, რომელიც არქეტიპულ მახასიათებლებად აღიწერება. მოქნილობა/ელასტიურობა უზრუნველყოფს ადაპტაციური შედეგის დადგომას, რაც პრობლემური სიტუაციის მიღებაში/შეგუებაში აისახება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სტრატეგია სემანტიკურად უარყოფით კონოტაციებთან არის შეჭიდული („ლავირება, გაქნილობა, მედროვეობა, თავის მოქონვა, ცბიერება“), თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში სტრატეგიულ ქცევად მიიჩნევა. აღნიშნული ტენდენციების ერთგვარი დამაბალანსებელი ფუნქცია აქვს ზომიერებისკენ მოწოდებას.

მოცემული სტრატეგია მოიაზრებს ინდივიდის გამოკვეთილ პლასტიკურობასა და ძლიერ ინტერნალობის ლოკუსს; ვლინდება პრობლემურ სიტუაციაში საკუთარი წვლილის/როლის/მნიშვნელობის განსაზღვრასა და პასუხისმგებლობის აღებაში. ამგვარად, სტრატეგიული ელასტიურობის კულტურული მოდელი წარმატებული ადაპტაციის წყაროდ ქცევის სუბიექტის ქცევითი არსენალის მრავალფეროვნებასა და სხვადასხვა ვითარებაში მათ აქტიურ ცვლა–გამოყენებას მიიჩნევს.

3. ცვლილების პასიური მოლოდინი – პრობლემურ სიტუაციასთან ადაპტაციას ქცევის სუბიექტი ახდენს წინასწარგანსაზღვრულობის აღიარებითა და მომავალ ცვლილებაზე პასიური ორიენტაციით/მოლოდინით. დაძლევის პროცესში წამყვანია ემოციური სფერო. ამ სტრატეგიის აღმწერი მეტაფორებია: „დინებას მიყოლა“, „გულში სიმღერა“, „მზის ჩასვლის ყურება“, „შეშინების მოლოდინი“. ანდაზური გამონათქვამებიდან კი – „ყველაფერს თავისი დრო აქვსო“; „მელა მახეში გაება, თავი მოიმძინარა - სიზმარი იქნებაო“.

მოცემული ქცევის სუბიექტის არსებითი მახასიათებელია კონტროლის ექსტერნალური ლოკუსი და ნაკლები ძალისხმევა. სუბიექტი პრობლემური სიტუაციის „განმსაზღვრელ“ ფაქტორებს უპირობოდ ემორჩილება, რაც საბოლოოდ მის პასიურ მდგომარეობად ფორმდება. კვლევის მონაწილეები ხშირად მიმართავენ „დინების მიყოლის“ მეტაფორას –. დინება ამ შემთხვევაში დროის, პროცესის, ცხოვრების მსვლელობის კონოტაციით გამოიყენება, ხოლო ადაპტაციის კონტექსტში ცვლილების მოლოდინის კონოტაციას იძენს.

პრობლემური სიტუაციის დაძლევის პროცესში სუბიექტი მეტწილად ემოციურ სფეროს მიმართავს - წამყვანი აქაც ცვლილების პასიური მოლოდინის სუბიექტური განცდაა. თუმცა, ცვლილება, თავისთავად, არ წარმოადგენს პრობლემური სიტუაციის გადაჭრაზე მიმართული ძალისხმევის შედეგს. ცვლილება დროის ფუნქციადაა მიჩნეული. ანდაზებში არ კონკრეტდება ცვლილების ობიექტი, ამდენად, ცვლილება შეიძლება შეეხოს როგორც სუბიექტს, ისე – გარემოს.

ცვლილების პასიური მოლოდინის ერთ–ერთი გამოვლინებაა იზოლაცია. ქცევის სუბიექტი მიზანმიმართულად წყვეტს კონტაქტს პრობლემურ სიტუაციასთან, თუმცა ფიზიკურად არ შორდება მას. ცდილობს „გაუძლოს გასაჭირს“. მოტივაციის წყაროა „შეგუების მოლოდინი“ დროზე აპელაციით. დაძლევისას წამყვანია აფექტური სფერო. საბოლოოდ, ფსიქოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის ინდივიდი იღებს და ეგუება პრობლემას. შეფასებისას მიმართავს თვით-დადანაშაულებას და პრობლემური შედეგის მიმღებია, რამდენადაც იგი უკვე მომხდარს, წარსულის სამკვიდროს განეკუთვნება.

4. ახალი გარემოს ძიება ადაპტაციის ცენტრიდანული სტრატეგიაა, რომელიც პრობლემური სიტუაციისგან მოშორებაში გამოიხატება. ქცევის სუბიექტი აქტიური და გარეთ მიმართულია, თუმცა კონტაქტს არ ამყარებს პრობლემურ სიტუაციასთან. პრობლემური სიტუაციის მოგვარების ნაცვლად ეძიებს ახალ გარემოს, სადაც უფრო კომფორტულად და ჰარმონიულად იგრძნობს თავს. მთელ თავის რესურსს სწორედ

ახალი გარემოს ძიებისკენ მიმართავს. მოტივაციის ძირითადი წყაროა სოციალური მხარდაჭერის იმედი. დაძლევისას წამყვანია ქცევითი სფერო.

გამოვლენილი ადაპტაციური ქცევითი სტრატეგიები, წარმოადგენს რა კულტურულ მოდელებს, ქმნის ადაპტაციური აქტივობის ზოგად კარკასს/ორიენტაციას.

დასკვნები

1. ქართული ანდაზების მენტალურ რეპრეზენტაციებში ვლინდება ქცევითი იმპლიკაციები. მათი დიდი ნაწილი, ასახავს რა პიროვნება–პრობლემა კავშირს, პრობლემურ სიტუაციასთან გასამკლავებლად ადაპტაციური იმპლიკაციების მატარებელია;
2. ქართულ ანდაზებში ადაპტაციური ქცევის მდგენელ მენტალურ კომპონენტებად დასტურდება აქტიურობა/პასიურობა, შიგნით მიმართულობა/გარეთ მიმართულობა, კონტაქტურობა/არაკონტაქტურობა;
3. ქართულ ანდაზებში ადაპტაციური ქცევის მდგენელი მენტალური კომპონენტების კომბინაციით გამოვლინდა ადაპტაციის **ორი კულტურული მოდელი:**

I. ***ადაპტაციის ცენტრისკენული მოდელი*** - ამ მოდელის სემანტიკური ბირთვია პრობლემურ სიტუაციასთან პირისპირ დარჩენა; ასეთ პირობებში სამი განსხვავებული სტრატეგია აქტიურდება:

- საკუთარი თავის ცვლილება;
- ცვლილების პასიური მოლოდინი;
- სტრატეგიული ელასტიურობა.

II. ***ადაპტაციის ცენტრიდანული მოდელი*** - ამ მოდელის სემანტიკური ბირთვია პრობლემური სიტუაციიდან განრიდების ორიენტაცია; ასეთ პირობებში ერთი სტრატეგია - ახალი გარემოს ძიება - აქტიურდება.

4. ადაპტაციური ქცევის ქართულ კულტურულ მოდელებში არ ვლინდება გარემოს ცვლილების ორიენტაცია;
5. გამოვლენილი ადაპტაციური კულტურული მოდელები ქმნის აქტივობის ზოგად კარკასს/ორიენტაციას და ამით განსაზღვრავს ადაპტაციური ქცევის დიაპაზონს.

ბიბლიოგრაფია

1. Aldwin, C. M. (2007). Stress, coping, & development: An integrative perspective (2nd ed.). New York, NY: Guildford Press.
2. Alvard, M. S. (2003). The adaptive nature of culture. Evolutionary Anthropology. Volume 12, issue 3. pp.: 136-149
3. Alten, K. (1998). Psychological Anthropology. Psychological Anthropology. Retrieved from http://www.indiana.edu/~wanthro/theory_pages/Psychological.htm
4. Bartlett, F. (1932). Remembering. Cambridge: Cambridge University Press.
5. Bernard, A., & Spencer, J. (Eds.). (2002). Encyclopedia of Social and Cultural Anthropology. New York: Routledge.
6. Berry, J. W., Poortinga, Y. H., Segall, M. H., & Dasen, P. R. (2002). Cross-cultural psychology: Research and applications (2nd ed.). NewYork: Cambridge University Press
7. Berry, J. W. (1997). Immigration, acculturation, and adaptation. Applied Psychology: An International Review, 46, 5-43
8. Birx, H. (Ed.). (2011). 21st Century Anthropology: a Reference Hendbook .
9. Blackson, T. (2011). Ancient Greek Philosophy: From the Presocratics to the Hellenistic Philosophers, Blackwell 2011; http://tomblackson.com/Ancient/book.html
10. Blount, B. G. (2011) A Hystory of Cognitive Anthropology, in book: A companion to Cognitive Anthropology, Oxford: Blackwell. pp. 9-29
11. Bock, P. (1988). Handbook of Psychological Anthropology. New York: W. H. Freeman & Co.
12. Bock, P. (1999). Rethinking Psychological Anthropology (Continuiry and Change in the Study of Human Action) Second Edition. Illinois: Waveland Press.
13. Bruner, J. (1996). The Culture of Education. Harvard University Press.
14. Cahan D., White H. Proposals for a Second Psychology, American Psychologist, February, 1992.
15. Callari Galli, M. (2003). "Adaptation". Dictionary of race, ethnicity & Culture. London: Sage UK.
16. Carvantes, R. C., & Castro, F. G. (1985). Stress, coping and Mexican American mental health: A systematic review. Hispanic Journal of Behavioral Science, 7, 1-73
17. Castro, F.G., & Murray, K. E. (2010). Cultural adaptation and resilience: Controversies, issues, and emerging models. In J. W. Reich, A. J. Zautra, & J.S. Hall (Eds.), Handbook of adult resilience (pp. 375-403). New York, NY: The Guildford Press.
18. Cole, M.(1995). Socio-cultural-historical psychology: some general remarks and a proposal for a new kind of cultural genetic methodology (http://lchc.ucsd.edu/People/MCole/WertschSocioculstumind.pdf)
19. Chai, S.-K. (2011). Theories of Culture, Cognition, and Action. In I. C. Jarvie, & J. Zamora-Bonilla (Eds.), The SAGE Handbook of the Philosophy of Social Sciences (p. xvii + 749). London: SAGE Publications.
20. Charles, E.P. & Dege, M. (2008) The Beyond Must Also be Useful: The Burden of Alternative Approaches, Integr. psych. behav. June 2008, Volume 42, Issue 2, pp 194–199
21. D'andrade, R. (1987). A folk model of the mind. In D. Holland, & N. Quinn (Eds.), Cultural models in language and thought (pp. 112-151). Cambridge: Cambridge University Press.

22. D'andrade, R. (1992). Human Motives and Cultural Models. Publications of the Society for Psychological Anthropology (No. 1) Cambridge University Press.
23. D'Andrade, R. (1995). The Development of Cognitive Anthropology. Cambridge University Press.
24. Encyclopedia of Social and Cultural Anthropology, edited by Alan Barnard, Jonathan Spencer, Routledge, New York , 2006.
25. Feldman, S. (1932). Wundt's Psychology. The American Journal of Psychology, 44(4), 615-629. doi:10.2307/1414528.
26. Fish, J. (2000, September). What Anthropology Can Do for Psychology: Facing Physics Envy, Ethnocentrism, and a Belief in "Race". American Anthropologist, 102, 552-563.
27. Gelo O, Braakman D, Benetka G. Quantitative and qualitative research: Beyond the debate. Integrative Psychological & Behavioral Science. 2008;42:266–290.
28. Gick, M. L., & Holoyoak, K. J. (1983). Schema Induction and analogical transfer. Cognitive Psychology
29. Greenfield, P. (2000). What Psychology Can Do for Anthropology, or Why Anthropology Took Postmodernism on the Chin. American Anthropologist, 102(3), 564-576. Retrieved from http://www.jstor.org/stable/683412Heider, F. (1958). The psychology of Interpersonal Relations. New york: John Wiley and Sons.
30. Greenfield, P. (2000). Three approaches to the psychology of culture: where do they come from? where can they go? Asian Journal of Social Psychology 3: 223-240
31. Hickman,J. R. (2010). Psychology and Anthropology. 21st Century Anthropology. A Reference Handbook. Vol. 2.
32. Holland, D. and Quinn,N.(1987). Cultural Models in Language and Thought. Eds. Cambridge University Press, New York
33. Honeck, R., Clare, K., Firment, M.J. (1987) Figurative language and psychological views of categorization: Two ships in the night? In Cognition and Simbolic Structures: The Psychology of Metaphoric Transformation. Robert E. Haskell, ed. Norwood, NJ: Ablex.
34. Hsu, L.K. Francis (1961). Psychological Anthropology: Approaches to Culture and Personality. The Dorsey Press, INC. Homewood, Illionois.
35. Hutchins, E. and J. Levin (1981). Point of view in problem solving. Center for Human Information Processing. Techinacl Report #105. San Diego: University of California
36. Ingham, J. (1996). Psychological Anthropology Reconsidered. Cambridge: Cambridge University Press.
37. Ingham, J. (2001). Psychological Anthropology. In N. Smelser, & P. Baltes (Eds.), International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences. ELSEVIER.
38. Kardiner, A., Linton, R., Du Bois, C. A., & Withers, C. (1945). The Psychological Frontiers of Society. Columbia university press.
39. Kashima, Y. (2010). A History of Culture in Psychology. University of Melbourne.
40. Keesing, R. M. (1987) Models, "folk" and "cultural": paradigms regained?inHolland, D. and
41. Kuo, B. C. H. (2014) Health Psychology & Behavioural Medicine,Vol. 2, No. 1, 16-33
42. Kuo, B. C. H., Roysircar, G. (2006). An Exploratory study of cross-cultural coping scale: Collective, avoidance, and engagement strategies. Measurement and Evaluation in Counseling and Development, 39, 161-181

43. Kronenfeld, D. B., Bennardo, G., Munck, V. C. & Fischer, M. D. (2011). A Companion to Cognitive Anthropology.Oxford:Blackwell.
44. Lauhakangas, O. (n.d.). (2007). Use of Proverbs and Narrative Thought.Folklore vol.36,2007
45. Lazarus, R. S., & Folkman. S.(1984). Stress, appraisal, and coping. New York: Springer
46. LeVine, R. (1974). Culture and Personality: Contemporary Readings. Chicago: Aldine.
47. Maruyama, M. (1999). Heterogram analysis: Where the assumption of normal distribution is illogical.Human Systems Management, 18, 53–60
48. McLeish, J. (2016). Soviet Psychology: History, theory, content.London and New York: Routledge.
49. Moore, C., & Mathews, H. (Eds.). (2001). The Psychology of Cultural Experience. Cambridge: Cambridge University Press.
50. Miller, G. A. (1994). The Cognitive Revolution: a Historical Perspective. TRENDS in Cognitive Sciences, 7, 141-144.
51. Miller, Carol T.; Major, Brenda;. (2003). Coping with Stigma and Prejudice. In T. F. Heatherton, R. E. kleck, M. R. Hebl, & J. G. Hull (Eds.), The Social Psychology of Stigma (pp. 243-272). Nyw York: The Gulford Press.
52. Moser, K. (2000). *Forum Qualitative Sozialforschung.* Retrieved Fabruary 2018, from http://dx.doi.org/10.17169/fqs-1.2.1090
53. Nadareishvili, V., Chkheidze, T. (2013). Normative and Deviation Behavior in Terms of D. Uznadze Set Theory Based Strain Model. European Scientific Journal. Vol. 2. December.
54. Ortner, S. (1984, Jan). Theory in Anthropology since the Sixties. Comparative Studies in Society and History, 26 №1.
55. Petrenko, V., & Mitina, O. (2010). Using psycho-semantic methods in political psychology. *Societal and Political Psychology International Review*, 2068-6315.
56. Pinker S. 1997. How the mind works. New York: W.W. Norton
57. Quinn,N. (1987) Cultural Models in Language and Thought Cambridge University Press, New York.
58. Quinn, N. (2011).The History of the Cultural Models School Reconsidered: A Paradigm Shift in Cognitive Anthropology.In D. Kronenfeld, G. Bernardo, M. Fischer, and V. C. de Munck (Eds.), A Companion to Cognitive Anthropology. Oxford:Blackwell.
59. Quinn, N. (2005). *Finding culture in talk: a collection of methods.* New York: Palgrave Macmillan.
60. Rappaport, R. A. (1999). Ritual and Religion in the Making of Humanity. Cambridge University Press .
61. Rumelhart, D. (1990). The architecture of mind: A connectionist approach. Chap. 4. In Michael Posner (Ed.) Foundations of cognitive science (pp. 133-160). Cambridge: MIT Press.
62. Rumelhart, D. , Abrahamsen, A. (1973). A model for analogical reasoning. Cognitive Psychology 5: 1-28
63. Schwartz, T., White, G., & Lutz, C. (Eds.). (1992). New Directions in Psychological Anthropology. Cambridge: Cambridge University Press.
64. Shore, B. (1982). Sala'ilua: A Samoan Mystery. New York: Columbia University Press.
65. Shore, B. (1996). Culture in Mind: Cognition, Culture, and the Problem of Meaning. Oxford: Oxford University Press.

66. Shore, B. (1998). What Culture Means, how Culture Means (Vol. XXII). Heinz Werner Lecture Series.
67. Stanley S. Marzolf (1974). Common Sayings and 16PF Traits. Journal of Clinical Psychology, 30
68. Sternberg R.
69. Stubenberg, Leopold, "Neutral Monism", The Stanford Encyclopedia of Philosophy (Winter 2016 Edition), Edward N. Zalta (ed.), URL = <https://plato.stanford.edu/archives/win2016/entries/neutral-monism/>.
70. Smedslund, J. (1997). The structure of psychological common sense. Mahwah, N.J.: Lawrence Erlbaum.
71. Spiro, M. E. (1987). Thoretical Papers of Melford E. Spiro. (B. Rilborn, & L. L. Langness, Eds.) Chicago: University of Chicago Press.
72. Spiro, M. (1987). Culture and Human Nature. Chicago: Chicago University Press.
73. Spindler, G. (Ed.). (1978). The Making of Psychological Anthropology. Berkeley: University of California Press.
74. Stocking, J. (1992). Polarity and Plurality: Franz Boas as Psychological Anthropologist. In T. Schwartz, G. White, & C. Lutz (Eds.), New Directions in Psychological Anthropology. Cambridge: Cambridge University Press.
75. Strauss, C. and Quinn, N. (1997). A Cognitive Theory of Cultural Meaning.Cambridge, England: Cambridge University Press.
76. Shweder, R. (1984). Anthropology's romantic rebbellion agains the enlightment, or there's more to thinking than reason and evidence. In R. Shweder, & R. Levine (Eds.), Culture Theory: Essays on Mind, Self, and Emotion (pp. 28-66). Cambridge: Cambridge University Press.
77. Tayler, A. (1934). Problems in the Study of Proverbs. *The Journal of American Folklore*, 1-21.
78. Toomela, A. (2007). Culture of science: Strange history of the methodological thinking in psychology. IPBS: Integrative Psychological & Behavioral Science
79. Triandis, H. C. (1995). Individualism And Collectivism. Westview Press.
80. Triandis, H. C. (2002). Subjective Culture. Online Readings in Psychology and Culture, 2(2). http://dx.doi.org/10.9707/2307-0919.1021
81. Valsiner, J. (2003). Culture and its Transfer: Ways of Creating General Knowledge Through the Study of Cultural Particulars. Online Readings in Psychology and Culture, 2(1). http://dx.doi.org/10.9707/2307-0919.1013
82. Valsiner, J. (2009) Integrating Psychology within the Globalizing World: A Requiem to the Post-Modernist Experiment with Wissenschaft, Springer Science
83. Valsiner, Jaan; Rosa, Alberto;. (2007). *The Cambridge handbook of sociocultural psychology.* New York: Cambridge University Press.
84. Vygotsky, L. (1962). Thought and Language (Eugenia Hanfmann and Gertrude Vakar ed.). Cambridge: MIT Press.
85. Watts, M. (2009). Adaptation. In The Dictionary of human geography.
86. Weiten, w., Dunn, D.S & Hammer, E.Y. (2011). Psychology Applied to Modern Life: Adjustment in the 21st Century. Belmont: Wadsworth.
87. Werner, H., & Kaplan, B. (1963). Symbol formation. New York: Wiley

88. White, G. M. (1987). Proverbs and Cultural Models: an American Psychology of Problem Solving. (N. Q. Dorothy Holland, Ed.) Cultural Models in Language and Thought.
89. Whiting, J. W. M., & Child, I. (1953). Child training and personality. New Haven, CT: Yale University Press.
90. Whiting, B. B., & Whiting, J. W. M. (1975). Children of six cultures: A psycho-cultural analysis. Cambridge, MA: Harvard University Press
91. Yakushko, O. (2010). Stress and coping strategies in the lives of recent immigrants: A grounded theory model. International Journal for the Advancement of Counseling, 32, 256-273.
92. Бенедикт, Р. (n.d.). учение об этосе культуры. Retrieved from ethnopsychology.narod.ru: ethnopsychology.narod.ru
93. Выготсий Л.С. , Лурия А.Р. (1930). Этюды по истории поведения. М.
94. Константинов В.В. (2008). К вопросу о понятии "адаптация". Проблемы социальной психологии личности. Саратовский государственный университет
95. Кравченко, А. (2003). Социальная антропология. ПЕРСЭ: Логос.
96. Лурье, С. (2005). Психологическая антропология: история, современное состояние, перспективы.
97. Мельникова, Н. (2001) Классификация стратегий адаптивного поведения. Теоретическая, экспериментальная и практическая психология: сборник научных трудов под ред. Н. А. Батурина. – Челябинск: ЮУрГУ, Т.3. – С. 16–29.
98. Шелер, М. (1988). Положение человека в Космосе (пер. А. Филиппова). In Ю. Н. Попова (Ed.), Проблема человека в западной философии (p. 552). Прогресс.
99. ასათიანი, გ. (1982). სათავეებთან. თბილისი, საბჭოთა საქართველო.
100. ბაქრაძე, ა. (1986). მკვახე შემახილი. სულის ზრდა. თბილისი.
101. ბჟალავა, ი. (1976). ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში. თბილისი: მეცნიერება.
102. გამსახურდია, ზ. (1991). „მკვახე შემახილის“ ექო. წერილები.ესეები. თბილისი. გვ.: 559–571.
103. გვარჯალაძე, ი. & კუსრაშვილი, მ. (1976). ინგლისური ანდაზები და ხატოვანი სიტყვა–თქმანი, თბილისი
104. დურგლიშვილი, ნ. (2006). სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
105. თოფჩიშვილი, რ.; ხუციშვილი, ქ. (2010). თეორიული ეთნოლოგია. თბილისი: უნივერსალი.
106. იმედაძე, ი. (2008). ფსიქოლოგიის ისტორია. თბილისი: მწიგნობარი.
107. კალანდაძე, გ. (2010) მსოფლიო ხალხთა ანდაზები და გამონათქვამები. ენციკლოპედია. თბ.: "დიადემა"
108. კანდელაკი, ა. (1968). ქართული ანდაზები, თბილისი
109. ლაშქარაძე, დ. (1987). ანდაზები, აფორიზმები. თბ.: ნაკადული.
110. მამარდაშვილი, მ. (1998). ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ. თბილისი.
111. მარწყვიშვილი, ხ. (2010). ემოციური ინტელექტის, დაძლევის სტრატეგიების და პოსტტრავმული სტრესის ურთიერთმიმართება (2008 წლის

აგვისტოს რუსეთ–საქართველოს კონფლიქტის შედეგად იძულებით ადგილნაცვალი პირების მაგალითზე). თბილისი: თსუ
112. უზნაძე, დ. (2009). განწყობის ფსიქოლოგია. თბილისი: საქართველოს მაცნე.
113. უზნაძე, დ. (1964). შრომები, ტ. III-IV, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი.
114. უზნაძე, დ. (1977). შრომები, ტ. VI. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. თბილისი.
115. ნადარეიშვილი, ვ.(2009).მოსალოდნელი ღირებულების კონცეფცია და განწყობა. „ფსიქოლოგია—, შრომები, ტ. XXI, თბ.
116. ნადარეიშვილი, ვ.(2010).პიროვნება და ნორმატიული ქცევა. სამეცნიერო კრებული ფსიქოლოგია . შრომები ტ. XXII თბ.
117. ნადარეიშვილი, ვ. (2013). განწყობა და ნებელობა პიროვნების აქტივობაში. საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე.
118. ნადარეიშვილი, ვ.(2013).განწყობის ფუნქცია ნებელობითი აქტივობის რეგულაციაში
119. ნადირაშვილი, შ. (1968). განწყობის ფსიქოლოგია ტ. I. თბილისი: მეცნიერება.
120. ნადირაშვილი, შ. (1985). განწყობის ფსიქოლოგია ტ. II. თბილისი: მეცნიერება.
121. ნადირაშვილი, შ. (200). განწყობის ანტროპული თეორია. თბილისი.
122. ნორაკიძე, ვლ. (1989). ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში. ჟურნალი ცისკარი, #9
123. რობაქიძე, გრ. (1927). საქართველოს ხერხემალი. ქართული მწერლობა #7
124. რუსიეშვილი, მ (2005). ანდაზა. თბილისი.
125. სახოკია, თ. (1968). ქართული ანდაზები, თბილისი
126. სახოკია, თ. (2012). ქართული ანდაზები, თბ.: "სიესტა"
127. სეპირი, ე. (2005). კულტურა, ენა და პიროვნება. თბილისი: უნივერსალი
128. სონღულაშვილი, ჯ. (1991). ქართული ანდაზები და გამოცანები. თბ.: მეცნიერება.
129. სურმანიძე, ლ. (1993). ქართული ეთნოსის მენტალიტეტის ფსიქოლოგიური კვლევა (ფოლკლორული ფრაზეოლოგიზმების ბაზაზე). საკანდიდატო დისერტაცია. 205 გვ. თბილისი: თსუ
130. სურმანიძე, ლ. (2001). ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები). თბილისი: ნეკერი
131. სურმანიძე, ლ. (2004). კულტურის კვლევის პარადიგმულ-თეორიული და მეთოდოლოგიური ტენდენციები (დისერტაცია). თბილისი.
132. სურმანიძე, ლ. (2012) ცნება ანთროპოლოგია
133. სურმანიძე, ლ. (2010). კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში. თბილისი: უნივერსალი.

134. სურმანიძე, ლ. (2015). ფსიქოანთროპოლოგიური მახასიათებლები ქართულ ფოლკლორულ ზეპირსიტყვიერებაში; საქართველოს მეცნ. აკადემიის „მაცნე“, ფსიქოლოგიის სერია, თბილისი
135. სურმანიძე, ლ. (2016) ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და რამდენიმე შტრიხი თანამედროვე ქართველთა პორტრეტისათვის. მოხსენების ტექსტი, წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ფორუმზე.
136. ტორონჯაძე, დ. (1973) ინგლისურ–ქართული ანდაზები და ხატოვანი გამონათქვამები; განათლება, თბილისი
137. ფარჯანაძე, დ. (2008) მეხსიერები ფსიქოლოგია.თბილისი: თათა სოლუშენი
138. ქოჩორაძე ბ. (1993). დ. უზნაძის განწყობის თეორიის სისტემატოლოგიური ანალიზი მეტაგანზომილების მიხედვით. დისერტაცია ფსიქოლოგიის მეცნ. კანდიდადის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
139. ქურდოვანიძე, თ. (2012). ქართული ხალხური სიტყვიერება. თბილისი:თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
140. ღვინჯილია, ჯ. (1987). გ. სააკაიძის პიროვნება. სული აღმაშენებელი, თბილისი.
141. ღლონტი, ალ. (1957) რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები. საქ. სსრ განათლ. სამინისტრო.თბ.: სამეცნ.-მეთოდ. კაბინეტის გამ-ბა.
142. ყულიჯანიშვილი, ა. (2009). კულტურის თეორია. თბილისი: უნივერსალი.
143. ჩუბინიძე, დ. (2012). ფსიქოანთროპოლოგიური პრობლემატიკა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის კვლევებში. (ვ. ნადარეიშვილი, რედ.) თბილისი, საქართველო: თსუ.
144. ჩხარტიშვილი, შ. (1975). განწყობა და ცნობიერება. თბილისი: მეცნიერება.
145. ცისკარიშვილი, ნ. & ტუკვაძე, ნ. (2013); ინგლისური ანდაზები და გამონათქვამები; თბილისი.
146. ხეჩუაშვილი, ლ. (2009) კრიზისული სიტუაციების დაძლევის სტრატეგიები და პიროვნული პროფილი ქართველ სამხედროებთან. 165 გვ. (დისერტაცია). თბილისი
147. ხორნაული, ვ.(1984) ქართული ანდაზები. თბ.: ნაკადული.
148. ხუციშვილი, ქ. (2008). ანთროპოლოგია - მომავლის მეცნიერება?! (სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული). თბილისი: უნივერსალი
149. ჭანტურიშვილი, ს. (1993). ეთნოლოგია. თბილისი: თბილ. უნ-ტის სტ.
150. ჭანტურიშვილი, ს. (1997). ეთნოლოგიის ქრესტომათია. თბილისი: თბილ. უნ-ტის სტ.
151. ჯავახიშვილი, ივ. (1956). ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი
152. ჯორჯანელი, კ. (2003) რჩეული ქართული ანდაზები.თბ.: მერანი.

დანართი

დანართი 1. კვლევაში გამოყენებული ანდაზები

კოდური ნომერი	ანდაზა
P1	მოჩქარეს მოუგვიანდესო
P2	აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო
P3	ადე - ნახე ჭირიო, დაჯე - ნახე ლხინიო
P4	შეემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო
P5	არ უშლის ხმალსა სიმოკლე, ვაჟკაცსა ტანდაბლობაო
P6	ფაფა წამიხდა რევითა, კორკოტი - მორევლობითაო
P7	ჭირი დანახული ჯობს დაუნახველსაო
P8	ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო
P9	თუ სახლში არავინ გყავს, კედელს მაინც დაეკითხეო
P10	მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი მოსჭრესო
P11	კაცი შეცდომებზე სწავლობსო
P12	ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო
P13	ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს გახედე
P14	კითხვა კითხვით კაცი ისპაანს მივაო
P15	არც ვქნა და არც ვთქვაო?
P16	ჭიაყელა გაწევ-გაწევაში შუაზე გაწყდაო
P17	ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი/ხანჯალი თუნდა ხისაო
P18	ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილს ძევს, და რა ადგილი დაიძრას, გამსუბუქდებაო
P19	წვეთ-წვეთი წყალი ქვასაც გახვრეტსო
P20	ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო
P21	ფუტკარს თავი თაფლში ედო, კიდევ თაფლს ეძებდაო
P22	ეძიებდე და ჰპოვებდეო
P23	ერთი დაკვრით ხე არ წაიქცევაო
P24	ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო
P25	გამგონი გაიგებსო
P26	ვისაც თორნე ცხელი აქვს, პურსაც იგი გამოაცხობსო
P27	ცდა ბედის მონახევრეაო
P28	ომში რა სჯობია და, რაც ხელში მოგხვდებაო
P29	ცულით პატარა ხელი დიდ ხეს წააქცევსო
P30	შეძახილმა ხე გაახმოო
P31	კოღო ლომსაც მორევია ხერხითა და ფანდითაო
P32	ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა
P33	ოქროს ანკესით ყველანაირ თევზს დაიჭერო
P34	ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი
P35	ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდოდესო
P36	შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო
P37	მიდექ და მოდექ თუ გიჭირს, სოფელი ღონიერიაო
P38	ალვის ხე, ცამდე ასული, ჭინჭველას წაუქცევიაო

P39	დიდ სატკივარს პატარა წამალი შველისო
P40	ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო
P41	თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო
P42	გარჯილობასა მოჰქონდა საწუთრო დაულეველი
P43	მოწადინება ნახევარი საქმეაო
P44	როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებო
P45	ბიჭობა ის არის, მოუბრუნდე და დახვდეო
P46	კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა უნდა ეჩო იყოს, სულ თავისკენ მიითლიდესო
P47	მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა
P48	გაქცეულს კვალზე მიჰყევ, დამდგარს დაუყურადეო
P49	ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში - სირბილითო
P50	კარგ მონადირეს იარაღი არ დაუჟანგდებაო
P51	გზა ვინც იცის, ფეხს არ წაიკრავსო
P52	კარგი მოთამაშე კამეჩის ცოხნაზედაც აჰყვებაო
P53	სვავი ძვალს კისერს დააზმანებს და ისე ჩაყლაპავსო
P54	რაც მოგივა დავითაო, - ყველა შენი თავითაო
P55	არ უნდა ჭირში გადრეკა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია
P56	თუ ღმერთი სახლს არ აშენებს, ცუდად შვრებიან მაშენებელნი
P57	ამირან გულში მღეროდა, ყმანო, ბანი მითხარითო
P58	ზოგჯერ გაქცევაც კარგი საქმეაო
P59	მელა მახეში გაება, თავი მოიმძინარა, - სიზმარი იქნებაო
P60	თუ სარკე არ გაქვს, წყალში მაინც ჩაიხედეო
P61	მწარე თუ არ ჭამე, ტკბილის გემოს ვერ გაიგებო
P62	გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო
P63	ვაჟკაცსა უხელებელსა, ქალი სჯობს უხსენებელი
P64	ერთ ადგილზე დგომით წყალიც აყროლდებაო
P65	სახლში ჯდომით საქმე არ გაკეთდებაო
P66	ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო
P67	როცა არ იყოს, ცოტა კმარიყოსო
P68	მშიშარა კაცი ორჯერ მკვდარიაო
P69	ცოტას მხვნელ-მთესველი ღმერთს ემდურებოდაო
P70	კუზიანს სამარე გაასწორებსო
P71	სასწორის სისწორე ამწონზე ჰკიდიაო
P72	პატარძალმა ძროხა ვერ მოწველა და, ბაკი მრუდეაო
P73	არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი
P74	ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო
P75	ზოგი ჭირი მარგებელიაო
P76	რა ქვეყანაშიც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო
P77	ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდისაც საბანი გაგწვდებაო
P78	თავის ბედს კაცი ვეღარსად დაემალება
P79	ავ კაცს შორიდან შემოუარეო
P80	ავ მეზობელს და ავ ძაღლს კარგით მოშორდიო

P81	ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო
P82	გონიერი მეტს მოითმენსო
P83	ადამიანი ჯოჯოხეთსაც შეეჩვევაო
P84	არც გავიქცევი და არც წავიქცევიო
P85	სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო
P86	მზეს შეჰყურებს, როდის ჩავაო
P87	ჩიტს გაფრენა უნდოდა და შეშინებას ელოდაო
P88	დღემეხვალიე კაცს კარს ზამთარი მოადგაო
P89	ერთმანეთისა ბაძვითა, სახლი აივსო ნაგვითა
P90	კაცს ცხენი არ ჰყავდა, უნაგირს ნატრობდაო
P91	ბებერმა კვერცხი თავქვეშ დაიდო, - ეგება აღდგომა მალე გამითენდესო
P92	ჰაცა, ვირო - ნუ მოკვდები, გაზაფხულზე ალერდი ამოვაო
P93	ხნავენ დარნი და არა ხარნი
P94	ავადობას თუ დაუწექი, დაგაწვებაო
P95	ყველაფერს თავისი დრო აქვს
P96	თუ სურვილია, უნარით გამოჩნდებაო
P97	ვისაც არა სწადიან, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო
P98	სატკივარს გაძლება უნდაო
P99	თვითონ თუ არ იცი, სხვებს ჰკითხეო
P100	ვისკენაც გული გწევსო, თვალიც იქით იხედებაო
P101	ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა
P102	კაცი კაცით არისო
P103	ჯერ ფონი იკითხე და მერე წყალში შესტოპეო
P104	ვაჟკაცს ნურც აქებ, ნურცა ჰგმობ, სანამ არ გაგიჭირდება
P105	ბედაური მათრახს არ დაიკრავსო
P106	სამართალმა პური ჭამაო
P107	ჭკვიანი თავის თავს დაემდურება, უტვინო - სხვასაო
P108	ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო
P109	მოგება და წაგება ამხანაგები არიან
P110	ავთან ავი, კარგთან კარგიო
P111	არც მწვადი დასწვა, არც შამფურიო
P112	დრო არის - ჩაქცევა ჯობია, დრო არის - გაქცევაო
P113	მრჩოლელს უკანიდან მოუარე და მწიხლავს - წინიდანო

დანართი 2. კვლევის მინაწილის ანკეტა და შედეგების აღრიცხვის ბლანკი

სახელი	
გვარი	
სქესი	
ასაკი	
მშობლიური ენა	

N	ანდაზების ჯგუფეფები (კოდური ნომრების მითითებით	ჯგუფის სახელწოდება
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		
13		
14		
15		
16		
17		
18		
19		
20		

დანართი 3. ინფორმირებული თანხმობა

კვლევის სახელწოდება: *„ქართული ანდაზები და კულტურული მოდელები“*

- ვადასტურებ, რომ სრულად მივიღე ინფორმაცია მოცემული კვლევის მიზნებისა და პროცედურის შესახებ.
- გავეცანი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებისა და გამოქვეყნების მოსალოდნელ სარგებელს.
- ვაცნობიერებ, რომ აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა არ წარმოადგენს რისკს კვლევაში მონაწილის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობისათვის.
- ასევე ინფორმირებული ვარ, რომ სურვილისამებრ შემიძლია კვლევის პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე შევწყვიტო კვლევაში მონაწილობა.
- მივიღე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კვლევის ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნება კვლევაში მონაწილეთა ჯგუფ(ებ)ის და არა კვლევის ცალკეული მონაწილეების ინდივიდუალური მონაცემები.
- ინფორმირებული ვარ, რომ კვლევის პროცედურის შედეგად მიღებული მონაცემები გამოქვეყნდება და მისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისათვის.

გავეცანი და ვეთანხმები კვლევაში მონაწილეობის ზემოთმოყვანილ პირობებს.

ხელმოწერა _____

დანართი 4. დენდროგრამა



დანართი 6. იმპლიკაციებისა და რაციონალური დანასკვების რაოდენობრივ ურთიერთმიმართება

პირველადი კოდი	**წყარო**	**რეფერენსი**
კოგნიტური იმპლიკაცია	60	91
ფსიქოლოგიური იმპლიკაცია	60	289
ქცევითი იმპლიკაცია	60	358